კომუნიზმი

რიჩარდ ჰეიესი

ლიბერალურ ეროვნულ
სოციალიზმი

რიჩარდ პაიპსი

კომუნიზმი

ისტორია

ინგლისურიდან თარგმნა
ლევან ღამბაშიძემ

გამომცემლობა ინტელექტი

რიჩარდ პაიპსი
კომუნიზმი
ისტორია

RICHARD PIPES
COMMUNISM
A HISTORY

Translated by Levan Ghambashidze

რედაქტორები
ნატო გორდელაძე
მარიამ ხადური

დამკაბადონებელი
ლიკა სხირტლაძე

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ISBN 978-9941-31-692-0
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2023

საბჭოთა რეჟიმის ყველაზე დამაიმედებელი თვისება მისი მარცხი იყო. მას რომ მიზნისთვის მიელწია... ვიფიქრებდი, რომ ადამიანის დაშინებისა და დამონების საზღვარი არ არსებობს.

მალკოლმ მაგერიჯი[1]

---

[1] Muggeridge, Kitty, and Ruth Adam. *Beatrice Webb.* New York, Knopf, 1968. გვ. 243.

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

1. კომუნისტური თეორია და პროგრამა 11

ისტორიული წინაპირობა; მარქსი და ენგელსი; მარქსიზმის უშედეგო მოლოდინი; მეორე ინტერნაციონალი და მისი კოლაფსი

2. ლენინიზმი 41

რუსეთის რევოლუციური ტრადიცია; ლენინი; 1917; ლენინის დიქტატურა; „სამხედრო კომუნიზმის" მარცხი; რევოლუციის ექსპორტი

3. სტალინი და მის შემდეგ 89

სტალინი მოდის სათავეში; „დიდი ტერორი"; რუსული ნაციონალიზმის საკუთარი ინტერესებისთვის გამოყენება; სტალინი, როგორც ლენინის მემკვიდრე; მეორე მსოფლიო ომი; ხრუშჩოვი; გახრწნა და კოლაფსი

4. კომუნიზმის აღქმა დასავლეთში 145

კომინტერნი; დასავლელი კომუნისტები და „თანამგზავრები"; კომუნიზმი და ნაციზმი; სტალინის ორსახოვანი საგარეო პოლიტიკა; ცივი ომი; მეორე მსოფლიო ომის შემდგომი კომუნიზმი დასავლეთში

5. მესამე სამყარო 183

საერთო მახასიათებლები; კომინტერნი მხარს უჭერს ნაციონალისტებთან კავშირს; მაო და მაოიზმი; სტალინის შემდგომი საბჭოთა პოლიტიკა მესამე სამყაროში; ჩინეთის „დიდი ნახტომი" და „კულტურული რევოლუცია"; პოლ პოტის კამბოჯა; ალიენდეს ჩილე; კასტროს კუბა; მენგისთუს ეთიოპია; ტერორიზმი; დასკვნა

6. რეტროსპექტივა 231

კომუნიზმის თანდაყოლილი წინააღმდეგობები, როგორც მისი განმეორებადი წარუმატებლობის მიზეზი; იდეოლოგიის როლი; კომუნიზმის საფასური

წინასიტყვაობა

ეს წიგნი კომუნიზმის შესავალია და ამავდროულად მისი ნეკროლოგი. ვინაიდან საკმაოდ ცხადია, რომ თუკი სრულყოფილი სოციალური თანასწორობის ძიება, რომელიც ანტიკურობიდან მოყოლებული ამოძრავებდა უტოპისტ კომუნისტებს, როდისმე კვლავ განახლდება, ის არ მიიღებს მარქსიზმ-ლენინიზმის ფორმას. ამ უკანასკნელის მარცხი იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ რუსეთში და სხვაგან არსებულმა პოსტსაბჭოთა კომუნისტებმაც კი უკუაგდეს ის ნაციონალიზმით გაჯერებული ეკლექტური სოციალ-დემოკრატიული პლატფორმის სასარგებლოდ. ამიტომ დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, იმ მოძრაობის საბოლოო ანგარიში წარვადგინოთ, რომელიც თითქმის მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში დომინირებდა, რათა განვსაზღვროთ, მისი წარუმატებლობა ადამიანური შეცდომის ბრალი იყო თუ უშუალოდ მის ბუნებაში არსებული წუნისა.

სიტყვა *კომუნიზმი*, რომელიც პირველად 1840-იან წლებში პარიზში გამოიყენეს, სამ ურთიერთდაკავშირებულ, მაგრამ განსხვავებულ ფენომენს აღნიშნავს: იდე-

ალს, პროგრამას და რეჟიმს, რომელიც ამ იდეალის მისაღწევად იქმნება.[1]

იდეალი სრული სოციალური თანასწორობაა, რომელიც ყველაზე რადიკალურ შემთხვევაში (მაგალითად, როგორც პლატონის ზოგიერთ ნაშრომში) ინდივიდის საზოგადოებაში სრული გათქვეფისაკენ მოგვინოდებს. რამდენადაც სოციალური და ეკონომიკური უთანასწორობა უპირველესად ქონების უთანასწორო გადანაწილებიდან მომდინარეობს, მისი მიღწევა მოითხოვს, რომ აღარ არსებობდეს „ჩემი" და „შენი" – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არანაირი კერძო საკუთრება. ამ იდეალს ანტიკური წარმომავლობა აქვს და ის დროდადრო თავს იჩენს ხოლმე დასავლური აზრის ისტორიაში ჩვ. წ. აღ-მდე მეშვიდე საუკუნიდან მოყოლებული დღემდე.

---

[1] „სოციალიზმსა" და „კომუნიზმს" შორის მკაფიო საზღვრების გავლება შეუძლებელია. მარქსი სრული კომუნიზმისაკენ მიმავალ გზაზე ორ ფაზას გამოყოფდა: პირველი, გარდამავალი ფაზა, რომლის დროსაც ძველი უთანასწორობები შენარჩუნდებოდა, იმისდა მიუხედავად, რომ მისი საფუძვლები განადგურებული იქნებოდა; ამ ფაზას კი მოჰყვებოდა მეორე, უფრო მაღალი, რომლის დროსაც პრინციპი „თითოეულისაგან – მისი უნარის მიხედვით, თითოეულს – მოთხოვნილების მიხედვით" ჩაანაცვლებდა პრინციპს „თანაბარი შრომა, თანაბარი გასამრჯელო". ლენინი პირველ ფაზად სოციალიზმს, ხოლო მეორე ფაზად კომუნიზმს გულისხმობდა. თუმცა, რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ცოტა ხანში, მან მის „სოციალ-დემოკრატიულ" პარტას სახელწოდება შეუცვალა და „კომუნისტური" დაარქვა. ჩვენ კი ტერმინ „კომუნიზმში" ლენინის თეორია და პრაქტიკა უნდა ვიგულისხმოთ. იხილეთ: Andrzej Walicki, Marxism and the Leap to the Kingdom of Freedom (Stanford, 1995), გვ. 93.

პროგრამა მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდიდან ილებს დასაბამს და ის ყველაზე მჭიდროდ უკავშირდება კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის სახელებს. 1848 წელს გამოცემულ *„კომუნისტურ მანიფესტში“* მარქსი და ენგელსი წერდნენ, რომ „კომუნისტების თეორიის შეჯამება შესაძლებელია ერთი წინადადებით: კერძო საკუთრების მოსპობა“. ენგელსი მიიჩნევდა, რომ მისმა მეგობარმა შეიმუშავა მეცნიერული თეორია, რომელიც კლასობრივ განსხვავებებზე დაფუძნებული საზოგადოებების გარდაუვალ კოლაფსს ასაბუთებდა.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის განმავლობაში, დროდადრო, კომუნისტური იდეალის მიღწევის მცდელობები არსებობდა, სახელმწიფოს მიერ მთელი ძალის გამოყენებით მისკენ მიმართული პირველი მტკიცე ნაბიჯი რუსეთში 1917 და 1991 წლებს შორის გადაიდგა. ამ რეჟიმის დამფუძნებელი, ვლადიმერ ლენინი, ჭვრეტდა, თუ როგორ ამოიზრდებოდა უსაკუთრო და ეგალიტარული საზოგადოება „პროლეტარიატის დიქტატურიდან“, რომელიც კერძო საკუთრებას გაანადგურებდა და კომუნიზმისკენ მიმავალ გზას მოკირწყლავდა.

კომუნიზმის ისტორიას ამ თანმიმდევრობით ორი მიზეზის გამო უნდა გავყვეთ: იმიტომ, რომ ასე ლოგიკურად უფრო სწორია და იმიტომ, რომ ზუსტად ამგვარად ჩამოყალიბდა ის ისტორიულად: ჯერ იდეა, შემდეგ მისი რეალიზაციის გეგმა და ბოლოს მისი განხორციელება. თუმცა ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ განხორციელებაზე, ვინაიდან იდეალი და პროგრამა, ცალკე აღებული, შედარებით უვნებლები არიან, მაშინ როდესაც მათი პრაქტიკაში მიღწევის ყოველ მცდელობას – განსაკუთრებით, თუკი ამას სახელმწიფოს მთელი ძალა უმაგრებდა ზურგს – უმნიშვნელოვანესი შედეგები მოჰყვა.

უკლასო, სრულიად ეგალიტარული საზოგადოების იდეა პირველად კლასიკურ საბერძნეთში აღმოცენდა. საბერძნეთი მსოფლიოში პირველი სახელმწიფო იყო, რომელმაც მიწაზე კერძო საკუთრება აღიარა და მიწა ქონებად განიხილა. შესაბამისად, ის პირველი იყო, მესაკუთრეობით გამოწვეულ სოციალურ უთანასწორობას რომ შეეჯახა. ჰესიოდემ, ჰომეროსის თანამედროვემ (ძვ.წ. მე-7 საუკუნე), პოემაში „*სამუშაოები და დღეები*" განადიდა მითური „ოქროს ხანა", როდესაც ადამიანებს არ ამოძრავებდათ „მოგების სამარცხვინო ლტოლვა", როდესაც ყველასთვის სამყოფი საქონლის სიუხვე იყო და როდესაც კაცობრიობა მარადიულ მშვიდობაში ცხოვრობდა. „ოქროს ხანის" თემა რომაელი პოეტების – ვირგილიუსისა და ოვიდიუსის – ნაშრომებში კვლავ გაჟღერდა; ოვიდიუსი საუბრობდა დროზე, როდესაც სამყარომ „სასაზღვრო ძელებისა და ღობეების" შესახებ არაფერი იცოდა.

იდეალის ყველაზე ძველი თეორიული ფორმულირება პლატონის ნაწარმოებებში გვხვდება. „*სახელმწი-*

ფოში", სოკრატეს პირით, პლატონი უთანხმოებისა და ომების საფუძვლად საკუთრებას ასახელებს:

> „ასეთი განსხვავებები, როგორც წესი, წარმოიშობა იმ უთანხმოებიდან, რაც ტერმინების: „ჩემი" და „არა ჩემი", „მისი" და „არა მისი" – გამოყენებას მოჰყვება... და განა ყველაზე კარგად ის სახელმწიფო არ არის მოწყობილი, სადაც ადამიანთა უდიდესი ნაწილი ტერმინებს „ჩემი" და „არა ჩემი" ერთი და იმავე საგნების მიმართ ერთნაირად იყენებს?"

პლატონი „*კანონებში*" წარმოიდგენს არა მხოლოდ ისეთ საზოგადოებას, რომელშიც ადამიანები ყველა ამქვეყნიურ ქონებას და ასევე, თავიანთ ცოლებსა და ბავშვებს ინაწილებენ, არამედ ისეთს, სადაც:

> „პირადი და ინდივიდუალური სრულად გამქრალია ცხოვრებიდან და ისეთი საგნები, რომლებიც ბუნებით კერძონი არიან, მაგალითად, თვალები, ყურები და ხელები, საზიარონი გამხდარან და, გარკვეულწილად, ხედავენ, ესმით და მოქმედებენ საზიაროდ, და ყველანი ერთსა და იმავე სიტუაციაში გამოხატავენ ქებადიდებასა თუ გაკიცხვას და ერთსა და იმავე სიტუაციაში განიცდიან სიხარულს".

პლატონის მოსწავლე არისტოტელე ეჭვქვეშ აყენებდა იმას, თუ რამდენად შეძლებდა ასეთი კომუნისტური უტოპია სოციალური მშვიდობის დამკვიდრებას, რადგან ადამიანები, რომლებიც საზიაროდ ფლობენ საგნებს, უფრო მიდრეკილი არიან დავისკენ, ვიდრე კერძო საკუთრების მფლობელები. მეტიც, ის ამტკიცებდა,

რომ სოციალური უთანხმოების საფუძველი არა მატერიალური ნივთები, არამედ მათკენ სწრაფვაა: „ქონება კი არა, ადამიანთა სურვილები უნდა გათანაბრდეს“.

არსებობს გავრცელებული, მაგრამ მცდარი წარმოდგენა, რომ სოციალიზმი და კომუნიზმი მხოლოდ ქრისტიანობის თანამედროვე, სეკულარული ფორმებია. როგორც მეცხრამეტე საუკუნის რუსმა ფილოსოფოსმა, ვლადიმერ სოლოვიოვმა აღნიშნა, განსხვავება ისაა, რომ მაშინ, როდესაც იესო თავის მიმდევრებს მათი საკუთარი ქონების გაცემისკენ მოუწოდებდა, სოციალისტებსა და კომუნისტებს სხვათა ქონების გაცემა სურთ. მეტიც, იესო სიდუხჭირისკენ არასოდეს მოუწოდებდა; იგი ამას უბრალოდ ურჩევდა ხსნის გზის [illegible]

[illegible] ფულის შესახებ, ჩვეულებრივ, არასწორად განმარტავენ ხოლმე: მას არ უთქვამს, რომ „ყოველგვარი ბოროტების ფესვი ვერცხლია“, მან თქვა, რომ „ვერცხლისმოყვარეობაა“ ის – სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიხარბე. წმინდა ავგუსტინემ რიტორიკულად იკითხა, „განა ოქრო არ არის კარგი?“ და უპასუხა: „კი, ის კარგია. მაგრამ ამ კარგ ოქროს ბოროტი ბოროტებისთვის იყენებს, ხოლო კეთილი – სიკეთისთვის“.

ეკლესიის მამები და გვიანდელი კათოლიკე თეოლოგები საკუთრებას პრაგმატულად უყურებდნენ. წმინდა ავგუსტინეს მიხედვით, საკუთრების გარეშე სამყაროს არსებობა მხოლოდ სამოთხეში იყო შესაძლებელი – იმ „ოქროს ხანაში“, რომელიც კაცობრიობამ დაკარგა პირველქმნილი ცოდვის გამო. ადამიანის ნაკლოვანებების გათვალისწინებით, საკუთრება მორალურია, თუკი ის

სიბრძნით გამოიყენება და ქველ მიზნებს ემსახურება. კათოლიკური ეკლესია არათუ სიღარიბეს ქადაგებდა, არამედ მოკვეთდა და ხანდახან დევნიდა კიდეც მათ, ვინც ამას აკეთებდა. პროტესტანტიზმის დამფუძნებლები, განსაკუთრებით კალვინი, სიმდიდრეს უყურებდა როგორც დადებით სიკეთესა და ღვთაებრივი მადლის ნიშანს.

თუმცა „ოქროს ხანისკენ" სწრაფვა არასდროს გამქრალა ევროპული ცნობიერებიდან. ადრეული ზღვაოსნები მოგზაურობებისას თავს საფრთხეში იგდებდნენ არა მხოლოდ ელდორადოსა და იმ მითური ადგილების ძიებით შთაგონებულნი, სადაც ოქრო მტვერივით უხვად მოიპოვებოდა, არამედ ამქვეყნიური სამოთხის კუნძულების პოვნის სურვილით, რომელთა შესახებ არსებული ლეგენდებიც შუა საუკუნეების ევროპაში ცირკულირებდა. და როდესაც პირველად გადასხდნენ ამერიკის ნაპირზე და შიშველი ინდიელები[1] დაინახეს, ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ის კუნძულები იპოვეს: ვინაიდან, განა სირცხვილის არარსებობა არ იყო დაცემამდე არსებული ცხოვრების მახასიათებელი? თუკი ადგილობრივები მართლაც სამოთხეში ცხოვრობდნენ, გამოდიოდა, რომ მათ საკუთრების შესახებ არაფერი იცოდნენ. კოლუმბი დაბრუნების შემდეგ ჰყვებოდა, რომ ადგილობრივები „გულუბრყვილოები" იყვნენ და „თხოვნის შემთხვევაში, უარს არასდროს ამბობ(დნ)ენ იმის გაცემაზე, რასაც ისინი ფლობდნენ; პირიქით, ისინი ყველას სთავაზობენ მის განაწილებას".

---

[1] იგულისხმება ამერიკის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობა *(მთარგმნელის შენიშვნა).*

იგი არ იყო დარწმუნებული, იცოდნენ თუ არა მათ კერძო საკუთრების არსებობის შესახებ, მაგრამ აღნიშნა: „რასაც ერთი ფლობდა, ყველანი ინაწილებდნენ, განსაკუთრებით – საკვებს".

ეს გულუბრყვილო პირველი შთაბეჭდილება მალე ჩანაცვლდა ამერიკელი ინდიელების უფრო რეალისტური შეფასებით, თუმცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ საფუძველი ჩაუყარეს უტოპიურ ლიტერატურას, დასავლური აზრის მუდმივ მახასიათებლად რომ იქცა[1]. ტომას მორის არქეტიპული უტოპია, რომელიც აღწერილია 1516 წელს გამოცემული იმავე სახელწოდების წიგნში, ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შთაგონებული იყო კოლუმბისა და სხვა ადრეული ზღვაოსნების ჩანაწერებით. იმ ბედნიერი ადგილისგან განსხვავებით, როგორადაც სიტყვა უტოპიურს თანამედროვეობაში მოვიაზრებთ, ის იყო პირქუში და მკაცრად დისციპლინებული საზოგადოება, სადაც ყველა მოქალაქეს ერთნაირად ეცვა და იდენტურ სახლებში ცხოვრობდნენ, სადაც არავის შეეძლო ნებართვის გარეშე მოგზაურობა და სადაც საჯარო საქმეების კერძო განხილვები სიკვდილით ისჯებოდა. ფული აკრძალული იყო; ოქროსა და ვერცხლისაგან ღამის ქოთნებს ამზადებდნენ. მომდევნო უტოპიების თემა, მორის მსგავსად, იყო როგორც კერძო სიმდიდრის არარსებობა, ასევე საზოგადოების, რო-

---

[1] ვინაიდან უსაკუთრო საზოგადოების ხედვა თითქმის ყველა უტოპიისთვის ცენტრალურია, ის მხოლოდ იმ საზოგადოებებში შეიძლება აღმოცენებულიყო, სადაც კერძო საკუთრება არსებობდა: ბოლო დრომდე ასეთი იყო ევროპა და ევროპელებით დასახლებული რეგიონები.

გორც მთლიანის, მიერ ინდივიდის შევიწროება: უტოპია, თეორიაშიც და პრაქტიკაშიც აღნიშნავს პიროვნების მონურ მორჩილებას ძალაუფლების წინაშე, რომელიც აიძულებს მას, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას საკუთარი თავისუფალი ნებით არ მოესურვებოდა.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ უსაკუთრო „ოქროს ხანის" იდეალის არსებობა მითია – უფრო სურვილის ნაყოფი, ვიდრე მეხსიერების. ვინაიდან ისტორიკოსები, არქეოლოგები და ანთროპოლოგები თანხმდებიან, რომ არასდროს არსებულა დრო ან ადგილი, სადაც წარმოების საშუალებები კოლექტიურ მფლობელობაში იქნებოდა. იმისთვის, რომ გადარჩეს, აუცილებელია, ყველა ცოცხალ არსებას, ყველაზე პრიმიტიულიდან ყველაზე განვითარებულამდე, ჰქონდეს გარანტირებული საკვები, ამის უზრუნველსაყოფად კი ის გარკვეულ ტერიტორიას ისაკუთრებს. მილიონობით წლის განმავლობაში, სანამ ადამიანი მიწათმოქმედებისთვის ხელის მისაყოფად დაფუძნდებოდა და ძირითადად ნადირობითა და შეგროვებით ირჩენდა თავს, სანათესავო ჯგუფები ექსკლუზიურ უფლებას აცხადებდნენ თავიანთ ტერიტორიაზე და საზღვრის დამრღვევებს აძევებდნენ ან კლავდნენ. საკუთრებასთან დაკავშირებული პრეტენზიები გამძაფრდა მიწათმოქმედებაზე გადასვლის შემდეგ, დაახლოებით ათი ათასი წლის წინ, ვინაიდან მიწის დამუშავება შრომატევადი საქმეა და ნაყოფის მოწევას დიდი დრო სჭირდება.

უძველეს ცივილიზაციებში, რომლებიც ხუთი ათასი წლის წინ არსებობდნენ – ფარაონების ეგვიპტესა და შუამდინარეთში – სამიწათმოქმედო მიწა სასახლეებსა

და ტაძრებს ეკუთვნოდა. მიწის კერძო მესაკუთრეობის არსებობის პირველი უტყუარი მტკიცებულებები ძველ ისრაელში მოიპოვება. ებრაული ბიბლიის ღმერთი წყევლას უგზავნის ყველას, ვინც სასაზღვრო ქვებს გადააადგილებს („წყეულიმც იყოს თავისი მეზობლის სამანის გადამწევი", მეორე რჯული 27:17), და რამდენიმე ბიბლიური წიგნი მოგვითხრობს ოჯახებისა თუ ინდივიდების შესახებ, რომლებიც მიწასა თუ საძოვრებს ფლობენ კერძო საკუთრებაში. თუმცა, ძველ ისრაელში მიწის მესაკუთრეობას ბევრი რელიგიური თუ კლანური ტრადიცია ზღუდავდა. კლასიკური პერიოდის საბერძნეთი ის ადგილია, სადაც უძველესი დროიდან მიწათმოქმედებისთვის განკუთვნილ ადგილებს კერძო მესაკუთრეები ფლობდნენ. ამგვარად, არ არსებობს მტკიცებულება, რომ როდისმე, ყველაზე შორეულ წარსულშიც კი, არსებობდა საზოგადოება, რომელიც არ ცნობდა „სასაზღვრო ძელებსა და ღობეებს" ან უგულებელყოფდა „ჩემს" და „შენს".

სოციალისტურ და კომუნისტურ თეორიაში უმნიშვნელოვანესი წვლილი განმანათლებელი მოაზროვნეების მიერ შემუშავებულმა ადამიანის ბუნების ცნებამ შეიტანა. ტრადიციულად, დასავლეთში სჯეროდათ, რომ ადამიანი სხეულისაგან და სულისგან შედგებოდა და, რომ ორივეს ფორმა შემოქმედმა მისცა; სულს ისეთ რამედ განიხილავდნენ, რომელიც სავსე იყო იდეებითა და, ღირებულებებით, რომლებიც მასში დაბადებიდან იყო ჩანერგილნი. ეს კონსერვატიული ცნება იყო, რამდენადაც ის ადამიანური ბუნების უცვლელობას გულისხმობდა: როგორიც იყო, ისეთი იქნებოდა მუდამ.

სხვა სიტყვებით, თუ ის ანგარებიანი იყო, მუდამ ანგარებიანი დარჩებოდა.

ეს დებულება ეჭვქვეშ პირველად ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა დააყენა, რომელმაც ნაშრომში „ესსე ადამიანის გონების შესახებ" (1690 წ.) უარყო „თანდაყოლილი იდეების" არსებობა. მისი აზრით, დაბადებისას გონება (ან სული) ცარიელი დაფაა: ყველა იდეა და ღირებულება გრძნობადი გამოცდილებიდან მომდინარეობს. ეს თეორია გულისხმობს, რომ ადამიანის ბუნება უფრო ცვალებადი რამ არის, ვიდრე უცვლელი, ამდენად, მათი ფორმირება იმგვარად შეიძლება, რომ მათი ბუნებრივი სიქველე – რასაც ფილოსოფოსები ფაქტად მიიჩნევდნენ – მათ თავკერძობაზე გაიმარჯვებდა. მეთვრამეტე საუკუნის ფრანგმა მოაზროვნე კლოდ ადრიან ჰელვეციუსმა ამ ნაგულისხმევ მოსაზრებას სიცხადე შესძინა: იგი ამტკიცებდა, რომ აღზრდა და კანონმდებლობა არა მხოლოდ საშუალებას მისცემდა ადამიანებს, არამედ აიძულებდა მათ სრულყოფილი სათნოების მიღწევას. ეს დიდად საეჭვო ფსიქოლოგიური თეორია ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საზიარო მემკვიდრეობად იქცა, რომლებიც საკუთარი მიზნების მიღწევისათვის სხვადასხვა ხარისხით ეყრდნობიან დასწავლას და/ან იძულებას. 1917 წელს რუსეთში ლენინის მიერ დაფუძნებული კომუნისტური სახელმწიფო თავისებურად საჯარო განათლების სფეროში ჩატარებული გრანდიოზული ექსპერიმენტი იყო, რომელიც ჰელვეციუსის მოდელის მიხედვით ჩატარდა, აბსოლუტურად ახალი ტიპის, მანკიერებისაგან, მათ შორის, მომხვეჭელობისაგან თავისუფალი ადამიანის შექმნის მიზნით.

მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი რადიკალი მოაზროვნეები იყვნენ ისინი, ვინც პირველებმა წამოაყენეს კომუნისტური პროგრამები და ყველა სახის კერძო სიმდიდრის გაუქმების მოწოდებები, იმ მიზეზით, რომ კაცობრიობისათვის ცნობილი ნებისმიერი უბედურება მისგან მოდიოდა. 1755 წელს გამოქვეყნებული გავლენიანი ტრაქტატის Le Code de la Nature-ის ავტორის, ეტიენ-გაბრიელ მორელის სიტყვებით:

> „სამყაროში ჩემთვის ნაცნობი ერთადერთი მანკიერება არის *სიხარბე*; ყველა დანარჩენი, რა სახელიც უნდა ჰქონდეს მას, უბრალოდ მისი ფორმები თუ ხარისხებია... დააკვირდით პატივმოყვარეობას, ქედმაღლობას, სიამაყეს, ამბიციურობას, სივერაგეს, ფარისევლობას, ბოროტებას; გამოიკვლიეთ ჩვენი დახვენილი სიქველეების უმრავლესობა და მიხვდებით, რომ ყველა მათგანი ამ მზაკვარ და მავნე ელემენტთან – ფლობის წადილთან – შეზავებისას უკვალოდ ქრება".

ასეთი ეკონომიკურად განსაზღვრული ფსიქოლოგია უდევს საფუძვლად ყველა სოციალისტურ და კომუნისტურს დოქტრინას.

–

მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდამდე თანასწორობის იდეალი მხოლოდ მისწრაფება იყო, რომელიც პერიოდულად სოციალურ მღელვარებას იწვევდა, მაგრამ მას თეორია და სტრატეგია არ გააჩნდა. ამიტომ მეჩვიდმეტე საუკუნის ინგლისში, ჯერარდ უინსტენლი,

„მთხრელებად" წოდებული რადიკალური ჯგუფის ლიდერი, თავის მომხრეებს მოუწოდებდა საჯარო მიწების მიტაცებისა მათი სახნავ მიწებად გარდაქმნისკენ. მან რაღაც კომუნისტური დოქტრინის მსგავსი შექმნა, რომელიც გმობდა მიწით თუ მისი პროდუქტებით ვაჭრობას. საუკუნე-ნახევრის შემდეგ, საფრანგეთის რევოლუციის დროს, ფრანგმა რადიკალმა ფრანსუა-ნოელ ბაბეფმა მოაწყო „თანასწორთა შეთქმულება", რომელიც ყველა საკუთრების განსაზოგადოებრიობას ქადაგებდა. თუმცა, ამ ორიდან არც ერთი ფლობდა დოქტრინას, რომელიც შეძლებდა იმის ჩვენებას, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო მათ მიერ მხარდაჭერილი სოციალური რევოლუცია. იგივე ეხება მეცხრამეტე საუკუნეში მოღვაწე სოციალისტ იდეალისტებს, გრაფ სენ-სიმონსა და შარლ ფურიეს, რომლებიც იმედს იმაზე ამყარებდნენ, რომ შეძლებდნენ მდიდრების დარწმუნებას, დაეთმოთ საკუთარი სიმდიდრის ნაწილი.

დროდადრო დასავლეთში ნებაყოფლობითი კომუნისტური საზოგადოებები ჩნდებოდა. ერთ-ერთი მათგანი იყო ვირჯინიის კომპანია ჯეიმზტაუნში (1607 წ.); მეორე – ახალი ჰარმონია ინდიანაში, რომელიც 1825 წელს ბრიტანელმა ფილანტროპისტმა, რობერტ ოუენმა დააფუძნა. ყველა ასეთი მცდელობა ადრე თუ გვიან მარცხით მთავრდებოდა, მეტწილად მათი უუნარობის გამო, გადაეჭრათ „უბილეთო მგზავრთა" პრობლემა – საზოგადოების წევრების, რომლებიც ერთობის მიერ მიღებული მოსავლიდან წილს იღებდნენ, თავად კი ძალიან ცოტას, ან საერთოდ არ შრომობდნენ.

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის მიერ სოციალიზმში შეტანილი წვლილი თეორიაა, რომელიც მოწოდებული იყო, ეჩვენებინა, რომ თანასწორო-

ბის სამეფო არა მხოლოდ სასურველი და მისაღწევად შესაძლებელი იყო, არამედ გარდაუვალიც. ამ განაცხადის დასამტკიცებლად მათ მიმართეს მეთოდებს, რომლებიც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან ისესხეს და რომლებსაც მეცხრამეტე საუკუნეში სახელი ჰქონდათ განთქმული.

მარქსმა და ენგელსმა „მეცნიერული სოციალიზმის" დოქტრინა ჩამოაყალიბეს, რომელიც ამტკიცებდა, რომ უსაკუთრო, ეგალიტარული საზოგადოების იდეალი ისეთი რამ იყო, რაც არა მხოლოდ კარგი იქნებოდა, რომ განხორციელებულიყო, არამედ, ეკონომიკის ბუნებრივი ევოლუციის გამო, უნდა განხორციელებულიყო კიდეც. სოციალური ევოლუციის მარქსისტული კონცეფცია დარვინის თეორიის გავლენით აღმოცენდა, რომელიც ავტორმა 1858 წელს გამოაქვეყნა წიგნში *„სახეობათა წარმოშობის შესახებ"*. დარვინის ტექსტმა ბიოლოგიურ სახეობათა წარმოშობა აღწერა, როგორც ბუნებრივი გადარჩევის შედეგი, რომელიც მათ მტრულ გარემოში უკეთ გადარჩენაში ეხმარებოდა. პროცესი დინამიკური იყო: ის ავითარებდა სახეობებს ყველაზე დაბლიდან მაღალ საფეხურებამდე, განსაზღვრული ნესების მიხედვით. ეს თეორია სწრაფად აიტაცა ქცევათმეცნიერებამ, რამაც საფუძველი ჩაუყარა „ევოლუციური სოციოლოგიის" სკოლას. ამ უკანასკნელმა ისტორია აღწერა, როგორც პროგრესია, „საფეხურებრივი", ყველაზე დაბლიდან მაღალ ფორმებამდე. მარქსზე დარვინის გავლენა იმდენად დიდი იყო, რომ ენგელსმა თავის მეგობრის დასაფლავებაზე სიტყვით გამოსვლისას თქვა: „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული სამ-

ყაროს განვითარების კანონი, ისე აღმოაჩინა მარქსმა კაცობრიობის ისტორიის კანონი".

ევოლუციური აზროვნების ინიექციამ სოციალისტურ თეორიაში გარდაუვალობის ელემენტი შეიტანა. „მეცნიერული სოციალიზმის" თანახმად, ადამიანთა ქმედებამ შეიძლება რაღაცნაირად შეანელოს ან ააჩქაროს სოციალური ევოლუცია, მაგრამ მათ მისი გეზის შეცვლა არ შეუძლიათ, რადგან ის ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. ამიტომ, იმ მიზეზთა გამო, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ, კაპიტალიზმმა დროთა განმავლობაში გარდაუვალად უნდა დაუთმოს ადგილი სოციალიზმს. ამ რწმენის ემოციური ხიბლი დიდად არ განსხვავდება ღვთის ნების შესახებ არსებული რელიგიური რწმენისაგან, რაც შთააგონებს მათ, ვისაც შეურყეველად სწამთ, რომ რამდენი წარუმატებლობაც უნდა განიცადონ მიზნისკენ სავალ გზაზე, საბოლოო გამარჯვება მაინც გარანტირებულია. ის განსაკუთრებულად მიმზიდველია ინტელექტუალებისათვის, ვინაიდან მათ სპონტანური და უწესრიგო ცხოვრების რაციონალური წესრიგით ჩანაცვლებას ჰპირდება, რომელშიც ისინი იქნებიან ამხსნელები და მენტორები. როგორც მარქსმა თქვა: „ფილოსოფოსები სხვადასხვანაირად ხსნიდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შევცვალოთ". და ვინ არის ყველაზე შესაფერისი, რომ ის საზრიანად „შეცვალოს", თუ არა ინტელექტუალები?

მეცნიერული მეთოდისადმი ფორმალური ერთგულების მიუხედავად, მარქსიზმმა დაარღვია მისი ფუძე მახასიათებელი, კერძოდ, გონებაგახსნილობა და თეორიის ახალ რეალობაზე მორგების ნება (ბერტრან რასელი ბოლშევიზმს, მარქსიზმის პირმშოს, „რელიგიას"

უწოდებდა და აღწერდა მის „თვისებას – სამხედრო თავდაჯერებულობით იმსჯელოს ობიექტურად საეჭვო საკითხებზე“). ეს იყო მოუქნელი დოქტრინა, რომელიც განსხვავებულ ხედვებს უგულებელყოფდა. მარქსი არ მალავდა თავის დამოკიდებულებას მათ მიმართ, ვინც არ ეთანხმებოდა: „კრიტიკა, – წერდა ის, – არა სკალპელი, არამედ იარაღია, რომლის ამოცანაც მტრის განადგურებაა და არა მისი სიმცდარის დამტკიცებაა“. აქედან გამომდინარე, მარქსიზმი იყო დოგმა, რომელიც მეცნიერებად ინიღბებოდა.

მარქსიზმის მისადაგება მეცნიერულ კულტურასთან მისი მომხიბვლელობის მხოლოდ ერთი ფაქტორი იყო. მეორე ფაქტორი სოციალური ვითარების პარალელურად მიმდინარე ცვლილებებს უკავშირდებოდა. ინდუსტრიულ რევოლუციამდე, მსოფლიო ეკონომიკის საფუძველი სოფლის მეურნეობა იყო. მანამდე, ევროპელთა და ამერიკელთა 80-დან 90 პროცენტამდე მიწაზე და მიწის ხარჯზე ცხოვრობდა: მდიდრები სიმდიდრეს მიწიდან და მასზე დაწესებული გადასახადებიდან იღებდნენ. ვაჭრობა და წარმოება, რა თქმა უნდა, უძველესი ანტიკური ხანიდან არსებობდა, მაგრამ ისინი ეკონომიკაში მარგინალურ როლს ასრულებდნენ. მიწა სიმდიდრის ძირითადი წყარო იყო, რის გამოც ეგალიტარული მოძრაობები მიწის კერძო მესაკუთრეობის გაუქმებაზე ფოკუსირდებოდნენ.

ფართომასშტაბიანი მექანიკური წარმოების აღზევებამ ვითარება შეცვალა. ინდუსტრიიდან და ვაჭრობიდან შემოსულმა შემოსავალმა ნელ-ნელა ჩაანაცვლა მიწის გადასახადის შემოსავალი, როგორც სიმდიდრის ძირითადი წყარო. მან ასევე შექმნა სიღარიბის ახალი ფორმა,

რამდენადაც, მექანიზაციის მიერ წარმოების საფასურის რადიკალურად შემცირებასთან ერთად, მცირემასშტაბიანი, ხელით წარმოების ტრადიციული ფორმები მოძველდა და ბევრი ხელოსანი სამსახურიდან დაითხოვეს.

ინდუსტრიალიზაციამ არა მხოლოდ მტკივნეული სოციალური ცვლილებები გამოიწვია, არამედ ფუნდამენტურად და სამუდამოდ შეცვალა დამსაქმებელსა და დასაქმებულებს შორის არსებული ურთიერთობა. მიწის მეპატრონეები და მათი მეიჯარეები მანამდე, მეზობლები და გარკვეულწილად პარტნიორები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მეიჯარეები დროდადრო მასობრივად ავიწროებდნენ, მაგალითად, როგორც ინგლისში ე. წ. „შემოლობვის" დროს, ზოგადად სოფელი სტაბილური იყო, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, როგორიც შეერთებული შტატებია. აქ ფერმერების დიდი უმრავლესობა ფლობდა იმ მიწას, რომელსაც ისინი ამუშავებდნენ.

ინდუსტრიულ საზოგადოებებში მესაკუთრესა და დასაქმებულს შორის კავშირი შესუსტდა და არამდგრადი გახდა, ვინაიდან დამსაქმებლებს შეეძლოთ სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ მშრომელები, როგორც კი მათზე მოთხოვნა შემცირდებოდა. ვინაიდან ნუვორიშები[1] საკუთარ სიმდიდრეს ფლანგავდნენ, ცხოვრების წესში განსხვავება სულ უფრო შესამჩნევი გახდა.

ამ პროცესებმა „კაპიტალიზმისადმი" მტრული დამოკიდებულება გააჩინა. სოციალიზმმა, რომელიც მანა-

---

[1] Nouveau riche – (ფრანგ. „ახალი მდიდარი") ეს ფრანგული ტერმინი აღნიშნავს ადამიანს, რომელმაც კეთილდღეობა მემკვიდრეობით კი არ მიიღო, არამედ მას თავად მიაღწია.

მდე ინტელექტუალებზე ორიენტირებული იდეალი იყო, ახლა მშრომელთა კლასის გარკვეულ სეგმენტშიც მოიპოვა თეორიულთან ერთად სოციალური საფუძველიც.

მარქსისა და ენგელსის ნაშრომთა კრებული ათობით ტომისგან შედგება; მხოლოდ „კაპიტალი" ტექნიკური პროზის ათას ოთხასამდე გვერდს მოიცავს. მცირეოდენმა თუ გაიკვლია გზა ამ რთულ ლიტერატურაში და ამიტომ ძალიან რთულია მისი უდიდესი გავლენის ახსნა. პასუხი ისაა, რომ „მეცნიერული სოციალიზმის" ძირითადი პრინციპები რამდენიმე, ერთობ მარტივ წანამძღვრებამდე შეიძლება დავიყვანოთ.

მარქსის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ენგელსმა აღწერა „კაცობრიობის ისტორიის კანონი", რომელიც თითქოს მისმა მეგობარმა აღმოაჩინა, და რომლის მიხედვითაც ცხადია:

> „რომ ადამიანებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი და ტანისამოსი, სანამ პოლიტიკით, მეცნიერებით, ხელოვნებით, და რელიგიით დაინტერესდებიან; რომ, შესაბამისად, არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება, [...] რომელიც შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით ადამიანთა რელიგიური წარმოდგენებიც კი და რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის საქმეში, – და არა – პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ".[1]

---

[1] ეს მონაკვეთი აღებულია აქედან: https://counterhegemony.ge/index.php?option=com-content&view=article&id=21%3A2021-03-14-17-38-39&catid=9&Itemid=107

ერთი სიტყვით, ეკონომიკაა ორგანიზებული ცხოვრების საფუძველი – ყველაფერი დანარჩენი „ზედნაშენია“.

ამ ნანამძღვარს დაეყრდნენ მარქსი და ენგელსი და ჩამოაყალიბეს სოციალური ევოლუციის თეორია, რომლის ცენტრალური პოსტულატის მიხედვით, წარმოების საშუალებების კონტროლი სოციალური „კლასების“ ჩამოყალიბებას იწვევს. თავდაპირველად ამ საშუალებებზე კერძო საკუთრება არ არსებობდა – მთელი მინა საერთო საკუთრებაში იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში „პრიმიტიული კომუნალური“ წესრიგი კლასობრივმა განსხვავებებმა ჩაანაცვლა, როდესაც ერთმა ჯგუფმა შეძლო სასიცოცხლო რესურსების მონოპოლიზაცია და მისი ეკონომიკური ძალა დანარჩენი მოსახლეობის ექსპლუატაციისა და მათზე დომინირებისთვის გამოიყენა. ამას კი მან პოლიტიკური და სამართლებრივი ინსტიტუციების შექმნით მიაღწია, რომელიც მისი კლასის ინტერესებს იცავდა. მან იმავე მიზნისთვის გამოიყენა კულტურა: რელიგია, ეთიკა, ხელოვნება და ლიტერატურა. ამგვარმა საშუალებებმა მმართველ კლასს ხელი შეუწყო დანარჩენი მოსახლეობის ექსპლუატაციაში.

რა თქმა უნდა, დაბალი კლასები მათ ექსპლუატაციას მშვიდობიანად არ ეგუებიან; ისინი წინააღმდეგობას წევენ, თუმცა სანამ კერძო საკუთრება არსებობს, მათ მხოლოდ ექსპლუატაციის ერთი ფორმის მეორით ჩანაცვლება შეუძლიათ. ამიტომ, „*კომუნისტური მანიფესტის*“ სიტყვებით, დღემდე არსებული ყველა საზოგადოების ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორიაა.

წარსულის ამგვარი ანალიზი მარქსისთვის მისი ძირითადი მიზნის, თანამედროვე „კაპიტალისტური“ სამ-

ყაროს ანალიზის მხოლოდ პრელუდია იყო. მან მრავალ წელი დახარჯა ინგლისის ეკონომიკური სისტემის შესწავლაზე, რათა ეჩვენებინა, რომ „კაპიტალიზმი" კლასობრივი საზოგადოების ბოლო საფეხური იყო და რომ ის ექსპლუატირებული ინდუსტრიული მშრომელთა რევოლუციის შემდეგ ჩამოქცევისთვის იყო განწირული. ეს რევოლუცია უკანასკნელი იქნებოდა, რამდენადაც ის გვირგვინს დაადგამდა უკლასო საზოგადოების მმართველობას. ამ წერტილში ისტორია სრულად გაჩერდებოდა.

კაპიტალისტური სისტემა დაქირავებული შრომის ექსპლუატაციაზე იმგვარად დგას, რომ კაპიტალისტი ისაკუთრებს მშრომელის მიერ გამომუშავებული ნაწარმის „ზედმეტ ღირებულებას". ენგელსის მიხედვით, „ზედმეტი ღირებულების" ცნება მეორე დიდი იდეა იყო, რომელიც მარქსმა კაცობრიობას შესძინა. ყველა ღირებულება შრომიდან მომდინარეობს. თუმცა, კაპიტალისტურ სისტემაში დამსაქმებელი მშრომელებს იმ ღირებულების მხოლოდ ნაწილს უხდის, რასაც ისინი ქმნიან – მხოლოდ მათი გადარჩენისთვის საჭირო რაოდენობას. დანარჩენს, ანუ „ზედმეტს", ის იჯიბავს.

კაპიტალისტური წარმოების წესის ევოლუციისას კაპიტალისტის მიერ მიღებული სარგებლის წილი, ისევე როგორც მშრომელის ხელფასი, სტაბილურად მცირდება. ეს იმიტომ ხდება, რომ მძვინვარე კონკურენციასთან გასამკლავებლად, კაპიტალისტმა მისი კაპიტალის სულ უფრო მეტი წილი უნდა დახარჯოს აღჭურვილობასა და ნედლეულზე, და უფრო და უფრო ცოტა ხელფასებზე, რაც მისი მოგების წყაროა. შრომა უფრო იაფი ხდება და ხელფასები მცირდება, რაც ცხოვრების დონის

თანმიმდევრულ გაუარესებას იწვევს. ამავდროულად, ზეწარმოების მიზეზით პერიოდულად აღმოცენებული კრიზისების გამო, დიდი წარმოებები ყლაპავენ უფრო მცირეებს და ინდუსტრიული სიმდიდრე უფრო და უფრო ნაკლები ადამიანის ხელში კონცენტრირდება. ამგვარად, კაპიტალისტი და მშრომელი ერთ ნავში აღმოჩნდებიან, რამდენადაც: პირველი იტანჯება კრიზისებისა და მასზე უფრო მდიდრების მიერ მისი ექსპროპრიაციის, ხოლო უკანასკნელი მზარდი „პაუპერიზაციის"[1] გამო. დროთა განმავლობაში ეს სიტუაცია გარდაუვალად მიგვიყვანს რევოლუციამდე:

> „კაპიტალის მაგნატების რიცხვის მუდმივ შემცირებასთან ერთად, [...] მასობრივად იზრდება სიღატაკე, ჩაგვრა, დამონება, გადაგვარება, ექსპლუატაცია, მაგრამ ამასთანავე იზრდება აღშფოთებაც მუდამ ზრდადი და თვით კაპიტალისტური წარმოების პროცესის მექანიზმით განვრთნილი, გაერთიანებული და ორგანიზებული მუშათა კლასისა. კაპიტალის მონოპოლია იქცევა წარმოების წესის ბორკილებად... წარმოების საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განსაზოგადოება აღწევს იმ პუნქტს, სადაც ისინი ველარ თავსდებიან თავიანთ კაპიტალისტურ გარსში, რის შედეგადაც ეს გარსი სკდება. რეკავს კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი. ხდება ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია"[2].

---

[1] გაღატაკება.

[2] Marx, Karl. *Capital : a critique of political economy*. vol. I, chapter xxxii.

კაპიტალისტური სისტემის რეფორმებს ამ შედეგის არიდება არ შეუძლია: ის გარდაუვალია.

სოციალისტური რევოლუციის საბოლოო შედეგი ადამიანის სრული გათავისუფლება იქნება. „თავისუფლებაში" მარქსი და ენგელსი არ გულისხმობდნენ ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოსაგან დაცვის ლიბერალურ გაგებებს: „პოლიტიკური თავისუფლება ყალბი თავისუფლებაა, – წერდა ენგელსი, – ყველა შესაძლო მონობაზე უარესი; ის გარეგნულად თავისუფლებაა, მაგრამ რეალურად – მონობა[1]". ენგელსის მსგავსად, მარქსიც უარყოფდა ლიბერალურ თავისუფლებებსა და სამოქალაქო უფლებებს, როგორც სიყალბეს, ვინაიდან ისინი ადამიანს მატერიალური საგნებით ამონებს; ნამდვილი თავისუფლება გაათავისუფლებს ადამიანებს მათზე დაქვემდებარებულობისაგან. მარქსისტი თეორეტიკოსი გეორგ ლუკაჩი შემდეგნაირად ხსნის იმას, რასაც მარქსი და ენგელსი გულისხმობდნენ:

> „დღეს მცხოვრები ადამიანების „თავისუფლება" ერთმანეთისაგან საკუთრების ფაქტით გამიჯნული ინდივიდების თავისუფლებაა, რომელიც ერთდროულად ასაგნებს კიდევაც და თავადაც ექვემდებარება გასაგნებას. ეს არის თავისუფლება სხვა (არა ნაკლებად იზოლირებული) ინდივიდების მიმართ. ეგოისტის თავ-

[1] Marx, Karl, and Friedrich Engels. *Collected Works*. vol. 3, New York, 1975, გვ. 393.

ისუფლება, ადამიანის, რომელიც საკუთარ თავს სხვებისგან მოიკვეთს"[1,2].

ამიტომ, საკუთრების გაუქმება ნამდვილი თავისუფლების წინაპირობაა. მხოლოდ ამ დამოკიდებულებისაგან გათავისუფლების შემდეგ შეძლებს კაცობრიობა სრული თვითრეალიზაციის მიღწევას. ადამიანთა მოდგმის წყევლა – შრომის დანაწილება გაუქმდება და ადამიანებს საშუალება მიეცემათ, საკუთარი ნების მიხედვით ერთი საქმიანობიდან მეორეზე გადაერთონ. მარქსი ოცნებობდა:

„კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც არავის აქვს საქმიანობის მხოლოდ ერთი განსაზღვრული სფერო... საზოგადოება არეგულირებს ზოგად წარმოებას და ამიტომ შესაძლებელს ხდის ჩემთვის, რომ დღეს ერთი რამ ვაკეთო და ხვალ სხვა; რომ ვინადირო დილით, ვითევზაო ნაშუადღევს, საქონელი ვმწყემსო საღამოს და სადილის შემდეგ კრიტიკას შევუდგე, ისე როგორც მომესურვება, იმის გარეშე, რომ მონადირე, მეთევზე, მწყემსი ან კრიტიკოსი ვიყო[3]".

---

[1] Lukács, György. *History and class consciousness: studies in Marxist dialectics*. Cambridge, Mass., Merlin Press, 1971. გვ. 315.

[2] „გასაგნება" აბსტრაქციისთვის რეალობის მინიჭებას ნიშნავს. ლუდვიგ ფოიერბახის კვალდაკვალ, მარქსმა ამის მაგალითად დაასახელა ადამიანების მიდრეკილება, ყველაფრის, რასაც კარგად და სასურველად მიიჩნევდნენ არარსებული არსებისთვის (მარქსის აზრით) მიწერისა, რომელსაც ისინი „ღმერთს" უწოდებდნენ. მეორე მაგალითია გამონათქვამი: „ისტორია განსჯის", „ისტორიკოსები განსჯიან"-ს ნაცვლად.

[3] Marx, Karl, and Friedrich Engels. „German Ideology". *Collected Works*, vol. V, 1975. გვ. 47.

–

მარქსისა და ენგელსის მიერ ფორმულირებულმა თეორიებმა ხელი შეუწყვეს *პირველი ინტერნაციონალის* სახელით ცნობილი *მშრომელთა საერთაშორისო ასოციაციის* პროგრამის ჩამოყალიბებას, რომელიც მათ 1864 წელს ლონდონში დააფუძნეს, რათა მშრომელები კაპიტალიზმის კრიზისისთვის მოემზადებინათ. ორგანიზაცია დასაბამიდანვე სოციალისტებსა და ანარქისტებს შორის წარმოებული დავებით იყო გახლეჩილი. მიუხედავად იმისა, რომ ანარქისტები სოციალისტების საბოლოო მიზანს იზიარებდნენ – უკლასო და უსახელმწიფო საზოგადოების დაფუძნება – ისევე როგორც ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად ძალადობრივ რევოლუციას – ისინი სამ მნიშვნელოვან ასპექტში ემიჯნებოდნენ ერთმანეთს. ანარქისტები რევოლუციურ პოტენციალს არა ინდუსტრიულ მშრომელთა კლასში, არამედ უმიწო გლეხობასა და უმუშევრებში ხედავდნენ. მეორეც, სოციალისტები კაპიტალიზმის ჩამოქცევასა და კომუნიზმის გამარჯვებას შორის მოიაზრებდნენ გარდამავალი საფეხურის არსებობას (ზოგჯერ მას „პროლეტარიატის დიქტატურას უწოდებენ"), რომლის დროსაც ახალი მმართველი კლასი სახელმწიფოს არსენალში მყოფ იძულების მექანიზმებს გამოიყენებდა, რათა ბურჟუაზიისათვის კაპიტალი ჩამოერთმია და წარმოების საშუალებების ნაციონალიზაცია მოეხდინა. ანარქისტები უარყოფდნენ სახელმწიფოს ყველა მისი გამოვლინებით და წინასწარმეტყველებდნენ, რომ „პროლეტარიატის დიქტატურა" ამჯერად ინტელექტუალების მიერ მართულ და მათ სარგებელზე მომუშავე ჩაგვრის ახალ

ინსტრუმენტად გარდაიქმნებოდა. ბოლოს, თუკი მარქსისტები კაპიტალისტური ეკონომიკის ბუნებრივ განვითარებას ეყრდნობოდნენ, რომელიც რევოლუციას მოიტანდა, ანარქისტები „მყისიერ ქმედებებს", ანუ არსებულ სისტემაზე დაუყოვნებლივ შეტევას მოითხოვდნენ.

დრომ აჩვენა, რომ ანარქისტები სამივე პუნქტში მართლები იყვნენ: სოციალური რევოლუციები არა ინდუსტრიულ, არამედ აგრარულ ქვეყნებში მოხდა და „პროლეტარიატის დიქტატურამ" კომუნისტური სახელმწიფო ხელოსნებსა და გლეხებზე დამყარებულ არამშრომელთა მუდმივ დიქტატურად აქცია. 1917 წლის რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური რევოლუცია აგრეთვე პირდაპირი თავდასხმა იყო მთავრობაზე ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმი განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ ფაზაში იმყოფებოდა.

ამიტომ მარქსის ყოველი წინასწარმეტყველება ფაქტობრივად მცდარი აღმოჩნდა, რაც მის სიცოცხლეში უფრო და უფრო ცხადდებოდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ უკვე უტყუარ ფაქტად იქცა.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალიზმი პერიოდულად მართლა განიცდიდა კრიზისებს, მათგან ისეთი გამანადგურებელი არც ერთი ყოფილა, რომ ის სოციალური ჩამოშლით დაეგვირგვინებინა. ნაწილობრივ ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის, ნაწილობრივ ტექნოლოგიების განვითარების, რომელიც ახალ-ახალ შესაძლებლობებს უხსნიდა მცირე მეწარმეებს, და ნაწილობრივ წარმოების დამსახურებით, მომსახურების სექტორის მდგრადი ზრდის გამო, ბიზნესების კონსოლიდაცია არ მივიდა იმ წერტილამდე, სადაც ყველა

დარჩენილი უზარმაზარი მონოპოლია იყო. სააქციო საზოგადოებების შექმნამ სიმდიდრის განაწილებას შეუწყო ხელი.

არც მშრომელებს განუცდიათ პაუპერიზაცია. მაშინაც კი, როდესაც მარქსი „კაპიტალზე" მუშაობდა, გამოჩნდა მტკიცებულება, რომ ინგლისში მშრომელთა ხელფასები იზრდებოდა – მტკიცებულება, რომლის არსებობაც მარქსმა უგულებელყო. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კეთილდღეობის პროგრამების გამოჩენა. ინდუსტრიულმა დემოკრატიებმა, რომლებიც სოციალისტების მიერ მშრომელთა ორგანიზებისა და მათ მიერ საპარლამენტო არჩევნებში ადგილების მოპოვების გამო ღელავდნენ, მიიღეს კანონები უმუშევრების, ჯანმრთელობის დაზღვევის და სხვა სარგებლების შესახებ, რითაც მშრომელებს გაჭირვებაში ჩაძირვის საშუალებას არ აძლევდნენ. პირველი ქვეყანა, რომელიც ამ გზას დაადგა, გერმანია იყო, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტია განსაკუთრებით ძლიერი იყო და ისეთი პირი უჩანდა, რომ მზად იყო საპარლამენტო უმრავლესობაც კი მოეპოვებინა. ვინაიდან სხვა კონტინენტურმა ქვეყნებმაც გერმანიის მაგალითს მიბაძეს, მშრომელებმა ფსონი სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე დადეს და ყური არ უგდეს სოციალისტების რევოლუციისაკენ მოწოდებებს: მათი ქცევა საწინააღმდეგო იყო *„კომუნისტური მანიფესტის"* დაშვებისა, რომ „მშრომელებს ქვეყანა არ გააჩნიათ". ისინი აღარ იყვნენ „პროლეტარიატი", ამ სიტყვის თავდაპირველი გაგებით, ანუ კლასი, რომლის სახელმწიფოსადმი მსახურების ერთადერთი ფორმა ბავშვების გაჩენა იყო (*პროლები*). შესაბამისად, მათ პროფესიული

კავშირების საქმიანობა არჩიეს. ისინი კაპიტალისტურ წესრიგს აღიარებდნენ და კაპიტალისტური სარგებლიდან მეტი წილის მიღებაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ამრიგად, ისინი ზუსტად იმ სისტემის ნაწილნი გახდნენ, რომელიც მარქსისტებს სურდათ რომ დაემხოთ.

ყველა ამ მიზეზის გამო, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში არანაირი აფეთქება არ მომხდარა. რევოლუციები, რომლებიც მარქსის გარდაცვალების შემდეგ, მომდევნო საუკუნეში მოხდა, როგორც ანარქისტები წინასწარმეტყველებდნენ, ე. წ. მესამე სამყაროს ქვეყნებში მოხდა, რომელთაც კაპიტალიზმის ემბრიონული ფორმა – დიდი მიწის საკუთრების უქონელი ან მცირემიწიანი გლეხები და უკანონო რეჟიმები ჰქონდათ.

მარქსისტული დოქტრინის ნაკლოვანებებს დიდი მნიშვნელობა არ ექნებოდა, ის მკაცრად თეორიული კონსტრუქტი რომ ყოფილიყო. მაგრამ ვინაიდან ის ასევე მოქმედების პროგრამაც იყო, როგორც კი მისი წინასწარმეტყველებები არ გამართლდა – და ეს 1883 წელს მარქსის გარდაცვალებიდან მალევე გახდა ცხადი – ჯერ სოციალისტებმა, შემდეგ კი კომუნისტებმა, მიუხედავად იმისა, რომ ორთოდოქსიას იჩემებდნენ, მარქსის თეორიის გადახედვა დაიწყეს. დასავლურ დემოკრატიებში ამ რევიზიამ არსობრივად დააცხრო მარქსის რევოლუციური ვნება და სოციალიზმი ლიბერალიზმთან დააახლოვა. ამის შედეგი იყო სოციალ-დემოკრატია. აღმოსავლეთ ევროპასა და მესამე სამყაროს ქვეყნებში, განსხვავებით დასავლეთისგან, რევიზიამ ძალადობის ელემენტები კიდევ უფრო გაამწვავა. ამის შედეგი იყო კომუნიზმი. მარქსიზმი მისი წმინდა, სუფთა ფორმით არსად მიიღეს პოლიტიკურ პლატფორმად, ვინაიდან ის რეალობას ეწინააღმდეგებოდა.

–

პირველი ინტერნაციონალი 1876 წელს დაიშალა, მაგრამ 1889 წელს, მარქსის სიკვდილის შემდეგ, ის კვლავ აღდგა მეორე ინტერნაციონალის სახელით. მან მრავალი ქვეყნის სოციალისტური პარტია (ანარქისტების გარდა) გააერთიანა, მაგრამ მისი მთავარი საყრდენი გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იყო. სლოგანებით რევოლუციური, მაგრამ პრაქტიკაში ევოლუციური მეორე ინტერნაციონალი სოციალისტების პოლიტიკაზე პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე დომინირებდა. მისი ოფიციალური პლატფორმა, 1891 წელს მიღებული ე. წ. ერფურტის პროგრამა, აცხადებდა, რომ „ბურჟუაზიული" სახელმწიფოს ინტერესები და მუშათა კლასი ერთმანეთთან შეუთავსებელი იყო და რომ შესაბამისად, მშრომელებს არაფერი ჰქონდათ საერთო საკუთარ ქვეყანასთან: მათ მხოლოდ საკუთარი კლასის ერთგულება ევალებოდათ. მან ხელახლა დაადასტურა მშრომელთა საერთაშორისო ერთობა და რევოლუციის გარდაუვალობა, რომელიც მთელ მსოფლიოში გაანადგურებდა კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიას.

ყველა სოციალისტმა არ მიიღო ეს რადიკალური დოქტრინა. ევროპის ყველა ქვეყანაში ნაწილი მიიჩნევდა, რომ რეალურად, მუშათა კლასის პროგრესი პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმის წყალობით უფრო მოხდებოდა, ვიდრე ძალადობრივი რევოლუციის შედეგად. ფრანგმა სოციალისტმა ჟან ჟორესმა ინინასწარმეტყველა:

> „პროლეტარიატი ძალაუფლებას პოლიტიკური აგიტაციის მოულოდნელი შთაბერვის წყალობით კი არ მოიპოვებს, არამედ დემოკრატიულ პირობებში მისი

ძალების მეთოდური თუ ლეგალური ორგანიზებისა და ხმის მიცემის უნივერსალური უფლების გამოყენებით. ჩვენი საზოგადოება ნელ-ნელა განვითარდება კომუნიზმისკენ, არა კაპიტალისტური ბურჟუაზიის ჩამოქცევით, არამედ პროლეტარიატის თანმიმდევრული და მტკიცე მოძლიერების საშუალებით".

ამ კურსის მთავარი მხარდამჭერი ინგლისური ფაბიანელთა საზოგადოება იყო, რომელიც თავის რიგებში ისეთ ვარსკვლავებს ითვლიდა, როგორიც ბერნარდ შოუ და ჰ. ჯ. უელსი იყვნენ. მისი პროგრამა მოითხოვდა ქვეყნის დარწმუნებას, რომ ინდუსტრიის ნაციონალიზაციის გზით კაპიტალიზმისგან დაეღწია თავი; მარქსამდელი სოციალისტების მსგავსად, ფაბიანელებიც ერის სინდისზე აპელირებდნენ.

მარქსიზმის ძირითად დებულებებსა და პროგრამაზე ყველაზე გაბედული შეტევა ედუარდ ბერნშტაინმა, გერმანული სოციალ-დემოკრატიის წინამძღვარმა და სოციალისტური „რევიზიონიზმის" ფუძემდებელმა მიიტანა. ბერნშტაინმა ბევრი წელი დაჰყო ინგლისში, სადაც ის ფაბიანელებს დაუკავშირდა. 1890-იანების მიწურულს, მან სოციალ-დემოკრატებს მიმართა, რათა მათ საკუთარი თეორია და პროგრამა იმ ფაქტის გათვალისწინებით შეეცვალათ, რომ კაპიტალიზმი ჩამოქცევას არ აპირებდა და რომ მშრომელები სიღარიბეში არ იძირებოდნენ. ბერნშტაინს კვლავაც სჯეროდა სოციალიზმის, მაგრამ, ჟორესის მსგავსად, ფიქრობდა, რომ ის კაპიტალიზმის შიგნით მშვიდობიანი პოლიტიკური და სოციალური პროგრესის შედეგად განხორციელდებოდა. იგი ვარაუდობდა კაპიტალიზმისა და

სოციალიზმის შერწყმის მსგავს მოვლენას, როცა ეს უკანასკნელი პირველიდან აღმოცენდებოდა.

გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, ევროპის ყველაზე დიდმა და გავლენიანმა პარტიამ, უარყო ბერნშტაინის რევიზიონისტული თეორიები და რევოლუციური ერფურტის პროგრამის ერთგულება გააგრძელა. თუმცა სინამდვილეში, მან ზუსტად ის გააკეთა, რასაც ბერნშტაინი უჭერდა მხარს, ანუ ყურადღება პროფესიულ კავშირებსა და საარჩევნო პოლიტიკაზე გაამახვილა (ფორმალურად პარტიამ მარქსიზმი მხოლოდ 1959 წელს უარყო).

ევროპული სოციალიზმი, ზენიტში ყოფნის დროს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე მეოთხედი საუკუნით ადრე, ფაქტობრივად დაშორდა – თუ თეორიულად სულ არ შორდებოდა – ძალადობრივი რევოლუციის იდეას და მშვიდობიანი რეფორმისკენ გადაიხარა. თუმცა ის მაინც მტკიცედ ერთგულებდა მშრომელთა ტრანსნაციონალური სოლიდარობის იდეას. მეორე ინტერნაციონალი იმ რწმენას ებღაუჭებოდა, რომ ყველა ქვეყნის მშრომელები ძმები იყვნენ და რომ მათ კაპიტალიზმის მიერ წაქეზებული ომების თავიდან აცილებაში უმაღლესი პასუხისმგებლობა ენიჭებოდათ. ეს საკითხი ხშირად წამოიჭრებოდა ხოლმე ინტერნაციონალის ყრილობებზე. ძალიან ბევრი შეთავაზება არსებობდა, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ომის თავიდან ასაცილებლად და იმ შემთხვევაში, თუ ის მაინც დაიწყებოდა. 1907 წლის შტუდგარტის ყრილობაზე მიღებული რეზოლუცია (რომლის შედგენაშიც ორი მოწინავე რუსი მარქსისტი, ვლადიმირ ლენინი და ლეონიდ მარტოვი, მონაწილეობდა) აცხადებდა, რომ ომის შემთხვევაში „მასები უნდა აღზდგნენ და ამით კაპიტალისტური

მმართველი კლასის მმართველობის დამხობის საქმე დააჩქარონ" – ანუ, ერთაშორისი ომი უნდა გარდაიქმნას კლასთა შორის სამოქალაქო ომად. 1910 წელს ჩატარებულ მომდევნო ყრილობაზე, დელეგატებმა ერთხმად დაამტკიცეს რეზოლუცია, რომელიც სოციალისტ პარლამენტარებს მოუწოდებდა, ხმა ომის ობლიგაციების საწინააღმდეგოდ მიეცათ.

მათთვის სამწუხაროდ, სოციალისტები და მათი ინტერნაციონალი უკიდურესად უძლური აღმოჩნდა იმისთვის, რომ შეეჩერებინათ საერთო ევროპული ომი, რომელმაც 1914 წლის ზაფხულში იფეთქა. საყოველთაო გაფიცვის შესახებ მსჯელობამ შედეგი არ გამოიღო. უარესი ის იყო, რომ გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა, ისევე როგორც ფრანგმა სოციალისტებმა, მათი საჯარო პირობის მიუხედავად, ხმა მისცეს ომის ობლიგაციების სასარგებლოდ, რითაც სრულად უგულებელყვეს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის ცნება. ეროვნულმა ლოიალურობამ დაძლია კლასობრივი ლოიალურობა. ეს ფაქტი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ისეთ დემაგოგებს, როგორებიც ბენიტო მუსოლინი და ადოლფ ჰიტლერი არიან; ისინი ომის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდნენ ისეთ პლატფორმებზე, ერთმანეთში სოციალიზმსა და ნაციონალიზმს რომ აზავებდა.

მეორე ინტერნაციონალის უძლურებამ, რომ შეესრულებინა ანტისაომარი ფიცი, მის ბედზე დამანგრეველად იმოქმედა. სოციალისტური პარტიები გადაურჩნენ ომს, მაგრამ ისინი უფრო და უფრო დაუკავშირდნენ საკუთარ ერებს.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეამ დასავლეთ ევროპის გარეთ – ჯერ რუსეთში, ხოლო შემდეგ სხვა არადასავლურ ქვეყნებში გადაინაცვლა.

2.

ლეინინიზმი

1709 წლიდან მოყოლებული, როდესაც პეტრე დიდმა პოლტავასთან შვედები დაამარცხა და ბალტიის რეგიონში მათი ჰეგემონია დაასრულა, რუსეთი „დიდ ძალად“ მიიჩნეოდა და საკუთარ თავსაც ასეთად მოიაზრებდა; და ამ სტატუსის გამო ის პრეტენზიას გამოთქვამდა ევროპული თანამეგობრობის წევრობაზე.

ეს პრეტენზია გამართლებული იყო, მაგრამ მხოლოდ ნანილობრივ. პეტერბურგი, მისი დედაქალაქი, რომელიც ამსტერდამის მოდელზე იყო აშენებული, ნამდვილად დასავლური მეტროპოლისი იყო და რუსეთის ფრანგულად მოსაუბრე ელიტაც დასავლეთში თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში. რუსეთში მეცხრამეტე და ადრეულ მეოცე საუკუნეში ლიტერატურის, მუსიკის, მხატვრობისა და მეცნიერების განვითარება, რომელიც ერგებოდა თანამედროვე ევროპულ კულტურას და, გარკვეულწილად, მის ავანგარდშიც კი იდგა, ამ შთაბეჭდილებას უფრო ამძაფრებდა.

მაგრამ მაღალი კულტურა ახასიათებდა რუსი საზოგადოების მხოლოდ თხელ ფენას, რომელიც დიდგ-

ვაროვნების, ინტელიგენციისა და ბიუროკრატიის ზედა ეშელონებისაგან შედგებოდა. იმპერიის მოსახლეობის სრულ სამ მეოთხედს გლეხები წარმოადგენდნენ, რომლებიც დიდწილად საკუთარ სამყაროში ცხოვრობდნენ და რომლებსაც ევროპულ ცივილიზაციასთან შეხება არ ჰქონდათ. ისინი და საზოგადოების განათლებული ნაწილი სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. გლეხები ამ უკანასკნელთ უცხოელებად მიიჩნევდნენ. რუსი გლეხების უმრავლესობა არ იყო ფერმერი, რომელიც საკუთარ მიწას ამუშავებდა; ისინი სოფლის კომუნებს ეკუთვნოდნენ, მიწას კოლექტიურად ფლობდნენ და პერიოდულად ანაწილებდნენ მას თითოეული ოჯახის (შინამეურნეობის) ზომის ზრდის შესაბამისად. მიწა, გლეხების თვალში, ქონება კი არ იყო, არამედ საარსებო წყარო, რომელზეც სამართლიანი პრეტენზია მხოლოდ მას შეიძლება ჰქონოდა, ვინც მას ამუშავებდა.

გლეხები მონარქიისა და მართლმადიდებელი ეკლესიის ერთგული კონსერვატორები იყვნენ. ერთადერთი და მხოლოდ ერთადერთი რამის გამო წარმოადგენდნენ გლეხები რევოლუციისათვის პოტენციურ საყრდენს: ისინი მიწის ნაკლებობას განიცდიდნენ. რუსეთის გლეხობა არ იყო ქალაქის დაჩაგრული პროლეტარიატი: 1916 წელს, რევოლუციის გარიჟრაჟზე, ისინი რუსეთის ევროპული მხარის სახნავი მიწების 89.1 პროცენტს ფლობდნენ[1]. მაგრამ მათი რიცხვი მათ მფლობელობაში არსებულ მიწაზე სწრაფად იზრდებოდა: ოდენობა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში ორ სულს

[1] Jasny, Naum. *The Socialized Agriculture of the USSR*. Stanford, Stanford University Press, 1949. გვ. 145-46.

გამოკვებავდა, ორმოცდაათი წლის შემდეგ სამ მჭამელ-ზე უნდა გადანაწილებულიყო. მათი ექსტენსიური სოფ-ლის მეურნეობის ტრადიციული მეთოდები, რთულ კლი-მატთან შერწყმული, მწირ მოსავალს იძლეოდა. მათ ურყევად სწამდათ, რომ იმპერატორი, რომელსაც ისინი მთელი მიწის ლეგიტიმურ მფლობელად მიიჩნევდნენ, ნებისმიერ წუთს ჩამოართმევდა კერძო მფლობელებს მიწას – მემამულეებსა და გლეხებს თანაბრად – და მათ კომუნებს გადასცემდა. მაგრამ თუკი იმპერატორი ამას ვერ შეძლებდა – გლეხებს ადრეულ 1900-იანებში ნელ-ნე-ლა ამის ეჭვი გაუჩნდათ – ისინი მზად იყვნენ მიწა ძა-ლის გამოყენებით ჩაეგდოთ ხელში. რუსეთს საკუთარი წარსულის სხვა ფაქტორებმაც შეუწყო ხელი, რომ არა-დასავლური ქვეყანა გამხდარიყო. თითქმის მთელი ის-ტორიის განმავლობაში ის ავტოკრატიის რადიკალური ფორმით იმართებოდა, ამ პირობებში იმპერატორი არა მხოლოდ შეუზღუდავ საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელ ძალაუფლებას, არამედ, პირდაპირი გაგებით, ქვეყანას ფლობდა და მას საკუთარ ნება-სურ-ვილზე შეეძლო მისი ადამიანური თუ მატერიალური რესურსების გამოყენება – ეს იყო რეჟიმი, რომელსაც გერმანელმა სოციოლოგმა, მაქს ვებერმა „პატრიმონ-ული“ უწოდა. ვეებერთელა იმპერიის ადმინისტრირება მინდობილი ჰქონდა ბიუროკრატიას, რომელიც ჯართან და პოლიციასთან ერთად, მოსახლეობასთან ანგარიშ-ვალდებულების გარეშე ინარჩუნებდა წესრიგს. 1905 წლამდე, ვიდრე სოციალურმა არეულობამ იმპერატორი არ აიძულა თავისი ქვეშევრდომებისთვის კონსტიტუცია და სამოქალაქო უფლებები ებოძებინა, რუსები მხოლოდ

სტატუს-კვოს ცვლილებაზე ფიქრის გამოც კი შეიძლება გაუსამართლებლად დაეკავებინათ და გადაესახლებინათ.

მიწაზე კერძო საკუთრება რუსეთში – ექსკლუზიურად დიდგვაროვნებისთვის – მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს შემოიღეს; მანამდე მთელი მიწა სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. კონტრასტისთვის, დასავლეთში მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაში შუა საუკუნეებიდან ჰქონდათ. სამართლებრივი ინსტიტუციები, რომლებიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებებთან ერთად ყალიბდებიან, ასევე გვიან დამკვიდრდა: პირველი კანონის კოდექსები 1830-იანებში, ხოლო პირველი ქმედითუნარიანი სასამართლოები 1860-იან წლებში გამოჩნდა. მანამდე რუსების დიდ უმრავლესობას, რომლებიც სახელმწიფოს ან დიდგვაროვნების მსახურები იყვნენ, არც სამართლებრივი და არც საკუთრების უფლებები არ გააჩნდათ. პირველი წარმომადგენლობითი ინსტიტუციები, გვირგვინის ძალაუფლებას რომ ზღუდავდა, 1906 წელს გაჩნდა, ევროპული პარლამენტების შექმნიდან საუკუნეების შემდეგ. სოციალური კოდექსი არ არსებობდა. ეს ისტორიული მემკვიდრეობა იმას ნიშნავდა, რომ რუსებისა და იმ ერების უმრავლესობა, რომლებიც მათ დაპყრობილი ჰყავდათ, მონაწილეობას არ იღებდნენ საკუთარ მმართველობაში. ისინი ემორჩილებოდნენ იმიტომ, რომ მათ სხვა არჩევანი არ ჰქონდათ; თუმცა, მათი იდეალი ანარქია იყო.

ქვეყნის მტკიცე ხელით მართვასთან ერთად, მეფეებმა, რომლებიც დიდი მსოფლიო ძალის სტატუსის შენარჩუნებას ესწრაფოდნენ, ისეთი ნაბიჯები გადადგ-

ეს, რომლებმაც უნებლიედ გამოუთხარა ძირი მათ ძალაუფლებას. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი განათლების ხელშეწყობა იყო. ცოდნისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებასთან ერთად, რუსულმა უნივერსიტეტებმა შექმნეს მოქალაქეთა ჯგუფი, რომელმაც აუტანლად მიიჩნია სიტყვის თავისუფლებაზე არსებული რეპრესიები. მეცხრამეტე საუკუნის შუა პერიოდის რუსმა რადიკალმა, ალექსანდრე ჰერცენმა, მისი თაობის წინაშე არსებული დილემა ასე ჩამოაყალიბა:

> „ისინი ჩვენ ყოვლისმომცველ განათლებას გვაძლევენ, გვინერგავენ სურვილებს, ზრახვებს, თანამედროვე მსოფლიოს განსაცდელებს და შემდეგ გვიყვირიან: „დარჩით მონებად, სულელებად და პასიურებად, სხვაგვარად გაქრებით".

ასეთმა არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ საფუძველი მისცა ინტელიგენციის აღზევებას, რომლის ძირითადი მახასიათებელი მთელი არსებული პოლიტიკური და სოციალური წესრიგისათვის ოპონირება და იმის რწმენა იყო, რომ ამის კეთებით ის დამუნჯებული ხალხის მაგივრად საუბრობდა. არაძალადობრივი „პროპაგანდისტებიდან" ყველაზე ექსტრემალურ ტერორისტებამდე, რევოლუციონერებისათვის რეკრუტირების ნიადაგს არა რუსეთის ფაბრიკები ან სოფლები, არამედ უნივერსიტეტები წარმოადგენდა.

იმპერატორის კიდევ ერთი ქმედება, რომელმაც ძირი გამოუთხარა მის ძალაუფლებას, კაპიტალიზმის წახალისება იყო. 1854-1855 წლების ყირიმის ომში რუსეთმა საკუთარ მიწაზე განიცადა მარცხი დასავლურ

ინდუსტრიულ დემოკრატიებთან. ამ დამცირებამ აჩვენა, რომ თანამედროვე სამყაროში ერთი ქვეყანაც ვერ განაცხადებდა პრეტენზიას, ყოფილიყო დიდი ძალის სტატუსის მქონე, თუკი ის მნიშვნელოვან ინდუსტრიასა და ტრანსპორტს არ ფლობდა. ამან დაარწმუნა იმპერატორები, რომ აქტიურად შეეწყოთ ხელი ადგილობრივი და საგარეო კაპიტალის დახმარებით მათი განვითარებისთვის. ამის შედეგად ჩამოყალიბდა ცენტრები, რომლებიც მთავრობისა და მისი ბიუროკრატიისაგან დამოუკიდებლად მიიღებდნენ გადაწყვეტილებას.

მთლიანობაში, რუსეთის გლობალური ამბიციების დასაკმაყოფილებლად განათლებისა და ინდუსტრიალიზაციის განვითარებამ ქვეყანაში იმპერატორის ძალაუფლება შეასუსტა.

ასეთი ფაქტორები გვეხმარება ავხსნათ, თუ რატომ იფეთქა კომუნისტურმა რევოლუციამ, რომელიც მარქსის მიხედვით ინდუსტრიულ დასავლეთში უნდა მომხდარიყო აგრარულ აღმოსავლეთში. რუსეთს აკლდა ის, რაც სოციალურ რევოლუციას შეაკავებდა და რაც დასავლეთში იყო: კანონისა და საკუთრების პატივისცემა, ისევე როგორც სახელმწიფოსადმი ერთგულება, რომელიც თავისუფლებას იცავდა და სოციალურ სერვისებს უზრუნველყოფდა. ერთ მხარეს უტოპიური იდეალიზმით გაჟღენთილმა რუსეთის რადიკალურმა ინტელიგენციამ, და მეორე მხარეს გლეხობამ, რომელიც კერძო მიწის დასაკუთრებას ესწრაფოდა, შექმნეს მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობა, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქებულიყო, როგორც კი ცენტრალურ მთავრობას პრობლემები შეექმნებოდა. მარქსისა

და ენგელსის არც ერთ ეკონომიკურ იმპერატივს ამ შემთხვევაში არანაირი როლი არ შეუსრულებია.

ფაქტორებმა, რომლებმაც რუსეთი რევოლუციისკენ მიდრეკილად აქცია, განსაზღვრა მისი კომუნისტური რეჟიმის ფორმაც. აღმოჩნდა რომ ქვეყანაში, რომელიც მოკლებული იყო ისეთ ტრადიციებს, რაც ხელს შეუწყობდა იდეალურად თვითკმარი ცხოვრების დამკვიდრებას, – როგორადაც ეს მარქსს ჰქონდა წარმოდგენილი, – სოციალიზმმა ძალიან სწრაფად და სპონტანურად მიიღო განსვენებული ცარისტული რეჟიმის თვისებები. სოციალისტური სლოგანები, რომლებიც დასავლეთში ნელ-ნელა იწმინდებოდა, სანამ ლიბერალურებისაგან განუსხვავებელი არ გახდა, რუსეთსა და სხვა არადასავლურ ქვეყნებში მათთვის ნაცნობი წარმოდგენების მიხედვით თავიდან იქნა ინტერპრეტირებული, რამაც ინდივიდზე და მის ქონებაზე სახელმწიფოს შეუზღუდავი ძალაუფლების მნიშვნელობა შესძინა. ამგვარად, საბჭოთა ტოტალიტარიზმი ცარისტული პატრიმონიალიზმის ნიადაგზე დათესილი მარქსისტული თესლიდან აღმოცენდა.

რუსეთის რევოლუციური მოძრაობა 1870-იანებში დასავლური სოციალისტური და ანარქისტული დოქტრინების გავლენით დაიბადა, რომლებმაც მიმდევრები ძირითადად უნივერსიტეტის სტუდენტებში ჰპოვეს. გლეხების მხრიდან თბილი დახვედრის მოლოდინში ახალგაზრდები სოფლად წავიდნენ, თუმცა მათ იქ იმედგაცრუება დახვდათ. აღმოჩნდა, რომ გლეხები მათი მდიდარი მეზობლების, „კულაკების" ზიზღის ნაცვლად, ოცნებობდნენ, რომ თავადაც გამხდარიყვნენ კულაკები.

მათ სწამდათ იმპერატორის და დარწმუნებული იყვნენ, რომ ის მათ მთელ არსებულ მიწას კერძო საკუთრებაში გადასცემდა.

ყველაზე რადიკალურმა ახალგაზრდებმა იმედგაცრუებით დატოვეს მოძრაობა. მაგრამ მცირე ბირთვმა შექმნა პარტია „ნაროდნაია ვოლია" („ხალხის ნება"), რომელიც მიზნად იმ მოწინეების განადგურებას ისახავდა, რომელსაც უბრალო ხალხი იმპერატორის მიმართ განიცდიდა. ამისათვის მათ სამთავრობო პირების მკვლელობათა სერია წამოიწყეს. „ნაროდნაია ვოლიამ" ისტორიისთვის ცნობილი პირველი პოლიტიკური ტერორის კამპანია დაიწყო. 1881 წლის მარტში მათ მოახერხეს ალექსანდრე II-ის მოკვლა, მონარქის, რომელმაც ოცი წლით ადრე რუსეთში ყმები გაათავისუფლა. მკვლელობამ მიზანს ვერ მიაღწია. სინამდვილეში მას საპირისპირო შედეგი მოჰყვა: რეჟიმის წინააღმდეგ ხალხის აჯანყების ნაცვლად, მან ფართო საჯარო უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც რევოლუციური მეთოდების დისკრედიტაცია მოახდინა.

სოციალ-დემოკრატია რუსეთში 1890-იანებში გამოჩნდა. მისი მომხიბლაობა იმ ფაქტით იყო გამოწვეული, რომ ამ ათწლეულში რუსეთში ისეთი დაჩქარებული ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდა, თითქოს დარწმუნებით შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ის მალე სრულ კაპიტალისტურ ეკონომიკას მიაღწევდა, მისთვის დამახასიათებელი სოციალური შედეგებით, როგორც ეს „კაპიტალში" იყო გაწერილი. რუსეთის ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატების წრეები, რომლებიც უნივერსიტეტებში აღმოცენდნენ, უარყოფდნენ ტერორიზმს,

როგორც ფუჭ ტაქტიკას, რომელსაც ეკონომიკის ევოლუციის დაჩქარება ჰქონდა მიზნად. ამ წრეების წევრებს სჯეროდათ, რომ დროთა განმავლობაში რუსეთი კაპიტალიზმის ყველა თანდაყოლილ შეუსაბამობას წაანყდებოდა, რაც მას რევოლუციის ალში გახვევდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია 1898 წელს ჩატარებულ და პოლიციის მიერ სწრაფადვე დარბეულ, ფარულ შეხვედრაზე დაფუძნდა. პიტერ სტრუვის მიერ დაწერილი მისი მანიფესტი აცხადებდა, რომ რუსეთი თავისუფლებას არა მხდალი ბურჟუაზიის, არამედ ინდუსტრიული მშრომელების წყალობით მოიპოვებდა. ავტოკრატიზმისგან გათავისუფლება კი, თავის მხრივ, სოციალიზმისთვის მოამზადებდა ნიადაგს. ეს წანამძღვარი მიანიშნებდა იმაზე, რაც რუსული სოციალ-დემოკრატიის ცენტრალური პოსტულატი უნდა გამხდარიყო: ორსაფეხურიანი რევოლუცია, რომელთაგან პირველი ცარისტულ ავტოკრატიას გაანადგურებდა და რუსეთში „ბურჟუაზიულ" რეჟიმს დააფუძნებდა, ხოლო მეორე ამ რეჟიმს გადააგდებდა და განაგრძობდა სოციალიზმისაკენ სვლას. ეს სტრატეგია იმეორებდა იმას, რასაც მარქსი და ენგელსი უჭერდნენ მხარს, და რაც ფეოდალური რეჟიმების წინააღმდეგ ლიბერალებთან ტაქტიკური ალიანსის ფორმირებას გულისხმობდა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული შრომის პარტია ფორმალურად 1903 წელს ლონდონში ჩატარებულ ყრილობაზე გაფორმდა. იქ მოძრაობა სწრაფადვე გაიყო ორ ფრაქციად. ერთს მარტოვი ხელმძღვანელობდა, და მათ „მენშევიკები" ეწოდათ, მეორეს კი – ლენინი, ის

საკუთარ თავს და თავის მიმდევრებს „ბოლშევიკებს“ უწოდებდა. მცდელობების მიუხედავად, ეს ორი ფრაქცია არასდროს გაერთიანებულა იმ სოციალისტებისადმი ლენინის უკომპრომისო მტრობის გამო, რომლებიც მის ხელმძღვანელობას არ აღიარებდნენ. ვინაიდან ტერმინი „*კომუნიზმი*“ ყველაზე მეტად ლენინის სახელს უკავშირდება, აქ აუცილებელია შევჩერდეთ და უფრო ახლოდან დავაკვირდეთ კაცს, რომელმაც მეოცე საუკუნის პოლიტიკაზე უდავოდ ყველა სხვა საჯარო პირზე მეტი გავლენა იქონია.

–

ლენინი, ვლადიმირ ილიჩ ულიანოვი, დაიბადა 1870 წელს კონსერვატორი და გულმხურვალე მართლმადიდებელი სკოლის ინსპექტორის ოჯახში, მდინარე ვოლგაზე მდებარე ქალაქ სიმბირსკში. ოფიციალურ იერარქიაში მისი მამის მაღალმა სტატუსმა, მას და მის შთამომავლებს საშუალება მისცათ, დიდგვაროვნების რიგებში ადგილი მოეპოვებინათ. გვიანდელ იმპერიულ რუსეთში იშვიათი არ იყო, რომ ასეთი მაღალი რანგის ფუნქციონერებს, ალბათ მათი პრივილეგიების გამო გაჩენილი დანაშაულის გრძნობის მიზეზით, რადიკალური შეხედულებები შეეძინათ. 1887 წელს ლენინის უფროსი ძმა, ალექსანდრე, სიკვდილით დასაჯეს მეფე ალექსანდრე III-ის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობისთვის. ლენინის დასაც შეექმნა პრობლემები და გარკვეული დრო ციხეში გაატარა. თავად ლენინი სკოლაში სწავლის დროს პოლიტიკის მიმართ ინტერესს არ იჩენდა: ის, როგორც გამორჩეული მოსწავლე, კლასიდან კლასში

გადადიოდა და ოქროს მედლებს იღებდა კარგი სწავლისა და საუცხოო ყოფაქცევის გამო.

ლენინისთვის უსიამოვნებები 1887 წელს დაიწყო, მას შემდეგ, რაც მან ყაზანის უნივერსიტეტში ჩააბარა. იქ ის უნივერსიტეტის რეგულაციების წინააღმდეგ მიმართულ მცირე არეულობაში მონაწილეობდა, რამაც პოლიციის ყურადღება მიიპყრო. როგორც სიკვდილმისჯილი ტერორისტის ძმა, ლენინი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და მისი დაქვრივებული დედის არაერთი თხოვნის მიუხედავად, ის უკან აღარ მიუღიათ. მისი გარიცხვიდან სამი წელი ლენინმა იძულებით უმუშევრობაში გაატარა. ის სულ უფრო ივსებოდა ბოღმით რეჟიმზე, რომელმაც მცირე გადაცდომის გამო ასე მკაცრად დასაჯა და სამუდამოდ დაუნგრია კარიერა. მისი წყენა არა მხოლოდ ცარიზმისკენ იყო მიმართული, არამედ „ბურჟუაზიისკენაც", რომელმაც მისი ოჯახი მისი სიკვდილმისჯილი ძმის დანაშაულის გამო გარიყა. ამ ყველაფერმა ის ფანატიკოს რევოლუციონერად აქცია, რომელსაც მიზნად არსებული სოციალური და პოლიტიკური წესრიგის ძირფესვიანად ამოძირკვა ჰქონდა დასახული. ამგვარად, ლენინის რევოლუციური ვნებების წყარო ღარიბების მიმართ თანაგრძნობა არ ყოფილა; მეტიც: როდესაც ვოლგის რეგიონს 1891-1892 წლებში შიმშილი დაატყდა თავს, ადგილობრივ ინტელიგენციას შორის ის ერთადერთი იყო, ვინც დამშეული გლეხების მიმართ ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენას ეწინააღმდეგებოდა იმ მიზეზით, რომ შიმშილი პროგრესული იყო, ვინაიდან ის ძველ გლეხურ ეკონომიკას გაანადგურებდა და სოციალიზმისთვის მოამზადებდა

გზას. არც მისი რევოლუციური ვნება ყოფილა უფრო სამართლიანი მომავლის ხედვით შთაგონებული. ის ბრაზსა და შურისძიების სურვილზე იყო დაფუძნებული. სტრუვე, რომელიც მასთან 1890-იანებში თანამშრომლობდა, მრავალი წლის შემდეგ წერდა, რომ ლენინის ხასიათის ძირითადი თვისება სიძულვილი იყო. პროვინციული რუსული ახალგაზრდობის ეს განწყობა უდიდეს გავლენას იქონიებს მეოცე საუკუნის პოლიტიკაზე, რომლის მთავარი იმპულსიც უცხოების მიმართ ბრაზსა და მტრობას დაეფუძნება, იქნება ეს განსხვავებული სოციალური კლასი, ეთნიკური თუ რასობრივი ჯგუფი.

1891 წელს ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, შეიწყალა ლენინი და მას სამართლის ხარისხის მისაღებად ექსტერნული გამოცდების ჩაბარების საშუალება მისცა. გამოცდების ჩაბარების შემდეგ იგი პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად. აქ მან რევოლუციური საქმიანობის შესანიღბად, მოსაჩვენებლად ლეგალური საქმიანობა დაიწყო. ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატებმა მიიჩნიეს, რომ ახალწვეული უფრო „ნაროდნაია ვოლიას" მიმდევარი იყო, ვიდრე მარქსისტი, რომელიც ტერორს უჭერდა მხარს და ერთი სული ჰქონდა, როდის დაიწყებდა რევოლუციას, კაპიტალიზმის მომწიფების დალოდების გარეშე. თეორიულად უფრო ჩამოყალიბებულ სოციალისტებთან ურთიერთობამ ის ცოტა ხნით ორსაფეხურიანი რევოლუციის იდეაზე მოაქცია. დისციპლინებული, ენერგიული და სოციალისტური მიზნისთვის თავგანწირული ლენინი მალევე გახდა ცნობილი სოციალ-დემოკრატთა საიდუმლო მოძრაობაში.

1896 წელს ლენინი მუშათა გაფიცვისკენ წაქეზების გამო დაიჭირეს და ციმბირში გადაასახლეს. იქ ის სამი წლის განმავლობაში ცხოვრობდა, ახალ საცოლესთან, ნადეჟდა კრუპსკაიასთან ერთად, შედარებით კომფორტულად, ნაქირავებ კოტეჯში. ის აწარმოებდა მიმოწერას მეგობრებთან, წერდა და თარგმნიდა. სწორედ მისი გადასახლებაში ყოფნის დროს (1897-1900 წწ.) დაიწყო რევიზიონისტული მოძრაობა გერმანიაში და შემდეგ რუსეთშიც. მოძრაობის ანტირევოლუციურმა პროგრამამ ლენინი აღაშფოთა: ის ღალატობდა მიზანს, რომელიც ლენინს სოციალიზმში ხიბლავდა. უფრო მეტად ის ფაქტი აღიზიანებდა, რომ რუსეთის ახლად დაბადებული მუშათა მოძრაობა, რომელთანაც მას პირადი კავშირიც ჰქონდა, კაპიტალიზმის განადგურების ნაცვლად, უფრო მშვიდობიან პროფესიული კავშირის საქმიანობას მისდევდა. ამ მოვლენებმა მასში ძირეული სულიერი კრიზისი გამოიწვია. ამ კრიზისიდან კი იმ რწმენით გამოვიდა, რომ თუკი ის სოციალ-დემოკრატებს კვლავ რევოლუციური სტრატეგიისკენ მობრუნებას ვერ აიძულებდა, უნდა დაეტოვებინა მოძრაობა და საკუთარი პარტია ჩამოეყალიბებინა.

გადასახლებიდან გათავისუფლებისთანავე, ლენინი გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად, სადაც მარტოვთან თანამშრომლობით დააფუძნა ჟურნალი „*ისკრა*" (ნაპერწკალი), ორთოდოქსი, ანტირევიზიონისტული მარქსიზმის მიზნების საქადაგებლად. თუმცა, მისი საკუთარი ხედვებიც არანაკლებ არაორთოდოქსული იყო. 1902 წელს მან გამოაქვეყნა „*რა ვაკეთოთ?*", სადაც იმის ძირითადი დოქტრინა ჩამოაყალიბა, რაც მომა-

ვალში ბოლშევიზმი უნდა გამხდარიყო. მან ერთმნიშვნელოვნად უარყო მარქსიზმის ცენტრალური თეზისი, რომ დროთა განმავლობაში გარდაუვალი იყო მუშათა კლასის აჯანყება: საკუთარ თავს მინდობილები, ამბობდა ლენინი, პროფესიულ კავშირს ვერ გასცდებიან. რევოლუციური სულისკვეთება მათ გარედან, კარგად ორგანიზებული პროფესიონალი რევოლუციონერების პარტიის მიერ უნდა მიეწოდოთ. ლენინს ეს არ გამოუთქვამს, თუმცა ეს ხალხი აუცილებლად ინტელექტუალები უნდა ყოფილიყვნენ, რამდენადაც მშრომელებს ამ მისიის შესრულებისათვის არც დრო და არც თეორიული ცოდნა გააჩნდათ[1]. მართლაც, ლენინის პარტიის აღმასრულებელ საბჭოში მხოლოდ ერთი მშრომელი იყო და ისიც პოლიციის აგენტი აღმოჩნდა.

1903 წლის სოციალ-დემოკრატიულ ყრილობაზე ლენინი პარტიის დაშლისა და მისი მიმდევრებისა და შემრიგებლური უმრავლესობის გამიჯვნის სრული მზადყოფნით გამოცხადდა. გაყოფის ფორმალური მიზეზი ლენინის მოთხოვნა იყო, რომ პარტიის წევრობის მსურველი არა მხოლოდ მისი პროგრამის მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო, არამედ საკუთარი თავი მთლიანად რევოლუციური საქმიანობისათვის უნდა მიეძღვნა. პარტიას, რომელიც მორჩილების მკაცრი ჯაჭვით შეკავშირებული სამხედრო მოდელის მიხედვით მოეწყო, მშრომელე-

---

[1] 1919 წელს ფაშისტური პარტიის დამფუძნებელი, ხოლო პირველ მსოფლიო ომამდე იტალიური სოციალ-დემოკრატიის უკიდურესად რადიკალური ფრთის ხელმძღვანელი, ბენიტო მუსოლინიც ამავე პერიოდში იგივე შეხედულებებს იზიარებდა.

ბი უნდა ემართა, იმის მაგივრად, რომ პირიქით მომხდარიყო. ვინაიდან ლენინმა ყრილობაზე დროებითი უმრავლესობა მოიპოვა, მისი ფრაქციისთვის სახელი „ბოლშევიკი", ანუ „უმრავლესობა" შეარჩია, ხოლო მისი ოპონენტები, რომლებსაც მარტოვი ხელმძღვანელობდა, სახელს „მენშევიკები", ანუ „უმცირესობა" უნდა დაჯერებულიყვნენ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მშრომელთა პარტიის ისტორიის მომდევნო ათი წელი სავსე იყო ინტრიგებითა და კინკლაობით. ლენინი თავის მენშევიკ მონინააღმდეგეებს „რენეგატებს", „ლიკვიდატორებს" და სხვა სალანძღავ სახელებს უწოდებდა. პროფესიონალი რევოლუციონერების პარტიის შექმნისთვის მას ფული სჭირდებოდა, რასაც ის სხვადასხვა უღირსი საშუალებით შოულობდა, მათ შორის ბანკის ძარცვებითა და სხვათა მემკვიდრეობის მითვისებით.

ომის წინა წლებში, ლენინმა ორი დამატებითი თეორია შეიმუშავა. ერთის მიხედვით, რუსეთს არ უნდა გაევლო „ბურჟუაზიული" რევოლუცია, ვინაიდან ის უკვე კაპიტალიზმის კრუნჩხვებში იმყოფებოდა და შესაბამისად, მზად იყო სოციალისტური რევოლუციისთვის. მეორის მიხედვით, სტატუს-კვოს შეცვლისათვის, სოციალისტები დროებით ალიანსში უნდა შესულიყვნენ ყველა ჯგუფთან, რომლებიც თავიანთი მიზეზებით უპირისპირდებოდნენ მას, კერძოდ, გლეხებთან და ეროვნულ უმცირესობებთან.

მარქსისტებისთვის გლეხობა „petit bourgeois"[1] კლასი იყო და ამდენად, ინდუსტრიულ მშრომელთა მტერი.

---

[1] (ფრანგ.) მცირე ბურჟუაზია.

თუმცა ლენინი, რომელმაც იცოდა გლეხების მიწის ხელში ჩაგდების სურვილის შესახებ, თანახმა იყო წამოეწყო რევოლუცია სოფლად. ის დარწმუნებული იყო, რომ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, მიწის ნაციონალიზაციით შეძლებდა მათთვის ადგილის მიჩენას. ეროვნებებს რაც შეეხება, სხვა სოციალისტების მსგავსად, მასაც ეზიზღებოდა ნაციონალიზმის ნებისმიერი გამოვლინება. მაგრამ მას ასევე სწამდა, რომ პოლონელების, ფინელებისა და რუსეთის მიერ მართული სხვა ეთნიკური ჯგუფების ნაციონალისტური მისწრაფებები ხელს შეუწყობდა რეჟიმისათვის ძირის გამოთხრას. ამ მოტივით დაჰპირდა იგი ყველა ეთნიკურ ჯგუფს თვითგამორკვევის უფლებას, მათ შორის, გამოყოფისა და სუვერენული სახელმწიფოს დაფუძნების უფლებასაც. მისი მიმდევრების შეკითხვებზე, თუ რატომ სურდა მას რუსეთის „ბალკანიზაცია", ის პასუხს აძლევდა, რომ ეკონომიკური კავშირები, რომლებიც რუსეთის იმპერიას კრავდა, ზედმეტად ძლიერი იყო სეპარატიზმის დაშვებისათვის და თუკი ერთი ან მეტი სასაზღვრო ქვეყანა შეძლებდა გამოყოფას, მათი იძულებით უკან, ფარაში დაბრუნება ყოველთვის შესაძლებელი იქნებოდა, ვინაიდან „პროლეტარების თვითგამორკვევა" – „ეროვნულ თვითგამორკვევაზე" მაღლა იდგა.

1900 და 1917 წლების შუალედში ლენინმა თითქმის მთელი დრო საზღვარგარეთ გაატარა. გერმანიაში, ავსტრიაში, იტალიასა და შვეიცარიაში ის, რუსული სოციალ-დემოკრატიული მშრომელთა პარტიის მსგავსად, მეორე ინტერნაციონალის გახლეჩაზე მუშაობდა, თუმ-

ცა დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. ის რუსეთში მყოფ მიმდევრებთან კავშირს არ წყვეტდა და დიდ დროს უთმობდა თავისი ოპონენტების წინააღმდეგ გესლიანი წერილების წერას. თავის უახლოეს მიმდევრებს გადაცდომის შემთხვევაში გადაარწმუნებდა ხოლმე, ხოლო ყველა სხვას, ვინც მის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა, მუშათა კლასის მოღალატედ რაცხდა.

ამ ხანგრძლივ პერიოდში, მან რუსეთი მხოლოდ ერთხელ მოინახულა, 1905 წლის რევოლუციის დროს. ბოლშევიკებმა გამოიყენეს პოლიტიკური უფლებები, რომლებიც მათ ცარიზმმა რევოლუციის შემდეგ მიანიჭა, რათა საჯარო მოღვაწეობა დაეწყოთ. სოციალ-დემოკრატების ვერც ერთმა ფრაქციამ მასობრივი მხარდაჭერა ვერ პოვა: 1907 წელს მათი წევრების საერთო რაოდენობა 84,000-მდე გაიზარდა; დროთა განმავლობაში, რევოლუციური ციებ-ცხელების დაცხრომის შემდეგ, წევრთა რაოდენობა შემცირდა და 1910 წელს ის, 150 მილიონიან ქვეყანაში, 10,000 ან უფრო მცირე ნიშნულზე ჩამოვიდა. ბოლშევიკებს მეტწილად „ველიკოროსები" უჭერდნენ მხარს, მენშევიკების რიგებში კი დიდი ნილი უმცირესობები იყვნენ (ისეთი, როგორებიც ებრაელები და ქართველები არიან). ვერც ერთმა შეძლო ბევრი მშრომელის მიმხრობა, ვინაიდან ისინი მეტწილად ინტელექტუალებისაგან შედგებოდნენ.

შემდეგ დაიწყო დიდი ომი. რუსი სოციალ-დემოკრატები, მენშევიკებიც და ბოლშევიკებიც, ერთადერთი სოციალისტები იყვნენ – სერბების გამოკლებით – რომლებმაც ომის ობლიგაციების წინააღმდეგ მისცეს ხმა. მათი წინააღმდეგობის გამო, ბოლშევიკი საპარლამენტო

დეპუტატები დააპატიმრეს და გადაასახლეს. მათი პარტიული ქსელი არსობრივად განადგურდა.

ომის დაწყების შემდეგ ლენინმა უმალ ჩამოაყალიბა უკომპრომისო პოზიცია: ერთაშორისი ომი უნდა გადაქცეულიყო კლასებს შორის ომად. ერთმანეთისათვის სროლის ნაცვლად, მშრომელებს საკუთარი იარაღი მათი ექსპლუატატორების წინააღმდეგ უნდა მიემართათ. ამ პოზიციას მეორე ინტერნაციონალში მომხრეებიც გაუჩნდა; ისინი ნეიტრალურ შვეიცარიაში შეიკრიბნენ. რუსები მრავლად იყვნენ წარმოდგენილი ამ კონფერენციებზე, სადაც ლენინმა რადიკალური მემარცხენეების ლიდერობა აიღო ხელში. მისი რეზოლუციები არ მიიღეს, მაგრამ მან დიდი გავლენა მოახდინა პროცესზე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იმას, რაც 1919 წელს მესამე ან კომუნისტურ ინტერნაციონალად ჩამოყალიბდა.

–

რუსეთმა პირველ მსოფლიო ომში საფრანგეთისა და ბრიტანეთის მოკავშირედ შეაბიჯა. ის ამ ალიანსში იმის შიშით გაერთიანდა, რომ გერმანია და ავსტრია აღმოსავლეთითა და სამხრეთით ექსპანსიისას მის ტერიტორიებს შეიერთებდა და მას მეორეხარისხოვან ძალად აქცევდა. საფრანგეთი რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას უფრო ძლიერი გერმანიის შიშით დასთანხმდა, რომელსაც ის წინააღმდეგობას მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუწევდა, თუკი გერმანიას ორ ფრონტზე მოუწევდა ბრძოლა. რუსულ-ფრანგული შეთანხმება რუსეთს გერმანიაზე თავდასხმას და გერმანიის მიერ

საფრანგეთში მოსალოდნელი შეჭრის შემდეგ, ბერლინისაკენ სწრაფ სვლას ავალდებულებდა.

როგორც აღმოჩნდა, მეომარი მხარეების წინასაომარი გეგმები არასწორი გზით განვითარდა. გერმანიის „შლიფენის გეგმა", რომელიც დასავლეთ ფრონტზე სწრაფ და გადამწყვეტ გამარჯვებას პროგნოზირებდა, რასაც რუსებთან გასამკლავებლად ძალების აღმოსავლეთში გადასროლა უნდა მოჰყოლოდა, წარუმატებელი აღმოჩნდა: დასავლეთის კამპანია სტატიკურ სანგრების ომში გადაიზარდა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა. რუსებმა გაბედულად შეაბიჯეს აღმოსავლეთ პრუსიაში, თუმცა ისინი გერმანელებმა მახეში მოაქციეს და გაანადგურეს.

1914 წლის ბოლოს, გერმანიის უმაღლესმა მთავარსარდლობამ დაასკვნა, რომ ომის მოგების ერთადერთი გზა რუსეთის გამოთიშვა და გერმანელების მიერ მთელი მისი ძალის დასავლეთ ფრონტზე კონცენტრირება იქნებოდა. მომდევნო წლის გაზაფხულზე ავსტრო-გერმანულმა ერთიანმა ძალებმა დაიპყრეს რუსეთის პოლონეთი[1] და მეფის ჯარები აღმოსავლეთით განდევნეს ასობით მილის მანძილზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსული ჯარის დიდი ნაწილი გადარჩა და რუსეთი ფორმალურად მაინც ომის მონაწილედ დარჩა, მან ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი და მჭიდროდ დასახლებული რეგიონი დაკარგა.

---

[1] პოლონეთ-ლიტვის თანამეგობრობის ყოფილი ტერიტორია, რომელიც XVIII საუკუნეში პოლონეთის დაყოფის შემდეგ რუსეთის იმპერიას გადაეცა.

ამ მარცხებმა რუსეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, განსაკუთრებით ლიბერალურ და კონსერვატორულ წრეებში. პარლამენტში (დუმა) მყოფმა ლიბერალებმა მთავრობას მოსთხოვეს, რომ მისთვის მინისტრების დანიშვნის უფლება დაეთმო. კონსერვატორებს სურდათ, რომ მეფე ნიკოლოზ II გადამდგარიყო და იმპერიული ოჯახის უფრო ძლევამოსილი წევრი გამეფებულიყო. ჯარისკაცებსა და ზოგადად მოსახლეობაში ხმები დაირხა მაღალ ეშელონებში ღალატთან დაკავშირებით: იმპერატორის მეუღლეს, რომელიც წარმოშობით გერმანელი იყო, ბრალი დასდეს სამხედრო საიდუმლოების მტრისთვის გადაცემაში. მთავრობის პრობლემებს ისიც ამძიმებდა, რომ ქალაქების ცხოვრებაზე ინფლაციას სერიოზული გავლენა ჰქონდა, ვინაიდან სარკინიგზო ტრანსპორტის მწყობრიდან გამოსვლამ საკვებისა და საწვავის დეფიციტი გამოიწვია, განსაკუთრებით პეტროგრადში (ასე დაერქვა პეტერბურგს ომის დაწყების შემდეგ). ფრონტიდან მოსული ცუდი ამბების, პოლიტიკური უთანხმოებისა და ურბანულ ცენტრებში ეკონომიკური გასაჭირის კომბინაციამ (სოფელი ჩუმად იყო, რამდენადაც საკვებ პროდუქტებზე გაზრდილი ფასების გამო სარგებელს ნახულობდა) 1916 წლის ოქტომბრისთვის რევოლუციური სიტუაცია წარმოქმნა.

1917 წლის რუსეთის რევოლუცია, შეიძლება ითქვას, წინა წლის ნოემბერში დაიწყო, როდესაც მთავრობა, ომის მისეული წარმოების გამო, დუმის ლიბერალური და კონსერვატორული დეპუტატების მხრიდან ძლიერი თავდასხმების სამიზნე გახდა. ლიბერალების ლიდერმა, პავლე მილიუკოვმა მთავრობა ღალატში დაადანაშაუ-

ლა. უმაღლესი პოლიტიკური წრეებიდან წამოსულმა ამ თავდასხმებმა ქვეყნის მართვა შეუძლებელი გახადა; გაჩნდა განცდა, რომ რადიკალური ცვლილებების დრო მოვიდა. იმპერატორმა, რომელიც ბუნებით ფატალისტი იყო, არაფერი გააკეთა თავისი ძალაუფლების გასამყარებლად.

ნაპერწკალი, რომელმაც რევოლუციის ცეცხლი დაანთო, 1917 წელს პეტროგრადის გარნიზონში მომხდარი აჯანყება იყო. მასში ასაკოვანი ახალწვეული გლეხები მონაწილეობდნენ, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ისინი სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. გლეხები აჯანყდნენ, როდესაც მათ არეულობაში მონაწილე სამოქალაქო ჯგუფებისთვის სროლა უბრძანეს. გენერლებმა, რომლებიც ეჭვობდნენ, რომ ამბოხება ფრონტის ხაზს გადაედებოდა, დაარწმუნეს ნიკოლოზი, რომ გადამდგარიყო, რათა რუსეთი დამარცხებისგან ეხსნა. როგორც მგზნებარე პატრიოტმა, მან ყური უგდო მათ რჩევას და 15 მარტს თანამდებობიდან გადადგა.

იმპერატორის გადადგომის შემდეგ ძალაუფლება ხელში დუმის დეპუტატების კომიტეტმა ჩაიგდო, რომელიც საკუთარ თავს დროებით მთავრობას უწოდებდა. მისი ფორმირების პარალელურად, სოციალისტმა ინტელექტუალებმა პეტროგრადში „*სოვიეტი*", ანუ მშრომელ და სამხედრო დეპუტატთა საბჭო მოიწვიეს. საბჭოს ფუნქცია „ბურჟუაზიული" დროებითი მთავრობის ზედამხედველობა იყო, რათა მას რეაქციონისტული პოლიტიკა არ გაეტარებინა. მომდევნო შვიდი თვის განმავლობაში რუსეთს მართავდა – უფრო სწორად, ცუ-

დად მართავდა – ორმაგი ძალაუფლების მქონე რეჟიმი, რომლის დროსაც საბჭოები ძირს უთხრიდნენ ადმინისტრაციის ძალაუფლებას იმის გარეშე რომ შედეგებზე პასუხისმგებლობა აეღოთ. საბჭოების ხელმძღვანელობაში მყოფმა სოციალისტმა ინტელექტუალებმა დაასაჭურისეს არმია ოფიცრების ძალაუფლების შემცირებით, რადგან მათ შესაძლო კონტრრევოლუციურ ძალად განიხილავდნენ. თუმცა, ამავდროულად, სოციალისტები ომის გამარჯვებამდე წარმოების იდეას ემხრობოდნენ.

დროებითმა მთავრობამ პირობა დადო, რომ დაუყოვნებლივ მოიწვევდა დამფუძნებელ კრებას, რომელიც ქვეყანაში ახალ რესპუბლიკურ მმართველობას დაამყარებდა; მაგრამ სხვა, უფრო საჭირბოროტო საკითხების გამო მისი არჩევნების თარიღს მუდმივად წევდა. ის აგრეთვე აჭიანურებდა აგრარულ რეფორმას. მოთმინებადაკარგული გლეხები ახლა კერძო მამულებს უტევდნენ, ჯარისკაცებმა კი დეზერტირობა დაიწყეს, რათა სწრაფად დაბრუნებულიყვნენ ფრონტიდან შინ და მიწის ნანატრ რეპარაციაში მოესწროთ მონაწილეობის მიღება. ეროვნულმა უმცირესობებმა თვითმმართველობასა და ზოგიერთ შემთხვევაში სრულ სუვერენიტეტზე დაიწყეს საუბარი. და მთელი ამ ხნის განმავლობაში დროებითი მთავრობა არ იშლიდა ომის წარმოებას, რომელიც შინ მხარდაჭერას კარგავდა. ქვეყანა, რომლის მთლიანობასაც საუკუნეების განმავლობაში სოციალური შეკრულობის ნაცვლად სახელმწიფო ძალაუფლება უზრუნველყოფდა, ანარქიაში ჩაიძირა.

ლენინისთვის ეს შანსი იყო. 1917 წლის დასაწყისში ის შვეიცარიაში ცხოვრობდა. მარტის რევოლუ-

ციის შესახებ ამბის შეტყობის შემდეგ, მან რუსეთში მყოფ თანამზრახველებს ტელეგრაფით შეტყობინება გაუგზავნა, რომ მათ უნდობლობა გამოეცხადებინათ დროებითი მთავრობისთვის, სხვა სოციალისტურ პარტიებთან ალიანსებში არ შესულიყვნენ და მშრომელები შეეიარაღებინათ. მას ერთი სული ჰქონდა, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო და რევოლუციას ჩასდგომოდა სათავეში.

გერმანელები და ავსტრიელები, რომლებიც დასავლეთ ფრონტზე უსასრულო გამომფიტავ ომში იყვნენ ჩაფლული, ახლოდან აკვირდებოდნენ ლენინის მსგავს რუს ემიგრანტებს, რომლებიც ომს ეწინააღმდეგებოდნენ. ლენინმა, რუსეთში დაბრუნებისათვის დახმარების სათხოვნელად, შვეიცარიაში გერმანიის საელჩოს მიმართა. ბერლინმა მას და სხვა სოციალისტ ემიგრანტებს არა მხოლოდ გერმანიაში უსაფრთხო გადაადგილების საშუალება, არამედ ფულიც მისცა, რომლითაც მას თავიდან უნდა შეექმნა პარტია სამშობლოში დაბრუნებისთანავე. ლენინი, რომელსაც სულ არ აინტერესებდა, საიდან მოდიოდა ფული, თუკი ის მას გამოადგებოდა, ამ შემოთავაზებას დათანხმდა. შუამავლებისა და დიდი სიფრთხილის გამოყენებით, მომავალი წელიწად-ნახევრის განმავლობაში ის გერმანიის ფულად კმაყოფაზე ცხოვრობდა.

პეტროგრადში დაბრუნებისთანავე ლენინმა მთავრობის წინააღმდეგ უკომპრომისო თავდასხმები და მისი დამხობის მოწოდებები დაიწყო: მთავრობას არ უნდა მისცემოდა რუსეთში „ბურჟუაზიული" რეჟიმის დამყარების შანსი, რაც მენშევიკებს და საკუთრივ ლე-

ნინის მიმდევართა უმრავლესობას სურდა. 1917 წლის ივლისში ბოლშევიკებმა უხეირო სახელმწიფო გადატრიალება წამოიწყეს, რომელიც მთავრობამ ლენინის გერმანელებთან არსებული გარიგების შესახებ ზოგიერთი საიდუმლო მასალის გასაჯაროებით ჩაახშო. გამოიცა ლენინისა და სხვა მოწინავე ბოლშევიკების დაპატიმრების ორდერები, მათ შორის ლევ ტროცკისა, რომელიც პარტიას ცოტა ხნით ადრე შეუერთდა. ტროცკი ციხეში მოხვდა, ლენინი ფინეთში გაიქცა და თავისი პარტიის მიერ ნოემბერში მოწყობილ გადატრიალებამდე იქ დარჩა.

ლენინს ცოტა მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ ისინი კარგად ორგანიზებულნი იყვნენ და ცენტრალური კომიტეტის ბრძანებებს ზედმიწევნით მიჰყვებოდნენ. სხვა პარტიებს მსგავსი არაფერი ჰქონდათ: სოციალისტ-რევოლუციონერებს, რომლებიც მოსახლეობაში ბევრად უფრო პოპულარული იყვნენ, მათ შორის გლეხობაშიც, ძალიან სუსტი სტრუქტურა ჰქონდათ, რომელიც მათ მხარდამჭერების მობილიზების საშუალებას არ აძლევდა. იგივე ეხებოდათ მენშევიკებს და ლიბერალ კონსტიტუციონალისტ დემოკრატებს. მეტიც, ლენინის გარდა, არც ერთ გამოჩენილ პოლიტიკოსს არ სურდა ძალაუფლების ხელში აღება და ერთი შეხედვით უმართავი ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობის აღება. ლენინი, რომელიც ამ მომენტისათვის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ემზადებოდა, მოვლენათა განვითარებას ყურადღებით აკვირდებოდა და დარტყმის მისაყენებლად სწორ მომენტს ელოდა.

ეს მომენტი გვიან ზაფხულში დადგა, როდესაც ალექსანდრე კერენსკი, ქვეყნის ნომინალური, მაგრამ არაეფექტური დიქტატორი, გენერალ ლავრ კორნილოვს, რუსეთის არმიის მთავარსარდალს, დაუპირისპირდა და უსამართლოდ დასდო ბრალი სამხედრო გადატრიალების მოწყობაში. ამ უპასუხისმგებლო ქმედებით კერენსკიმ არმიის მხარდაჭერა დაკარგა, რომელიც მას ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მორიგი მცდელობის შემთხვევაში დასჭირდებოდა. ამავდროულად, მან ბოლშევიკები მოაძლიერა იმით, რომ ისინი ციხიდან გამოუშვა და იარაღი დაურიგა, რათა ისინი კორნილოვის ნავარაუდები გადატრიალების შეჩერებაში დახმარებოდნენ. მომდევნო თვეში ჩატარებულ საბჭოების არჩევნებში ბოლშევიკებმა შთამბეჭდავ შედეგს მიაღწიეს, რაც ლენინისთვის ნიშანი იყო, რომ მორიგი და გადამწყვეტი დარტყმის დრო დადგა. ძალაუფლების ხელში ჩაგდების გადაწყვეტილება ბოლშევიკების ლიდერთა ფარულ შეხვედრაზე იქნა მიღებული, 1917 წლის 23-24 ოქტომბრის ღამეს. ლენინს თავისი თანამზრახველების დიდი წინააღმდეგობის დაძლევა მოუნია, მათ ივლისის მარცხის გამეორების ეშინოდათ.

გადატრიალება 7 ნოემბერს მოხდა, როდესაც პრობოლშევიკურმა შენაერთებმა ერთი გასროლის გარეშე დაიკავეს დედაქალაქის ყველა სტრატეგიული ნერტილი. მოსკოვში მცირე ბრძოლები იყო, მაგრამ დანარჩენ ქვეყანაში ხელისუფლება საკმაოდ უმტკივნეულოდ შეიცვალა. ლენინმა მოგვიანებით თქვა, რომ რუსეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდება ისეთივე მარტივი იყო, როგორც „ბუმბულის აწევა". ამის მიზეზი ის იყო, რომ

მან ჭკვიანურად შეფუთა მისი და მისი პარტიის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდება ისე, თითქოს „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ გადაეცა; ეს სლოგანი კი არა დიქტატურის, არამედ სახალხო დემოკრატიის პირობას იძლეოდა. დიდად არ დადარდიანებულან ლენინის სოციალისტი მონინააღმდეგეებიც კი, რომლებიც მის განზრახვებზე ეჭვობდნენ, ვინაიდან დარწმუნებულები იყვნენ, რომ ბოლშევიკების ერთპარტიული დიქტატურა დიდხანს ვერ გაძლებდა და მალე სოციალისტური კოალიცია შეიქმნებოდა. მათ ერჩივნათ ცოტა ხნით ლენინისთვის მიეცათ ძალაუფლება, ვიდრე სამოქალაქო ომი გაელვივებინათ, რომელიც მხოლოდ „კონტრრევოლუციონერებს“ არგებდათ.

როგორც აღმოჩნდა, ბოლშევიკები ხელისუფლებაში სამოცდათოთხმეტ წელიწადს დარჩნენ. ამგვარად, კომუნიზმი რუსეთში სახალხო აჯანყების მეშვეობით კი არ დამყარებულა: ის მას დემოკრატიულ სლოგანებს ამოფარებულმა პატარა უმცირესობამ მოახვია თავს. ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მის შემდგომ განვითარებას განსაზღვრავს.

–

ის, ვინც ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ისტორიის პერსპექტივიდან დააკვირდება, შეუძლებელია მათი უტიფრობით არ გაოცდეს. ბოლშევიკთა ლიდერებიდან არც ერთს ჰქონდა რაიმეს ადმინისტრირების გამოცდილება, მაგრამ ისინი მაინც აპირებდნენ მსოფლიოში ყველაზე დიდი ქვეყნის მართვაზე პასუხისმგებლობას აღებას. ბიზნესის გამოცდილების

არქონამაც არ შეუშალა მათ ხელი, სწრაფი ნაციონალიზაცია გაეტარებინათ და აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა აეღოთ მსოფლიოს სიდიდით მეხუთე ეკონომიკის მართვაზე. რუსეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში – ბურჟუაზიასა და მემამულეებში პრინციპულად, ხოლო ფაქტობრივად გლეხების უმრავლესობასა და ინტელიგენციაშიც – ისინი იმ ინდუსტრიული მშრომელების კლასობრივ მტრებს ხედავდნენ, რომელთა წარმომადგენლებადაც მოჰქონდათ თავი. ეს მშრომელები რუსეთის მოსახლეობის მცირე ნაწილს წარმოადგენდნენ – საუკეთესო შემთხვევაში 1 ან 2 პროცენტს – და ამ უმცირესობიდან მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი უჭერდა მხარს ბოლშევიკებს: ნოემბრის გადატრიალების გარიჟრაჟზე, ინდუსტრიული მშრომელების მხოლოდ 5,3 პროცენტი იყო ბოლშევიკურ პარტიაში გაწევრიანებული[1]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ახალ რეჟიმს სხვა გზა არ ჰქონდა, თუ არა ის, რომ დიქტატურად გადაქცეულიყო – არა პროლეტარიატის დიქტატურად, არამედ დიქტატურად პროლეტარიატზე და ყველა დანარჩენ კლასზე. ამიტომ დიქტატურა, რომელიც დროთა განმავლობაში ტოტალიტარულ რეჟიმად გარდაიქმნა, თავად ბოლშევიკური გადატრიალების ბუნებით იყო ნაკარნახევი. სანამ მათ ხელისუფლებაში დარჩენა ენდომებოდათ, კომუნისტებს დესპოტურად და ძალადობრივად მართვა მოუწევდათ; ისინი ვერასდროს შეძლებდნენ ძალაუფლების მოდუნებას. ეს პრინციპი

[1] Pipes, Richard. *A Concise History of the Russian Revolution*. New York, Knopf, 1995. გვ. 121.

ეხება ყველა კომუნისტურ რეჟიმს, რომელიც ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ წარმოიშვა.

ლენინმა ეს გაიაზრა და ორჭოფის გარეშე დაამკვიდრა დაუნდობელი დესპოტიზმი. მან ნებისმიერი „დიქტატურა", მათ შორის „პროლეტარიატის", განსაზღვრა, როგორც „ძალაუფლება, რომელსაც არაფერი, არანაირი კანონი, აბსოლუტურად არანაირი წესი არ ზღუდავს და რომელიც უშუალოდ ძალადობაზეა დაფუძნებული[1]". ის ოპონენტების გასანადგურებლად და დანარჩენი მოსახლეობის დასაშინებლად უსაზღვრო ტერორის გამოყენებისთვის იყო მზად. მან ეს ნაწილობრივ იმის გამო გააკეთა, რომ ადამიანების სიცოცხლეს არად აგდებდა, მაგრამ ნაწილობრივ იმის გამოც, რომ ისტორიის შესწავლამ დაარწმუნა – ყველა წინა სოციალური რევოლუცია წარუმატებელი იყო, ვინაიდან შუა გზაზე გაჩერდა და თავის კლასობრივ მტრებს გადარჩენისა და გადაჯგუფების საშუალება მისცა. ძალადობას – ტოტალურსა და უმოწყალოს (ლენინის საყვარელი ზედსართავები) – ახალი წესრიგისთვის ნიადაგი უნდა მოემზადებინა. მაგრამ მას ასევე სწამდა, რომ ამგვარი ძალადობა ხანმოკლე უნდა ყოფილიყო: ამის ასახსნელად მან ერთხელ მაკიაველს ციტატა მოიყვანა: „თუკი გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევად აუცილებელი იქნება გარკვეული სისასტიკის გამოყენება, ის ენერგიულად უნდა გამოიყენონ და რაც შეიძლება მოკლე დროში, ვინაიდან მასები არ აიტანენ ძალმომრეობის ხანგრძლივ გამოყენებას". ლენინის მოლოდინების

---

[1] Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. 5 ed., vol. 41, Москва, 1958-65. გვ. 383

საპირისპიროდ, ეს ძალმომრეობა მისი რეჟიმის მუდმივი მახასიათებელი გახდა. როგორც ტომას ჰობსმა თქვა, თუ კოზირებზე არ არსებობს შეთანხმება, მაშინ ჯვარია კოზირი.

ლენინის სიმტკიცე და ენერგია მკაფიოდ იკვეთებოდა გადაგდებული დროებითი მთავრობის უძლურების ფონზე. მან დამფუძნებელი კრების არჩევნები დანიშნა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე მუდმივად გადაავადებდნენ ხოლმე. ლენინის პარტიამ საერთო ხმების 24 პროცენტი მოიპოვა, მისმა მოწინააღმდეგე სოციალისტ-რევოლუციონერებმა კი – ამ რიცხვზე ორჯერ მეტი. ეს მას საერთოდ არ ანაღვლებდა. მან გამოაცხადა, რომ მშრომელებმა და ჯარისკაცებმა ძირითადად მის პარტიას მისცეს ხმა, კრება ერთი დღით შეკრიბა და შემდეგ დაითხოვა. სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ცნობილი მთავრობა, რომელიც მან დააკომპლექტა, ექსკლუზიურად ბოლშევიკებისაგან შედგებოდა. არსობრივად ეს მხოლოდ ადმინისტრაციული ფასადი იყო, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ბრძანებებს ასრულებდა. მან გააუქმა ყველა ლეგალური პროცედურა და სამართლის აღსრულება გადააბარა რევოლუციურ ტრიბუნალებს, გაუნათლებელი, მაგრამ „კლასობრივი ცნობიერების“ მქონე ხალხი რომ ხელმძღვანელობდა, და ახლად დაფუძნებულ საიდუმლო პოლიციას, რომელსაც ჩეკა ერქვა. ტერორი ლენინის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდანვე დაიწყო.

ლენინი აცნობიერებდა, რომ მყარი პოლიტიკური საფუძვლის აშენებისა და რევოლუციური პროგრამის შესრულებისთვის მას დრო სჭირდებოდა, და ამიტომ

1918 წლის მარტში, თავის თანაშემწეებს ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასთან, ავსტრიასთან, თურქებთან და ბულგარელებთან ძალზე არაპოპულარულ სამშვიდობო შეთანხმებაზე მოაწერინა ხელი, რომლის მიხედვითაც მან დიდი ტერიტორიები დათმო.

ლენინმა რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო, როგორც მსოფლიო რევოლუციის, მისი საბოლოო მიზნის, პრელუდია. ამ სამოქალაქო ომს, რომელიც რუსეთში სამ წელს გრძელდებოდა და რომელმაც მილიონობით სიცოცხლე შეიწირა, ბოლშევიკები რუს რეაქციონერებს და მათ უცხოელ მხარდამჭერებს აბრალებდნენ. მაგრამ როგორც აღვნიშნეთ, ერთაშორისი კონფლიქტის კლასებს შორის კონფლიქტად გარდაქმნა ბოლშევიკური პლატფორმის ცენტრალური საყრდენი 1917 წლამდე დიდი ხნით ადრე იყო. ტროცკიმ ეს აღიარა, როდესაც დაწერა: „საბჭოთა ხელისუფლება ორგანიზებული სამოქალაქო ომია". სინამდვილეში, შეიძლება ითქვას, რომ ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება ხელში იმიტომ ჩაიგდეს, რომ სამოქალაქო ომი გაეჩაღებინათ.

თავდაპირველად, გლეხებისა და მშრომელების მხარდაჭერის ან მინიმუმ მათი ნეიტრალიზმის მოსაპოვებლად, ლენინმა ანარქისტულ სლოგანებს მიმართა. ის ახალისებდა გლეხებს, რომ ისინი დაეუფლნენ და ერთმანეთში გაენაწილებინათ კერძო მიწები – არა მხოლოდ ის, რომელსაც სახელმწიფო და მემამულეები ფლობდნენ, არამედ ისიც, რომელიც მოძმე გლეხებს ეკუთვნოდათ. გადატრიალების პერიოდში გამოცემული ბრძანების მიხედვით მოხდა ყველა მიწის ნაციონალიზაცია, და რაც დროებით არ ეხებოდა თავად გლე-

ხების მიერ დამუშვებულ მინის ნაკვეთებს. ის აქეზებდა მშრომელებს, რომ მათ ხელში ჩაეგდოთ ქარხნები – ეს იყო სინდიკალისტური პოლიტიკა, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მარქსიზმთან. თუმცა ეს მხოლოდ დროებითი ზომები იყო, რომლებსაც ის უკუაგდებდა, როგორც კი ძალაუფლებას განიმტკიცებდა, ვინაიდან მისი საბოლოო მიზანი ქვეყნის მთელი ადამიანური და მატერიალური რესურსების ნაციონალიზაცია იყო, რათა ეკონომიკა ცენტრალური დაგეგმარებისთვის დაექვემდებარებინა.

1917 და 1929 წლებს შორის საბჭოთა რუსეთის ისტორიაზე შეჩერება საჭირო არ არის. საკმარისი იქნება იმის თქმა, რომ კომუნისტებმა – სახელი, რომელიც ბოლშევიკებმა 1918 წელს დაირქვეს – მოიგეს სამოქალაქო ომი, ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი ქვეყნის დასახლებულ ცენტრებს აკონტროლებდნენ, სადაც მისი ინდუსტრიული (და სამხედრო) რესურსების დიდი ნაწილი იყო თავმოყრილი, ნაწილობრივ კი იმიტომ, რომ დასავლური ძალები მათ ოპონენტებს, რომლებიც „თეთრების" სახელით იყვნენ ცნობილნი, მხოლოდ მცირედით ეხმარებოდნენ. სამოქალაქო ომის განმავლობაში, და მისი დასრულებიდან მალევე, რეჟიმმა კვლავ დაიპყრო არარუსული სასაზღვრო ქვეყნების დიდი ნაწილი – უკრაინა, კავკასია და ცენტრალური აზია – რომლებიც მანამდე მას გამოეყვნენ. ყველა ეს ქვეყანა შეუერთდა საბჭოთა რუსეთს და 1924 წელს ეს ერთობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირად გადაიქცა. თეორიულად თუ არა, პრაქტიკულად ახალი იმპერიის ყველა ტერიტორიას რუსეთის კომუნისტური პარტია

მართავდა, რომელსაც შტაბ-ბინა მოსკოვში ჰქონდა განთავსებული. მის განშტოებებს ფესვები ორგანიზებული ცხოვრების ყოველ სეგმენტში გაედგა, და მუსოლინის მიერ გამოყენებული ტერმინი რომ ვიხმაროთ, რომელმაც თავისი ფაშისტური მმართველობა ლენინის მოდელზე მოაწყო, ისინი „რეჟიმის კაპილარების ფუნქციას ასრულებდნენ". ვერც ერთი ორგანიზაცია, ყველაზე უწყინარიც კი, ვერ დააღწევდა თავს კომუნისტური პარტიის კონტროლს. ასე დაიბადა ისტორიაში პირველი ერთპარტიული მმართველობის მქონე ქვეყანა.

–

ძალაუფლების შენარჩუნების გარდა, ბოლშევიკებმა თითქმის ყველა წამოწყებაში მარცხი განიცადეს. აღმოჩნდა, რომ ცხოვრება თეორიისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. მაგრამ ისინი არ აღიარებდნენ, რომ ცდებოდნენ: სადაც ყველაფერი ისე არ ხდებოდა, როგორც მათ სურდათ, უკან დახევის მაგივრად მეტ ძალადობას მიმართავდნენ. იმის აღიარება, რომ ცდებოდნენ, მათი რეჟიმის მთელ თეორიულ საფუძველს მოარღვევდა, რამდენადაც მას რეჟიმის ყველა ნაწილის მეცნიერულ სისწორეზე ჰქონდა პრეტენზია.

ლენინის მრავალ იმედგაცრუებას შორის ერთ-ერთი იყო უზარმაზარი, საკუთარ თავზე მომუშავე და უკონტროლო ბიუროკრატია. მარქსისტული დოქტრინის მიხედვით, სახელმწიფო სხვა არაფერია, თუ არა იმ კლასის მსახური, რომელიც წარმოების საშუალებებს ფლობს; მას საკუთარი ინტერესი არ გააჩნია. ეს რწმე-

ნა პოლიტიკური ისტორიის გასაოცარი უცოდინარობის მანიშნებელი იყო, რამდენადაც იმის უამრავი მტკიცებულება არსებობს, რომ ჯერ კიდევ ფარაონების დროიდან მოყოლებული, სახელმწიფო მოხელეები საკუთარ თავზე ზრუნავდნენ და ინტერესთა ჯგუფებს ქმნიდნენ, რომლებიც ხშირ შემთხვევაში უფრო გავლენიანნი იყო, ვიდრე მესაკუთრეთა კლასი. ლენინი შეწუხებული იყო საბჭოთა ბიუროკრატიის სწრაფი ზრდის გამო, რაც მისმა საკუთარმა პოლიტიკამ აუცილებელი გახადა. იმის გამო, რომ კომუნისტურმა პარტიამ, სახელმწიფოს საშუალებით, ქვეყნის მთელ ორგანიზებულ ცხოვრებაზე დაამყარა კონტროლი, მოახდინა დიდი და მცირე ინდუსტრიების, საცალო და საბითუმო ვაჭრობის, ტრანსპორტისა და სერვისების, განათლებისა და სხვა ინსტიტუციების ნაციონალიზაცია. ბიუროკრატიული აპარატი, რომელმაც კერძო მესაკუთრეები და მათი მმართველები ჩაანაცვლა, უსწრაფესად გამრავლდა. იმის თქმაც საკმარისი იქნება, რომ ორგანიზაცია, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიის მართვაზე იყო პასუხისმგებელი, ეროვნული ეკონომიკის უმაღლესი საბჭო, 1921 წლისთვის მეოთხედ მილიონ თანამშრომელს ითვლიდა და ეს იმ დროს, როდესაც ინდუსტრიული წარმადობა 1913 წლის მაჩვენებლის მეხუთედზე ქვედა ნიშნულს ჩამოსცდა. 1928 წლისთვის პარტიული და სახელმწიფო ბიუროკრატია 4 მილიონს მიუახლოვდა.

მათმა უმრავლესობამ, ვინც საბჭოთა ფუნქციონერების რიგებში ჩაეწერა – მათგან ბევრი ძველი რეჟიმის გადმონაშთი იყო, – ეს იმიტომ გააკეთა, რომ სახელმწიფო სამსახური მათ მინიმალურ უსაფრთხოებასა და

საარსებო წყაროს ჰპირდებოდა. ძალიან მალე ისინი გადაიქცნენ კასტად, რომელიც თავის კოლექტიურ ინტერესს არა მხოლოდ მოსახლეობის ინტერესებზე, არამედ იმ კომუნისტურ მიზნებზე მაღლაც აყენებდა, რომელსაც ნომინალურად ემსახურებოდა.

პირველი, ვინც პარტიაში საკუთარი პოზიციების გამყარებისათვის საბჭოთა ბიუროკრატიის გამოყენების შესაძლებლობა გაიაზრა, იოსებ სტალინი იყო. ახალგაზრდობაში სასულიერო სემინარიიდან გარიცხულმა და ბოლშევიკებს შეერთებულმა ნახევრად განათლებულმა ქართველმა, ლენინის ნდობა მისადმი ერთგულებითა და შთამბეჭდავი ადმინისტრირების ნიჭის ჩვენებით მოიპოვა. ტროცკისგან და სხვა კომუნისტი ლიდერებისაგან განსხვავებით, როგორებიც ლევ კამენევი და გრიგორი ზინოვიევი იყვნენ, სტალინი არასდროს აყენებდა ეჭვქვეშ ლენინის მოსაზრებებს; და სანამ ისინი პამფლეტებს წერდნენ და სიტყვით გამოდიოდნენ, სტალინი ჩუმად მეთვალყურეობდა ფუნქციონერთა მზარდ არმიას. ლენინი მას თავის უფრო ინტელექტუალ ამხანაგებზე მაღლა აყენებდა. 1922 წელს, ის მან პარტიის გენერალურ მდივნად დანიშნა, რამაც სტალინს პარტიულ კადრებზე კონტროლი მოუპოვა.

პირველივე დღიდან სტალინმა თავისი თანამდებობა იმ კომუნისტების დაწინაურებისათვის გამოიყენა, რომლებიც უშუალოდ მის მიმართ იყვნენ ერთგულები და ვისზე დაყრდნობაც შეეძლო პარტიის ხელმძღვანელობისათვის ბრძოლაში, რომელიც ლენინის შერყეული ჯანმრთელობის გამო დიდი ალბათობით მალე უნდა დაწყებულიყო. სტალინი იყო ის, ვინც *ნომენკლატურის* ინსტიტუცია შექმნა: ეს იმ კომუნისტი საჯარო პირე-

ბის კარტოთეკა იყო, რომლებიც მნიშვნელოვანი აღ-მასრულებელი თანამდებობებისთვის გამოდგებოდნენ და რომლებიც ისეთი პრივილეგიებით ჯილდოვდებოდ-ნენ, როგორებიცაა სპეციალურ სასურსათო მაღაზიებ-ზე, საავადმყოფოებზე, კურორტებზე, მკერავებზე და სასაფლაოებზე წვდომაც კი. პრივილიგირებული ელი-ტის შექმნის პოლიტიკა კომუნისტურ რეჟიმს მომდევ-ნო სამოცდაათი წლის განმავლობაში ამყარებდა, რამ-დენადაც ადმინისტრაციულ კლასს რეჟიმის გადარჩენის სასიცოცხლო ინტერესს უნერგავდა. მაგრამ ამავდროუ-ლად, ის უზრუნველყოფდა, რომ სოციალური თანას-წორობის კომუნისტური იდეალი ცარიელ სლოგანად დარჩენილიყო.

არანაკლებ მტკივნეული იყო მარვისგან გამონ-ვეული ბოლშევიკების იმედგაცრუება. სოციალისტური ლიტერატურა მათ არწმუნებდა, რომ კაპიტალიზმი, რომელსაც მოგება ამოძრავებდა, ბუნებრივად უფრო ნაკლებად პროდუქტიული იყო, ვიდრე სახელმწიფოს მიერ მონოპოლიზებული ეკონომიკა. მათ სწამდათ, რომ რაც უფრო დიდია საწარმო, მით უფრო უკეთ ფუნ-ქციონირებს ის. მათ ასევე სჯეროდათ, რომ ეკონომიკის მართვა ფულის გამოუყენებლადაც იყო შესაძლებელი.

ყველა ეს დაშვება მცდარი აღმოჩნდა. ეროვნულ ეკონომიკაზე ცენტრალური დაგეგმარების მორგე-ბის მცდელობები კი – ფუჭი. ქარხნების არასწორმა მართვამ, ჯერ მშრომელებისა და შემდეგ კომუნისტი ფუნქციონერების მიერ, რომლებმაც ისინი ჩაანაცვლეს, რადიკალურად შეამცირა წარმადობა. ჩეკას მცდელო-ბებმა, შეეჩერებინათ კერძო ვაჭრობა, მიზანს ვერ მი-აღწია, რამდენადაც მწარმოებლებმა და შუამავლებმა

მათთვის გვერდის ავლის გზები აღმოაჩინეს; თავისუფალი ბაზარი, რომელსაც კომუნისტები კაპიტალიზმის კვინტესენციად აღიქვამდნენ და რომლის განადგურებაც გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ გამქრალა, არამედ იატაკქვეშეთში გადაინაცვლა. არც ისე დიდი დრო გავიდა, სანამ ჩრდილოვანმა ეკონომიკამ ოფიციალურ საბჭოურს გადაუსწრო. ჰიპერინფლაციამ, რომელიც მთავრობამ ქვეყნის ბანკნოტებში ჩაძირვით განზრახ გამოიწვია, დანაზოგების განადგურების მიზანს მიაღწია: 1923 წლისთვის საბჭოთა კავშირში ფასები 1917 წელთან შედარებით 100 მილიონჯერ იყო გაზრდილი. მაგრამ ფულზე უარის თქმამ ნორმალური ბიუჯეტის ქონა ან საბჭოთა საწარმოებს შორის გადარიცხვების დაანგარიშება შეუძლებელი გახადა.

სამოქალაქო ომით დამძიმებული ასეთი დილეტანტური მენეჯმენტის საბოლოო შედეგი წარმოების ყველა მაჩვენებლის კატასტროფული ვარდნა იყო. სულ, დიდი ინდუსტრიული წარმოება 1920 წელს იმის 18 პროცენტი იყო, რაც 1913 წელს; ნახშირის წარმოება შემცირდა 27 პროცენტამდე, ხოლო რკინისა – 2,4 პროცენტამდე. 1921 წელს დასაქმებულ ინდუსტრიულ მშრომელთა რიცხვი იმის ნახევარი იყო, რაც 1918 წელს; მათი ცხოვრების დონე ომამდელი პერიოდის მაჩვენებლის მესამედზე დაეცა[1]. ერთი-ერთი კომუნისტი სპეციალისტი იმას, რაც საბჭოთა ეკონომიკას 1917 და 1929 წლებს

[1] Pipes, Richard. *The Russian Revolution*. New York, Vintage Books, 1991. გვ. 696.

შორის დაემართა, უწოდებდა კატასტროფას, „რომელსაც კაცობრიობის ისტორიაში პარალელი არ ჰქონია[1]".

ასეთ წარუმატებლობასთან შეჯახებისას ლენინის ინსტინქტი დამხვრეტი რაზმების მოხმობა იყო. ისააკ შტაინბერგი, მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი, რომელიც ცოტა ხნით იუსტიციის სახალხო კომისრად მსახურობდა, 1918 წლის თებერვალში სახალხო კომისრების საბჭოს შეხვედრას აღწერს. ლენინმა წარადგინა განკარგულების მონახაზი – „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!", რომელიც კრიმინალების ვრცელი კატეგორიის „ადგილზე", ანუ სასამართლოს გარეშე დახვრეტისკენ მოწოდებას შეიცავდა. ამ კატეგორიაში შედიოდნენ „მტრების აგენტები, სპეკულანტები, ქურდები, ხულიგნები, კონტრრევოლუციის აგიტატორები და გერმანელი ჯაშუშები". შტაინბერგი შეენინააღმდეგა განკარგულებას იმ მოტივით, რომ ის „საფრთხეს შეიცავდა... შორს მიმავალი ტერორისტული შესაძლებლობების გამო".

> „ლენინმა ჩემს შენინააღმდეგებას რევოლუციური სამართლის მოხმობით უპასუხა. მაშინ მე ბრაზით წამოვიძახე: „მაშ, რად გვინდა იუსტიციის კომისარიატი? მოდით მას პირდაპირ *სოციალური განადგურების კომისარიატი* დავარქვათ და ამით დავამთავროთ!" ლენინს უეცრად სახე გაუნათდა და მიპასუხა: „კარგი

[1] Крицман, Лев Натáнович. Героический период великой русской революции. Москва, 1926. გვ. 166.

ნათქვამია... ის სწორედ ამას უნდა აკეთებდეს... მაგრამ ჩვენ ამას ვერ ვიტყვით[1]".

ეკონომიკური კატასტროფის ყველაზე ტრაგიკული ასპექტი საკვების წარმოების შემცირება იყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომუნისტები, სხვა მარქსისტების მსგავსად, გლეხობას petit bourgeois კლასად და, როგორც ასეთებს, ინდუსტრიული კლასის მტრებად განიხილავდნენ – ეს იმის მიუხედავად, რომ რუსეთში ინდუსტრიული მშრომელების უმეტესობა სოფლიდან იყო ნამოსული და მასთან მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა. კომუნისტებმა სოფლის მოსახლეობას ომი ორი მიზეზის გამო გამოუცხადეს: ქალაქებისა და წითელი არმიისათვის საკვების ამოსაღებად და რეგიონებში საკუთარი ძალაუფლების გასამტკიცებლად, რომლებსაც ბოლშევიკური გადატრიალება მეტწილად არ შეხებია.

1918 წლის ზაფხულში მოსკოვმა დაიწყო კამპანია, რომლის მიზანიც სოფლებიდან მარცვლეულის ამოღება იყო, რისი მიყიდვაც გლეხებს მთავრობისთვის არარეალისტურად დაბალ ფიქსირებულ ფასებში არ სურდათ. ამ მიზნით სოფლად „ღარიბთა კომიტეტები" შეიქმნა, ერთგვარი სოფლური მეხუთე კოლონები, რომლებიც ამოღებული მარაგის წილის სანაცვლოდ, მთავრობასთან იმ მდიდარი გლეხების (კულაკების) წინააღმდეგ თანამშრომლობდნენ, რომლებიც საკვების დამალვაში იყვნენ ეჭვმიტანილები. ამავდროულად, მოსკოვმა სოფ-

---

[1] Steinberg, Isaac Nachman. *In the Workshop of the Revolution.* London, Gollancz, 1955. გვ. 145.

ლებში ქალაქელი ბანდიტების შეიარაღებული რაზმები გააგზავნა „ზედმეტის" შესაგროვებლად. ამის შედეგი იყო მუდმივი შეტაკებები გლეხებსა, რომელთაგან ბევრი დემობილიზებული სამხედრო იყო, და საკვების შემგროვებელ შენაერთებს შორის. ქვეყნის დიდი ნაწილი სამოქალაქო ომის ცეცხლში იყო გახვეული, რომელიც წითელი არმიისა და თეთრების დაპირისპირებაზე სასტიკი იყო. ლენინი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებას დაპირისპირებულ ნებისმიერ გლეხს კულაკად რაცხდა, ბობოქრობდა და ფართომასშტაბიანი პოგრომებისკენ მოუწოდებდა. შემდეგი ორი ტექსტი, რომლებიც 1918 წლის აგვისტოთი თარიღდება, მისი დირექტივების მაგალითია. პირველი ამონარიდია მისი სიტყვიდან, რომელიც მან მშრომელების წინაშე წარმოთქვა, მეორე კი – საიდუმლო ბრძანების ნაწილი, რომელიც მან პენზის ოლქის კომუნისტ მმართველებს გაუგზავნა:

> „კულაკს შეშლილივით ეზიზღება საბჭოთა მმართველობა და მზად არის გაგუდოს და აკუწოს ასიათასობით მშრომელი... ან კულაკები ამოხოცავენ მშრომელთა უსაზღვრო რაოდენობას, ან მშრომელები უმოწყალოდ გაანადგურებენ თაღლითი უმცირესობის აჯანყებას მშრომელთა ხელისუფლების წინააღმდეგ... კულაკები ექსპლუატატორთა შორის ყველაზე მხეცები, უხეშები და ველურები არიან... ეს სისხლისმწოველები ომის დროს ხალხის საჭიროებებზე გამდიდრდნენ... ეს ობობები ომისგან გაღატაკებული გლეხებისა და მშიერი მუშების ხარჯზე მოსუქდნენ. ეს წურბლები მშრომელთა სისხლს წოვდნენ და მით უფრო მდიდრდებოდნენ, რაც უფრო იმშეოდა მუშა ქა-

ლაქებსა და ქარხნებში. ეს ვამპირები ხელთ იგდებდნენ და დღესაც იგდებენ მემამულეების მინებს და გამუდმებით იმონებდნენ ღარიბ გლეხებს. უმოწყალო ომი ამ კულაკების წინააღმდეგ! სიკვდილი მათ[1]".

„ამხანაგებო! ხუთი კულაკური რაიონის აჯანყება უმოწყალოდ უნდა იქნას ჩახშობილი. *მთელი* რევოლუციის ინტერესი მოითხოვს ამას, ვინაიდან ახლა *ყველგან* „გადამწყვეტი ბრძოლა" მიმდინარეობს კულაკების წინააღმდეგ. მაგალითი უნდა იქნას ნაჩვენები.

1) ჩამოახრჩვეთ (აუცილებლად ჩამოახრჩვეთ, *რათა ხალხმა დაინახოს*) *სულ მცირე ასი* ცნობილი კულაკი, მდიდარი, სისხლისმსმელი.
2) გამოაქვეყნეთ მათი სახელები.
3) ჩამოართვით მათ *მთელი* მარცვლეული.
4) აიყვანეთ ტყვეები – გუშინდელი ტელეგრამის მიხედვით.

ეს ისე ქენით, რომ ასობით ვერსტის[2] გარშემო ადამიანებმა დაინახონ, თრთოდნენ, იცოდნენ, იყვირონ: ახრჩობენ და ჩამოახრჩობენ სისხლისმსმელ კულაკებს.

გაგზავნეთ ტელეგრაფით და აღასრულეთ.

თქვენი ლენინი.

პ. ს. მონახეთ *ნამდვილად მტკიცე* ხალხი[3]".

---

[1] Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. vol. 37, Москва, 1958-65. გვ. 39-41.

[2] რუსული მანძილის საზომი ერთეული. ერთი ვერსტი აღნიშნავს 1,06 კილომეტრს.

[3] Pipes, Richard. *The Unknown Lenin: From the Secret Archive.* Edited by David Branderberger, translated by Catherine A. Fitzpatrick, New Haven, CT, Yale University Press, 1996. გვ. 50.

ამ ტერორზე გლეხების, – როგორც ღარიბების, ასევე მდიდრების, – პასუხი, კონფისკაციას დაქვემდებარებული „ნამატის“ შემცირების მიზნით, თესვის ფართობის შემცირება იყო. ამავდროულად, სატვირთო ცხენების ნაკლებობამ, რომლებიც სამოქალაქო ომისთვის გამოიყენებოდა, მოსავალი შეამცირა. შედეგად, მარცვლეულის მოსავლის მოცულობა 1920 წელს, 1913 წელს არსებული 78.2 მილიონი ტონიდან 48.2 მილიონამდე დაეცა.

1921 წლის გაზაფხულზე ყველა ის პრობლემა გამწვავდა, რომელიც ლენინის მთავრობამ საკუთარ თავს დამართა, საკუთარი განმარტებითვე მეტისმეტად კონტრრევოლუციური ქვეყნისთვის კომუნიზმის თავსმოხვევის მცდელობის გამო. იანვარში პეტროგრადთან ახლოს მდებარე კრონშტადტის საზღვაო ბაზა, რომელიც ადრე ბოლშევიზმის ბასტიონი იყო, აჯანყდა და ერს კომუნისტური ტირანიის დასრულებისკენ მოუწოდა. ამავდროულად, პეტროგრადში საკვების დეფიციტის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი გაფიცვები დაიწყო. გლეხთა დიდი აჯანყება ძალას იკრებდა ტამბოვის გუბერნიაში.

ლენინმა დაუმორჩილებლობის ეს აქტები ყველაზე უხეში სამხედრო საშუალებებით უყოყმანოდ ჩაახშო და მომწამვლელი გაზიც კი გამოიყენა. მაგრამ მან, თავისდა სამწუხაროდ, დაასკვნა, რომ ძალადობა არ იყო საკმარისი. 1921 წლის გაზაფხულზე, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (ნეპი) შემოღების შესახებ განაცხადა, რომლის მთავარი პუნქტი საკვების ძალადობრივად ამოღებაზე ხელის აღება იყო: გლეხები ამიერიდან გა-

დასახადს ნატურით გადაიხდიდნენ და მათ ნამატის ღია ბაზარზე გაყიდვის ნება ეძლეოდათ. მთავრობამ თანხმობა განაცხადა სამომხმარებლო საქონლის მცირე მოცულობით ვაჭრობასა და მათ კერძო წარმოებაზეც. თუმცა მან კონტროლი შეინარჩუნა იმაზე, რასაც ის ეკონომიკის „სამართავ სიმაღლეებს"[1] უწოდებდა, კერძოდ, ძირითად ინდუსტრიებზე, საერთაშორისო ვაჭრობაზე, საბანკო საქმეზე, კომუნიკაციის საშუალებებსა და ტრანსპორტზე.

ეს დათმობები დაგვიანებული აღმოჩნდა, რათა საშინელი შიმშილი აეცილებინათ თავიდან. იმაზე უარესი, ვიდრე რომელიმე ევროპულ ქვეყანას ოდესმე განუცდია. გვალვით დაწყებულმა შიმშილმა 5.2 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და ის კიდევ უფრო გამაჩანაგებელი იქნებოდა, რომ არა „ამერიკის დახმარების ადმინისტრაცია", ორგანიზაცია, რომელსაც მომავალი ამერიკის პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი ხელმძღვანელობდა და რომელმაც 25 მილიონი ადამიანი გამოკვება.

ნეპის პერიოდის გამოჯანსაღებამ განსაცვიფრებელი შედეგი აჩვენა. 1928 წლისთვის, რუსეთის მარცვლეულის წარმოებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომელიც მას 1913 წლის შემდეგ არ ენახა.

რუსეთში და მის გარეთ ბევრს სჯეროდა, რომ ნეპი კომუნიზმის იდეის უარყოფას ნიშნავდა. „რუსეთის თერმიდორზეც" კი დაიწყეს საუბარი, რაც მინიშნება იყო 1794 წელს საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებზე, რომლებსაც იაკობინელი ლიდერების დამხობა და

---

[1] საომარი მოქმედების დროს სამეთაურო შტაბის განთავსების შემაღლებული ადგილი.

მათი სიკვდილით დასჯა მოჰყვა. მაგრამ ანალოგია შეუსაბამო იყო: უპირველეს ყოვლისა – იმიტომ, რომ რუსი იაკობინელები მყარად ინარჩუნებდნენ ძალაუფლებას; მეორე მხრივ – იმიტომ, რომ ისინი თავიანთ დათმობებს მხოლოდ დროებით ამოსუნთქვად განიხილავდნენ. და ეს ასეც იყო.

–

ბოლშევიკებმა რუსეთში ძალაუფლება მხოლოდ იმიტომ ჩაიგდეს ხელში, რომ ამის შანსი მიეცათ. მათ მის საზღვრებში დარჩენა არ სურდათ, ვინაიდან დარწმუნებული იყვნენ, რომ მათი რევოლუცია მსოფლიო კაპიტალიზმის ერთიანი ძალებით განადგურდებოდა, თუკი ის სწრაფად არ გადაედებოდა დასავლეთის ინდუსტრიულ ქვეყნებს. ლენინმა ეს საკითხი უხეშად ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით, რომ შეუძლებელია მხოლოდ ერთ ქვეყანაში იქნას მიღწეული ისეთი ამოცანა, როგორიც სოციალისტური რევოლუციაა"[1]. 1920 წელს წარმოთქმულ სიტყვაში მან ერთმნიშვნელოვნად ჩამოაყალიბა რუსეთის რევოლუციის საგარეო განზომილება:

> „[1917 წლის ნოემბერში] ჩვენ ვიცოდით, რომ ჩვენი გამარჯვება მტკიცე იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი საქმე მთელ მსოფლიოს დაიპყრობს, ვინაიდან

[1] Латышев, Анатолий Георгиевич. Рассекреченный Ленин. Москва, Март, 1996. გვ. 40.

ჩვენ ის სწორედ მსოფლიო რევოლუციაზე გათვლით ნამოვინყეთ[1]".

თუმცა ისე მოხდა, რომ კომუნისტური მთავრობა, რომელიც მის საზღვრებში უკიდურესად კონსერვატორული იყო და ქვემოდან წამოსულ ინიციატივებს ვერ ჰგუობდა, საზღვარგარეთ, და მხოლოდ საზღვარგარეთ რადიკალურად იქცეოდა და სწორედ იმ მასებს ეყრდნობოდა, რომლებსაც სახლში ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდა.

კომუნიზმის საზღვარგარეთ გავრცელების სერიოზული მცდელობები პირველი მსოფლიო ომის ბოლოსკენ დაიწყო, დამარცხებული ცენტრალური ძალების რიგებში. 1919 წლის იანვარში მოსკოვმა გერმანიაში ამბოხება წააქეზა, რომელიც მალევე ჩაახშეს. კომუნისტებს ოდნავ მეტი წარმატება ჰქონდათ უნგრეთში, სადაც მათმა მთავრობამ 1919 წლის ნახევრის განმავლობაში შეძლო ძალაუფლების შენარჩუნება და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საბჭოთა რუსეთი რუმინული არმიის თავდასხმისგან დაცვას დაჰპირდა. როდესაც რუსეთმა ვერ შეძლო ამ დაპირების შესრულება, მისი მარიონეტული რეჟიმი დაემხო. ყველა სხვა მსგავს მცდელობას, მაგალითად ავსტრიაში, სული ჯერ კიდევ დაწყებამდე ამოხდა.

საზღვარგარეთ კომუნიზმის გავრცელებასთან დაკავშირებული ყველაზე დიდი იმედგაცრუება ლენინმა 1920 წელს იწვნია. ამ წლის აპრილში პოლონეთი, რო-

---

[1] Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. vol. 42, Москва, 1958-65. გვ. 1.

მელსაც ძლიერი და იმპერიალისტური რუსეთის ხელმეორე აღზევების შეჩერება სურდა, უკრაინელ ნაციონალისტებს შეეკრა და საბჭოთა უკრაინაში შეიჭრა, მისი რუსეთისგან მოწყვეტის მიზნით. ამან ვერ შეძლო უკრაინაში აჯანყების ინიცირება და პოლონეთის არმიას მალე უკან დახევა მოუნია.

როდესაც წითელი არმია ეთნიკური პოლონეთის საზღვრებს მიუახლოვდა, პოლიტბიურო, კომუნისტური პარტიის მმართველი ორგანო, არჩევანის წინაშე დადგა, გაჩერებულიყო თუ დასავლეთით განეგრძო სვლა. მოსაზრებები გაიყო, მაგრამ ლენინმა შეტევითი ოპერაციების წარმოება დაიჩემა და როგორც აქამდე ყოველთვის ხდებოდა, თავისი გაიტანა. ის დარწმუნებული იყო, რომ გერმანიაშიც და ინგლისშიც მომწიფებული იყო რევოლუცია, რომელიც მათ საზღვრებთან კომუნისტური სამხედრო ძალების გამოჩენისთანავე იფეთქებდა. 1920 წლის ზაფხულში წითელი არმია, რომელსაც პოლონური წარმოშობის საბჭოთა კომისრები ახლდნენ თან, პოლონეთში შეიჭრა. ის ავრცელებდა მოწოდებებს, რომ პოლონელ მშრომელებსა და გლეხებს ბურჟუაზიისა და მემამულეების საკუთრება მიეტაცებინათ – ეს იყო მოწოდება, რომელიც რუსეთში ძალიან ეფექტურად მუშაობდა. მაგრამ, ყველა კლასის პოლონელი ახლად მოპოვებული პოლონური სუვერენიტეტის დასაცავად გამოვიდა. ვარშავისთვის ბრძოლაში, თანამედროვე ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე გადამანყვეტ ბრძოლაში, მათ საბჭოთა არმია უკუაგდეს და გაანადგურეს.

ლენინი ამ შედეგის გამო ბრაზს ვერ მალავდა. „წითელ არმიაში მათ მტერი დაინახეს და არა ძმები და განმათავისუფლებლები", – წუწუნებდა ის.

„ისინი განიცდიდნენ, ფიქრობდნენ და მოქმედებდნენ არა სოციალური ან რევოლუციური კატეგორიებით, არამედ ნაციონალისტებივით და იმპერიალისტებივით. რევოლუცია პოლონეთში, რომელზეც ჩვენ იმედს ვამყარებდით, ვერ შედგა. მშრომელებმა და გლეხებმა ... დაიცვეს მათი კლასობრივი მტერი, მათ დაამშიეს ჩვენი მამაცი წითელარმიელები, რომლებსაც უსაფრდებოდნენ და სიკვდილამდე სცემდნენ[1]".

ერთი დასკვნა, რომელიც მან ამ გამოცდილებიდან გამოიტანა იყო ის, რომ წითელი არმია, როგორც რევოლუციის ინსტრუმენტი, აღარასდროს უნდა გამოეყენებინათ საზღვარგარეთ. ამის ნაცვლად, ადგილობრივ ძალებს უნდა გაზრდოდა ფინანსური და სხვა ტიპის დახმარება.

მეორე, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გაკვეთილი, რომელიც ლენინმა პოლონური კატასტროფიდან ისწავლა, იყო ის, რომ საზღვარგარეთ რევოლუციის გავრცელებისთვის ყველაზე კარგი შანსი კიდევ ერთი მსოფლიო ომის წაქეზება იქნებოდა. ამ ომში საბჭოთა რუსეთი ნეიტრალური დარჩებოდა და მხოლოდ მაშინ ჩაერთვებოდა, როდესაც მეომარი მხარეები გამოიფიტებოდნენ. ამ მიზნით, 1921 წელს, მოსკოვმა გერმანიასთან საიდუმლო თანამშრომლობა დაიწყო.

---

[1] Zetkin, Clara. Reminiscences of Lenin (London, 1929). გვ. 20.

3.

სტალინი
და
მის
შემდეგ

ლენინის ჯანმრთელობის მდგომარეობა 1922 წლის მაისში გაუარესდა, როდესაც მან პირველი ინსულტი გადაიტანა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინს გერმანელი სპეციალისტების გუნდი მკურნალობდა, გაუმჯობესება არ იგრძნობოდა და ამის გამო მას საკუთარი პოლიტიკური პასუხისმგებლობების თანმიმდევრულად დათმობა მოუწია. უკანასკნელ დღეებში, მას წარუმატებლობის განცდა ტანჯავდა: ის თავის თანამებრძოლებზე და სინამდვილეში რუს ხალხზე იყო გაბრაზებული, რომლებმაც ვერ შეძლეს იმ დიადი მიზნის შესაბამის სიმაღლეზე ყოფნა, რომელიც მათ ისტორიამ დააკისრა.

ამ განწყობით ეძებდა ის მტრებს, რომლებმაც მისი გეგმები ჩაშალეს. ერთ მშვენიერ დღეს ისინი ინტელექტუალები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მისი დიქტატურა მტკიცედ უარყვეს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის აქტიური წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. 1922 წლის ივლისში მან დაავალა სტალინს, რომ მას საბოლოოდ გაენადგურებინა ყველა სოციალისტ-რევოლუციონერი...

„ყველანი – გაეთრიონ რუსეთიდან ... დააკავეთ რამდენიმე ასეული მათგანი და *მიზეზების ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე* – „მიბრძანდით ბატონებო!" მისი მითითებების მიხედვით პოლიციამ ასეულობით ეკონომისტი, ფილოსოფოსი და სხვა მეცნიერი დააკავა, რომლებიც სოციალისტ-რევოლუციონერებს, მენშევიკებს და ლიბერალურ პარტიებს მიეკუთვნებოდნენ, ყველანი გემებზე ასხა და დასავლეთ ევროპაში იძულებით გადასახლებაში გაგზავნა.

მომდევნო დღეს ეს იყო მართლმადიდებელი ეკლესია. 1922 წლის გაზაფხულზე, როდესაც საბჭოთა რუსეთი შიმშილის აგონიაში იყო, ლენინმა მიიჩნია, რომ ორი მიზნის მიღწევის უნიკალური შესაძლებლობა ჩაუვარდა ხელში: მშიერთა დაპურების საბაბით ეკლესიის ქონების მისაკუთრება და ეკლესიის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში (რაც დიდი ალბათობით მოხდებოდა) მოსახლეობისათვის მისი უგულობის ჩვენება. ის პოლიტბიუროს სწერდა:

> „ზუსტად ახლა და მხოლოდ ახლა, როდესაც დამშეულ რეგიონებში ხალხი ადამიანის ხორცს ჭამს და ადამიანის ასობით, თუ არა ათასობით გვამით სავსეა ქუჩები, არის დრო, როცა შეგვიძლია (და ამიტომ უნდა გავაკეთოთ კიდეც) ეკლესიის ქონების ყველაზე უხეში და უმოწყალო მეთოდებით კონფისკაცია... და ამგვარად რამდენიმე ასეული მილიონი ოქროს რუბლის ოდენობის შემოსავლის მიღება[1]".

---

[1] Pipes, Richard. *The Unknown Lenin: From the Secret Archive.* Edited by David Branderberger, translated by Catherine A. Fitzpatrick, New Haven, CT, Yale University Press, 1996. გვ. 152-153.

ამგვარად, კონფისკებული ქონება შიმშილის დაძლევას კი არა, საბჭოთა მთავრობის საჭიროებებს მოხმარდა.

1923 წლის მარტში ლენინს ძლიერი ინსულტი დაემართა, რომელმაც მას მეტყველების უნარი წაართვა. რვა თვის შემდეგ ის მოკვდა. პარტია მის შესაცვლელად წინასწარ არ მომზადებულა. რამდენადაც ის არავისთან ანგარიშვალდებული არ ყოფილა, მას უწყვეტობის შენარჩუნება მხოლოდ კოოპტაციით შეეძლო. გაჩენილი სიცარიელე გენერალურმა მდივანმა, იოსებ სტალინმა შეავსო. ვინაიდან ის თავის საჯარო განცხადებებში მოკრძალებული, ხოლო ხასიათით ხალისიანი იყო, და რადგან არაფერი მიანიშნებდა მის სადისტურ და პარანოიდულ ბუნებაზე, მან დიდი პოპულარულობა მოიპოვა პარტიის რიგით წევრებში. ამიტომაც 1919 წლის მარტში პარტიის ცენტრალური კომიტეტის (საიდუმლო) კენჭისყრაში, მან (ნიკოლოზ ბუხარინთან ერთად), ლენინის გამოკლებით, სხვა კანდიდატებზე მეტი ხმა მიიღო. იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ტროცკიმ, რომელიც ლენინის მემკვიდრედ მიიჩნეოდა.

სტალინი ჯერ კამენევს და ზინოვიევს, ტრიუმვირატის სხვა წევრებს შეეკრა, რომელიც პარტიას ლენინის ავადმყოფობის დროს მართავდა, რათა საერთო მოწინააღმდეგე, ტროცკი მოეშორებინათ თავიდან. ცილისწამებით, მისი მხარდამჭერების დამცირებითა და სხვა ულირსი მეთოდებით, მათ ტროცკის თანამდებობები ჩამოართვეს, გარიცხეს პარტიიდან და შემდეგ აიძულეს, ჯერ ცენტრალურ აზიაში გახიზნულიყო, ხოლო საბოლოოდ, 1929 წელს, საზღვარგარეთ წასული-

ყო, სადაც 1940 წელს, სტალინმა ის დაკვეთით მოაკვლევინა. ამის შემდეგ სტალინი კამენევს და ზინოვიევს მიუბრუნდა და ისინი პოლიტბიუროდან გაათავისუფლა. მისი მსხვერპლების უნარი, წინააღმდეგობა გაეწიათ შეთითხნილი ბრალდებებისათვის, საბოლოოდ შესუსტებული იყო, მათ მიერვე აღიარებული პრინციპის გამო, რომ „პარტია ყოველთვის მართალია".

მიუხედავად იმისა, რომ ტროცკის გადასახლებაში ძალიან მოსწონდა საკუთარი თავის ლენინის ფავორიტად წარმოჩენა, ხოლო სტალინის – ისეთ კაცად, რომელიც ლენინს ეზიზღებოდა, სინამდვილეში გენერალური მდივანი იყო საბჭოთა რუსეთის დამფუძნებლის ერთგული მიმდევარი და კანონიერი მემკვიდრე. ლენინის სიკვდილიდან ერთ ან ორ წელში, სტალინი უკვე ცალსახად პარტიის ხელმძღვანელი იყო: როგორც კი გაიმყარა ძალაუფლება, ის მზად იყო, გაეგრძელებინა კომუნიზმისკენ მსვლელობა, რომელიც 1921 წელს ნეპის შემოღებით შეფერხდა. მას სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ამოცანა ჰქონდა დასახული: ძლიერი ინდუსტრიული საფუძვლის აშენება, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და მთელი ერის სრული დამორჩილება. ამბიციურმა მიზნებმა ქვეყანაში, რომელიც ძლივს გამოდიოდა პირველი მსოფლიო ომის, რევოლუციისა და სამოქალაქო ომის ქარცეცხლისაგან, კრიზისი გამოიწვია. მაგრამ სტალინს ეს არ ადარდებდა, ვინაიდან კომუნისტური რეჟიმები სწორედ კრიზისებზე ყვაოდნენ.

> „მხოლოდ კრიზისი აძლევდა ხელისუფლებას საშუალებას, რომ მოეთხოვა – და მოეპოვებინა – მისი მოქალაქეების სრული მორჩილება და მათ მიერ ყველა

აუცილებელი მსხვერპლის გაღება. სისტემას მიზნის მისაღწევად და მომავალი თაობების ბედნიერებისთვის მსხვერპლშენირვები და მსხვერპლი სჭირდებოდა. კრიზისმა საშუალება მისცა სისტემას, აეშენებინა ხიდი უტოპიური პროგრამების გამოგონილ სამყაროსა და რეალობის სამყაროს შორის[1]".

როდესაც სტალინის გარდაცვალების შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა სტაბილურობის მიღწევა სცადეს, მაშინ დაიწყო დაღმასვლა, ვინაიდან მოქალაქეები ვეღარ ხედავდნენ მათგან მოთხოვნილი მსხვერპლის გამართლებას.

–

ნეპის უკუგდება 1925 წლის დეკემბერში დაიწყო, როდესაც პარტიის ყრილობამ იძულებითი ინდუსტრიალიზაციის ამბიციური პროგრამის განხორციელება გადაწყვიტა. და ინდუსტრიალიზაცია, მიზეზების გამო, რომელთა შესახებაც მოგვიანებით ვისაუბრებთ, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას გულისხმობდა. ვინაიდან ორივე მიზანი უდიდესი სირთულეების დაძლევას მოითხოვდა, აუცილებელი იყო მოწინააღმდეგეთა დადუმება. ამგვარად, სტალინიზმი მთლიანობას იძენდა და ის მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებოდა, თუკი ყველა მისი ელემენტი ხელუხლებელი დარჩებოდა.

---

[1] Heller, Mikhail, and Aleksandr Moiseevich Nekrich. *Utopia in Power: The History of the Soviet Union from 1917 to the Present*. New York, Summit Books, 1986. გვ. 201.

დავიწყოთ ინდუსტრიალიზაციით: ის, რომ სოციალისტური საზოგადოება ინდუსტრიულ საფუძველზე უნდა იდგეს, მარქსისტ-ლენინისტური აქსიომა იყო, და რამდენადაც რუსეთის ინდუსტრიებს ჯერ კიდევ შედარებით ჩანასახოვანი ფორმა ჰქონდა, აუცილებელი იყო საფუძვლის ნულიდან აშენება. ამ მიზნის მიღწევის შემდეგ საბჭოთა კავშირი მსოფლიო დონის ეკონომიკას მიიღებდა, რაც მას თავის კაპიტალისტ მოწინააღმდეგეებთან თანაბარ პირობებში ბრძოლის საშუალებას მისცემდა. ეს საკითხი არც კი განიხილებოდა, თუმცა ინდუსტრიალიზაციის ტემპმა პარტიის უმაღლეს ეშელონებში დაპირისპირება გამოიწვია, ვიდრე სტალინმა ყველა არ დაადუმა და ადამიანური მსხვერპლის გაუთვალისწინებლად უსწრაფესი ტემპით არ შეუდგა საქმეს.

იძულებით ინდუსტრიალიზაციას სხვა მიზეზიც ჰქონდა, რომელსაც იმ დროს და მას შემდეგაც იშვიათად ახსენებენ ხოლმე, და ეს კიდევ ერთი მსოფლიო ომისთვის მომზადება იყო. 1927 წლის დეკემბერში სტალინმა გამოაცხადა, რომ „იმპერიალისტები" სსრკ-ს წინააღმდეგ ახალი ომისთვის და სამხედრო ინტერვენციისთვის იარაღდებოდნენ. ამ (წარმოსახვით) საფრთხეს რომ გამკლავებოდა, საბჭოთა კავშირს უზარმაზარი თავდაცვის ინდუსტრია ესაჭიროებოდა. და მართლაც, მთელი საბჭოთა ინდუსტრია დასაბამიდანვე სამხედრო საჭიროებებისთვის იყო აგებული.

პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომელიც 1929 წელს დამტკიცდა და რომელმაც მთელი ეროვნული ეკონომიკა ცენტრალურ მართვას დაუქვემდებარა, ძირითად კაპიტალს ეხებოდა: ფოლადი და რკინა, ქვანახში-

რი, ნავთობი, მძიმე ტექნიკა. ცენტრალური დაგეგმვის ორგანიზაციის მიერ აბსოლუტურად არარეალისტური საწარმოო მიზნების მიღწევა კიდევ უფრო მიუღწეველი გახდა სტალინის მიერ 1931 წელს გამოცემული ბრძანების შემდეგ, რომლის თანახმადაც გეგმა სამ წელიწადში უნდა შესრულებულიყო. 1932 წლისთვის, ძირითადი ინდუსტრიული მაჩვენებლები, გასამმაგების ნაცვლად, მხოლოდ გაორმაგდა. იგივე დაემართა ინდუსტრიულ სამუშაო ძალასაც, რომელიც 3 მილიონიდან 6,4 მილიონამდე გაიზარდა.

მთავრობამ „სოციალიზმის მშენებლობისთვის" ენთუზიაზმის გაზრდა იმ დაპირებით შეძლო, რომ ის საგრძნობლად გაზრდიდა ცხოვრების დონეს. მაგრამ ეს იყო დაპირება, რომელიც მომხმარებელს საერთოდ არ შეხებია. სინამდვილეში, ცხოვრების დონე ერთიანად დაეცა, ვინაიდან ინდუსტრიალიზაციის დაფინანსება ხელფასების მინიმუმამდე დაყვანას მოითხოვდა. 1933 წელს მშრომელთა რეალური შემოსავალი იმის მეათედი იყო, რაც მათ ინდუსტრიალიზაციის გარიჟრაჟზე (1926-1927 წლებში) ჰქონდათ. საბჭოთა კავშირის ეკონომიკის სპეციალისტის, ალეკ ნოვეს მიხედვით, „1933 წელს, მსოფლიო ისტორიის განმავლობაში მშვიდობიან პერიოდში ცხოვრების დონის ყველაზე მკვეთრი ვარდნა დაფიქსირდა".[1]

პროდუქტიულობის წასახალისებლად, სტალინმა ნაქეზების ტრადიციულ კაპიტალისტურ მეთოდს მიმართა. 1931 წელს ის თავს დააცხრა „ეგალიტარიზმის" „ულტრა მემარცხენე" პრინციპს, რაც მშრომელებისთვის

---

[1] Nove, Alec. *An Economic History of the U.S.S.R.* Allen Lane, 1969. გვ. 208.

თანაბარი ანაზღაურების გადახდას გულისხმობდა, მათი კვალიფიკაციის მიუხედავად. მან ეს იმით ახსნა, რომ ის არაკვალიფიცირებულ მშრომელს უნარების შეძენის სურვილს არ უჩენდა, მაშინ როდესაც დახელოვნებული მშრომელი სამსახურს ხშირად იცვლიდა, სანამ ისეთს არ იპოვიდა, სადაც მისი ნიჭი შესაბამისად დაფასდებოდა; ორივე აზარალებდა წარმადობას. შესაბამისად, ახალი სახელფასო სქემა დიდად განასხვავებდა ერთმანეთისგან ყველაზე ნაკლებად და ყველაზე მეტად გაწაფულ მშრომელებს.

ინდუსტრიალიზაციისთვის ფინანსები სხვადასხვა წყაროდან მოდიოდა, მათ შორის, ბანკნოტების ბეჭდვიდან, ბრუნვის გადასახადისგან აკრეფილი შემოსავლიდან და საკვებისა და ხელოვნების ნიმუშების ექსპორტიდანაც კი.

თუმცა, მისი უდიდესი ნაწილი იძულებით იყო ამოღებული გლეხებისგან, რომლებიც გათავისუფლებიდან სამოცდაათი წლის შემდეგ კვლავ ყმებად იქცნენ. „მასობრივი კოლექტივიზაციის" დაწყების მტკიცე გადაწყვეტილება 1929 წლის შუაში მიიღეს. სტალინის სიტყვებით, აუცილებელი გახდა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შიდა დაგროვების დახმარებით მომხდარიყო. ამით იგულისხმებოდა, რომ გლეხებს ინდუსტრიული სამუშაო ძალა და შეიარაღებული ძალები მინიმალური საფასურის სანაცვლოდ უნდა მოემარაგებინათ საკვებით. თუმცა, კოლექტივიზაციის თანმდევი პროპაგანდა სოფლად მყოფი „ექსპლუატატორების" განადგურების მნიშვნელობას უსვამდა ხაზს, რათა ყურადღება იმ

ფაქტისგან გადაეტანა, რომ კოლექტივიზაციის ურიცხვ მსხვერპლს შორის ყველაზე მეტი ჩვეულებრივი გლეხი იყო.

კოლექტივიზაცია თავის თავში ორ პროცესს მოიცავდა. ერთი იყო „კულაკების, როგორც კლასის განადგურება", სხვა სიტყვებით, როგორც ადამიანების განადგურება; მეორე იყო გლეხთა კომუნების, ისევე როგორც გლეხთა დამოუკიდებლობის ნებისმიერი გამოვლინების განადგურება. გლეხებს თავი მოუყარეს კოლექტიურ მეურნეობებში (კოლხოზებში), სადაც ისინი საკუთარი თავისთვის კი არა, სახელმწიფოსთვის მუშაობდნენ. ეს იყო ზემოდან ქვემოთ წარმოებული უპრეცედენტო რევოლუცია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის სამი მეოთხედის სახელმწიფოს მსახურის სტატუსამდე დაყვანას გულისხმობდა.

კულაკებს (ეს ცნება მოიცავდა, როგორც შეძლებულ გლეხებს, ასევე მათ, ვინც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კოლექტივიზაციას) ჩამოართვეს მთელი ქონება და ან მძიმე შრომით ბანაკებში გაამწესეს, ან ოჯახებთან ერთად ციმბირში გადაასახლეს. ოფიციალური მონაცემებით, 1930 და 1931 წლებში 1,803,392 ადამიანს შეეხო ამ სადამსჯელო ღონისძიებიდან ერთ-ერთი მაინც. ნავარაუდებია, რომ მათი 30 პროცენტი, ვინც სიკვდილით დასჯას გადაურჩა, სიცივისაგან ან შიმშილისაგან დაიღუპა[1]. დაახლოებით, 400,000-მა გადარჩენილმა, დროთა

[1] Courtois, Stéphane, et al. *The Black Book of Communism: Crimes, Terror, Repression.* Edited by Mark Kramer and Stéphane Courtois, translated by Stéphane Courtois, et al., Harvard University Press, 1999. გვ. 153, 155.

განმავლობაში გაქცევა და ქალაქებსა და ინდუსტრიულ ცენტრებში მეტ-ნაკლებად უსაფრთხო საცხოვრებლის პოვნა მოახერხა.

„საშუალო" და „ღარიბმა" გლეხობამ ასევე დაკარგა ყველაფერი, რაც ებადა, მათ შორის, ხელსაწყოები და საქონელი – ან რაც კი ამ უკანასკნელისგან შემორჩა მას შემდეგ, რაც მის დათმობას დახოცვა არჩია; მთელი ეს საკუთრება კოლექტიურ მეურნეობებს გადაეცა. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნორმების შესასრულებლად, კოლექტივიზებულ გლეხებს მოეთხოვებოდათ, მინიმალური ხელფასისა და მარცვლეულის სანაცვლოდ წელიწადში განსაზღვრული დღეების რაოდენობა ემუშავათ; სახელმწიფო მეურნეობებს კაპიკებს უხდიდა, ხოლო მარცვლეულს მომხმარებელზე რუბლებში ჰყიდდა, რითაც რამდენიმე ასეული პროცენტის მოგებას ნახულობდა. გლეხები, რომლებიც ამ ნორმებს ვერ ასრულებდნენ, მშივრები რჩებოდნენ. მათ კი, ვინც სასოწარკვეთილებისაგან საკვებს იპარავდა, საშიში კრიმინალებივით ექცეოდნენ: 1932 წლის აგვისტოს ცნობილი განკარგულების მიხედვით, სიკვდილით ან ათწლიანი მძიმე შრომით ისჯებოდა „სოციალისტური [იგულისხმე: კომუნისტური პარტიის] საკუთრების ძარცვისა თუ დაზიანების ნებისმიერი შემთხვევა", და ეს რამდენიმე ღერო ხორბლის მოპარვასაც ეხებოდა. ამ კანონით, მომდევნო თექვსმეტი თვის განმავლობაში, 125,000 გლეხზე მეტი გასამართლდა, 5,400 მათგანს კი სიკვდილი მიესაჯა[1]. იმის გამო, რომ ერთადერთი ნაწარმი, რომელსაც გლეხები კოლექტიური მეურნეო-

[1] იქვე. გვ. 162.

ბიდან იღებდნენ, მარცვლეული იყო, მთავრობამ 1935 წელს ნება დართო კოლმეურნეობის გლეხებს, რომ მათ კერძო ნაკვეთები დაემუშავებინათ, დაახლოებით, ერთი აკრი[1] ერთ ოჯახზე, სადაც მათ ხილისა და ბოსტნეულის მოყვანა შეეძლოთ პირადი მოხმარებისთვის ან მთავრობის მეთვალყურეობაზე აყვანილი კოლმეურნეობის ბაზრებში გასაყიდად. მათ აგრეთვე უფლება დართეს, რომ ძროხები და მომცრო შინაური ცხოველები ჰყოლოდათ (მაგრამ არა ცხენები). ეს კერძო ნაკვეთები, ქვეყნის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტისა და ხორცის ნაწარმის, მათი ზომისთვის არაპროპორციულად დიდ წილს ქმნიდა.

კოლექტივიზაციამ გლეხები 1861 წლამდე არსებულ ბატონყმობაზე უარეს მდგომარეობაში ჩააგდო, ვინაიდან ყმა (თეორიულად თუ არა, პრაქტიკულად მაინც) თავის მოსავალსა და საქონელს ფლობდა. მისი ახალი სტატუსი მონის სტატუსი იყო, რომელიც საარსებო მინიმუმს იღებდა: 1935 წელს, ერთი გლეხის ოჯახი, კატორღული შრომის სანაცვლოდ, კოლმეურნეობისაგან წელიწადში 247 რუბლს იღებდა, რაც ერთი წყვილი ფეხსაცმლის ფასი იყო[2].

სტალინს უყვარდა თავის მოჩვენება, რომ კოლექტივიზაცია ნებაყოფლობით მიმდინარეობდა, მაგრამ სინამდვილეში მთავრობა ამისთვის უკიდურეს ძალადობას მიმართავდა. მან ჩერჩილს უთხრა, რომ კოლექტივიზაციის კამპანია, რომელიც სამი წელი გრძელდებოდა,

---

[1] ფართობის საზომი ერთეული. ერთი აკრი 4,047 კვადრატული მეტრის ტოლია.

[2] Nove, Alec. *An Economic History of the U.S.S.R.* Allen Lane, 1969. გვ. 243.

უფრო „სტრესული" იყო, ვიდრე მეორე მსოფლიო ომი. თუ ეს მისთვის ასეთი მძიმე იყო, ადვილი წარმოსადგენია, რა რთული იქნებოდა ის მისი მსხვერპლებისთვის. უკრაინაში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ყაზახეთში გლეხთა წინააღმდეგობის გასატეხად, სტალინმა 1932-1933 წლებში ამ ტერიტორიებიდან მთელი საკვები გამოზიდა, ხელოვნური შიმშილი გამოიწვია და შიგნით ჯარი განათავსა, რათა მოშიმშილე გლეხებისთვის საკვების მოძიების მიზნით მიგრაცია აღეკვეთა. სხვადასხვა დაანგარიშებით, ამ ხელოვნურ კატასტროფას 6-დან 7 მილიონ ადამიანამდე ემსხვერპლა[1]. ცენტრალურ აზიაში მომთაბარე ყაზახების წინააღმდეგობის დასაძლევად, რეჟიმმა განსაკუთრებულ სისასტიკეს მიმართა: მიიჩნევა, რომ ამ პროცესში ყაზახეთის მოსახლეობის ერთ მესამედამდე განადგურდა[2].

კოლექტივიზაციამ თავის მოკლევადიან მიზანს მიაღწია, რაც ინდუსტრიალიზაციის დიდი ნაწილის დაფინანსება იყო; გლეხებს საკვები ჩამოართვეს და ის ქალაქებსა და ინდუსტრიულ ცენტრებს გადაუნაწილეს. გრძელვადიან პერსპექტივაში, მისი შედეგები კატასტროფული იყო: მან გაანადგურა რუსეთის სოფლის მეურნეობა, ჯერ ყველაზე ალღოიანი გლეხების გადასახლებით და შემდეგ კოლმეურნეობის გლეხები-

---

1 Courtois, Stéphane, et al. *The Black Book of Communism: Crimes, Terror, Repression.* Edited by Mark Kramer and Stéphane Courtois, translated by Stéphane Courtois, et al., Harvard University Press, 1999. გვ. 159, 167.

2 Olcott, Martha Brill. „The Collectivization Drive in Kazakhstan". *The Russian Review*, vol. 40, no. 2, 1981, pp. 122-42. გვ. 122, 136.

სთვის იმ მიწაზე საკუთრების ჩამორთმევით, რომელთა მოსავალიც მათ აღარ ეკუთვნოდათ. რუსეთი, რომელიც რევოლუციამდე მარცვლეულის ერთ-ერთი მოწინავე ექსპორტიორი იყო, საკუთარ თავს ძლივსღა კვებავდა.

1934-1935 წლებისთვის ყველაზე უარესი უკვე ჩავლილი იყო, როდესაც საკვების რაციონიზაცია გაუქმდა და სტალინმა განაცხადა: „ცხოვრება უფრო უკეთესი გახდა, ამხანაგებო, ცხოვრება უფრო მხიარული გახდა". თუმცა, დიდი ხნით არა: რეჟიმს მორიგი კრიზისი სჭირდებოდა, რათა თავისი დესპოტური მმართველობა გაემართლებინა. მას, ამასთანავე, მტრები სჭირდებოდა. როგორც ეს კომუნისტური კუბის ლიდერმა, ფიდელ კასტრომ, რუსი მენტორებისგან განსხვავებით, მიკიბ-მოკიბვის გარეშე ახსნა: „რევოლუციას სჭირდება მტერი... რევოლუციას თავისი მსვლელობისთვის სჭირდება ანტითეზისი, რაც არის კონტრრევოლუცია".[1] და თუკი მტერი არ არსებობდა, ის უნდა გამოეგონებინათ.

1934 წელს გამოჩენილი ბოლშევიკი, ლენინგრადის პარტიის ხელმძღვანელი, სერგეი კიროვი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს; ირიბი მტკიცებულებების თანახმად, მკვლელობის დამკვეთი სტალინი იყო. კიროვი, ურყევი სტალინისტი, რომელიც მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე სტალინს, როგორც „ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელების გათავისუფლების დიდ სტრატეგს" განადიდებდა, პარტიის რიგებში დიდ პოპულარობას იძენდა, რაც სტალინს აღელვებდა. მისმა მკვლელობამ სტალინს ორი სარგებელი მოუტანა: თა-

---

[1] Draper, Theodore. *Castroism: Theory and Practice*. Pall Mall Press, 1965. გვ. 217-218.

ვიდან მოაშორა პოტენციური მოწინააღმდეგე და მისცა მიზეზი, რათა საკარაუდო ანტისაბჭოთა შეთქმულთა წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოეწყო, რომლის მსვლელობისას ის ლენინისგან მემკვიდრეობით დატოვებულ მაღალი რანგის კადრების თავიდან მოშორებას შეძლებდა. 1930-იანის ეგრეთ წოდებული წმენდები ტერორის კამპანია იყო, რომელსაც განურჩეველი სისასტიკისა და მსხვერპლთა რაოდენობის მხრივ, მსოფლიო ისტორიაში პარალელი არ მოეძებნება. ის სტალინის ზედმიწევნითი მეთვალყურეობით მიმდინარეობდა, მისი ადგილობრივი მმართველებისთვის მიცემული ინსტრუქციები ერთ მეთოდზე ამახვილებდა ყურადღებას: ურტყით მათ მანამ, სანამ არ აღიარებენ დანაშაულს, რომელიც არ ჩაუდენიათ.

ეს მითითება პრაქტიკაში რასაც ნიშნავდა, ამის შესახებ შეგვიძლია შევიტყოთ წერილიდან, რომელიც სტალინის ახლო თანამებრძოლს, ვიაჩესლავ მოლოტოვს ტერორის უთვალავი მსხვერპლიდან ერთ-ერთმა, ვსევოლოდ მეიერჰოლდმა, მისწერა. რუსეთის თეატრის წამყვანი რეჟისორი და კომუნისტი რეჟიმის ადრეული წლებიდანვე, 1939 წელს, ყოველგვარ მიზეზგარეშე „ხალხის მტრად" გამოაცხადეს და დააკავეს. ის წერდა:

> „გამომძიებლებმა ჩემზე ფიზიკური მეთოდების გამოყენება დაიწყეს, ისინი მირტყამდნენ. მე, სამოცდახუთი წლის მოხუც, ავადმყოფ ადამიანს. მათ პირქვე დამაწვინეს; რეზინის მათრახს მირტყამდნენ ტერფებსა და ზურგზე. როდესაც სკამზე ჩამოვჯექი, მათ იგივე მათრახი გამოიყენეს, რათა დიდი ძალით ერტყათ ზემოდან. მომდევნო დღეებში, როდესაც ფეხების ამ

ადგილებზე სისხლჩაქცევები გამიჩნდა, ისინი კვლავ იმავე მათრახით მირტყამდნენ ზუსტად ამ მოწითალო-მოლურჯო-მოყვითალო იარებზე და ტკივილი ისეთი იყო, თითქოს ისინი ამ მტკივან წყლულებზე ადუღებულ წყალს მასხამდნენ; მე კი ტკივილისგან ვყვიროდი და ვტიროდი. ისინი ამ რეზინს ზურგზე მირტყამდნენ; ხელის ძლიერი მოქნევით სახეში მცემდნენ... ისინი ამ ყველაფერს „ფსიქოლოგიურ შეტევასთან" აზავებდნენ. ერთმაც და მეორემაც ჩემში იმდენად დიდი შიში აღძრა, რომ ჩემი პიროვნება ძირფესვიანად გაშიშვლდა... იატაკზე გულდაღმა წოლისას, მე ვიკლაკნებოდი, ვიგრიხებოდი და იმ ძაღლივით ვყმუოდი, რომელსაც თავისი პატრონი ქამრით სცემს...

საწოლზე წამოვწექი და ჩამეძინა, ერთი საათის შემდეგ ყვირილისა და კრთომისგან, როგორც ეს სიცხისგან მომაკვდავ ადამიანს ახასიათებს, გამოღვიძებული კვლავ დაკითხვაზე წამიყვანეს, რომელიც ბოლოს თვრამეტ საათს გაგრძელდა.

„სიკვდილი (ო, რა თქმა უნდა!), სიკვდილი ამაზე ადვილია!" – ამას ეუბნებოდა საკუთარ თავს ერთ-ერთი ბრალდებული დაკითხვის დროს. ეს ვუთხარი მეც საკუთარ თავს. და მე ჩემი თავის დადანაშაულება დავიწყე იმ იმედით, რომ ეს მე ეშაფოტამდე მიმიყვანდა..."[1]

მას შემდეგ, რაც მან საკუთარი თავი ჯეროვნად ამხილა, ხელისუფლებამ მეიერჰოლდის თხოვნა შეისმინა და ის სიკვდილით დასაჯა.

---

[1] Мирек, Альфред. Красный мираж: палачи великой России. Можайск-Терра, 2006. გვ. 265-266.

დიდი ტერორი შეეხო როგორც პარტიის წევრებს, ასევე – რიგით მოქალაქეებს. ტერორის ზენიტში, 1937 და 1938 წლებში, სულ მცირე, ნახევარი მილიონი ადამიანი, რომელთა დიდი უმრავლესობაც კომუნისტური კრიტერიუმებითაც კი უდანაშაულო იყო, ტროიკების წინაშე წარდგა. ეს იყო ტრიბუნალი, რომელიც რეგიონული პარტიის მდივნის, პროკურორისა და ადგილობრივი საიდუმლო პოლიციის უფროსისგან შედგებოდა. სწრაფი პროცედურების შემდეგ, რომელიც რამდენიმე წუთზე მეტხანს არ გრძელდებოდა და რომელთა გადაწყვეტილების გასაჩივრება არ შეიძლებოდა, ბრალდებულს სიკვდილს, კატორღულ შრომას ან გადასახლებას უსჯიდნენ. არც პოლიტიკისგან თავის შეკავება და არც რეჟიმისადმი გულითადი ერთგულება არ იყო უსაფრთხოების გარანტი. დიდი ტერორის ზენიტში, პოლიტბიურომ საპოლიციო დანაყოფებს დაუწესა „კვოტები" და მიუთითა ის, თუ მათი რაიონის მოსახლეობის რამდენი პროცენტი უნდა დახვრეტილიყო და რამდენი პროცენტი უნდა გაგზავნილიყო ბანაკებში. მაგალითად, 1937 წლის 2 ივნისს, მან 35,000-იანი კვოტა დააწესა იმ პირებისა, რომლებიც მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში უნდა ყოფილიყვნენ „რეპრესირებულები", მათგან 5000 უნდა დაეხვრიტათ[1]. ერთი თვის შემდეგ პოლიტბიურომ ქვეყნის ყველა რეგიონს მისცა იმ ადამიანთა კვოტები, რომლებიც უნდა „შეერეკათ"; მათგან 70,000

[1] Taubman, William, et al. *Nikita Khrushchev*. New Haven, CT, Yale University Press, 2000. გვ. 200.

გაუსამართლებლად უნდა დაესაჯათ სიკვდილით[1]. დიდი ტერორის მსხვერპლთა დიდ პროცენტს ის ადამიანები შეადგენდნენ, რომელთაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ და რომლებიც ძნელად გასაკონტროლებელ და „საბოტაჟისკენ" მიდრეკილებად მიიჩნეოდნენ.

თუ რამდენად შეეხო წმენდა პარტიის ელიტას, ის ფაქტიც ცხადყოფს, რომ ცენტრალური კომიტეტის 139 წევრიდან და წევრობის კანდიდატიდან, ვინც 1934 წელს პარტიის მეჩვიდმეტე ყრილობაზე აირჩიეს, 70 პროცენტი სიკვდილით დასაჯეს.[2] ლენინის ახლო თანამებრძოლები, მათ შორის, ზინოვიევი და კამენევი დააპატიმრეს, აწამეს და ფიზიკური და მენტალური გატეხის შემდეგ დადგმული „სასამართლო პროცესის" წინაშე წარდგომა აიძულეს, რომლის დროსაც მათ ყველაზე საზიზღარი დანაშაულები აღიარეს, მათ შორის, ჯაშუშობა, ტერორისტული საქმიანობა და „კაპიტალიზმის" აღდგენის მცდელობები; ამის შემდეგ ისინი ან დახვრიტეს, ან შრომითი ბანაკებში გაგზავნეს, საიდანაც ცოცხალი უკან ძალიან ცოტა დაბრუნდა. თავის, ეგრეთ წოდებულ, „ანდერძში", ლენინმა მემკვიდრედ ექვსი მოწინავე კომუნისტი დაასახელა; სტალინის გარდა ყველა გაუჩინარდა. დიმიტრი ვოლკოგონოვი, საბჭოთა გენერალი, რომელიც ისტორიკოსი გახდა, თავისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღრმად შეძრული იყო", როდესაც არქივში ოცდაათი სია აღმოაჩინა, რომელიც ერთ

---

[1] Fitzpatrick, Sheila. *Everyday Stalinism: Ordinary Life in Extraordinary Times : Soviet Russia in the 1930s.* New York, Oxford University Press, 1999. გვ. 127.

[2] Wolfe, Bertram David. *Khrushchev and Stalin's Ghost.* New York, Frederick A. Praeger, 1957. გვ. 124.

დღეს, 1938 წლის 12 დეკემბერს იყო შედგენილი. ამ სიებში, დაახლოებით, 5,000 ადამიანის სახელი ეწერა, რომელთა სიკვდილის განაჩენს სტალინმა მათ ფორმალურ დაკითხვამდე მოაწერა ხელი, რის შემდეგაც ის კრემლის კინოთეატრში ორი ფილმის სანახავად წავიდა – მათ შორის ერთ-ერთი იყო კომედია, სახელად „მხიარული ბიჭები".[1]

ამა თუ იმ ფორმით, მთელი მოსახლეობა, საკუთარი მეგობრებისა თუ ნაცნობების დასმენით, იძულებული იყო, ამ დამანგრეველ ორგიაში მიეღო მონაწილეობა; „მავნებლური" საუბრის არდასმენა თავად უტოლდებოდა მავნებლობას. ამ გარემოში ერთგულებისა და გულახდილობისთვის ადგილი არ რჩებოდა. ერთი რუსული ხუმრობა საკმაოდ რეალისტურად აღწერს პატიოსან საბჭოთა მოქალაქეს, როგორც ადამიანს, რომელიც ღორივით იქცევა, მაგრამ ამისგან სიამოვნებას არ ილებს.

1937-1938 წლების ხოცვა-ჟლეტამ მთლიანად განმინდა „ძველი ბოლშევიკების" რიგები, რომელთა ადგილი ახლებმა დაიკავეს. 1939 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი ფუნქციონერების 80.5 პროცენტი ის ხალხი იყო, ვინც პარტიაში ლენინის სიკვდილის შემდეგ შევიდა[2]. მათი რიგებიდან შეირჩნენ პარტიისა და მთავრობის წამყვანი პირები, ე. წ. *ნომენკლატურა*, რომელთაც არა მხოლოდ ძალაუფლების

---

[1] Remnick, David. *Lenin's Tomb: The Last Days of the Soviet Empire.* New York, Viking, 1993. გვ. 406.

[2] Voslenskiĭ, Mikhail Sergeyevich. *Nomenklatura: The Soviet Ruling Class.* Translated by Eric Mosbacher, New York, Garden City, 1984. გვ. 61.

ყველა შტოს მონოპოლიზაცია მოახდინეს, არამედ უნიკალური პრივილეგიებით სარგებლობდნენ და ახალი ექსპლუატატორთა კლასი შექმნეს. მასში წევრობა მუდმივი იყო და მომავალში დე ფაქტოდ მემკვიდრეობით გადაეცემოდა. როდესაც საბჭოთა კავშირი ჩამოიშალა, *ნომენკლატურაში* 750,000 წევრი – მათი ოჯახის წევრებთან ერთად კი, დაახლოებით, 3 მილიონი ადამიანი, ან მოსახლეობის 1.5 პროცენტი – ირიცხებოდა. ეს, დაახლოებით, იგივე პროცენტი იყო, რამდენი თავადიც მსახურობდა მეთვრამეტე საუკუნეში ცარიზმის დროს, ხოლო მოწყალება, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ, იმ პერიოდის მაგნატების მსგავსი იყო. ამ ელიტის ერთ-ერთი წევრის სიტყვებით:

> „ნომენკლატურა სხვა პლანეტაზეა. მარსზე. საქმე მხოლოდ კარგ მანქანებსა და ბინებს არ ეხება. ეს არის საკუთარი ახირებების მუდმივი დაკმაყოფილება, როდესაც მლიქვნელების მთელი არმია გაძლევს საშუალებას, უმტკივნეულოდ იმუშაო საათების განმავლობაში. ყველა ეს აპარატჩიკი მზად არის, შენთვის ყველაფერი გააკეთოს. შენი ყოველი ნატვრა სრულდება. შეგიძლია შენი ნება-სურვილის მიხედვით წახვიდე თეატრში და პირდაპირ სანადირო ქოხიდან გაფრინდე იაპონიაში. ეს არის ცხოვრება, სადაც ყველაფერი იოლად ხდება... მეფესავით ხარ: უბრალოდ თითი გაიშვირე და ყველაფერი შესრულდება[1]".

---

[1] Remnick, David. *Lenin's Tomb: The Last Days of the Soviet Empire.* New York, Viking, 1993. გვ. 172-73.

პარტიის რიგითი წევრები, „მლიქვნელები", რომელთა რიცხვი სტალინის დროს წარმოუდგენლად გაიზარდა, ამ ელიტის მსახურებს წარმოადგენდნენ.

ვერც წითელი არმია გაექცა ტერორს: მისი ხუთი მარშლიდან სამის „ლიკვიდაცია" მოახდინეს; არმიის თხუთმეტი გენერლიდან ცამეტი გაუჩინარდა; ცხრა საზღვაო ადმირალიდან მხოლოდ ერთი გადარჩა. განადგურდნენ ასევე უცხოელი კომუნისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირს აფარებდნენ თავს. სამღვდელოებასაც დიდი დანაკარგი ჰქონდა: 1937-1938 წლებში რელიგიური საქმიანობის გამო დააკავეს ეკლესიის 165,200 მსახური, ხოლო მათგან 106,800 დახვრიტეს[1]. ღვთისმსახურების თითქმის ყველა დაწესებულება დაიხურა.

ტერორის მანქანამ საკუთარი აღმასრულებლებიც არ დაინდო. ნიკოლაი ეჟოვმა, სტალინის ჰიმლერმა, რომელიც 1936 და 1938 წლებს შორის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის („ენკავედე") უფროსის რანგში მასობრივ მკვლელობებს ხელმძღვანელობდა, გაურკვეველი მიზეზების გამო თავისი ბატონის კეთილგანწყობა დაკარგა. სტალინმა ის თანამდებობიდან გაათავისუფლა და მასაც სისხლიან ქვაბში უკრა თავი.

რიგითი მოქალაქეები ციხეში ხვდებოდნენ ან ქრებოდნენ დაუდევარი შენიშვნების ან მათი პირადი მტრების მიერ დასმენის გამო. მოსახლეობა პათოლოგიურმა შიშმა და ეჭვმა შეიპყრო, რომლისგანაც არც ყველაზე მაღალი რანგის ფუნქციონერები იყვნენ თავისუფალნი. ნიკოლაი ბულგანინმა, რომელიც სტალინის დროს სსრკ-ს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მსახურობ-

---

[1] *The New York Times*, 15 August 2000, p. A7.

და, ნიკიტა ხრუშჩოვს უთხრა, რომ ხანდახან ზოგიერთს სტალინი, როგორც მეგობარს, ისე პატიჟებს: „და როდესაც ის სტალინთან ერთად ზის, მან არ იცის, აქედან სად გაგზავნიან – შინ თუ ციხეში". ანდრეი გრომიკო, საგარეო საქმეთა მინისტრი და სტალინის ერთგული თანაშემწე, ამბობდა, რომ სტალინის დროს პოლიტბიუროს ორი წევრი მანქანით ერთად არასდროს მგზავრობდა, რათა შეთქმულების მოწყობაში არ მიეტანათ ეჭვი. ეჭვმიტანილობის შიში სტალინის შემდეგაც ცოცხლობდა და ის სისტემის არსობრივი ნაწილი გახდა. მიხეილ გორბაჩოვი, საბჭოთა კავშირის უკანასკნელი მეთაური, იხსენებდა, რომ როდესაც მან თავისი უფროსი და მეზობელი, იური ანდროპოვი, მაშინდელი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის („კაგებე") უფროსი, სადილზე სტუმრად მიიწვია, ანდროპოვმა მას მისსავე სასიკეთოდ ურჩია, რომ ეს იდეა დაევიწყებინა, ვინაიდან „დაიწყებოდა მითქმა-მოთქმა იმაზე, თუ ვინ, სად, რატომ იყო და რა თქვა".

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საიდუმლო არქივების გასაჯაროებული მასალებიდან (რომლებსაც ბევრი არასრულად მიიჩნევს) ირკვევა, რომ 1937 და 1938 წლებში, დიდი ტერორის ზენიტის დროს, საიდუმლო სამსახურებმა, „ანტისაბჭოთა საქმიანობის" გამო, 1,548,366 ადამიანი დაატყვევეს, რომელთაგან 681,692 დახვრიტეს – საშუალოდ 1000 დახვრეტა დღეში. გადარჩენილთა უმრავლესობამ თავი შრომით ბანაკებში ამოყო[1] (შედარებისთვის, ცარისტულმა რეჟიმმა 1825 და

[1] Пихоя, Рудольф Германович. Советский Союз: история власти. 1945-1991. Москва, РАГС, 1998. გვ. 140.

1910 წლებს შორის პოლიტიკური დანაშაულებისთვის 3,932 ადამიანი დასაჯა სიკვდილით). 1941 წელს, როდესაც გერმანია საბჭოთა კავშირში შეიჭრა, ბანაკებში, რომლებსაც „გულაგი" მართავდა, 2,350,000 პატიმარი, ანუ მოსახლეობის 1.4 პროცენტი იჯდა[1]. მონური შრომა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებდა, რამდენადაც ის დიდ სამშენებლო პროექტებსა და შორეულ ჩრდილოეთში ხე-ტყის ჭრაზე გამოიყენებოდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არავინ დასჯილა, ვინც უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე იყო პასუხისმგებელი; სინამდვილეში, ისინი არც უმხილებიათ და არც მორალურად გაუკიცხავთ; ამ ადამიანებმა ნორმალური ცხოვრება განაგრძეს.

აღწერების მიხედვით, 1932 და 1939 წლებში – კოლექტივიზაციასა და მეორე მსოფლიო ომს შორის – საბჭოთა კავშირის მოსახლეობა 9-10 მილიონით შემცირდა[2].

განადგურების ეს ფერხული რაციონალურად ვერ იხსნება. შავი იუმორით ნათქვამი ამბავი გვიყვება ახალი პატიმრის შესახებ, რომელიც შრომით ბანაკში ჩაიყვანეს. მას ჰკითხეს, თუ რამდენი წელი ჰქონდა მისჯილი, რაზეც მან უპასუხა „ოცდახუთი წელი". „რისთვის?" „არაფრისთვის". „შეუძლებელია", უთხრეს მას, „არაფრისთვის ათ წელს უსჯიან".

---

[1] Смирнов, Михаил Борисович, and Общество „Мемориал" (Москва). Система исправительно-трудовых лагерей в СССР, 1923-1960: справочник. Москва, Звенья, 1998. გვ. 48.

[2] Nove, Alec. *An Economic History of the U.S.S.R.* Allen Lane, 1969. გვ. 180.

თუკი ვინმეს შეიძლება გაუკვირდეს, თუ რანაირად შეიძლება მთავრობამ საკუთარი ხალხი ასე მოაოხროს, უნდა გვახსოვდეს, რომ რუსეთში და სხვაგანაც, კომუნისტი რევოლუციონერებისთვის, ადამიანები, იმ ფორმით, რომლითაც ისინი არსებობდნენ, მხოლოდ კარიკატურა იყვნენ იმისა, რაც მათ შეეძლოთ და უნდა გამხდარიყვნენ. ეს ხედვა მარქსიზმში იყო ჩადებული. ერთგან მარქსი წერდა რომ:

> „თანამედროვე თაობა ებრაელებს ჰგავს, რომლებიც მოსემ უდაბნოში ატარა. მან არა მხოლოდ ახალი სამყარო უნდა დაიპყროს, არამედ უნდა გაქრეს კიდეც, რათა ადგილი დაუთმოს ხალხს, რომელიც ამ ახალი სამყაროსთვის შესაფერისია[1]".

მიუხედავად იმისა, რომ არც მარქსი და არც ენგელსი თავიანთ მიმდევრებს მასობრივი მკვლელობებისკენ არ მოუწოდებდნენ, ისინი მზად იყვნენ, ჯერ არდაბადებულთა თაობისათვის ცოცხლები შეეწირათ.

და მართლაც, ლოდინი ამად ღირდა, რადგან კომუნიზმში მცხოვრები „ახალი ადამიანი" არ ემსგავსებოდა არც ერთ ქმნილებას, რომელსაც აქამდე უარსებია. ასე აღწერა ის ტროცკიმ საკუთარ ნაშრომში „ლიტერატურა და რევოლუცია":

> „პირიქით, ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, იზრუნებს საკუთარი თავის ჰარმონიზაციაზე... ის მოინდომებს

---

[1] Marx, Karl. *The class struggles in France (1848-1850)*. New York, International Publishers, 1964. გვ. 114.

> დაეუფლოს ნახევრად შეგნებულ და შემდეგ შეუგნებელ პროცესებს საკუთარ ორგანიზმში: სუნთქვას, სისხლის მოძრაობას, საჭმლის მონელებას, განაყოფიერებას – და აუცილებლად საჭირო საზღვრებში დაუმორჩილებს მათ გონების და ნებისყოფის კონტროლს... ადამიანის მოდგმა, გაყინული ჰომო საპიენს, ისევ განიცდის რადიკალურ გადამუშავებას და შეიქნება საკუთარი თითების ქვეშ ხელოვნური შერჩევის და ფსიქოლოგიურ ვარჯიშობის ურთულეს ვარჯიშების ობიექტად... ადამიანის მიზანი იქნება... შექმნას უფრო მაღალი საზოგადოებრივ-ბიოლოგიური ტიპი, თუ გნებავთ – ზეკაცი... ადამიანი იქნება გაცილებით უფრო ძლიერი, ჭკვიანი და გამახვილებული. მისი ტანი ჰარმონიული, მოძრობა რიტმული, ხმა მუსიკალური... საშუალო ადამიანის ტიპი აინევა არისტოტელეს, გოეტეს და მარქსის სიმაღლემდე. ამ სიმაღლის ზევით აღიმართება კიდევ ახალი მწვერვალები".[1]

განა ასეთი იდეალისთვის არ ღირდა საბრალო სახეობების შეწირვა, რომლებიც გარყვნილ სამყაროში სახლობდნენ? ამ პერსპექტივიდან, არსებული კაცობრიობა დაწყევლილი სამყაროს ნარჩენებსა და ნაგავს წარმოადგენდა, შესაბამისად, მათი განადგურება უმნიშვნელო რამ იყო.

სიცოცხლეთა უპრეცედენტო განადგურებას თან ახლდა უდრეკი ბრძოლა სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგ, რაც სრული ერთსულოვნების ილუზიის შექმნისკენ იყო მიმართული: სხეულების განადგურებასა

---

[1] ლ. ტროცკი. „ლიტერატურა და რევოლუცია", მთარგმნელი ვ. გაფრინდაშვილი, სახელგამი, თბილისი, 1926.

და დატყვევებასთან ერთად, ადამიანებს გონებასაც ართმევდნენ. ლენინი არანაირ პატივისცემას არ გამოხატავდა იმ შეხედულებების მიმართ, რომლებიც მისი შეხედულებებისგან განსხვავდებოდა; ძალაუფლებაში მოსვლის შემდეგ ლენინის პირველი განკარგულება ყველა არაბოლშევიკური პრესის დახურვა იყო. მას ჯერ კიდევ არ შესწევდა იმის ძალა, რომ ეს ღონისძიება გაეტარებინა, მაგრამ 1918 წლის ზაფხულში მან მართლაც დახურა არა მხოლოდ ყველა დამოუკიდებელი გაზეთი, არამედ მთელი არაპარტიული პერიოდული პრესა. 1922 წელს ცენზურის ცენტრალური ბიურო შექმნა, რომელსაც „გლავლიტი" ერქვა. ვერაფერი გამოქვეყნდებოდა პრესაში ან დაიდგმებოდა სცენაზე, მისი ნებართვის გარეშე.

მიუხედავად ამისა, 1920-იან წლებში, ინტელექტუალური თავისუფლება მცირე დოზით ჯერ კიდევ ნებადართული იყო. ადრეული საბჭოთა ცენზურა, ცარისტული ცენზურის მსგავსად, თავისი არსით ნეგატიური იყო, ანუ ის აცხადებდა იმას, რისი დაბეჭდვაც არ შეიძლებოდა, მაგრამ არ ცდილობდა ავტორებისთვის ეთქვა ის, თუ რა უნდა დაეწერათ მათ. 1930-იანებში ეს პოლიტიკა შეიცვალა: ცენზურა პოზიტიური გახდა, ვინაიდან ავტორებს უთხრეს, თუ რისი დაწერა *შეეძლოთ*, ანუ სინამდვილეში რა უნდა დაეწერათ. ქვეყნის შესახებ ნებისმიერი ნეგატიური ინფორმაცია ჩაახშვეს – თუკი მათი გამოქვეყნება მთავრობას ხელს არ აძლევდა. საზღვარგარეთ მოგზაურობა მხოლოდ ოფიციალურ პირებს შეეძლოთ; რიგითი მოქალაქეების უცხოელებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა შეიძლება

ჯაშუშობის ბრალდებით დასრულებულიყო. არც ერთი უცხოური გამოცემა, გარდა პროკომუნისტურისა, არ ვრცელდებოდა.

საბჭოთა კულტურა ფანტასტიკურმა ერთფეროვნებამ მოიცვა. 1932 წელს „სოციალური რეალიზმი" ოფიციალური ესთეტური დოქტრინა გახდა; ის მწერლებისა და მხატვრებისგან მოითხოვდა, რომ აწმყოს ისე მოჰქცეოდნენ, „თითქოს ის არ არსებობდა და მომავალს ისე, თითქოს ის უკვე დამდგარიყოს[1]". შედეგად, იმას, რასაც ბეჭდავდნენ, დგამდნენ, იღებდნენ ან რადიოთი გადმოსცემდნენ, არაფერი ჰქონდა საერთო რეალობასთან: ის სიურრეალისტური იყო. ხალხი ამას გონებისა და პიროვნების გახლეჩის შედეგად შეეჩვია, რამაც ერთგვარი შიზოფრენიული მდგომარეობა შექმნა. ერთ დონეზე მათ იცოდნენ ჭეშმარიტება, მაგრამ მას თრგუნავდნენ და მხოლოდ საკუთარი ოჯახის უახლოეს ნევრებსა და მეგობრებს უზიარებდნენ, მაშინ, როდესაც მეორე დონეზე ისინი თავს იკატუნებდნენ, თითქოს პროპაგანდის ყოველი სიტყვის სჯეროდათ. ამან ისეთი დაძაბულობა შექმნა, რამაც საბჭოთა კავშირში ცხოვრება უკიდურესად აუტანელი გახადა.

ამან ასევე ისეთი ფსიქოლოგიური მემკვიდრეობა დატოვა, რომელმაც კომუნიზმზე დიდხანს იცოცხლა. სიცრუე გადარჩენის საშუალებად იქცა, ხოლო სიცრუიდან თაღლითობამდე მხოლოდ მცირე ნაბიჯი იყო გადასადგმელი. სოციალური ეთიკა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების არსებობას ხდის შესაძლებელს,

---

[1] Koestler, Arthur, et al. *The God that Failed.* Edited by Richard Crossman, New York, Harper & Brothers, 1949. გვ. 205.

შეირყა და რეჟიმმა, რომელიც ყველასგან მისი პირადი სარგებლის საზოგადო სიკეთისთვის მსხვერპლად შეწირვას მოითხოვდა, ისეთ სიტუაციაში ამოყო თავი, სადაც ყველა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნავდა, ვინაიდან ის სხვას ვერავის ენდობოდა.

დიდი ტერორის ერთ-ერთ კომპონენტს, როგორც მას მოგვიანებით უწოდეს, სტალინის „კულტი" წარმოადგენდა – სინამდვილეში, სტალინის გაღმერთება: ის ყოვლისშემძლე, ყველგანმყოფი, ყოვლისმცოდნე და უცდომელი იყო და ასეთად დარჩა 1953 წლამდე, მის გარდაცვალებამდე. როდესაც ის ახალ ოპერას აკრიტიკებდა, კომპოზიტორები მიწას ერთხმოდნენ. როდესაც ის ენათმეცნიერებაზე საუბრობდა, ფილოლოგები დუმდებოდნენ. პარტიის წევრთა ყრილობაზე დეპუტატები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მეტად განადიდებდა „ბელადს", ის კი მოკრძალებით იჯდა და ქებას ისმენდა. ოსიპ მანდელშტამს, რომელიც ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიად რუს პოეტადაა მიჩნეული, სიცოცხლის ფასად დაუჯდა ლექსი დიქტატორზე, რომელიც ამ სიტყვებს შეიცავდა:

„მსხვილი თითები, ვით მატლები, აქვს არასუსტი,
ხოლო სიტყვები – ფუთიანი გირივით ზუსტი.
ტარაკანივით ულვაშებით მოცინარია.
ხოლო ჩექმები მისი მუდამ სხივმფინარია.
ირგვლივ კი ხროვა ახვევია წვრილკისრიანთა,

ართობს მონება ამ ნახევარადამიანთა.
ვილაცა უსტვენს, ვილაც კნავის, სხვანი ხავიან,
მხოლოდ ის ერთი ვერაგობს და გამჯოხავია.

ის, როგორც ნალებს, ბრძანებაზე ბრძანებას ჭედავს.
ვის საზარდულში, შუბლში, წარბში,
ვის თვალში სჭედავს.
თუ არ დახვრეტას, გადასახლებას მოგისჯის ისა".[1]

თითქმის ყველა კომუნისტური რეჟიმის ლიდერების გალმერთების შესაძლო ახსნა ის არის, რომ რამდენადაც ყოვლისშემძლეობა და ყოვლისმცოდნეობა ღვთაებების მახასიათებელია, ბუნებრივია, რომ ღვთიური თვისებები მიეწერება ინდივიდებს, რომლებიც ამ მახასიათებლებით არიან დაჯილდოებულნი.

განდიდებამ სტალინს უფრო და უფრო დააკარგვინა რეალობის განცდა. პირფერებით გარემოცულს, მას წარმოდგენა არ ჰქონდა ჭეშმარიტ მდგომარეობაზე. ვინაიდან მას თავდასხმის ეშინოდა, არასდროს მოგზაურობდა ქვეყანაში და მისი ყოფის შესახებ წარმოდგენას სპეციალურად მომზადებული ფილმებიდან იქმნიდა, რომლებშიც მისი თანაშემწისა და მომავალი მემკვიდრის, ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვებით, კოლექტიური მეურნეობის გლეხები მაგიდების გარშემო ისხდნენ, „რომლებიც ინდაურებისა და ბატების წონისგან იყვნენ ჩაზნექილნი".

ერთადერთი ინსტიტუცია, რომელიც საბჭოთა რეალობას იცნობდა, საიდუმლო პოლიცია იყო, რომელსაც სხვადასხვა დროს ერქვა: „ჩეკა" (1917-1922 წწ.), „გეპეუ

---

[1] Mandelshtam, Nadezhda. *Hope Against Hope: A Memoir.* Translated by Max Hayward, New York, Atheneum, 1970. გვ. 13.
ლექსის ეს თარგმანი აღებულია ამ საიტიდან: http://urakparaki.com/?m=4&ID=109395

და ოგეპეუ" (1922-1934 წწ.), „ენკავედე" (1934-1954 წწ.) და „კაგებე" (1954-1991 წწ.). ის იყო ტერორის განმახორციელებელი მთავარი იარაღი, რომელიც მოქმედების დიდ თავისუფლებას ფლობდა რეჟიმის ყველა მტრის – რეალურის, პოტენციურისა თუ საეჭვოს – განადგურების საქმეში. ის ასევე მართავდა შრომითი ბანაკების დიდ იმპერიას. საზოგადოებრივი აზრის გამოხატულების ყველა წყაროს განადგურების გამო მთავრობა საიდუმლო პოლიციას ეყრდნობოდა, რათა საზოგადოებრივი განწყობების შესახებ მიეღო ინფორმაცია, რომელსაც ის აგენტებისა და ინფორმატორების დიდი ქსელის მეშვეობით აგროვებდა. სტალინის მმართველობის ბოლო წლებში საიდუმლო ორგანიზაციები ფლობდნენ მთელ ძალაუფლებას, რომელიც ლენინმა კომუნისტურ პარტიას გადაულოცა.

–

სტალინი იყო პირველი კომუნისტი, რომელმაც რუსული ნაციონალიზმის პოლიტიკური პოტენციალი გააცნობიერა და გამოიყენა. მარქსიზმი ნაციონალიზმს იმ იარაღად განიხილავდა, რომელსაც ბურჟუაზია მანიპულაციისათვის იყენებდა, რათა მასების ყურადღება მათი ჭეშმარიტი მისიისგან – კლასთა ბრძოლისგან გადაეტანა. თავად ლენინისთვის პატრიოტული სენტიმენტები უცხო იყო. ის საკუთარი ხალხის მიმართ უფრო ზიზღს განიცდიდა და მათ კონფიდენციალური საუბრებისას ისეთი სიტყვებით მოიხსენიებდა, როგორებიცაა „საბჭოთა ფეთხუმები და დოყლაპიები". მან ერთხელ მწერალ მაქსიმ გორკის უთხრა, რომ „ჭკვიანი

რუსი თითქმის ყოველთვის ან ებრაელია, ან ის, ვისაც ძარღვებში ებრაული სისხლი უჩქეფს[1]".

სტალინისთვის ასე არ იყო. კადრებთან ახლო მუშაობამ ის დაარწმუნა, რომ ნაციონალიზმსა და ქსენოფობიას მოსახლეობა უფრო მხურვალედ იღებდა, ვიდრე ინტერნაციონალური კომუნიზმის ბუნდოვან იდეებს. შესაბამისად, მან თავიდან ფრთხილად და შემდეგ უფრო უხეშად დაიწყო საკუთარი თავის რუსულ შოვინიზმთან გაიგივება და გამიზნულად ჩამოაშორა საბჭოთა რეჟიმს იმ დროს რუსეთსა და საზღვარგარეთ გავრცელებული რეპუტაცია, რომ კომუნიზმი მსოფლიო ებრაულ შეთქმულებას ემსახურებოდა. როგორც გავეშებული ანტისემიტი, ის ხშირად ათავისუფლებდა ებრაელებს სახელმწიფო თანამდებობებიდან[2]. ჰიტლერთან ალიანსის დროს, მან აღუთქვა რიბენტროპს, ჰიტლერის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ როგორც კი ის სათანადო შემცვლელებს იპოვიდა, ყველა ებრაელს დაატოვებინებდა მონინავე თანამდებობებს. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე სტალინი საბჭოთა კავშირის მთელი ებრაული თემის ციმბირში გადასახლებას აპირებდა.

1934 წელს, ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სტალინმა რუსულ პატრიოტიზმთან დაკავშირებით პარტიის ხედვის სრული გადასინჯვა ბრძანა. ამის შემდეგ სამშობლოს სიყვარული, მანამდე რომ გმობდნენ, ძლიერ წააქეზეს და ისტორიის სწავლებამ,

---

[1] Gorki, Maxime. *Lenine et le Paysan Russe*. Paris, Gallimard, 1924. გვ. 64.

[2] Picker, Henry, editor. *Hitlers Tischgespräche im Führerhauptquartier, 1941-1942*. Bonn, Athenäum Verlag, 1951. გვ. 133.

რომელიც აქამდე, მარქსისტული ტრადიციის მიხედვით, კლასთა ბრძოლაზე იყო კონცენტრირებული, რუსეთის მიღწევებზე – ომსა და მშვიდობაში – დაიწყო ხაზგასმა. სტალინის სიკვდილის დროისთვის საბჭოთა კომუნიზმი რუსულ ნაციონალიზმში იყო გათქვეფილი: პრესტიჟი, რომელიც რეჟიმს ჰქონდა მოპოვებული, მთლიანად მეორე მსოფლიო ომში მოპოვებულ გამარჯვებასა და მომდევნო წარმატებას უკავშირდებოდა, როგორიც იყო ლიდერობა კონტინენტურ სარაკეტო და კოსმოსურ პროგრამებში რუსეთის მსოფლიოს დიდი ძალის, შეერთებული შტატების თანაბარ სტატუსში აყვანა. დღემდე ნოსტალგია, რომელსაც რუსები საბჭოთა კავშირის მიმართ განიცდიან, უკავშირდება არა მის საშინაო რეჟიმს – ანუ კომუნიზმს – არამედ თითქმის ექსკლუზიურად იმის ხსოვნას, თუ რა სასიამოვნო იყო, როდესაც სხვა ერები მათ პატივს სცემდნენ და მათი ეშინოდათ.

–

აქ მიზანშეწონილია გამოვიკვლიოთ, იყო თუ არა სტალინის ოცდახუთწლიანი დიქტატურა ბუნებრივი, ანუ – გარდაუვალი, ლენინის მიერ დაფუძნებული რეჟიმის შედეგი, თუ შემთხვევითობა, რომელმაც ფსიქოპათს რევოლუციის მიტაცების საშუალება მისცა. უდავოა, რომ სტალინს კლინიკური პარანოიის, მეგალომანიისა და სადიზმის ნიშნები აღენიშნებოდა; ეს მოგვიანებით მისმა რამდენიმე ახლო გარემოცვის ნევრმა დაადასტურა. თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ მან ლენინი სახელმწიფო გადატრიალებით კი არ შეცვალა, არამედ ნაბიჯ-

ნაბიჯ, თავად პარტიის მიერ დაწინაურების გზით. ის იყო პარტიის არჩევანი. ისტორიკოსები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ლენინის მანტია ტროცკის ან ბუხარინს უნდა გადასცემოდა, არ ითვალისწინებენ ფაქტს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ის ორივეს პატივს სცემდა, ლენინი მათ შესაფერის მემკვიდრეებად არ მიიჩნევდა. დესპოტური ძალაუფლება, რომელსაც სტალინი იყენებდა, ლენინის დაფუძნებული იყო. სწორედ ლენინმა შემოიღო მასობრივი ტერორი, მძევლად აყვანა და საკონცენტრაციო ბანაკები რომ ახასიათებდა; ის იყო, ვინც კანონსა და სასამართლოს ტერორის „დამამტკიცებლად და დამაკანონებლად" აღიქვამდა; ის იყო, ვინც სისხლის სამართლის 57-ე და 58-ე მუხლები დამხმარე ქვემუხლებით დაამტკიცა, რომელთაც სტალინი მილიონობით უდანაშაულო მოქალაქის სიკვდილით დასასჯელად და დასაპატიმრებლად იყენებდა. და ლენინი იყო ის, ვინც პარტიას მიაღებინა რეზოლუცია, „ფრაქციონიზმს" რომ კრძალავდა, რამაც სტალინს საშუალება მისცა „დევიაციონიზმის" ბრალდებით თავიდან მოეშორებინა ყველა, ვინც მას არ ეთანხმებოდა. პიროვნული დიქტატურა თანდაყოლილი იყო სისტემისათვის, რომელიც ლენინმა შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ თავად ის უფრო კოლეგიალურად მართვას არჩევდა. ძალიან მარტივი აღმოჩნდა „პარტია ყოველთვის მართალია"-დან „პარტიის ლიდერი ყოველთვის მართალია"-მდე გადასვლა. და როგორც კი ეს პრინციპი მიიღეს, ის, თუ როგორ განხორციელდებოდა ავტორიტარული მმართველობა, მხოლოდ შემთხვევითობის საკითხი იყო.

ვიაჩესლავ მოლოტოვი ყველა სხვა ბოლშევიკზე დიდხანს მსახურობდა ლენინთან და სტალინთან ძალზე კონფიდენციალურ თანამდებობებზე. როდესაც მას სიბერეში ჰკითხეს, თუ რომელი იყო ამ ორიდან უფრო „სასტიკი", მან დაფიქრების გარეშე უპასუხა: „ლენინი, რა თქმა უნდა... მახსოვს, როგორ კიცხავდა ის სტალინს რბილი ხასიათისა და ლიბერალიზმის გამო[1]". ამან კი ბოლო უნდა მოულოს მითს, რომელიც ჯერ ტროცკიმ და შემდეგ ხრუშჩოვმა გაავრცელეს, რომ სტალინიზმი ლენინიზმის უარყოფას ნიშნავდა.

–

მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ დაიწყო, რომელსაც 1918 წლის მარცხისთვის შურისძიება და ევროპის დამორჩილება სურდა. თუმცა, საბჭოთა კავშირმა, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, დახმარება აღმოუჩინა და წააქეზა ჰიტლერის აგრესიული გეგმები და შესაბამისად, ის დიდ პასუხისმგებლობას ატარებს ყველა ომს შორის ყველაზე საშინელზე.

ევროპაში რევოლუციური ცეცხლის დანთების ყოველი მცდელობის ჩავარდნამ, რისი კულმინაციაც პოლონეთის კატასტროფული კამპანია იყო, საბჭოთა ხელმძღვანელობა დაარწმუნა, რომ მათი რეჟიმის გავრცელების საუკეთესო შესაძლებლობა იქნებოდა კიდევ ერთი მსოფლიო ომის წახალისება. 1925 წლის იანვარში სტალინმა თქვა: „ჩვენს მტრებს შორის მიმ-

---

[1] Чуев, Феликс Иванович. Сто сорок бесед с Молотовым: из дневника Ф. Чуева. Терра, 1991. გვ. 184.

დინარე ბრძოლები, კონფლიქტები და ომები ჩვენი ყველაზე დიდი მოკავშირეებია". ისინი, „ყოველგვარ ეჭვგარეშე, ჩვენი მთავრობისა და ჩვენი რევოლუციის ყველაზე დიდი საყრდენია". მორიგი გლობალური კონფლიქტის გარდაუვალობაზე საუბრისას, მან ავის მომასწავებლად დაამატა: „თუკი ომი დაიწყება, ჩვენ გულხელდაკრეფილები არ ვისხდებით – ჩვენ მოგვიწევს მასში ჩართვა, მაგრამ ჩვენ ბოლოები ვიქნებით, ვინც ამას გააკეთებს. და ჩვენ ეს უნდა ვქნათ, რათა უკანასკნელი გირი შემოვდოთ სასწორის პინაზე[1]".

ამ მსჯელობის მიხედვით, 1920-იანი წლების დასაწყისიდან 1933 წლამდე, საბჭოთა კავშირი გერმანიის სამხედროებთან საიდუმლოდ თანამშრომლობდა, რათა მათ ვერსალის პაქტის ვალდებულებებისაგან თავის არიდებაში დახმარებოდა, რაც კრძალავდა ან დიდად ზღუდავდა გერმანიის მიერ ტანკების, თვითმფრინავების, წყალქვეშა ნავებისა და მომწამვლელი გაზების წარმოებას. მოსკოვმა ნება დართო გერმანიას, მის ტერიტორიაზე ეწარმოებინა და გამოეცადა ეს იარაღი, გერმანელებმა კი სანაცვლოდ, წითელი არმიის ოფიცრები გენერალური შტაბის კურსებზე დასასწრებად მიიწვიეს, რომელიც ბლიცკრიგის სტრატეგიასა და ტაქტიკას იმუშავებდა (საბჭოთა კავშირი ასევე აქტიურად თანამშრომლობდა ფაშისტურ იტალიასთან საზღვაო მიმართულებით).

ამ მოსაზრებებითვე იხსნება ის, თუ რატომ დაეხმარა სტალინი ჰიტლერს 1932-1933 წლებში ხელისუფლებაში მოსვლაში-მან, – გერმანელ კომუნისტებს

---

[1] Сталин, Иосиф Виссарионович. Сочинения. vol. 7, Москва, Государственное издательство политической литературы, 1952. გვ. 27.

საპარლამენტო არჩევნებში ნაცისტების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატებთან გაერთიანება აუკრძალა (იხილეთ თავი 4). გერმანელი სოციალ-დემოკრატები პროდასავლელები იყვნენ. ნაცისტები, სტალინის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ გამოკვეთილად ანტიკომუნისტები იყვნენ, აგრესიას დასავლეთის დემოკრატიებისკენ მიმართავდნენ და საბჭოთა კავშირს თავს დაანებებდნენ. ეს ლოგიკა ედო საფუძვლად მის გადაწყვეტილებას, როდესაც 1939 წლის აგვისტოში ბერლინთან თავდაუსხმელობის პაქტი გააფორმა. ეს პაქტი საიდუმლო პროტოკოლსაც მოიცავდა, რომელიც პოლონეთს რუსეთსა და გერმანიას შორის ანაწილებდა. მას ნამდვილად ჰქონდა გათვლა 1914-1918 წლების გამომფიტველი ომის გამეორებაზე, რაც მის „კაპიტალისტ" მონაწილეებს ისე დაასუსტებდა, რომ სსრკ ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შეძლებდა ევროპაში შეღწევას. მას შემდეგ, რაც გერმანიამ და რუსეთმა პოლონეთი გაიყვეს, მოლოტოვმა, სტალინის უახლოესმა ნდობით აღჭურვილმა პირმა და ადამიანმა, რომელმაც საგარეო საქმეთა მინისტრის რანგში მოაწერა ხელი თავდაუსხმელობის პაქტს, წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მან საფრანგეთსა და ინგლისს ჰიტლერის წინააღმდეგ ომის წარმოების გამო შეუტია. მან განაცხადა, რომ „ჰიტლერიზმის იდეოლოგია, როგორც ნებისმიერი იდეოლოგიური სისტემა, მიღებული ან უკუგდებული შეიძლება იქნას: ეს პოლიტიკური მოსაზრების საკითხია". სხვაგან არსებულ ყველა კომუნისტურ პარტიას დაარიგეს, რომ მათ ბრიტანეთი და საფრანგეთი რეაქციონერებად და აგრესორებად უნდა წარმოეჩინათ. ეს პოლიტიკა თავიდან ბოლომდე არასწორად გათვლილი აღმოჩნდა.

როდესაც 1940 წელს ჰიტლერის ძალებმა საფრანგეთში მოკავშირეთა ჯარები გაანადგურეს და მთელი კონტინენტის დაპყრობას შეუდგნენ, სტალინი ნაცისტური გერმანიის ნამდვილი მოკავშირე გახდა და საკვებით, მეტალებით და სხვა მნიშვნელოვანი მასალით ამარაგებდა მას. მან ჰიტლერს ზოგიერთი გერმანელი კომუნისტიც გადასცა, რომლებიც სსრკ-ს აფარებდნენ თავს. ჰიტლერის მოსკოვთან სასარგებლო კოლაბორაციის გაგრძელება იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდა, რომ სტალინმა უგულებელყო როგორც მოკავშირეების, ასევე საკუთარი დაზვერვის სამსახურების გაფრთხილებები, რომ გერმანელები პოლონეთში ჯარებს უყრიდნენ თავს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მიზნით.

წითელმა არმიამ, რომელმაც წმენდების გამო ყველაზე გამოცდილი ოფიცრები დაკარგა და რომელსაც შეტევისთვის მომზადება აკრძალული ჰქონდა, ომის პირველ თვეებში ცოცხალი ძალისა და აღჭურვილობის წარმოუდგენელი დანაკარგი განიცადა, მილიონობით წითელი არმიის ჯარისკაცი კი ტყვედ ჩავარდა.

როდესაც სტალინი შოკიდან გამოვიდა, მან ქვეყნის თავდაცვის საკითხი თავის თავზე აიღო. თვალთმაქცობა, რომ ქვეყანა კომუნიზმისთვის იბრძოდა, მალევე უკუაგდეს: დასახმარებლად რელიგიასა და ცარიზმის დროინდელ სამხედრო დიდებას მიმართეს და მოსახლეობას „წმინდა რუსეთისთვის" ბრძოლისკენ მოუწოდეს. წინააღმდეგობა, რომელიც თავდაპირველად უიმედოდ გამოიყურებოდა, ჰიტლერის სტრატეგიული შეცდომებით და ომის წარმოების იმ ბარბაროსული მეთოდებით წახალისდა, რომელსაც დამპყრობელი მიმართავდა.

მოსკოვზე წასვლის ნაპოლეონისეული შეცდომის თავიდან ასაცილებლად, ჰიტლერმა დიდი ძალები ჩრდილოეთით ლენინგრადის, ხოლო სამხრეთით კიევის მიმართულებით გაგზავნა. ამ ოპერაციებში ვერმახტმა კიდევ უფრო მეტი ტყვე აიყვანა, მაგრამ ძვირფასი დრო დაკარგა, და როდესაც დედაქალაქზე შეტევა განახლდა, უკვე ზამთარი იდგა და შეტევა ჩავარდა. რუსები და უკრაინელები, რომელთაგან ბევრი თავიდან გერმანელებს სიხარულით ეგებებოდა, მალე მიხვდნენ, რომ ნაცისტები მათ კომუნისტებისგან გასათავისუფლებლად კი არა, მათი უფრო მეტად დამონებისთვის იყვნენ მოსულნი. მათ აღჭურვილობით ბევრად უფრო დაწინაურებულ მტერთან ბრძოლაში ძალიან დიდი სიმამაცე და სიმტკიცე გამოავლინეს. საბოლოოდ, აღმოსავლეთის ფრონტზე ომმა გერმანიის არმიის ხერხემალი გატეხა და მეორე მსოფლიო ომის შედეგი განსაზღვრა. გამარჯვება უდიდესი ფასი დაჯდა. წითელი არმიის სარდლობა ჯარისკაცებს სახარჯავი მასალასავით ექცეოდა და საომრად დანაკარგების გაუთვალისწინებლად აგზავნიდა. დიდ ბრძოლებში ასობით ათასი დანაკარგი წითელი არმიისთვის უჩვეულო არ იყო. 1941 წლის ზაფხულში, კიევის დაცვისას, მან 616,000 ჯარისკაცი დაკარგა; ორი წლის შემდეგ, დონბასზე შეტევისას – 661,000. უცხოელი მეცნიერების გათვლებით, საბჭოთა კავშირმა მთელი ომის დროს 20 მილიონი ადამიანი დაკარგა, მათგან 8,7 მილიონი ბრძოლაში დაიღუპა[1]. ეს საბრძოლო დანაკარგები სამჯერ მეტი იყო, რაც ვერმახტმა აღმოსავ-

[1] Dilks, David, and John Erickson, editors. *Barbarossa: The Axis and the Allies.* Edinburgh, Edinburgh University Press, 1993. გვ. 261.

ლეთ ფრონტზე განიცადა (2.6 მილიონი). დაახლოებით, 5 მილიონი საბჭოთა ჯარისკაცი გერმანელებმა ტყვედ აიყვანეს, რომელთაგან 1.9-ს და 3.6-ს შორის მილიონი ტყვეობაში შიმშილის ან დახვრეტის, ან გაზით მოწამვლის გამო დაილუპა.

სტალინის მთავარი გამარჯვების ჯილდო ტერიტორიული ექსპანსია იყო. საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს და კომუნისტური რეჟიმი დაამყარეს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უმეტეს ქვეყნებში, რომლებშიც ერთად 90 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა და რომლის ტერიტორიაც მეტი იყო, ვიდრე საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის, ერთად აღებული. იუგოსლავია და ალბანეთიც კომუნისტური გახდა. უფრო შთამბეჭდავი ის ფაქტი იყო, რომ ჩინეთის კომუნისტებმა, რომელთანაც მოსკოვს საუკუნის მეოთხედის განმავლობაში ამბივალენტური ურთიერთობა ჰქონდა, ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მხარდაჭერილი გომინდანის ჯარების წინააღმდეგ სამოქალაქო ომი მოიგეს და 1949 წლისთვის, მთელ ჩინეთზე დაამყარეს კონტროლი. დანარჩენ მსოფლიოზე კომუნიზმის გავრცელება თითქოს დროის საკითხი იყო.

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის ისტორიაში ერთადერთი მოვლენა იყო, რომელმაც ერი და მთავრობა დააახლოვა: „1941 წელს გერმანელების თავდასხმის შემდეგ, პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში, ოფიციალური განცხადებები ჭეშმარიტებასთან თანხვდებოდა: გერმანელები მართლა *იყვნენ* სასტიკი დამპყრობლები, ერი კი *ნამდვილად* გადარჩენისთვის

იბრძოდა[1]". ომმა კომუნისტურ რეჟიმს, როგორც ერის დამცველს, ლეგიტიმაცია მოუტანა, რომელიც მას აქამდე არ ჰქონდა. მაგრამ ფართოდ გავრცელებული იმედი, რომ ამ თანამშრომლობის შედეგად სტალინი თავის მმართველობას შეარბილებდა და მის ხალხს მეტ თავისუფლებას მისცემდა, არ გამართლდა. იმ რამდენიმე წელში, რომელიც მას დარჩენოდა, მან შერბილების არანაირი ნიშანი არ გამოავლინა.

სტალინის სიკვდილმა მისი მემკვიდრეები რთულ სიტუაციაში ჩააყენა. ისინი გრძნობდნენ, რომ მათ უნდა დაეგმოთ შეშლილი დიქტატორი და მისი სისხლიანი პოლიტიკა, თუმცა მათ ასევე უნდა შეენარჩუნებინათ სისტემა, რომელსაც ის თითქმის ოცდაათ წელს მართავდა, რადგან მათი ძალაუფლება და პრივილეგიები სწორედ ამ სისტემას ეფუძნებოდა. მათ ეს პრობლემა კომუნიზმის კვლავ ლენინთან დაკავშირებით გადაჭრეს. 1956 წელს, პარტიის მეოცე ყრილობაზე – ის პირველი ყრილობა იყო სტალინის გარდაცვალების შემდეგ – წარმოთქმულ საიდუმლო სიტყვაში, ნიკიტა ხრუშჩოვმა, ახალმა პირველმა მდივანმა, რამდენიმე დანაშაული გაამჟღავნა, რომელიც სტალინმა კომუნისტური *ნომენკლატურის* წინაალმდეგ ჩაიდინა. ამ მხილების შედეგად, სტალინი ერთბაშად არარაობად იქცა: მისი სხეული მავზოლეუმიდან გამოიტანეს, რომელსაც ის ლენინთან იყოფდა; სტალინგრადს ვოლგოგრადი უწოდეს და ძალიან ორგანიზებულად, რითაც საბჭოთა ბიუროკრატია ძლიერ ამაყობდა, მისი უთვალავი პორტრეტი,

---

[1] Urban, George R., editor. *Stalinism: Its Impact on Russia and the World.* New York, M. Temple Smith, 1982. გვ. 423.

ქანდაკება და ტოპონიმი გააქრეს. თითქოს სტალინის მმართველობის ოცდაათი წელი ერთი დიდი შეცდომა იყო, თუმცა არავის არც კი უცდია აეხსნა, თუ რამ გამოიწვია ეს „შეცდომა". ვინაიდან ამის მხოლოდ ორი ვარიანტი არსებობდა და მისაღები არც ერთი იყო: ან მარქსის მატერიალისტური თეორია ცდებოდა და ისტორიას, როგორც ჩანს, პოლიტიკა და პოლიტიკოსები მართავდნენ, ან საბჭოთა კავშირი არ იყო მარქსისტული სახელმწიფო.

–

ანტისტალინური კამპანია თამამი და, ალბათ, აუცილებელი ნაბიჯიც კი იყო, მაგრამ მან წყალი შეუყენა იმ რეჟიმის ლეგიტიმაციას, რომელმაც ასეთი მასშტაბის დანაშაულები დაუშვა: ხრუშჩოვის მხილებამ კომუნიზმის ნელი, მაგრამ მტკიცე დელეგიტიმაციის პროცესს დაუდო დასაბამი.

დესტალინიზაციის კომპენსაციისათვის და სისტემისთვის ახალი სიცოცხლის ჩასაბერად, ხრუშჩოვმა ლენინის გაღმერთება ისეთი ინტენსივობით დაიწყო, რომ მან საბჭოთა კავშირზე დიდხანს იცოცხლა. 1999 წელს, როდესაც რუსეთის მოქალაქეებს ისტორიაში ათი ყველაზე დიადი ადამიანის დასახელება სთხოვეს, მათ პირველ ადგილზე პეტრე I დიდი, ხოლო მესამეზე ლენინი მოათავსეს, პუშკინის შემდეგ (ხრუშჩოვის მცდელობების მიუხედავად, სტალინი მეოთხეზე გავიდა).

სტალინიზმის ტერორისგან გათავისუფლებულმა ნომენკლატურამ ისეთი ცხოვრებით დაიწყო ცხოვრება, რომელსაც თავად მიიჩნევდა, რომ იმსახურებდა თავი-

სი საქმიანობისა და ამაღლებული სტატუსის გამო. მან გასაოცარი სისწრაფით დააღწია თავი პარტიის მმართველი ორგანოების კონტროლს.

ხრუშჩოვმა გარკვეულწილად ისე შეარბილა მკვდარი დიქტატორის რეჟიმი, რომ მისი ძირეული ინსტიტუციები და კანონები არ შეუცვლია: ერთპარტიული მმართველობა შენარჩუნდა ისევე, როგორც ყველგანმსუფევი საიდუმლო პოლიცია და ცენზურა. და მაინც, საბჭოთა მოსახლეობის ცხოვრება საგრძნობლად გამარტივდა. საკონცენტრაციო ბანაკების მილიონობით პატიმარმა თავისუფლება მოიპოვა. რეპრესიების ბევრი მსხვერპლი რეაბილიტირებული იქნა, რამაც მათ ველარაფერი არგო, თუმცა მათ ოჯახებს ამან შვება მოუტანა. მოქალაქეებს კვლავ დართეს ნება უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან შეზღუდული ურთიერთობის დამყარებისა. მეტმა და მეტმა უცხო ქვეყნის მოქალაქემ მიიღო ქვეყანაში შემოსვლის ვიზა და მეტ საბჭოთა მოქალაქეს შეეძლო სსრკ-ის საზღვრებს გარეთ მოგზაურობა. უცხოური მოკლეტალღოვანი სიხშირეების ჩახშობა კვლავინდებურად გაგრძელდა, თუმცა ეს ძველებურად ზედმიწევნით აღარ ხდებოდა და ამიტომ საბჭოთა მოქალაქეებს უფრო რეალისტური სურათის აღქმა შეეძლოთ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა საზღვარგარეთ თუ ქვეყნის შიგნით.

ამ ყველაფრის შედეგად ხალხს თვალი აეხილა. 1970-იანებში, მიხეილ გორბაჩოვი უკვე დაწინაურებული იყო კომუნისტურ იერარქიაში, როდესაც მან იტალია, ბელგია და დასავლეთ გერმანია მოინახულა. ის გაოცებული იყო იმით, რაც ნახა – არა იმდენად დასავლეთის ცხოვრების დონით, არამედ მისი სამოქალაქო

კულტურით. ამის შედეგად, მას „მანამდე არსებული წარმოდგენა შეერყა, რომ სოციალისტური დემოკრატია ბურჟუაზიულ სისტემაზე უპირატესი იყო“: „ჩვენ განცვიფრებული ვიყავით იმ ხალხის ღია და თავისუფალი დამოკიდებულებით, რომლებსაც ჩვენ შევხვდით, – იგონებდა თავის მემუარებში, – და მოვიხიბლეთ მათი შეუზღუდავი მსჯელობით ყველაფერზე, მათ შორის, მათი მთავრობის საქმიანობასა და მათ ეროვნულ თუ ადგილობრივ პოლიტიკოსებზე“. მისი მომავალი მოწინააღმდეგე და დამოუკიდებელი რუსეთის პირველი არჩეული მმართველი, ბორის ელცინი იმავენაირად გაოცებული იყო 1989 წელს შეერთებულ შტატებში მოგზაურობისას. ეს მოგზაურობა მისთვის „დამსხვრეული სტერეოტიპებისა და კლიშეების უსასრულო ჯაჭვი“ იყო. ჰიუსტონში სუპერმარკეტის მონახულების შემდეგ მან ხმამაღლა გამოთქვა გაოცება: „რა უქნეს მათ ჩვენს საბრალო ხალხს?“ მისი თანმხლების აზრით, ამ გამოცდილებამ ელცინში დაამსხვრია ყველაფერი, რაც მასში კომუნიზმის რწმენისგან იყო დარჩენილი. აღმოჩნდა, რომ სტალინი მართალი იყო: სისტემა მხოლოდ მაშინ გადარჩებოდა, თუკი ის საკუთარ ხალხს, მათ შორის, უმაღლესი რანგის ფუნქციონერებს გარე სამყაროსგან სრულ იზოლაციაში ამყოფებდა.

საგარეო პოლიტიკას რაც შეეხება, სტალინის მემკვიდრეებმა გადააფასეს და მიატოვეს მისი კონფრონტაციული სტრატეგია, ვინაიდან დაასკვნეს, რომ როგორც ჩანს, კაპიტალიზმი არ იმყოფებოდა ჩამოქცევის პირას: ედუარდ ბერნშტაინის წინასწარმეტყველება სამოცი წლის შემდეგ ახდა და პოლიტბიურომ მიიღო თეზისი, რომ სოციალიზმი რევოლუციით და, მით უფრო ომით

კი არ მიაღწევდა გამარჯვებას, არამედ არაძალადობრივი საშუალებებით. ახალი სლოგანი „მშვიდობიანი თანაარსებობა" გახდა. უცხოელ კომუნისტებს დაარიგეს, რომ არა მხოლოდ მესამე სამყაროს ეროვნულ ბურჟუაზიებთან, არამედ სოციალისტებთან შესულიყვნენ კოალიციაში, რომელთაც ლენინი კომუნიზმის ყველაზე დიდ მტრებად განიხილავდა.

ამავდროულად, პოსტსტალინური რეჟიმი ორი მიზნის მიღწევაზე კონცენტრირდა: შეიარაღების გაზრდაზე და მესამე სამყაროში შეღწევაზე.

მიუხედავად იმისა, რომ მას კვლავაც ჰქონდა შთამბეჭდავი კონვენციური სამხედრო ძალა, ახალმა ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ მომავალში გადამწყვეტი იარაღი ბირთვული რაკეტები იქნებოდა. ნაწილობრივ, ეს დასკვნა სამხედრო ბიუჯეტის შემცირების აუცილებლობით იყო ნაკარნახები, რომლის დიდი ნაწილი სწორედ კონვენციურ ძალებზე იხარჯებოდა. მაგრამ ამას თეორიული საფუძველიც ჰქონდა. მოსკოვმა უარყო დასავლური ხედვა, რომ ბირთვული იარაღი მხოლოდ ერთ მიზანს, კერძოდ შეკავებას ემსახურებოდა, და დიდი ძალისხმევა დახარჯა, რათა კონტინენტთაშორისი შეტევითი ოპერაციების წარმოების შემძლე რაკეტები განევითარებინა. ამ ძალისხმევის კულმინაცია იყო 1957 წლის ოქტომბერს, *სპუტნიკის*, მსოფლიოში პირველი ხელოვნური თანამგზავრის, გაშვება, რამაც საბჭოთა კავშირის მიერ სარაკეტო ტექნოლოგიების პროგრესი აჩვენა, რაც, თავის მხრივ, შეერთებულ შტატებს პოტენციურ საფრთხეს უქმნიდა. მომდევნო ოცდაათ წელში საბჭოთა მთავრობამ აუარებლად დიდი თანხა დახარჯა სამხედრო ბიუჯეტზე – ბოლო გათ-

ვლებით, მისი ეროვნული შემოსავლის 25-დან 30 და შესაძლოა 40 პროცენტამდე. სამხედრო დახელოვნებამ, განსაკუთრებით ბირთვული იარაღისა და კოსმოსური პროგრამის მიმართულებით, საბჭოთა კავშირს „სუპერ-ძალის" საერთაშორისო აღიარება მოუტანა. რეჟიმის ეს სტატუსი ილუზორული იყო, რამდენადაც ის უცხოელი ძალების ბირთვული არსენალით დაშანტაჟების უნარს ეფუძნებოდა, რისი გამოყენებაც საბჭოთა კავშირის სრულ განადგურებას ნიშნავდა; ამას გარდა, მან ქვეყნის ეკონომიკური რესურსები გამოფიტა, რამაც საბოლოოდ მისი დაცემა განაპირობა.

მესამე სამყაროში აქტიური ღონისძიებების ჩატარების პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანა დასავლეთის ფლანგში მოქცევა და მის ყოფილ კოლონიებზე დარტყმა იყო, რომლებთანაც დასავლეთს კარგი ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა შენარჩუნებული. თუმცა, ექსპანსიამ შინაური მორალის აღმასვლაც გამოიწვია: კომუნისტური და პროკომუნისტური რეჟიმების საბჭოთა ბირთვის გარეთ გავრცელების პერსპექტივა ქმნიდა ილუზიას, რომ კომუნიზმის წინსვლა შეუჩერებელი იყო. ამის საბოლოო ამოცანა კი ის იყო, რომ ქვეყნის შიგნით კომუნიზმისადმი წინააღმდეგობის განევა ფუჭად წარმოეჩინათ. მაგრამ ექსპანსია ძვირადღირებული თამაში აღმოჩნდა, ვინაიდან მესამე სამყაროს ქვეყნების მხარდაჭერის მოპოვება გრანტებისა და სესხების სახით ძალიან დიდ სუბსიდიებს მოითხოვდა, რომლებსაც უკან არავინ დააბრუნებდა. ეს ფუჭი ინვესტიცია გამოდგა, ვინაიდან, როგორც ამას მოგვიანებით ვნახავთ, ამ გზით მოპოვებული მოკავშირეები სანდონი არ აღმოჩნდნენ.

–

1964 წელს ხრუშჩოვი კოლეგებმა გადააყენეს: სახელმწიფო აპარატი დაიღალა მისი მშფოთვარე საქმიანობით და ის, მისი შვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიმშვიდესა და სტაბილურობაზე" ოცნებობდა. მისი ადგილი დაიკავა ლეონიდ ბრეჟნევმა, რომელმაც პირველ მდივნად თვრამეტი წელი იმსახურა, და მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით მას დემენციის გამოკვეთილი ნიშნები აღენიშნებოდა: მანქანა უბრალოდ განაგრძობდა მუშაობას.

წლიდან წლამდე საბჭოთა რეჟიმი იხრწნებოდა. ეკონომიკა სტაგნაციას განიცდიდა და ის კიდევ უფრო ჩამორჩა განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს. მას შემდეგ, რაც დრაკონული დასჯის შიში გაქრა, მშრომელებს საკუთარი თავის იძულების მოტივაცია დაუქვეითდათ: როგორც თავად აღნიშნავდნენ ცინიკურად, „ისინი თავს აჩვენებენ, რომ გვიხდიან, ხოლო ჩვენ თავს ვაჩვენებთ, რომ ვმუშაობთ". მშრომელები, რომლებიც ინიციატივას იჩენდნენ, შესაძლოა მათ თანამშრომლებს „პროვოკატორებად" გამოეცხადებინათ და ეცემათ. ცენტრალური დაგეგმვის აპარატი მხოლოდ იმის კეთებაზე ფოკუსირდა, რაც მას ყველაზე კარგად გამოსდიოდა: ერთსა და იმავე ნაწარმს აწარმოებდა და ყურადღებას არ აქცევდა ისეთ ინოვაციებს, როგორიცაა პლასტმასა, სინთეტიკური ქსოვილები, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია – კომპიუტერები. ინფორმაციის ზედმიწევნითი კონტროლი ნიშნავდა, რომ სსრკ არ მონაწილეობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებაში, რამაც დასავლური ეკონომიკის რევოლუცია გამოიწვია. მი-

უხედავად იმისა, რომ რიგითი მოქალაქეების ცხოვრების დონე სტალინის პერიოდთან შედარებით უკეთესი იყო, ის იმ მინიმალურ ნორმებზე დაბლაც კი დაეცა, რაც სახელმწიფოს მიერ იყო დადგენილი: ამიტომ, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა მოსახლეობის თითქმის ნახევარი თვეში ათ დოლარზე ნაკლებს გამოიმუშავებდა. ალკოჰოლიზმი ეპიდემია იყო: საბჭოთა კავშირს შეეძლო მსოფლიოში ალკოჰოლის მოხმარებისა და ალკოჰოლით გამოწვეული სიკვდილის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ეტრაბახა. არაფერი წარმოაჩენს მისი მოსახლეობის თანმიმდევრულ კვდომას ისე კარგად, როგორც დემოგრაფიული სტატისტიკა: მოსახლეობა, რომელიც ცარიზმის დროს ევროპაში ყველაზე სწრაფად იზრდებოდა, 1970-იანებში ნეგატიურ ნიშნულზე იყო, ვინაიდან ყოველ წელს მეტი რუსი (და უკრაინელი) კვდებოდა, ვიდრე იბადებოდა.

კორუფცია ყვაოდა: რამის გასაკეთებლად ადამიანს უნდა მოესყიდა თანამდებობის პირები, რომლებიც პროდუქტებსა და სერვისებზე იყვნენ პასუხისმგებლები. მაღალ თანამდებობებს ის ყიდულობდა, ვინც მეტს იხდიდა. აზერბაიჯანის რესპუბლიკის შესახებ არსებული მონაცემები ცხადყოფს რეგულარულ ტარიფებს ყველა აღმასრულებელი, მათ შორის, პარტიული თანამდებობისთვის; ყველაზე ძვირად ის თანამდებობები ფასობდა, რომლებიც ქრთამის აღებისა და საზოგადო ქონების მიტაცების ყველაზე დიდ შესაძლებლობებს იძლეოდა. რუსები ისე მიეჩვივნენ კორუფციას, რომ მზად იყვნენ, ქრთამი მაშინაც კი გაეღოთ, როცა დარწმუნებულიც კი

არ იყვნენ, რომ ეს მათ მიზნის მიღწევაში დაეხმარებოდათ. მაგალითად:

„მოსკოვის ბაზარში იდგა დახლი, სადაც ათასი წვრილმანი იყიდებოდა და რომელიც ერთ ხეიბარ კაცს ეკუთვნოდა. იგი მზად იყო, გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, ნებისმიერი ახალგაზრდა, რომელიც უნივერსიტეტში ჩაბარება სურდა, ნებისმიერ ფაკულტეტზე ჩაერიცხა... [უნივერსიტეტში მოხვედრის სირთულის გამო] ამ ქმედუუნარო ვეტერანს, რომელსაც ჩარიცხვის უზრუნველყოფის მაგიურ ძალებსა და უნარებს ფლობდა, ძალიან დიდი შემოსავალი ჰქონდა მოსიყვარულე მშობლებისაგან, რომლებიც, ჟინით შეპყრობილები, ხელში უკუჭავდნენ მას მოთხოვნილ თანხას. ქმედუუნარო ვეტერანი ბიზნესის ყველაზე კეთილსინდისიერი პრინციპით მოქმედებდა და ყოველთვის აფრთხილებდა თავის კლიენტებს, რომ ის ყოვლისშემძლე არ იყო და რომ ბუნებრივია, ის ყველაფერს იზამდა, რაც მის ძალებს შესწევდა, მაგრამ წარმატების გარანტიის მიცემა არ შეეძლო: იმ შემთხვევაში, თუკი მათი ქალიშვილი ან ვაჟი ვერ ჩაირიცხებოდა უნივერსიტეტში, ის მათ ფულის დაბრუნებას ჰპირდებოდა. და მართლაც, ყოველთვის, როდესაც ვინმე იჭრებოდა, მისი მშობლები უკან იბრუნებდნენ ფულს. მაგრამ ის ხშირად წარმატებული იყო და შესაბამისად დიდ კლიენტურას ინარჩუნებდა, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის ფული გადაეხადათ.

და რას აკეთებდა ის სანაცვლოდ? არაფერს! ის საერთოდ არაფერს აკეთებდა. არც არავის არაფერს სთხოვდა და არც არავის ელაპარაკებოდა; მას არანაირი კავშირი არ ჰქონია რომელიმე ფაკულტეტი-

სა თუ ინსტიტუტების ხელმძღვანელთან. მაგრამ ის კარგად შოულობდა, ვინაიდან შემდეგი პრინციპით მუშაობდა: თუკი მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ მათ შვილს ესწავლა, ისინი მხოლოდ მისი დახმარების იმედად არ იქნებოდნენ, არამედ სხვა გზებსაც მოძებნიდნენ; ალბათ შესაფერისი ძღვენის სანაცვლოდ მოძებნიდნენ სხვა, უფრო გავლენიან დამხმარეს. ამ ბერკეტებიდან რომელიმე იმუშავებდა – თუმცა რომელი, ამის გაგებას ისინი ვერასდროს შეძლებდნენ. ამას გარდა, სავარაუდო იყო, რომ ამგვარ ამბიციებს აყოლილი ახალგაზრდა [მისაღები] გამოცდისთვის სათანადოდ მოემზადებოდა და, სირთულეების მიუხედავად, საწადელს მიაღწევდა. და თუკი ყველაფერი ასე არ მოხდებოდა, ის ფულს უკან დააბრუნებდა[1]".

სახელმწიფო ქონების მოპარვა არანაირ მორალურ პასუხისმგებლობას არ უკავშირდებოდა. მეტიც, ერთი ცნობილი გამოთქმა საბჭოთა მოქალაქეებს მოუწოდებდა, რომ „თუკი შენ არ ჰპარავ მთავრობას, შენ საკუთარ ოჯახს ჰპარავ". აზროვნების ამ წესმა მთელი ერი გარყვნა.

ზოგადმა შერბილებამ უფრო გაბედული ადამიანები წააქეზა, რეჟიმს დაჰპირისპირებოდნენ და ასე გაჩნდა დისიდენტობის ფენომენი. დისიდენტები ჩვეულებისამებრ ისჯებოდნენ, რასაც ბრეჟნევის პოლიციის უფროსმა, იური ანდროპოვმა, მენტალურ დანესებულებაში მოთავსება დაუმატა, სადაც მათ მედიკამენტებით

---

[1] Sinjavskij, Andrej. *Der Traum vom neuen Menschen oder Die Sowjetzivilisation.* Translated by Swetlana Geier, Frankfurt am Main, S. Fischer, 1989. გვ. 262-63.

მკურნალობდნენ და სხვა მეთოდებით ტანჯავდნენ. დადგენილია, რომ 1980-იანების ბოლოს, „კაგებეს", სულ მცირე, 480,000 თანამშრომელი ჰყავდა, რომელთაგან მილიონის მეოთხედი, ათობით მილიონობით ინფორმატორის დახმარებით, საშინაო კონტრდაზვერვასა და თვალთვალში მონაწილეობდა[1]. თუმცა მოძრაობა, რომელიც ერთხელ დაიწყო, აღარ ჩერდებოდა და მიუხედავად მათი მცირერიცხოვნობისა, დისიდენტები მთავრობის პრესტიჟის შერყევას განაგრძობდნენ.

ზუსტად ასე განვითარდა მოვლენები აღმოსავლეთ ევროპის ნაწილში, რომელიც საბჭოთა კავშირზე იყო დამოკიდებული. 1956 წელს, როდესაც უნგრელები ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად აჯანყდნენ, მოსკოვმა მათი დაუმორჩილებლობა სამხედრო ძალით დათრგუნა. იგივე მოხდა 1968 წელს, როდესაც ჩეხმა კომუნისტებმა დემოკრატიული სოციალიზმის მიღება სცადეს. მაგრამ, როდესაც პოლონეთში 1970-იანებში ძლიერი პროფესიული კავშირის მოძრაობა „სოლიდარობა" დაიწყო, რომელიც ჯიქურ დაუპირისპირდა კომუნისტურ რეჟიმს, მოსკოვს ჩარევის გამბედაობა აღარ ეყო. ვინაიდან ეშინოდა, რომ ეს მოძრაობა საბჭოთა მშრომელებსაც გადაედებოდათ, მან მოითხოვა, პოლონელ კომუნისტებს საკუთარ ხელში აეღოთ ინიციატივა და გაენადგურებინათ „სოლიდარობა". დიდხნიანი ყოყმანის შემდეგ, 1981 წელს, პოლონეთის მთავრობამ სამხედრო მდგომარეობა შემოიღო და მშ-

---

[1] Pringle, Robert W. „Andropov's Counterintelligence State". *International Journal of Intelligence and CounterIntelligence*, vol. 13, 2000, pp. 193-203. გვ. 195.

რომელთა მოძრაობის თითქმის ყველა ლიდერი დააპატიმრა.

1980-იანების შუა წლებში, საბჭოთა კავშირმა რეალური კრიზისი განიცადა და არა ისეთი, რომელიც მისი დიქტატურის გასამართლებლად ხელოვნურად იქმნებოდა ხოლმე. ის საჯარო ცხოვრების ყველა სექტორის მზარდმა ატროფიამ გამოიწვია. საბჭოთა კავშირი არსებობის ისტორიაში პირველად დადგა პრობლემის წინაშე, რომლის გადაწყვეტაც ძალის გამოყენებით არ შეიძლებოდა. აუცილებელი გახდა ძირეული რეფორმების გატარება – ანუ დათმობებზე წასვლა.

გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ხშირად მოხუცებული და ხანდახან ავადმყოფი პირველი მდივნების გამო იწელებოდა, რომლებსაც არ სურდათ ნავის შერყევა. მაგრამ, 1985 წელს გადაწყვეტილების გადადება უკვე შეუძლებელი გახდა. კომუნისტური ბლოკმა თავი იქ ამოყო, რასაც ლენინი „რევოლუციურ სიტუაციას" უწოდებდა: ბლოკის მთავრობებს ჩვეული მეთოდებით მართვა აღარ შეეძლოთ და ხალხიც აღარ დაუშვებდა, რომ ასე ყოფილიყო მართული. ამის შედეგი იყო ჩიხური სიტუაცია, რომელიც შეიძლება რევოლუციაში გადაზრდილიყო. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, 1985 წელს პოლიტბიურომ პირველ მდივნად შედარებით ახალგაზრდა ნევრი, მიხეილ გორბაჩოვი აირჩია. გორბაჩოვის ამოცანა სისტემის გამოცოცხლება იყო, მისი საფუძვლების შერყევის გარეშე. ამ ამოცანის წარმატებით შესრულება შეუძლებელი იყო, ვინაიდან რეფორმის ნებისმიერი მცდელობა *ნომენკლატურის* მხრიდან წინააღმდეგობას აწყდებოდა, რომელსაც ღრმად ჰქონდა

ფესვები გადგმული, და რომელიც მუდმივად საბოტაჟს უწყობდა მთავრობას. 1988 წლისთვის გორბაჩოვმა და მისმა მრჩევლებმა დაასკვნეს, რომ კომუნიზმის რეფორმირება შეუძლებელი იყო და სსრკ-ის დემოკრატიულ სოციალისტურ სახელმწიფოდ გარდაქმნა დაიწყეს.

ჯერ იყო გლასნოსტი, რაც მთავრობის საიდუმლოებით მოცულობის დასრულებასა და ცენზურის საგრძნობლად შერბილებას გულისხმობდა. რეჟიმი დილემის წინაშე იდგა: განეგრძო ნებისმიერი აზრის გამოხატვის შეზღუდვა და ნელ-ნელა მოეხრჩო ქვეყანა, ან გაეთავისუფლებინა ის და დამანგრეველი აფეთქების რისკზე ნასულიყო. გორბაჩოვმა ის აფეთქება აირჩია, რომლის გაკონტროლებაც, მისი აზრით, შესაძლებელი უნდა ყოფილიყო. ეს ძალიან სახიფათო ნაბიჯი აღმოჩნდა. „კაგებეს" დიდი ხნის მმართველი და ბრეჟნევის უშუალო უფლებამონაცვლე ანდროპოვი აფრთხილებდა გორბაჩოვს, რომ სიტყვის თავისუფლებაზე კონტროლის შესუსტება მთელ რეჟიმს დაამხობდა:

> „ჩვენს ქვეყანაში ადამიანთა ძალიან ბევრმა ჯგუფმა განიცადა რეპრესია... თუკი ჩვენ ყველა სარქველს ერთდროულად გავხსნით და ადამიანები თავიანთი წუხილის გამოხატვას დაიწყებენ, ზვავი წამოვა და ჩვენ მისი შეჩერების არანაირი საშუალება არ გვექნება[1]".

---

[1] Wolf, Markus, and Anne McElvoy. *Man Without a Face: The Autobiography of Communism's Greatest Spymaster*. Times Books, 1997. გვ. 218-219.

დაგროვებული წუხილი, რომელსაც ახლა გამოსავალი მიეცა, მართლაც გადმოინთხა და გზად ყველა ოფიციალური მითი და მათზე დაფუძნებული მთელი სიურრეალიზმი წალეკა.

გორბაჩოვი გლასნოსტზე არ გაჩერებულა; მან კომუნისტური პარტიის პოლიტიკური მონოპოლია დაასრულა და „სახალხო დეპუტატთა ყრილობა" მოიწვია, რომელთა ნაწილიც უშუალოდ მოქალაქეების მიერ არჩეული წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ. 1917 წლის შემდეგ პირველად, ერს საკუთარი მმართველების არჩევის საშუალება მიეცა. მათ კი ბევრი არაკომუნისტი და ანტიკომუნისტიც კი აირჩიეს, მათ შორის, ბორის ელცინიც, მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის არაორთოდოქსი თავმჯდომარე, რომელმაც *ნომენკლატურის* პრივილეგიებზე თავდასხმით დიდი პოპულარობა მოიპოვა. აქედან მოყოლებული, მოვლენები თავბრუდამხვევი სიჩქარით განვითარდა. 1989 წელს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადაულახავი გამიჯვნის სიმბოლო – ბერლინის კედელი – დაინგრა, ვინაიდან მოსკოვმა აღმოსავლეთ გერმანიის მთავრობის დასახმარებლად სამხედრო ძალის გაგზავნაზე უარი თქვა. სატელიტურმა ქვეყნებმა ერთიმეორის მიყოლებით გამოაცხადეს მოსკოვისგან დამოუკიდებლობა. რათა საბჭოთა რესპუბლიკებს ერთმანეთისათვის არ მიებაძათ, არაეფექტური ნაბიჯები გადაიდგა. 1991 წლის დეკემბერში, ურყევი კომუნისტების მიერ სსრკ-ს რღვევის შეჩერების მიზნით მოწყობილი არშემდგარი პუტჩის შემდეგ, ელცინმა, რომელიც წლის დასაწყისში რუსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს, რუსეთი

სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადა და ამით საბჭოთა კავშირი დაიშალა. მისი ერთ-ერთი პირველი ქმედება კომუნისტური პარტიის კანონგარეშედ გამოცხადება იყო. ახალმა მთავრობამ დემოკრატიისა და თავისუფალი ბაზრის დაფუძნება გამოაცხადა. *ნომენკლატურა*, რომელსაც მოვლენების უკუქცევის ძალა შესწევდა, მოისყიდეს იმით, რომ მათ სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილის აპროპრიაციის უფლება მისცეს.

სიჩქარემ, რომლითაც ეს მოვლენები განვითარდა, იმ იმპერიის უკიდურესი სიმყიფე გამოავლინა, რომელიც დაუნგრევლად გამოიყურებოდა; მისი ჩამოშლა სამი მეოთხედი საუკუნის ადრე ცარისტული იმპერიის დაშლას ჰგავდა. ორივე შემთხვევაში, რეჟიმის მოუქნელობამ და მოსახლეობასთან ახლო კავშირის არქონამ, ის გასაჭირის ჟამს უმეგობროდ და ყველასგან მიტოვებულად აქცია.

რუსეთში კომუნიზმმა უბრალოდ თავისი თავი ამოჭამა. ის ძალიან ბევრს ითხოვდა და ძალიან ცოტას გასცემდა, რითაც აპათიის ატმოსფეროს ქმნიდა, სადაც სასიამოვნო ძალიან ცოტა რამ იყო, ხოლო მომავალს პერსპექტივა არ გააჩნდა. 1980-იანებისთვის საბჭოთა ელიტასაც კი დაკარგული ჰქონდა კომუნიზმის რწმენა, ვინაიდან ისინი ხედავდნენ, თუ როგორ გაუსწრო ქვეყანას გარესამყარომ ყველა პარამეტრით, სამხედრო დანახარჯებისა და ალკოჰოლის მოხმარების გამოკლებით. მათ დაკარგეს თავდაჯერებულობა და სუსტი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი დაისაკუთრეს და მშვიდად მიიღეს რეჟიმის დასასრული.

4.

კომუნიზმის აღქმა დასავლეთში

მავდაპირველად რუსეთში 1917 წლის მარტის რევოლუციის აფეთქებას დასავლეთ ევროპაში დიდი ინტერესი არ გამოუწვევია: წამყვანმა შვეიცარიულმა გამოცემამ, „Neue Zürcher Zeitung"-მა, საიდანაც შეიტყო ლენინმა თავის სამშობლოში მიმდინარე მოლელვარების შესახებ, ეს ინფორმაცია მეორე გვერდზე განათავსა, როგორც რუტინული სიახლე. სასტიკ ომში გახვეულ ევროპას არ ჰქონდა შორეულ რუსეთში მიმდინარე მოვლენებისთვის დასათმობი დრო. მას 1915 წლის მარცხების შემდეგ, აღნიშნული მიზეზების გამო, ომის მონაწილე მხარედ აღარც აღიქვამდნენ. რა რეაქციაც რევოლუციას მოჰყვა, ძირითადად დადებითი იყო იმ რწმენის გამო, რომ დროებითი მთავრობა, რომელიც თავიდან თითქმის საყოველთაო მხარდაჭერით სარგებლობდა, კვლავ ჩაერთვებოდა ომში. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც ყოველთვის მზად იყო, ახალი წევრები მიეღო დემოკრატიულ ქვეყანათა თანამეგობრობაში, პირველი იყო, ვინც ახალ მთავრობას დიპლომატიური აღიარება მიანიჭა.

პოზიტიური დამოკიდებულება ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის გადაგდების შემდეგ მალე არ შეცვლილა. მათ იცოდნენ ლენინსა და იმპერიულ გერმანიას შორის არსებული კავშირების შესახებ და ამიტომ მოკავშირეები მას ეჭვის თვალით უყურებდნენ, მაგრამ ისინი იმდენად ესწრაფვოდნენ აღმოსავლეთის ფრონტის კვლავ გააქტიურებას, რომ მზად იყვნენ, რუსეთის ნებისმიერ მთავრობასთან ეარშიყათ, ბოლშევიკურთანაც კი. ეს არშიყი 1918 წლის მარტში დასრულდა, ბრესტ-ლიტოვსკის ტრაქტატის გაფორმების შემდეგ, რომელმაც საბჭოთა რუსეთი ომიდან გამოთიშა. ახლა მოკავშირეებმა მხარდაჭერა სამხრეთ რუსეთსა და ციმბირში ფორმირებული თეთრი არმიისკენ მიმართეს, ვინაიდან მათ გადაწყვეტილი ჰქონდათ პროგერმანული ბოლშევიკების ჩამოგდება და ცენტრალური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის განახლება. დახმარება, ძირითადად, მომარაგებას გულისხმობდა. ლენინის თანხმობით, მოკავშირეთა მცირე კონტინგენტი ჩრდილოეთ რუსეთის ნავსადგურებში, მურმანსკსა და არხანგელსკში, გადმოსხდა, რათა ისინი გერმანელების ხელში არ ჩავარდნილიყვნენ. ამერიკული საჯარისო ნაწილები აღმოსავლეთ ციმბირში განლაგდნენ; მათი მთავარი ამოცანა იყო, ამ დიდი რეგიონის იაპონიის ხელში ჩავარდნა არ დაეშვათ. პერიოდული შეტაკებების გარდა, არც ბრიტანელები და არც ამერიკელები საომარ მოქმედებებში არ ჩართულან. რუსეთის სამოქალაქო ომში მასობრივი კაპიტალისტური ინტერვენციის შესახებ მითი მოგვიანებით სტალინმა შექმნა, ანტიდასავლური კამპანიის ფარგლებში.

1918 წლის ნოემბერში, საომარი მოქმედებების შეწყვეტასთან ერთად, მოკავშირეებმა რუსეთის საქმეებში

ჩარევის ყოველგვარი გამართლება დაკარგეს. თუკი, ამისდა მიუხედავად, ბრიტანელები სამოქალაქო ომში თეთრებს კვლავ ეხმარებოდნენ, ამას მეტწილად უინსტონ ჩერჩილის მოთხოვნით აკეთებდნენ, რომელიც მაშინ ადმირალიტეტის პირველი ლორდი იყო და რომელიც, ზოგიერთის მსგავსად, იმ საფრთხეს აცნობიერებდა, რასაც კომუნიზმი მსოფლიოსთვის წარმოადგენდა ისევე, როგორც 1930-იანებში განჭვრიტა ნაცისტების საფრთხე. მან კომუნისტების ხელისუფლებიდან ჩამოშორების მიზნით საერთაშორისო ჯვაროსნული ომის წამოწყების იდეა წამოაყენა. ომისგან დაღლილმა ევროპამ ამგვარ შემოთავაზებას ყურადღება არ მიაქცია. დევიდ ლოიდ ჯორჯი, ბრიტანეთის ლიბერალი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც ძალიან ესაჭიროებოდა კონსერვატორების მხარდაჭერა, თანაუგრძნობდა ჩერჩილს, მიუხედავად იმისა, რომ მზად იყო, ლენინთან დაზავებულიყო. ამ უკანასკნელს ის ბრიტანეთის ინტერესებისთვის ნაკლებ საფრთხედ მიიჩნევდა, ვიდრე აღზევებულ ცარიზმს. თუმცა, 1919 წლის ბოლოს, მას შემდეგ, რაც თეთრი არმია მთლიანად განადგურდა, ლოიდ ჯორჯს მოთმინების ფიალა აევსო და თეთრებისთვის დახმარების შეწყვეტა ბრძანა. ჩერჩილი, რომელიც ყველაფრის მიუხედავად, ამ ბრძანებას დამორჩილდა, გერმანიის, საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მომავალი კოალიციის შექმნის შემთხვევაში მძიმე შედეგებთან დაკავშირებით აფრთხილებდა:

„ჩვენ თუ რუსეთს მივატოვებთ, გერმანია და იაპონია ამას არ გააკეთებენ. ახალი ქვეყნები, რომელთა დაბადების იმედიც გვაქვს ევროპის აღმოსავლეთში, რუსულ ბოლშევიზმსა და გერმანიას შორის გაიჭყ-

ლიტებიან... ხუთ წელიწადში, ან უფრო ცოტა ხანში, ცხადი იქნება, რომ ჩვენი გამარჯვების ყველა ნაყოფი გაქრება".

1921 წელს, ბრიტანეთმა, რომელიც ამ მიმართულებით წამყვანი სახელმწიფო იყო, საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობები დაამყარა; ამას მალევე დიპლომატიური აღიარებაც მოჰყვა. მას მიჰყვნენ ევროპის დანარჩენი ქვეყნებიც. დიდი ძალებიდან მხოლოდ შეერთებულმა შტატებმა განაცხადა უარი იმ მთავრობის აღიარებაზე, რომელსაც მიზნად საერთაშორისო სახელმწიფოებრივი სისტემის განადგურება ჰქონდა დასახული; ამერიკამ ეს მხოლოდ 1933 წელს აღიარა.

საბჭოთა მთავრობა საერთაშორისო ურთიერთობებს ორ განსხვავებულ დონეზე აწარმოებდა: დიპლომატიურ და სუბვერსიულ დონეებზე. 1920-იანებში საბჭოთა „პოლიტიკურმა წარმომადგენლებმა" გადაიბარეს „ბურჟუაზიული" სახელმწიფოების დედაქალაქებში არსებული ცარისტული მთავრობის საელჩოები და გარეგნულად ისევე ეწეოდნენ თავიანთ საქმიანობას, როგორც სხვა ქვეყნის დიპლომატები. მაგრამ ნამდვილი საქმიანობა თვალს იყო მოფარებული: აქ საქმიანობდნენ კომუნისტური ინტერნაციონალის აგენტები, რომელთაც ზუსტად იმ მთავრობების ჩამოგდება ჰქონდათ დავალებული, რომელთა მიმართაც საბჭოთა ატაშეები იყვნენ მივლენილნი. როდესაც უცხოური სახელმწიფოები ამ ძირგამომთხრელი საქმიანობის წინააღმდეგ პროტესტს გამოთქვამდნენ, მოსკოვი სერიოზულად პასუხობდა, რომ კომუნისტური პარტიები, ისევე როგორც ინტერ-

ნაციონალი, კერძო ორგანიზაციები იყვნენ, რომელთა საქმიანობაზეც ის პასუხს არ აგებდა.

თუკი მოკავშირეები რუსეთში ანტიკომუნისტურ ძალებს ენთუზიაზმის გარეშე, უგულოდ და ზერელედ უჭერდნენ მხარს, მოსკოვი დასავლეთში არსებულ ანტიდემოკრატიულ ძალებს მის ხელთ არსებული ყველა რესურსით უმაგრებდა ზურგს.

მესამე ინტერნაციონალი, ანუ კომინტერნი, რომელსაც ტროცკიმ „მსოფლიო რევოლუციის გენერალური შტაბი" უწოდა, მოსკოვში 1919 წელს დაფუძნდა, მაგრამ ფორმა მხოლოდ ერთი წლის შემდეგ, 1920 წლის ზაფხულში შეიძინა, რა დროისთვისაც სამოქალაქო ომი თითქმის უკვე დასრულებული იყო და კომუნისტებს საგარეო ურთიერთობებზე კონცენტრირება შეეძლოთ. განწყობა საომარი იყო: წითელი არმია, რომელიც თითქმის არანაირ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა, ვარშავისკენ მიიწევდა და თითქოს ვერაფერი შეუშლიდა ხელს, რომ გერმანიასა და ინგლისში შესულიყო, რომლებიც ლენინის აზრით, რევოლუციისათვის მზად იყვნენ. კომინტერნის მეორე ყრილობაზე (1920 ნ.) მიღებული რეზოლუციები იწყებოდა მტკიცებით, რომ „მსოფლიო პროლეტარიატს გადამწყვეტი ბრძოლები აქვს წინ. ეპოქა, რომელშიც ახლა ვცხოვრობთ, ღია სამოქალაქო ომების ეპოქაა. გადამწყვეტი საათი ახლოვდება[1]". სტალინს, რომელიც იმ დროს პოლონეთის ფრონტზე იმყოფებოდა, ლენინი საიდუმლოდ სწერდა:

---

[1] Jane, Degras. *The Communist International, 1919-1943: Documents.* London, Oxford University Press, 1956. გვ. 128.

„კომინტერნში სიტუაცია დიდებულია. ზინოვიევი, ბუხარინი და მეც ვფიქრობთ, რომ იტალიაში რევოლუცია სასწრაფოდ უნდა გამწვავდეს. ჩემი პირადი აზრია, რომ ამისთვის უნგრეთის გასაბჭოება უნდა მოხდეს და ალბათ ჩეხეთის და რუმინეთისაც. ამაზე კარგად უნდა დავფიქრდეთ. მომახსენე შენი დეტალური დასკვნა. გერმანელი კომუნისტები მიიჩნევენ, რომ გერმანიას ჩვენს წინააღმდეგ ლუმპენებისგან[1] სამასიათასიანი ჯარის გამოყვანა შეუძლია[2]".

ამ გზავნილის ბოლო წინადადება ცხადყოფს, რომ მოსკოვს სურდა, ნითელი არმია დაპყრობილი პოლონეთიდან გერმანიაში გადასულიყო და იქ მათ გულშემატკივრებს ძალაუფლების მოპოვებაში დახმარებოდა.

როგორც მოვლენების განვითარებამ გვაჩვენა, ლენინს ევროპაში არსებული სიტუაცია სრულიად არასწორად ჰქონდა გაგებული. 1917 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის გამოცდილებამ, როდესაც მას წარმატებული სახელმწიფო გადატრიალების მოსაწყობად თავისი თანაშემწეების ყოყმანის დაძლევა მოუწია, ის დაარწმუნა, რომ სიფრთხილე სიმხდალე იყო; მისი პრესტიჟი ამ მომენტში იმხელა იყო, რომ მან ყველაზე სკეპტიკოსების დარწმუნებაც კი შეძლო.

---

[1] ლუმპენპროლეტარიატი, ან „უმაქნისი პროლეტარები", სოციალისტურ ტერმინოლოგიაში ისეთ მშრომელებს ნიშნავს, რომლებიც საკუთარი თავის „ბურჟუაზიისათვის" მიყიდვაზე თანხმდებიან.

[2] Pipes, Richard. *The Unknown Lenin: From the Secret Archive.* Edited by David Branderberger, translated by Catherine A. Fitzpatrick, New Haven, CT, Yale University Press, 1996. გვ. 90.

1920 წლის კომინტერნის ყრილობას ევროპისა და საზღვარგარეთის ბევრი რევოლუციონერი ესწრებოდა, ისინი მზად იყვნენ, ზომიერ სოციალისტებს გამოჰყოფოდნენ და რუსი ბოლშევიკების ხელმძღვანელობას დამორჩილებოდნენ – მარქსისტებისგან ერთადერთს, რომელმაც სოციალისტური სახელმწიფოს დაფუძნება შეძლო. ლენინი არ მალავდა, რომ ის კომინტერნს რუსული კომუნისტური პარტიის განშტოებად განიხილავდა. 1920 წლის ყრილობა დელეგატებისგან ითხოვდა, რომ მათ თავიანთი წევრებისათვის „რკინის სამხედრო დისციპლინა" დაენესებინათ და ცენტრის, ანუ მოსკოვისთვის, „სრული ამხანაგობრივი ნდობა" ეჩვენებინათ. მათი უპირველესი ამოცანა მათ მიერ წარმოდგენილი ქვეყნების ყველა მასობრივ ორგანიზაციაში შეღწევა და დაქვემდებარება იყო. პროფესიულ კავშირებში ამ მიზნის მისაღწევად, ლენინის სიტყვებით, კომუნისტებს „აუცილებლობის შემთხვევაში... ყველა შესაძლო ხერხისთვის, ეშმაკობისთვის, არალეგალური ხრიკისთვის, გასაიდუმლოებისთვისა და ჭეშმარიტების მიჩქმალვისთვის[1]" უნდა მიემართათ. კომინტერნის საბოლოო მიზანი წევრი პარტიების, არსებული ბურჟუაზიული მთავრობების წინააღმდეგ „შეიარაღებული წინააღმდეგობის" განევა, დახმარების აღმოჩენა და მათი კომუნისტური რეჟიმებით ჩანაცვლება იყო. საბოლოოდ, ეს მსოფლიო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას დააფუძნებდა.

---

[1] Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. 5 ed., vol. 41, Москва, 1958-65. გვ. 38.

ყრილობამ თითქმის ერთსულოვნად დაამტკიცა კომინტერნში გაწევრიანების ოცდაერთპუნქტიანი სია. ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტებია:

> 2. ყველა ორგანიზაციამ, რომელსაც გაწევრიანება სურს, საკუთარი რიგებიდან „რეფორმისტები და ცენტრისტები" უნდა გარიცხოს;
> 3. პრაქტიკულად ყველა ევროპულ და ამერიკულ ქვეყანაში კომუნისტებმა უნდა შექმნან „პარალელური არალეგალური ორგანიზაცია", რომელიც გადამწყვეტ მომენტში ზედაპირზე ამოვა და რევოლუციას ჩაუდგება სათავეში;
> 14. ყოველი პარტია, რომელსაც კომუნისტურ ინტერნაციონალში გაწევრიანება სურს, ვალდებულია უპირობო მხარდაჭერა აღმოუჩინოს ნებისმიერ საბჭოთა რესპუბლიკას კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;
> 21. პარტიის ის წევრები, რომლებიც პრინციპულად უარყოფენ კომუნისტური ინტერნაციონალის მიერ შემუშავებულ პირობებსა და თეზისებს, პარტიიდან უნდა გაირიცხონ[1].

ვინაიდან ყველაფერი, რასაც მოსკოვი არ იწონებდა, ავტომატურად „კონტრრევოლუციური" იყო, მეთოთხმეტე მუხლმა დაადგინა პრინციპი, რომლის მიხედვითაც ყველა ეროვნების კომუნისტისთვის უზენაესი იყო საბჭოთა კავშირის ინტერესები და სურვილები, რაც მათი საკუთარი ქვეყნებისაზე მაღლა იდგა.

---

[1] Jane, Degras. *The Communist International, 1919-1943: Documents.* London, Oxford University Press, 1956. გვ. 166-172.

ლენინისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით, კომინტერმა მთელ ევროპაში სოციალისტური მოძრაობების გახლეჩა და კომუნისტური პარტიების შექმნა შეძლო, რომლებსაც ის ფარულად აფინანსებდა და ამავდროულად მართავდა. ამ თვალსაზრისით მან წარმატებას მიაღწია. მაგრამ საბოლოო მიზანს თუ გავითვალისწინებთ, კომინტერნი კატასტროფული წარუმატებლობა აღმოჩნდა. ერთი მხრივ – იმიტომ, რომ მისი წანამძღვარი, თითქოს კაპიტალისტური ქვეყნები სამოქალაქო ომის ზღვარზე იმყოფებოდა, სრულებით მცდარი აღმოჩნდა, ვინაიდან არც ერთ დასავლურ ქვეყანაში მსგავსი ომი არ დაწყებულა; და სადაც ამის საშიშროება იდგა, იქ ის მალევე ჩაახშეს. მეორე მხრივ – იმიტომ, რომ კომუნისტებმა საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება ვერსად შეძლეს იმის მიუხედავადაც კი, რომ რამდენიმე ქვეყნის ძლიერ პროფესიულ კავშირში საკმაოდ დიდი მხარდაჭერა მოიპოვეს, განსაკუთრებით – კათოლიკური მოსახლეობის ქვეყნებში (ესპანეთი, იტალია და საფრანგეთი). შედეგად, იქაც კი, სადაც მათ დიდი მხარდაჭერის მოიპოვეს, კომუნისტური პარტიები მუდმივ ოპოზიციებად იქცნენ, იზოლირდნენ და შესაბამისად, უძლურები აღმოჩნდნენ. მოსკოვის მკაცრი ბრძანებების მიხედვით, რომ სოციალ-დემოკრატებსაც ძირითადი მტრებივით მოქცეოდნენ, მათ სოციალისტურთან ერთად კომუნისტური მოძრაობებიც დაასუსტეს და ზოგიერთ ქვეყანაში მემარჯვენე დიქტატურებს ნიადაგი მოუმზადეს, რომელთა პირველი მსხვერპლიც სწორედ თავად აღმოჩნდნენ.

ყველაზე კარგად ეს ვაიმარის რესპუბლიკაში გამოჩნდა. იქ, 1920-იანი წლების ბოლოს, სამი ძლიერი პარტია ერთმანეთის წინააღმდეგ გააფთრებულ დაპირისპირებაში იყო ჩაბმული: სოციალ-დემოკრატები, კომუნისტები და ნაცისტები. ამ დაპირისპირებაში მოსკოვი მუდმივად ნაცისტებს უფრო ანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე სოციალ-დემოკრატებს, რომლებსაც ის „სოციალ-ფაშისტებს" უწოდებდა და კვლავინდებურად თავის ძირითად მტრად განიხილავდა. ამ ხედვიდან გამომდინარე, მან გერმანელ კომუნისტებს სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობა აუკრძალა. 1932 წლის ნოემბრის რაიხსტაგის (პარლამენტის) გადამწყვეტ არჩევნებში, სოციალ-დემოკრატებმა 7 მილიონზე მეტი ხმა მიიღეს, კომუნისტებმა კი – 6 მილიონი: მათი ხმათა რაოდენობა, ერთად აღებული, ნაცისტების მიერ მიღებულ ხმებს 1.5 მილიონით აჭარბებდა. საპარლამენტო სკამების თვალსაზრისით, მათ ერთად 221 სკამი მოიპოვეს, ნაცისტებმა კი – 196. ძალები რომ გაეერთიანებინათ, ორი მემარცხენე პარტია არჩევნებით ჰიტლერს დაამარცხებდა და მას კანცლერად გახდომაში შეუშლიდა ხელს. აქედან გამომდინარე, სწორედ კომუნისტებსა და ნაციონალ-სოციალისტებს შორის არსებული მდუმარე შეთანხმება იყო, რამაც გერმანიაში დემოკრატია გაანადგურა და ხელისუფლებაში ჰიტლერი მოიყვანა.

–

1930-იანებში, როდესაც საბჭოთა კავშირი მის ყველაზე ტრავმულ პერიოდს გადიოდა – კოლექტივიზაცია, შიმშილი, დიდი ტერორი – დასავლეთში მისი აღქმა ორი

მოვლენის გამო გაუმჯობესდა, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია დასავლეთის თავდაჯერობულობაზე: დიდი დეპრესია და ნაციზმის აღზევება. მასობრივი უმუშევრობა, რომელიც ინდუსტრიულ დემოკრატიებს დაატყდა თავს, თითქოს ამტკიცებდა მარქსის წინასწარმეტყველებას, რომ კაპიტალიზმი გაივლიდა მზარდ კრიზისს, რომელიც ჩამოქცევით დაგვირგვინდებოდა. დასავლეთის უმუშევრობასა და კომუნიზმს შორის, რომელიც ეკონომიკური მშენებლობის გრანდიოზული პროგრამით წინ მიიწევდა და ყველას ჰპირდებოდა დასაქმებას, წარმოიქმნა კონტრასტი, რამაც ბევრი ლიბერალი დამკვირვებელი დაარწმუნა, რომ კაპიტალიზმი მართლაც განწირული იყო. კომუნიზმმა მხარდაჭერა იმის გამოც მოიპოვა, რომ საზღვარგარეთ ისეთ პოლიტიკას უჭერდა მხარს, რომელსაც თავის ტერიტორიაზე მკაცრად სჯიდა. ისეთებს, როგორიცაა მშრომელთა ორგანიზებისა და უმცირესობათა (მაგალითად, ამერიკელ შავკანიანთა) თანასწორობის უფლებები. საბჭოთა კავშირის მიერ ესპანეთის სამოქალაქო ომში ანტიფაშისტების მხარდაჭერასაც იგივე ეფექტი ჰქონდა.

ევროპელ კომუნისტთა და კომუნიზმის თანამგრძნობთა უმრავლესობამ იცოდა კომუნისტური მმართველობის ოდიოზური მხარეები, მაგრამ ისინი მათ სხვადასხვანაირ ახსნას უძებნიდნენ: აბრალებდნენ გარე ფაქტორებს, ისეთს, როგორიც იყო ცარიზმის მემკვიდრეობა და „კაპიტალისტური" დასავლეთის მტრული განწყობა, ან მათ აბსოლუტურად ახალი საზოგადოების მშენებლობის მცდელობის გარდაუვალ გვერდით შედეგად განიხილავდნენ. მწერალმა არტურ კოესტლერმა,

რომელიც გერმანიის კომუნისტურ პარტიას 1932 წელს შეუერთდა და რომელიც ერთი წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირში ცხოვრობდა (მან 1938 წელს გაწყვიტა ურთიერთობა მოძრაობასთან), შემდეგნაირად ახსნა მენტალური პროცესები, რომელიც პარტიის წევრებსაც და მის თანამგრძობებსაც საშუალებას აძლევდა საბჭოთა კავშირის მიერ საკუთარი მოსახლეობის მიმართ განხორციელებული ტერორისთვის და დამშევისთვის ყურადღება არ მიექციათ:

> „მე ვისწავლე, თუ როგორ უნდა დამეხარისხებინა ყველაფერი, რაც არ მომწონდა, „წარსულის მემკვიდრეობად" და ყველაფერი, რაც მომწონდა, „მომავლის მარცვლად". გონებაში ამ ავტომატური დამახარისხებელი მანქანის მოწყობის შემდეგ, შესაძლებელი იყო, რომ ევროპელს 1932 წელს რუსეთში ეცხოვრა და მაინც კომუნისტად დარჩენილიყო[1]".

კოესტლერმა კომუნისტურ პარტიაში შესვლა სულიერ მოქცევას შეადარა:

> „იმის თქმა, რომ „სინათლეს ვხედავდი", მხოლოდ მწირი აღწერაა იმ მენტალური აღფრთოვანებისა, რაც მხოლოდ ახლად მოქცეულმა იცის... ახალი სინათლე თითქოს ყველა მხრიდან იღვრება თავის ქალაზე; მთელი სამყარო, როგორც თავსატეხის ცალკეული ნატეხები, მაგიურად, ერთი ხელის მოსმით, ერთ ნიმუშში ექცევა. ახლა ყველა შეკითხვაზე არსებობს პა-

---

[1] Koestler, Arthur. *The Invisible Writing*. New York, Macmillan, 1954. გვ. 53.

> სუხი, ეჭვები და კონფლიქტები კი ტანჯულ წარსულს ჩაბარდა... ამიერიდან, მოქცეულის შინაგან სიმშვიდეს ვერაფერი დაარღვევს გარდა დროდადრო იმ ერთადერთი რამის, რაც ცხოვრებას ღირებულს ხდის – რწმენის ხელახალი დაკარგვისა და გარე ნყვდიადში დაბრუნების შიშისა[1]".

ჩრდილოეთ ევროპასა და შეერთებულ შტატებში, სადაც არც სოციალიზმსა და არც კომუნიზმს ჰყავდა ბევრი მიმდევარი, მოსკოვმა ბევრი მოკავშირე შეიძინა ლიბერალებსა და „თანამგზავრებს"[2] შორის. ჩვეულებრივ, ესენი იყვნენ ინტელექტუალები, რომლებიც პარტიაში შესვლის გარეშე, მისი მიზნების განხორციელებას უწყობდნენ ხელს. პარტიისთვის ისინი იმიტომ იყვნენ უდიდესი მნიშვნელობის, რომ პარტიის წევრებისგან განსხვავებით, რომლებიც პარტიის ბრძანების მიხედვით ლაპარაკობდნენ, ისინი საკუთარ შეხედულებებს გამოხატავდნენ. „თანამგზავრების" აზროვნების ნესი კარგად ჩანს ამერიკელი ჟურნალისტის, ლინკოლნ სტეფენსის მაგალითზე, რომელმაც 1919 წელს ძალიან ცნობილი და ხშირად ციტირებული ეპიგრამა გამოჭედა საბჭოთა რუსეთის შესახებ: „მე ვნახე მომავალი და ის მუშაობს". გაირკვა, რომ მან ეს სიტყვები დაწერა მატარებელში, რომელიც მოსკოვის მიმართულებით შვედეთს კვეთდა, მანამ, სანამ ფეხს საბჭოთა მიწაზე დადგამდა. მოგვიანებით, კარლსბადში, ელეგანტურ ჩეხურ სპაში დასვენ-

---

[1] Koestler, Arthur, et al. *The God that Failed.* Edited by Richard Crossman, New York, Harper & Brothers, 1949. გვ. 23.

[2] Fellow Travelers – აღნიშნავს ადამიანს, რომელიც თანაუგრძნობს პარტიის იდეოლოგიას მისი წევრობის გარეშე.

ების დროს, მან თავის მეგობარს მინერა: „მე რუსეთის პატრიოტი ვარ, აქ არის მომავალი. რუსეთი გაიმარჯვებს და ის მსოფლიოს გადაარჩენს. მე ამის მჯერა. მაგრამ მე იქ ცხოვრება არ მინდა“.

კლასიკური „თანამგზავრები“ იყვნენ სინდი და ბეატრის ვებები, ორი პატივსაცემი სოციალისტი, რომელთა პოლიტიკური და სამეცნიერო კარიერა ფაბიანურ საზოგადოებასთანაა დაკავშირებული. ვებები თავიდან ბოლშევიკური რეჟიმის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი, მაგრამ 1932 წელს რადიკალურად შეეცვალათ შეხედულება. მათ სამი კვირით იმოგზაურეს სსრკ-ში, სადაც მათ სამეფო დახვედრა მოუწყვეს. ისინი აღტაცებულნი იყვნენ ყველაფრით, რაც ნახეს და როგორც თავად ამბობდნენ, „რუსეთი შეუყვარდათ“. 1935 წელს, ბეჭდურ მასალებთან მუშაობის შემდეგ, რომლებსაც მათ მასპინძლები აწვდიდნენ, გამოაქვეყნეს ორტომიანი ტრაქტატი *„საბჭოთა კომუნიზმი, ახალი ცივილიზაცია?“* (1941 წლის გამოცემაში კითხვის ნიშანი გაქრა). ვინაიდან ისინი საბჭოთა დოკუმენტებს ისე ეპყრობოდნენ, როგორც ბრიტანულ წყაროებს და ვინაიდან საბჭოთა საელჩო თითო გვერდს „შეცდომებზე ამოწმებდა“, მათ საბჭოთა ცხოვრებაზე გამოგონილი ანგარიში წარადგინეს. ისინი ვერც კი ხვდებოდნენ, თუ რა პროპაგანდისტული დანიშნულება ჰქონდა ლიტერატურას, რომლიდანაც ისინი ინფორმაციას აგროვებდნენ. იმის თქმაც საკმარისია, რომ საბჭოთა ტექსტების საფუძველზე, ვებებმა უარყვეს, რომ სტალინი დიქტატორი იყო; მეტიც, ისინი ამტკიცებდნენ, რომ ის კოლეგიალურად მართავდა და მათი აზრით, ის უფრო ცოტა

ძალაუფლებასაც კი ფლობდა, ვიდრე შეერთებული შტატების პრეზიდენტი ან ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ვებებმა უგულებელყვეს, შეამცირეს ან კაპიტალისტური სამყაროსთვის დამახასიათებელი პრაქტიკების მსგავს მოვლენად აღწერეს პოლიციური ტერორი, შიმშილი და ცენზურა. ამის მიუხედავად, ვებების ფაბიანელმა კოლეგამ, ჯორჯ ბერნარდ შოუმ დიდად შეაქო მათი თითქმის 1200-გვერდიანი მაღალფარდოვანი და არაკრიტიკული ნაშრომი, როგორც „საბჭოთა კავშირის პირველი მართლაც მეცნიერული ანალიზი".

1942 წელს ბეატრის ვებმა უფრო მოკლე ტექსტი გამოაქვეყნა, თემაზე – *„სიმართლე საბჭოთა რუსეთის შესახებ"*, რომელშიც ის, 1936 წლის „კონსტიტუციის" ანალიზის საფუძველზე, სსრკ-ს „მსოფლიოში ყველაზე ინკლუზიურ და თანასწორ დემოკრატიად" აღწერდა.

ვებები ზედმეტად ჭკვიანები იყვნენ და ძალიან კარგად იცნობდნენ სამეცნიერო მეთოდებს, რათა ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ რა ცალმხრივი იყო მათი შეხედულებები საბჭოთა კომუნიზმთან დაკავშირებით. თუკი, ამის მიუხედავად, მათ მაინც ვერ შეძლეს უფრო დაბალანსებული სურათის შექმნა, ამის მიზეზი სრულყოფილი სამყაროსკენ სასოწარკვეთილი ფსიქოლოგიური სწრაფვა იყო, იმ დროს, როდესაც დასავლური ცივილიზაცია თითქოს საბოლოო განადგურებას განიცდიდა. მის აღსანერად, ვებებმა გონებაში კოესტლერის მიერ აღწერილი „გადარჩევის მანქანა" ჩართეს, რომელიც მათ არახელსაყრელი ინფორმაციის ავტომატური დაბლოკვის საშუალებას აძლევდა.

რა თქმა უნდა, ყველა დასავლელი ინტელექტუალი არ იყო ამაში ჩათრეული. საინტერესოა, რომ ის, ვინც

ყველაზე კარგად ხედავდა კომუნისტური ფასადის მიღმა არსებულ რეალობას, მეცნიერები კი არა – საბუნებისმეტყველო ან სოციალური – არამედ ჰუმანიტარები იყვნენ: მწერლები, პოეტები და ფილოსოფოსები. აბსტრაქციების ტყვეობაში მოქცევისა და შემდეგ მის შუქზე რეალობის ინტერპრეტირების ნაცვლად, ისინი რეალობას ისე ხედავდნენ, როგორც იყო.

წამყვანმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა, ბერტრან რასელმა საბჭოთა კავშირი 1920 წელს, ბრიტანეთის მშრომელთა დელეგაციის წევრის რანგში მოინახულა. მას საბჭოთა ექსპერიმენტი მოსწონდა: მისი აზრით, კაპიტალიზმი განწირული იყო, მაშინ როდესაც „კომუნიზმი სამყაროსთვის აუცილებელია... ბოლშევიზმი კაცობრიობის მთელი პროგრესული ნაწილისგან მადლობასა და აღტაცებას იმსახურებს". ეს მან დაბრუნების შემდეგ, ნაშრომში *„ბოლშევიზმის პრაქტიკა და თეორია"* დაწერა. მაგრამ ეს სენტიმენტები მხოლოდ „თეორიას" ეხებოდა. „პრაქტიკამ", რომელიც საკუთარი თვალით ნახა, იგი დააეჭვა: მან იმედგაცრუებით აღნიშნა ბოლშევიკების კვაზირელიგიური ფანატიზმი, მათი მოუთმენლობა და მათი დოგმატიზმი. რასელი ეჭვობდა, თუ რამდენად იყო შესაძლებელი კომუნიზმის ისეთ ღარიბ ქვეყანაში აშენება, როგორსაც რუსეთი წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობის უმეტესობაც მას უპირისპირდებოდა.

ფრანგმა ნოველისტმა, ანდრე ჟიდმაც, რომელმაც მსგავსადვე გამოაცხადა საბჭოთა კავშირისადმი თავისი „აღფრთოვანება" და „სიყვარული", კლასიკური „თანამგზავრივით" დაიწყო. სსრკ მისთვის „აღთქმულ მიწაზე მეტი" იყო; ეს იყო „რეალობად გარდასახვის პროცეს-

ში მყოფი" უტოპია. ის საბჭოთა კავშირში 1936 წლის ზაფხულში გაემგზავრა, იმ დროს, როდესაც ზინოვიევისა და კამენევის წინააღმდეგ დადგმული „სასამართლო" იწყებოდა. საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ, მან თხელტანიანი ნაშრომი, „სსრკ-დან დაბრუნება" დაწერა. მისი მოგზაურობის ამსახველ ამ გაუგებარ ნაშრომში, რომელშიც განდიდება და კრიტიკა ერთმანეთს უპირისპირდება და ცხადი ვერდიქტის გამოტანის საშუალებას არ იძლევა, ჟიდი ამართლებდა თავის უფლებას, გაეკრიტიკებინა საბჭოთა ექსპერიმენტი „სწორედ მისით აღფრთოვანების გამო". ის წერდა, რომ რუსეთში ყოფნის დროს, „მოზღვავებული ბედნიერების, სინაზისა და სიყვარულის ცრემლებს" ღვრიდა. და მაინც...

ჟიდს არ მოეწონა, რომ ზაფხულის მოსკოვში ყველანი თეთრებში ჩაცმულნი დადიოდნენ და ერთმანეთს ჰგავდნენ. ის გამოიპარა ძვირადღირებული სასტუმრო „მეტროპოლიდან", სადაც მისმა მასპინძლებმა ექვსოთახიან ნომერში განათავსეს და გაოცდა, როდესაც ნახა, რომ ხალხი მაღაზიების გაღებამდეც მათ წინ დიდ რიგში დგებოდა, რათა „გულისამრევი" პროდუქტები ეყიდათ. ის უკმაყოფილო იყო მასების „ინერტულობითა" და გავრცელებული კონფორმიზმით, უცხოეთის ქვეყნების შესახებ უცოდინარობით, „petit bourgeois"-ის სულისკვეთების აღზევებით, მხატვრებისა და მწერლების დეგრადაციით. ფუფუნება, რომელშიც მისი მასპინძლები მის მსგავს სტუმრებს ამყოფებდნენ და რომელიც საოცარ კონტრასტში იყო გამეფებულ სიღატაკესთან, მასში ზიზღს იწვევდა.

მიუხედავად იმისა, რომ ჟიდმა საბჭოთა კავშირის მიმართ საკუთარი კეთილგანწყობა დაადასტურა, ის

სხვადასხვა თავდასხმის ობიექტად იქცა. მას ჯერ „ზედაპირულობას" და „ნაჩქარევ მსჯელობებს" აბრალებდნენ და მას შემდეგ, რაც მოსკოვმა ნებართვის სიგნალი გასცა, „იუდას" და ფაშისტების აგენტს უწოდებდნენ. ამაზე მან პასუხი გასცა ნაშრომით *„დაგვიანებული მოსაზრებები სსრკ-ს შესახებ"*, სადაც პირდაპირ დაგმო ის, რაც კომუნისტებმა რუსეთს დამართეს: ამ ქვეყანამ „ყველა ჩვენი იმედი გააცრუა".

მიუხედავად იმისა, რომ მათ კომუნისტები უმოწყალოდ უტევდნენ და ლანძღავდნენ, როგორც სოციალ-ფაშისტებს, ევროპელი სოციალისტები მსგავსი პასუხისაგან თავს იკავებდნენ, ვინაიდან ეშინოდათ, რომ ამით კონტრრევოლუციას შეუწყობდნენ ხელს. მეორე ინტერნაციონალი, რომელიც ომებს შორის პერიოდში უთავბოლოდ არსებობდა, უგულებელყოფდა რუსი ემიგრანტების მოთხოვნას, რომ მას სსრკ-ში მოძმე სოციალისტების დევნისთვის ძლიერი წინააღმდეგობა გაეწია. მათ საბრალო „ხელმოცარულებად" აღიქვამდნენ. მეორე ინტერნაციონალის 1923 წლის ყრილობამ დაადგინა, რომ სსრკ-ის წინააღმდეგ ნებისმიერი საგარეო ჩარევის მიზანი იქნებოდა:

> „არა რუსეთის რევოლუციის მიმდინარე ფაზის შეცდომების გამოსწორება, არამედ თავად რევოლუციის განადგურება. ნამდვილი დემოკრატიის დაფუძნების ნაცვლად, ის მხოლოდ სისხლიანი კონტრრევოლუციონერების მთავრობას დასვამდა, რომელიც დასავლელი იმპერიალისტების მიერ რუსი ხალხის ექსპლუატაციისთვის ხელსაწყოს ფუნქციას შეასრულებდა".

შეიძლება ზოგი ელოდა, რომ დასავლეთში კომუნიზმის ყველაზე მგზნებარე ოპონენტები ბიზნესმენთა რიგებში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სინამდვილეში ბევრი მათგანი ნეიტრალური ან საბჭოთა მთავრობის მიმართ მეგობრულად განწყობილი აღმოჩნდა. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ისინი კომუნისტურ იდეოლოგიას მასების სალაფავად მიიჩნევდნენ, რომლის მიღმაც ელიტების მატერიალური ინტერესები იმალებოდა. და მაშინაც კი, თუკი კომუნისტებს სჯეროდათ იმის, რასაც ქადაგებდნენ, ბიზნესის გამოცდილება მათ მალე გამოაჯანმრთელებდა უტოპიზმისაგან. 1920 წელს, ლოიდ ჯორჯმა გამოთქვა მოსაზრება, რომლითაც მოსკოვთან ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკების დაწყების გამართლება სცადა:

> „ჩვენ ძალის გამოყენებით ვერ შევძელით რუსეთის გონს მოყვანა. მე მჯერა, რომ ამის გაკეთება და მისი გადარჩენა ვაჭრობით შეგვიძლია. სავაჭრო ოპერაციებს თავისთავად აქვთ გამომაფხიზლებელი ეფექტი. მიმატებებისა და გამოკლებების მარტივი ჯამი, რომელსაც ის ასწავლის, მალევე უკუაგდებს ველურ თეორიებს[1]".

რეაქციონერი და ანტისემიტი ჰენრი ფორდის მიხედვით, რაც უფრო ინდუსტრიული გახდება რუსეთი, მით უფრო უკეთ მოიქცევა ის, ვინაიდან „მექანიკასა და მორალში არსებული სისწორე, საფუძველში ერთი და იგივე რამაა".

---

[1] *The Times* [London], 11 February 1920, p. 9.

ასეთ თავის მოტყუებას კომერციული ინტერესი უმაგრებდა ზურგს. საერთაშორისო ბიზნესის საზოგადოება საბჭოთა რუსეთს მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდ პოტენციურ ბაზრად განიხილავდა და როდესაც მოსკოვმა ინდუსტრიალიზაცია დაიწყო, უცხოელი ბიზნესმენები, რომლებზეც დიდი დეპრესია დამანგრევლად ზემოქმედებდა, ერთმანეთს ასწრებდნენ, რათა სტალინის ხუთწლიანი გეგმების შეკვეთები მიეღოთ. სსრკ-ში 1930-იანებში აშენებული რამდენიმე ყველაზე დიდი საწარმო დასავლური ფირმების ტექნიკური მხარდაჭერით და მათი ხელმძღვანელობით აშენდა. სწორედ ფორდი იყო, ვინც ნიჟნი-ნოვგოროდში (გორკი) რუსეთის პირველი მანქანათმშენებელი ქარხანა ააშენა. და სწორედ დასავლურმა ფირმებმა ააშენეს გიგანტური რკინისა და ფოლადის ქარხნები მაგნიტოგორსკში, ურალის მთებში.

–

ნაცისტები ხელისუფლებაში 1932-1933 წლებში მოვიდნენ იმ პლატფორმაზე, რომლისთვისაც ანტისემიტიზმი და ანტიკომუნიზმი ცენტრალურ როლს ასრულებდა. საბჭოთა კავშირისგან განსხვავებით, რომელიც თავის ბარბაროსობას თითქმის ტოტალური ცენზურის მილმა მალავდა და რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ჰუმანურ თუ დემოკრატიულ იდეალს არღვევდა, ღიად მათ ერთგულებას აცხადებდა, ნაცისტებს, ევროპის შუაგულში, არც შეეძლოთ და არც უნდოდათ თავის მოჩვენება, რომ დიდგვაროვანი ბარბაროსები არ იყვნენ. ამით მათ დასავლეთში აზრის ლიდერების უკ-

მაყოფილება გამოინვიეს; და ვინაიდან საბჭოთა კავშირი ნაციზმის წინააღმდეგ წავიდა – ყოველ შემთხვევაში სიტყვით მაინც – მაშინ როდესაც დასავლური მთავრობები მას მიესალმებოდნენ, მოსკოვმა ამით დიდად ისარგებლა. საბჭოთა კავშირისათვის მეორე მსოფლიო ომამდე და მისი მსვლელობის დროს ყველაზე სასარგებლო ჯაშუშები იყვნენ ისინი, რომლებიც მოსკოვის ანტინაცისტურმა იდეოლოგიამ გადმოიბირა.

ნაციზმსა და კომუნიზმს შორის ურთიერთობა იმაზე უფრო რთული იყო, ვიდრე მათი შეურიგებელი მტრობის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ. ორივე მოძრაობა ერთმანეთს ძლიერ ექიშპებოდა, მაგრამ ისინი, ამავდროულად, ერთმანეთთან თანამშრომლობდნენ.

ნაწილობრივ, ეს იმიტომ ხდებოდა, რომ მათ საერთო მტერი – ლიბერალური დემოკრატია – ჰყავდათ, რომელიც მონიწებით ეპყრობოდა სამოქალაქო უფლებებს, საკუთრებასა და მშვიდობას. ორივე ტოტალიტარული რეჟიმი ადამიანს ახალი სოციალური წესრიგისა და „ახალი ადამიანის" შექმნისთვის სახარჯ ნედლეულად განიხილავდა. საბჭოთა კავშირისაგან განსხვავებით, ნაცისტური გერმანია უშვებდა კერძო საკუთრებას, მაგრამ მას გაუქმებად ტრესტად უფრო მოიაზრებდა, ვიდრე თანდაყოლილ უფლებად და მას გამუდმებით სახელმწიფოს ინტერესების გათვალისწინებით არეგულირებდა. ორივე რეჟიმი პაციფიზმს ზიზღით უყურებდა: ლენინის სიტყვებით, „სლოგანი „მშვიდობა"... ფილისტინელებისა და მღვდლების სლოგანია". ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ლენინმა დაიჩემა, რომ კომუნიზმისა და „იმპერიალიზმის" თანაცხოვრება შეუძლებელი იყო: ან ერთს

უნდა გაემარჯვა, ან მეორეს და სანამ ეს მოხდებოდა „საბჭოთა რესპუბლიკებსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის ყველაზე საშინელი კონფლიქტების არსებობა გარდაუვალი იქნება[1]". ჰიტლერს რაც შეეხება, მილიტარიზმის მისეული განდიდება და გერმანიის შეიარაღებული ძალების გაძლიერებით მისი შეპყრობილობა ზედმეტად ცნობილი რამ არის იმისთვის, რომ განხილვას საჭიროებდეს.

თუმცა ნაციზმსა და კომუნიზმს შორის კიდევ უფრო დიდი მსგავსება არსებობს. ჰიტლერმა დიდად ისარგებლა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობით, ვინაიდან ის, ერთი მხრივ, როგორც საფრთხე ისე გამოიყენა, რათა გერმანელი ამომრჩეველი დაეშინებინა, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ყალიბი, რომლის მიხედვითაც საკუთარი დიქტატურა ჩამოასხა. 1932-1933 წლის გადამწყვეტ არჩევნებში ერთ-ერთ ფაქტორი, რომელიც მან გამოიყენა და რომელმაც მას გამარჯვება მოუტანა, კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შიში იყო. მისი მოთხოვნით, რაიხსტაგმა ის განსაკუთრებული ძალაუფლებით აღჭურვა, რადგან მან კომუნისტებს დააბრალა ხანძარი, რომელმაც რაიხსტაგის ბერლინის შენობა გაანადგურა. ხალხისა და სახელმწიფოს დაცვისთვის მიღებულმა დეკრეტმა – რომელმაც ლეგალური საფუძვლები შექმნა 1945 წელს მესამე რაიხის განადგურებამდე არსებული ჰიტლერის რეჟიმისთვის – პირადი და პრესის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება შეზღუდა, ამასთან, საკუთრების კონფისკა-

[1] Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. vol. 49, გვ. 15 და vol. 38, გვ. 139.

ცია და მისი შეზღუდა დააკანონა. ამ უპრეცედენტო, მაგრამ ლენინის რუსეთის ისტორიკოსებისთვის ნაცნობმა ზომებმა ფიურერს ფორმალურად შეუზღუდავი ძალაუფლება მიანიჭა, რომელსაც საბჭოთა კავშირის მმართველები დე ფაქტო ფლობდნენ.

ჰიტლერს საბჭოთა კავშირის სახით ერთპარტიული მმართველობის სახელმწიფოს ყალიბი ჩაუვარდა ხელში, რომლითაც მისთვის 1933 წელს ბოძებული ძალაუფლება უნდა გამოეყენებინა. ასეთი ტიპის სახელმწიფო ტრადიციულად ტოტალიტარიზმად მოიხსენიება, ტერმინით, რომელიც იტალიელმა დიქტატორმა ბენიტო მუსოლინიმ საკუთარი ფაშისტური რეჟიმის აღსანერად გამოიყენა. ტოტალიტარული სახელმწიფოს ამოცანა მასსა და მოქალაქეებს (საზოგადოებას) შორის ნებისმიერი განსხვავების მოშლა და ორგანიზებული ცხოვრების ყოველ ასპექტში შეღწევა და მისი კონტროლია. ამ მიზანს ის მმართველი პარტიის დახმარებით აღწევს, რომელიც პოლიტიკურ მონოპოლიას ფლობს და საიდუმლო პოლიციის დახმარებით მართავს, რომელსაც შეუზღუდავი ძალაუფლება აქვს მინიჭებული. ამგვარ სახელმწიფოში კანონი ინდივიდის დაცვის საშუალება კი არა, მისი მართვის მექანიზმია.

ამ ბოლო წლებში, დასავლეთში ზოგიერთმა პოლიტიკის მეცნიერმა უარყო ტოტალიტარული სახელმწიფოს მოდელის რეალურობა, ვინაიდან არც ერთ სახელმწიფოს არასდროს ჰქონია კონტროლის ის ხარისხი, რომელიც ამ კონცეფციით არის ნაგულისხმევი. მათი მტკიცებით, სტალინის რუსეთშიც კი, რეჟიმს სხვადასხვა ინტერესჯგუფისთვის უნდა გაეწია ანგარიში და საზოგადოებრივი აზრი გაეთვალისწინებინა. შეიძლება

ეს არგუმენტები მართალია, მაგრამ ისინი ვერ უარყოფს ტოტალიტარიზმის ცნებას. ყველა პოლიტიკური ცნება მიახლოებითია. ჰარვარდის პოლიტიკის მეცნიერის, კარლ ჯ. ფრიდრიხის სიტყვებით:

> „რომელიმე კონფიგურაციის ისტორიული უნიკალურობის შესახებ არსებული არგუმენტი არ ნიშნავს, რომ ისინი „სრულად" უნიკალურნი არიან; ვინაიდან არაფერია ასეთი. ყველა ისტორიული ფენომენი ანალიტიკური ობიექტების ფართო კლასს განეკუთვნება... განსხვავებული ელემენტების კარგად აჭრელებული თარგი ... ქმნის ისტორიულ უნიკალურობას[1]".

შესაბამისად, „დემოკრატია", რაც ხალხის მმართველობას ნიშნავს, როგორც დიდი ხნით ადრე შენიშნეს, ელიტისა და ლობისტების დიდ გავლენას განიცდის. არასდროს უარსებია ყველაზე შეუზღუდავ თავისუფალ ბაზარს, როგორც ეს კაპიტალიზმის კონცეფციაშია ნაგულისხმევი: მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, laissez-faire-ის მწვერვალშიც კი, მთავრობები ამა თუ იმ სახით ზღუდავდნენ და არეგულირებდნენ კერძო მეწარმეების საქმიანობას. იმავე სტანდარტით უნდა განვიხილოთ ტოტალიტარული მოდელიც.

ტოტალიტარული რეჟიმების ამბიციები იმდენად დიდი იყო, რომ მათი სრულად მიღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა. მაგრამ ნაწილობრივ განხორციელების შემ-

---

[1] Friedrich, Carl Joachim. *Totalitarianism: Proceedings of a Conference Held at the American Academy of Arts and Sciences, March 1953.* Cambridge, Harvard University Press, 1954. გვ. 49.

თხვევაშიც, ისინი ისეთ პირობებს ქმნიან, რომლებიც ძალიან განსხვავდება პრემოდერნული პერიოდის უმეტესი ავტოკრატიული რეჟიმებისგან:

„ვინაიდან ტოტალიტარული მმართველობა შეუძლებელს ესწრაფვის და უნდა, რომ ადამიანის პიროვნულობა და მისი ბედი დაიმორჩილოს, ის მხოლოდ ფრაგმენტულად თუ განხორციელდება. მის ბუნებაში დევს, რომ მისი მიზანი ვერასდროს განხორციელდეს და ვერასდროს მიაღწიოს სისრულეს, მაგრამ ის ყოველთვის დარჩება ტენდენციად, სწრაფვად მართვისაკენ... ტოტალიტარული მმართველობა არ არის თავიდან ბოლომდე რაციონალიზებული აპარატი, რომელიც ყველა ნაწილში თანაბარი ეფექტურობით მუშაობს. ამას ის სიამოვნებით გააკეთებდა, – და ზოგიერთი მიმართულებით ის ამ იდეალს აღწევს კიდევაც, – მაგრამ მთლიანობაში, მისი ძალაუფლების პრეტენზიის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ დიფუზიის გზით, განსხვავებული ინტენსივობით, განსხვავებულ დროში და ცხოვრების განსხვავებულ სფეროებზე; ამავდროულად, ტოტალიტარული და არატოტალიტარული მახასიათებლები ერთმანეთშია გადახლართული. მაგრამ ზუსტად ამის გამოა, რომ ძალაუფლებისკენ ტოტალიტარული სწრაფვის შედეგები ასეთი საშიში და დამთრგუნველია, ვინაიდან ისინი ბურუსით მოცული, გამოუთვლელი და ძალიან რთული გამოსამჟღავნებელია... ეს გამრუდება ძალაუფლებისკენ განუხორციელებელი სწრაფვისგან გამომდინარეობს: ის ამგვარ

> რეჟიმში ცხოვრებას ახასიათებს და უკიდურესად ართულებს უცხოელებისთვის მის გაგებას[1]".

ტოტალიტარული რეჟიმების კომუნისტურ და „ფაშისტურ" სახეობებს შორის პრინციპული განსხვავება ის ფაქტია, რომ პირველი გლობალურად აზროვნებდა, ხოლო უკანასკნელი ერზე ფოკუსირდა: „ფაშისტურმა" რეჟიმებმაც მიიღეს კლასთა ბრძოლის კონცეფცია, მაგრამ ის ერის „მქონეებსა" და „უქონლებს" შორის ბრძოლად მოიაზრეს. ეს მოსაზრება მუსოლინიმ ნარმომადგენელთა პალატის წინაშე ნარმოთქმულ სიტყვაში გამოხატა 1921 წელს, ძალაუფლების ხელში ჩაგდებამდე ერთი წლით ადრე. კომუნისტი დეპუტატებისადმი მიმართვისას მან თქვა:

> „ჩვენსა და კომუნისტებს შორის პოლიტიკური კავშირი არა, მაგრამ ინტელექტუალური არსებობს. თქვენსავით, ჩვენც აუცილებლად მიგვაჩნია ცენტრალიზებული და უნიტარული სახელმწიფო, რომელიც ყველა მოქალაქეზე რკინის დისციპლინას დაამყარებს, იმ განსხვავებით, რომ თქვენ ამ დასკვნამდე კლასის კონცეფციით მიხვედით, ჩვენ კი – ერის კონცეფციით[2]".

ისტორიის ერთ-ერთი პარადოქსთაგანია, რომ კომუნისტების მცდელობებს, ძირი გამოეთხარათ დასავლე-

---

[1] Buchheim, Hans. *Totalitarian Rule: Its Nature and Characteristics.* Translated by Ruth Hein, Middletown, Wesleyan University Press, 1968. გვ. 38-39.

[2] Mussolini, Benito. *Opera Omnia.* vol. 17, Florence, La Fenice, 1955. გვ. 295.

თისთვის, სინამდვილეში საპირისპირო შედეგი მოჰყვა. სოციალისტური პარტიების განზრახ გახლეჩამ მარქსისტული საქმე დაასუსტა. ამავდროულად, საბჭოეთის მაგალითმა უდიდესი გავლენა იქონია „ფაშიზმზე", რომელიც კომუნისტურ საფრთხეს მოსახლეობის დასაშინებლად იყენებდა, რათა მათ თავიანთი უფლებები დაეთმოთ და, რომელმაც ლენინისტ-სტალინისტური მოდელის მიხედვით, ისეთი ტოტალიტარული რეჟიმი შექმნა, რომელმაც საბჭოთა კავშირი თითქმის გაანადგურა.

–

მიუხედავად იმისა, რომ 1930-იანებში საბჭოთა კავშირმა და მისმა კომუნისტურმა იდეოლოგიამ დასავლეთში დიდი სიმპათია მოიპოვა, არაფერი მეტყველებდა იმაზე, რომ ეს სიმპათია ძალაუფლებაში ითარგმნებოდა. როგორც აღვნიშნეთ, დასავლური კომუნისტური პარტიები, მიუხედავად იმისა, რომ მყარად იდგნენ ფეხზე, მაინც იზოლირებული იყვნენ. 1935 წელს ანტიკომუნისტური, „ფაშისტური" რეჟიმების აღზევების შიშით, მოსკოვმა შეცვალა თავისი პოლიტიკა, რომელიც სოციალისტებს მთავარ მტრებად განიხილავდა და უბრძანა კომუნისტურ პარტიებს, მათთან კოალიციაში შესულიყვნენ, ისევე როგორც ყველა დანარჩენ ჯგუფთან, რომელიც ფაშიზმს უპირისპირდებოდა. საფრანგეთსა (1936-1937 წწ.) და ესპანეთში (1936-1939 წწ.) დაფუძნებული დღემოკლე სახალხო ფრონტის მთავრობებმა ვერაფერი გააწყვეს, რათა კომუნისტური პარტიები პოლიტიკური ცხოვრების ძირითად მიმდინარეობად ექციათ.

ანტიფაშისტური კოალიციის პარალელურად, სტალინი კარგ ურთიერთობას ინარჩუნებდა მუსოლინისთანაც და ჰიტლერთანაც, რისი კულმინაციაც 1939 წლის ნაცისტურ-საბჭოთა ურთიერთთანამშრომლობის პაქტი და სსრკ-ის ფაშისტური ქვეყნების ალიანსთან ფაქტობრივი მიერთება იყო.

ტოტალიტარული რეჟიმების ერთმანეთისკენ სწრაფვა, იმის მიუხედავად, ინტერნაციონალიზმს და კომუნიზმს ალიარებდნენ ისინი თუ რასიზმს და ნაციონალიზმს, კარგად აისახება იმ აღტაცებაში, რომელსაც ამ რეჟიმების ლიდერები ერთმანეთის მიმართ განიცდიდნენ. მაშინ, როდესაც გერმანული და საბჭოთა ძალები ერთმანეთს ომში დაუპირისპირდა, ჰიტლერმა ახლო წრეში სტალინი, როგორც „გენიოსი", ისე მოიხსენია და ხმამაღლა იმსჯელა, გაეერთიანებინა თუ არა მასთან ძალები დასავლური დემოკრატიების დასამარცხებლად[1]. მაო ძედუნმა, რომელიც იმდენად რადიკალური კომუნისტი იყო, რომ საბჭოთა კავშირს ჭეშმარიტი რწმენის მიტოვებას აბრალებდა, მისი ე. წ. კულტურული რევოლუციის პიკში უამრავი კომუნისტი ამხანაგის დაკარგვის გამო კრიტიკას ასე უპასუხა: „შეხედეთ მეორე მსოფლიო ომს და ჰიტლერის სისასტიკეს. რაც უფრო დიდია სისასტიკე, მით უფრო დიდია რევოლუციური ენთუზიაზმი[2]".

---

[1] Picker, Henry, editor. *Hitlers Tischgespräche im Führerhauptquartier, 1941-1942.* Bonn, Athenäum Verlag, 1951. გვ. 133.

[2] *The New York Times*, 11 August 1990, p. A2.

მეორე მსოფლიო ომმა, რომელშიც სტალინმა გამარ-ჯვება თავისი ხალხის სიცოცხლის განიავების ხარჯზე მოიპოვა, ევროპაზე კონტროლი ვერ მოუტანა. მაგრამ ის კონფლიქტიდან კონტინენტის თითქმის ნახევრის დაუფლებით გამოვიდა, რომელიც მისმა ჯარებმა რომ დაიკავეს და მათში კომუნისტური რეჟიმი დაამ-ყარეს. ომის დასრულებიდან ორი თუ სამი წლის შემ-დეგ, სტალინმა ამ ქვეყნებს გარკვეული პოლიტიკური მრავალფეროვნების საშუალება მისცა, თუმცა კომუ-ნისტური მეთვალყურეობით. მაგრამ 1948 წლის შემდეგ, როდესაც იოსიპ ბროზ ტიტომ, იუგოსლავიის კომუ-ნისტმა მმართველმა, მოსკოვისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და მასთან კავშირი გაწყვიტა, სტალინმა თა-ვის აღმოსავლეთ ევროპელ ქვეშევრდომებს ერთპარ-ტიული მმართველობა დაუწესა. პოლონეთი, ჩეხოსლო-ვაკია, უნგრეთი, აღმოსავლეთ გერმანია, რუმინეთი და ბულგარეთი, მიუხედავად იმისა, რომ ნომინალურად სუვერენულები რჩებოდნენ, სინამდვილეში, სხვადასხვა ხარისხის „სატელიტები" იყვნენ – საბჭოთა სახელმწი-ფოს კლონები და მასზე სრულად დაქვემდებარებულე-ბი, განსაკუთრებით საგარეო პოლიტიკის საკითხებში. საბჭოთა იმპერიას საბჭოთა ბლოკიც შემოუერთდა.

დასავლეთი, მთლიანობაში, შეეგუა აღმოსავლეთ ევროპის დიდ ნაწილზე საბჭოთა კავშირის დომინაციას, ვინაიდან ამის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება შეეძლო. მან ტაქტიკურად აღიარა ეს რეგიონი საბჭოთა გავლე-ნის სფეროდ, რითაც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობა დასტაბილურდებოდა, მოსკოვი

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მონაპოვარს რომ დასჯერებოდა. თუმცა, თუკი ამ მონაპოვარმა მსოფლიო მიიყვანა იქამდე, რაც ცივი ომის სახელით არის ცნობილი, ეს იმის გამო მოხდა, რომ კომუნიზმი მისი ბუნებით სტაბილური და კმაყოფილი ვერ იქნებოდა: მას სჭირდებოდა კრიზისი და მას სჭირდებოდა ექსპანსია.

ომისდროინდელმა ალიანსმა მეორე მსოფლიო ომის დასასრულისკენ დაიწყო რღვევა, როდესაც ომის შედეგი გაურკვეველი აღარ იყო. ის 1945-1946 წლებში დაიშალა, მას შემდეგ, რაც მოსკოვმა თურქეთთან 1925 წელს დადებული თავდაუსხმელობის ხელშეკრულება უარყო და თურქეთს მიუღებელი ტერიტორიული მოთხოვნები წაუყენა. ამის შემდეგ ცოტა ხანში კომუნისტებმა საბერძნეთში სამოქალაქო ომი დაიწყეს. ბრიტანეთი ამ ორ ქვეყანას დაეხმარა, მაგრამ ომისგან გამოფიტულს, მას ამ პროცესის გახანგრძლივება არ შეეძლო. 1947 წელს, პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის ინიციატივით, შეერთებულმა შტატებმა საკუთარ თავზე აიღო სსრკ-ის შეჩერების საქმე, ჯერ თურქეთისა და საბერძნეთის დახმარების ე. წ. ტრუმანის დოქტრინით (მარტი, 1947 წ.) და შემდეგ მარშალის გეგმით (ივნისი-ივლისი, 1947 წ.), რომელიც დასავლეთ ევროპის რეკონსტრუქციისთვის უმნიშვნელოვანესი ფინანსური დახმარების აღმოჩენას გულისხმობდა. 1949 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა უპრეცედენტო ნაბიჯი გადადგა და დასავლეთ ევროპის ათ სახელმწიფოსა და კანადასთან ერთად თავდაცვითი კავშირი შექმნა, გარე აგრესიისგან (ნაგულისხმები იყო საბჭოთა ბლოკი) ურთიერთთავდაცვისთვის (ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების

ორგანიზაცია, „ნატო"). „ნატოს" შტაბბინა პარიზში განლაგდა და მისი პირველი უმაღლესი მთავარსარდალი ამერიკელი გენერალი დუაიტ დ. ეიზენჰაუერი გახდა. მას შემდეგ, რაც 1950 წლის ივნისში კომუნისტური ჩრდილოეთ კორეა სამხრეთ კორეაში შეიჭრა, რაზეც მაშინ ეჭვობდნენ და ახლა უკვე ვიცით, რომ მოსკოვის ინიციატივა იყო, მოკავშირეებმა დასავლეთ გერმანია სუვერენულ სახელმწიფოდ გამოაცხადეს და ის „ნატოში" გასაწევრიანებლად მიიწვიეს (მაისი, 1955 წ.). მოსკოვმა უმალ უპასუხა რვა ევროპული კომუნისტური სახელმწიფოს ვარშავის პაქტის შექმნით. ცივი ომი ოფიციალურად გაფორმდა.

ცივი ომის ისტორიის დასაწერად ბევრი მელანი დაიხარჯა. ზოგიერთი ისტორიკოსი მას შეერთებულ შტატებსა და მის მოკავშირეებს აბრალებს; სხვები პასუხისმგებლობას აღმოსავლეთსა და დასავლეთზე ანაწილებენ. ძნელია იმის უარყოფა, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით შეერთებული შტატები, კავშირის უდავო ლიდერი, პერიოდულად ზედმეტად რეაგირებდა კომუნისტურ საფრთხეზე: კომუნისტურ ბლოკს რა საფრთხეც უნდა შეექმნა გლობალურ ძალთა ბალანსისთვის, შეერთებულ შტატებში კომუნისტების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცირედი საფრთხეც არ არსებობდა. თუმცა ახლა, როდესაც ვნებები ჩაცხრა, ძნელია არ დავასკვნათ, რომ ცივ ომზე უდიდესი პასუხისმგებლობა მოსკოვს ეკისრება. ბოლოს და ბოლოს, მოსკოვს საქვეყნოდ ჰქონდა გაცხადებული თავისი განზრახვა, რომ აპირებდა ყველგან სამოქალაქო ომი გაევრცელებინა და ყველგან კომუნისტური რეჟიმები დაემყარები-

ნა; კომინტერნში შესვლის ოცდაერთპუნქტიან წესებში მეჩვიდმეტე მუხლი ცალსახად აცხადებდა, რომ „კომუნისტურმა ინტერნაციონალმა ომი მთელ ბურჟუაზიულ სამყაროს გამოუცხადა". სსრკ ამ მუქარას ყოველთვის ასრულებდა, როგორც კი შესაძლებლობა მიეცემოდა, მაშინაც კი, როდესაც მეორე მსოფლიო ომის დროს, ახალი დასავლელი მოკავშირეების დასამშვიდებლად კომინტერნი დაითხოვა.

და თუკი დამატებითი მტკიცებულება კიდევ საჭიროა, ნიშანდობლივია, რომ როგორც კი საბჭოთა კავშირი დაიშალა და რუსეთში ძალაუფლება დემოკრატიულად არჩეულ მთავრობას გადაეცა, რომელმაც დაგმო კომუნიზმი, ცივი ომი მოულოდნელად დასრულდა. რუსეთის ახალმა პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, ამერიკელთა წარმომადგენელთა პალატის მიმართ 1992 წელს წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა:

> „მსოფლიოს შეუძლია შვებით ამოისუნთქოს. კომუნიზმის კერპი, რომელიც ყველგან სოციალურ უთანხმოებას, შულლსა და უპრეცედენტო სისასტიკეს ავრცელებდა, რომელიც კაცობრიობას შიშს უნერგავდა, დაიმსხვრა. ის დაიმსხვრა, რათა აღარასდროს აღზევდეს[1]".

ელცინს, სულ მცირე, იმასთან დაკავშირებით მაინც არ ჰქონია ეჭვი, თუ ვინ იდგა ცივი ომის უკან.

---

[1] *The New York Times*, 18 June 1992, p. A18.

–

კომუნიზმმა ტერორისტული მოძრაობები მოამრავლა, რომელთაც ცოტა რამ ჰქონდათ საერთო (თუკი საერთოდ რამე ჰქონდათ), მარქსიზმთან ან სოციალიზმთან; ისინი ძირითადად კრიმინალური საქმიანობის, ადამიანის მოტაცების, გამოძალვისა და მკვლელობის შესანიღბად გამოიყენებოდა. ამ ჟანრში ტიპური იყო 1970-იანებში დიდად გავრცელებული ისეთი ორგანიზაციები, როგორიც გერმანიაში ბაადერ-მაინჰოფის ჯგუფი (დღეს ცნობილია, რომ მას აღმოსავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიცია ეხმარებოდა), იტალიის წითელი ბრიგადები, ფრანგული Action Directe და იაპონური წითელი არმია. ეს პარტიები შედგებოდა ინტელექტუალების მცირე ჯგუფებისგან, რომლებიც „კაპიტალიზმის" დამხობისათვის ცნობილი ბიზნესმენების და პოლიტიკოსების წინააღმდეგ ტერორისტულ ოპერაციებს აწარმოებდნენ. ეს ჯგუფები სვადასხვა დროს განადგურდნენ.

ძალადობის ეს აფეთქებები, რომლებსავ მესამე მსოფლიოს ლიდერები – მაო ძედუნი და ჩე გევარა შთაგონებდნენ, ფანატიკოსების გაღიზიანებას გამოხატავდნენ, ერთი შეხედვით, კაპიტალისტურ დასავლეთთან შემგუებლური კურსის გამო, რომელსაც პოსტსტალინისტური საბჭოთა ხელმძღვანელობა ატარებდა. ევროპული რადიკალური პოლიტიკის ტრენდი საპირისპირო მიმართულებით მიდიოდა, კერძოდ, კომუნიზმის თანამედროვე რეალობასთან ადაპტირებისკენ. მისი მთავარი გამოხატულება იყო მოძრაობა, რომელიც 1970-იანებში

აღმოცენდა და რომელიც ევროკომუნიზმის სახელითაა ცნობილი.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ევროპელმა კომუნისტებმა იმ უდიდესი პრესტიჟით რომ იხეირეს, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამარჯვებაში შეტანილი წვლილისთვის მოიპოვა, ახალი მომხრეები შეიძინეს. ზოგიერთ ევროპულ სახელმწიფოში მათ კოალიციური მთავრობები შექმნეს. მაგრამ 1950-იანებსა და 1960-იანებში მათი მიმდევრების რაოდენობა შემცირდა. ეს დაღმასვლა სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა: მაგალითად, ხრუშჩოვის მიერ სტალინის ბარბაროსობის გამჟღავნებამ, უნგრული და ჩეხოსლოვაკური კომუნიზმის საკუთარი ფორმის გამოგონების მცდელობების სამხედრო გზით ჩახშობამ და კომუნიზმის ანტისემიტურ დევნასთან (განსაკუთრებით პოლონეთში) დაკავშირებამ.

ევროკომუნიზმი იყო საბჭოთა რეპრესიებსა და ეკონომიკური ჩამორჩენილობასთან არსებული კავშირის განყვეტის გზით კომუნიზმის საარჩევნო მიმზიდველობის გაზრდის მცდელობა. ევროკომუნისტებს, რომლებიც განსაკუთრებით ძლიერები იყვნენ საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის ინტელექტუალებს შორის, სურდათ ისეთ გზაზე სიარული, ევროპულ პოლიტიკურ ტრადიციებთან რომ ექნებოდა თანხვედრა. სანტიაგო კარილომ, ესპანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, 1976 წელს მოძრაობის ძირითადი მიზნები ასე ჩამოაყალიბა:

„პარტიები, რომლებიც „ევროკომუნისტური" მიმართულებით მიდიან, თანხმდებიან, რომ სოციალიზმამდე გზა დემოკრატიაზე, მრავალპარტიულ სისტემაზე, პარლამენტზე და წარმომადგენლობით ორგანოებზე, საყოველთაო კენჭისყრის გზით რეგულარულად გამოხატულ ხალხის სუვერენულობაზე, სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელ სავაჭრო კავშირებზე, ოპოზიციის თავისუფლებაზე, ადამიანის უფლებებზე, რელიგიურ თავისუფლებაზე, კულტურულ, მეცნიერულ და სახელოვნებო შემოქმედების თავისუფლებაზე და სოციალური აქტივობის ყველა მიმართულებასა და ყველა დონეზე სახალხო მონაწილეობის მრავალი ფორმის ჩამოყალიბებაზე გადის".

ეს შესანიშნავი მოსაზრებები იყო, მაგრამ ყველა მათგანი ლენინის მიერ ანათემას იყო გადაცემული. ამიტომ არ იქნება სწორი, თუკი ამ მოძრაობას „კომუნიზმის ზომიერ ვერსიას" ვუწოდებთ: კომუნიზმის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძირითად მიმდინარეობად ქცევის ყველა ხანმოკლე და წარუმატებელი მცდელობა სინამდვილეში ყველაფერ იმის უარყოფას ნიშნავდა, რასაც კომუნიზმი წარმოადგენდა.

ევროკომუნიზმი ძალზე ხანმოკლე მოვლენა იყო. 1980-იანებში მთელ ევროპაში კომუნისტური პარტიები ისევ მარგინალიზებულნი აღმოჩნდნენ. მათ ყველაზე დიდ წარმატებას იტალიასა და საფრანგეთში მიაღწიეს, სადაც 1978-1979 წლების საპარლამენტო არჩევნებში ხმების 30.4 და 20.6 პროცენტი მიიღეს. თუმცა ევროპის ინდუსტრიულ ქვეყნებში ხმათა მათი წილი უმნირესი

იყო: 0.05 პროცენტი დიდ ბრიტანეთში და 0.3 პროცენტი დასავლეთ გერმანიაში[1]. და ტენდენცია იკლებდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპელმა კომუნისტებმა ბევრი ცვლილება და გაყოფა გამოიარეს. შეურიგებელმა პარტიებმა და ფრაქციებმა რეჟიმის კოლაფსი გორბაჩოვის კაპიტალიზმისადმი დათმობებს დააბრალეს და სტალინიზმის ერთგულება განაგრძეს. სხვებმა ზურგი აქციეს ტრადიციულ კომუნიზმს. ასე მაგალითად, იტალიურმა კომუნისტურმა პარტიამ, ყველაზე დიდმა და ყველაზე ნაკლებად დოქტრინულმა, ჩუმად გადაირქვა სახელი და „მემარცხენეების დემოკრატიული პარტია" დაირქვა. თითქმის ყველა დანარჩენმაც მსგავსადვე თქვა უარი კომუნისტურ სლოგანებსა და სიმბოლოებზე.

კომუნიზმი წარუმატებელი წამოწყება აღმოჩნდა: დასავლური პოლიტიკური კულტურა იდეოლოგიის სისასტიკეს დაუპირისპირდა და მიუხედავად იმისა, რომ მას საფუძვლები დასავლეთში ჰქონდა, ის განსახორციელებლად არადასავლურ გარემოს საჭიროებდა. დასავლური კომუნიზმი, კაპიტალიზმად გარდაქმნამდე, ჯერ სოციალ-დემოკრატიაში გადაიზარდა, შემდეგ კი სრულებით გაქრა სცენიდან.

---

[1] Childs, David, editor. *The Changing Face of Western Communism*. London, Croom Helm, 1980. გვ. 276.

5.

მესამე
სამყარო

„ყველა კომუნისტურ ქვეყანას ან პარტიას თავისი სპეციფიკური ისტორია და საკუთარი რეგიონული თუ ლოკალური ვარიაციები აქვს, მაგრამ ყოველი მათგანი დაკავშირებულია ყალიბთან, რომელიც 1917 წლის ნოემბერში მოსკოვში შეიმუშავეს. ეს კავშირი წარმოადგენს კომუნიზმის ერთგვარ გენეტიკურ კოდს[1]".

კავშირი, რომელიც ზემოთ მოყვანილ ციტატაშია ნახსენები, იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ კომუნიზმი ყველგან ამ ორიდან ერთ-ერთი გზით დაფუძნდა: ის ან საბჭოთა ჯარმა დაამყარა (როგორც აღმოსავლეთ ევროპაში), ან აღზევდა – როგორც წესი, საბჭოეთის დახმარებით – ქვეყნებში, რომელთა პოლიტიკური კულტურა (კერძო საკუთრებისა და კანონის უზენაესობის მყარი ტრადიციების არარსებობა, ავტორიტარული

---

[1] Courtois, Stéphane, et al. *The Black Book of Communism: Crimes, Terror, Repression*. Edited by Mark Kramer and Stéphane Courtois, translated by Stéphane Courtois, et al., Harvard University Press, 1999. გვ. 754.

მემკვიდრეობა და ა. შ.) და სოციალური სტრუქტურა (მოსახლეობაში გლეხობის დიდი წილი, ნაკლებად განვითარებული საშუალო ფენა) 1917 წლამდე რუსეთისას ჩამოშგავდა. მიუხედავად იმისა, რომ ის განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოებისთვის იყო გათვლილი, სინამდვილეში კომუნიზმი ფესვს მხოლოდ ნაკლებად განვითარებულ აგრარულ საზოგადოებებში იდგამდა. აქედან ვიღებთ განმეორებად შაბლონს.

ასეთმა ქვეყნებმა მარქსიზმ-ლენინიზმის შემდეგი მახასიათებლები ისესხეს: 1) სამხედრო მოდელზე მოწყობილი და უსიტყვო მორჩილების მომთხოვნი ერთი, მონოპოლისტური პარტიის მმართველობა; 2) ამ მმართველობის ყოველგვარი გარე შეზღუდვის გარეშე განხორციელება; 3) წარმოების იარაღზე კერძო საკუთრების გაუქმება და ამავდროულად ყოველი ადამიანური თუ მატერიალური რესურსების ნაციონალიზაცია; 4) ადამიანის უფლებების უგულებელყოფა. ასეთი რეჟიმები ამტკიცებდნენ, რომ პარტია ყოვლისმცოდნე და ყოვლისშემძლეა: ის ყოველთვის მართალია; ის ძალაუფლების საზღვრებს არ ცნობს. თითქმის ყველა შემთხვევაში, „პარტია" განსხეულებული იყო ლიდერში, ვინც პარტიის მიზანს განასახიერებდა და საბოლოოდ ღვთაებად იქცეოდა.

გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, კომუნიზმს სიღარიბე ბადებს. რეალობა სხვანაირია: ღარიბი ქვეყნები კომუნიზმს არ ირჩევენ. მსოფლიოში არსად ღარიბ უმრავლესობას, და პრინციპში არც ერთ უმრავლესობას, კომუნისტები მთავრობაში არ აურჩევია. საქმე უფრო ის არის, რომ ღარიბ ქვეყნებს ნაკლებად შეუ-

ძლიათ კომუნისტების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ვინაიდან მათ არ აქვთ ინსტიტუციები, რომლებიც უფრო მდიდარ, უფრო განვითარებულ საზოგადოებებში წინ უდგებიან რადიკალი დიქტატორების სწრაფვებს. სწორედ სიმდიდრის შემქმნელი ინსტიტუტების, განსაკუთრებით საკუთრების უფლებისა და კანონის უზენაესობის არარსებობაა, რაც ქვეყნებს სიღარიბეში ამყოფებს და ამავდროულად, მათ დიქტატურისათვის მოწყვლადად აქცევს, იქნება ეს მემარცხენე თუ მემარჯვენე დიქტატურა. კამბოჯის კომუნისტური რეჟიმის (არსებულს შორის ყველაზე ექსტრემალური) მკვლევრის სიტყვებით, „ხალხსა და მათს ურთიერთმონაცვლე მმართველებს შორის ეფექტური შუამავალი სტრუქტურების არარსებობამ საზოგადოება ძალაუფლების შეუზღუდავი გამოყენებისთვის წინასწარ განაწყო[1]". შესაბამისად, იგივე ფაქტორები, რომლებიც ქვეყნებს სიღარიბეში ამყოფებს – უპირველეს ყოვლისა, უკანონობა – ძალაუფლების კომუნისტების ხელში ჩავარდნას უწყობს ხელს.

ამ ფაქტორებმა სხვა შედეგიც განაპირობეს. აღმოსავლეთში, უძველესი დროიდან, მიწაზე კერძო საკუთრების არარსებობა ნიშნავდა, რომ წარჩინებისა და სიმდიდრის მოპოვება, მხოლოდ ერთი, მმართველის გარემოცვაში დაწინაურების გზით შეიძლებოდა. შესაბამისად, სამთავრობო თანამდებობები ქვეყნის სამსახურად კი არა, პირადი გამდიდრების საშუალებად განიხილებოდა. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ კომუნის-

---

[1] Jackson Karl D. *Cambodia, 1975-1978 : Rendezvous with Death.* Princeton, N. J., Princeton University Press, 1989. გვ. 152.

ტურ რეჟიმთან თანამშრომლობა, რომელსაც მთელი ძალაუფლება და სიმდიდრე ეპყრა ხელთ, სტატუსისა და ქონების მოპოვების ძირითად საშუალებად აღიქმებოდა (ეს, რა თქმა უნდა, რუსეთსაც ეხებოდა).

–

მეოცე საუკუნის დასაწყისში ევროპელი სოციალისტები გაკვირვებული იყვნენ, თუ რატომ არ დაინგრა კაპიტალიზმი ისე, როგორც ამას მარქსი და ენგელსი წინასწარმეტყველებდნენ. რევიზიონისტებმა ეს პრობლემა იმის აღიარებით გადაჭრეს, რომ მარქსი და ენგელსი კონკრეტულად ამ საკითხთან დაკავშირებით ცდებოდნენ. თუმცა, ორთოდოქსი მარქსისტათთვის ეს მისაღები გამოსავალი არ იყო, ვინაიდან დოქტრინა მეცნიერულად იყო მიჩნეული და ამიტომ გადახრებსა და გამონაკლისებს ვერ აიტანდა: ის ან მთლიანად იარსებებდა, ან ერთიანად დაინგრეოდა.

ამ პრობლემასთან შეჯახებისას ლენინმა ინგლისელ ეკონომისტს ჯ. ა. ჰობსონს მიმართა, რომელმაც თავის ნაშრომში *„იმპერიალიზმი"* (1902 წ.) იმ ეპოქის კოლონიური მისწრაფებები კაპიტალისტების მიერ ახალი სასაქონლო ბაზრებისა და მათი კაპიტალისთვის გასაღების ახალი ბაზრების ძიებით ახსნა. ლენინმა ეს თეზისი განავითარა ნაშრომში *„იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი საფეხური"* (1916-1917 წწ.), რომელშიც ის ამტკიცებდა, რომ კოლონიები განვითარებული კაპიტალიზმის გადარჩენისთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა, ვინაიდან ისინი ყავარჯნად ედგნენ მათ ავადმყოფ ეკონომიკას და საშუალებას აძლევდ-

ნენ მას, რომ მუშათა კლასი მოესყიდა. ამიტომ დიდი სახელმწიფოების იმპერიულ საკუთრებაზე თავდასხმა თანამედროვე რევოლუციური სტრატეგიის განუყოფელი კომპონენტი იყო.

ამ გეგმის სირთულე ის იყო, რომ კოლონიებს, ისევე როგორც კაპიტალისტური ქვეყნების ნახევრად კოლონიურ ვასალებს აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში არ ჰქონდათ ინდუსტრიები და შესაბამისად, არ ჰყავდათ საკმარისი რაოდენობის ინდუსტრიული პროლეტარიატი. ლენინი ცდილობდა გადაეჭრა პროლეტარული რევოლუციის გაღვივების პრობლემა იმ ქვეყნებში, სადაც ინდუსტრიული საფუძველი არ არსებობდა და კომინტერნის მეორე ყრილობას ორ წანამძღვარზე დაფუძნებული კოლონიური პროგრამის მიღება სთხოვა: 1) ამ რეგიონებს კაპიტალიზმის საფეხური უნდა და „ფეოდალიზმიდან" პირდაპირ სოციალიზმზე გადასულიყო; და 2) იქ მყოფ კომუნისტებს კავშირი (რა თქმა უნდა, დროებითი) უნდა დაემყარებინათ ადგილობრივ „ნაციონალისტ ბურჟუაზიასთან" უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ.

ლენინის შეთავაზებას საკმაო წინააღმდეგობა გაუწია კომინტერნის რამდენიმე დელეგატმა, რომლებიც კოლონიურ რეგიონებს წარმოადგენდნენ და რომლებსაც ადგილობრივი ბურჟუაზია უცხოელ იმპერიალისტებზე ნაკლებად არ სძულდათ. მაგრამ ლენინმა თავისი გაიტანა და კომინტერნმა გადაწყვიტა იმის გაკეთება, რაც „ეროვნულ-განმათავისუფლებელი" ომების სახელით გახდა ცნობილი. მასში კომუნისტები, საკუთარი იდენტობის შენარჩუნებასთან ერთად, ნაციონალისტურ მი-

ზანსაც უჭერდნენ მხარს და სხვა ანტიიმპერიალისტურ ჯგუფებთან თანამშრომლობდნენ.

ამ პოლიტიკის გატარების ყოველი მცდელობა წარუმატებელი იყო: ნაციონალისტების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენების ნაცვლად, კომუნისტებს თავად იყენებდნენ ისინი.

1918-1919 წლებში მოკავშირეების ძალებმა დასავლეთ ანატოლია და პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხებული მოკავშირის, ოსმალეთის იმპერიის, დედაქალაქი – კონსტანტინოპოლი დაიკავეს. უცხოელების ქვეყნიდან გაძევება თურქი ნაციონალისტების მთავარ მიზნად იქცა, რომელთაც ქემალ ფაშა (ათათურქი) ხელმძღვანელობდა. 1920 წელს ქემალმა მოსკოვს ოკუპანტების წინააღმდეგ თანამშრომლობა შესთავაზა. მოსკოვი სიხარულით დათანხმდა და 1921 წელს მასთან მეგობრობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ორივე ქვეყანა „იმპერიალიზმის" წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლას იწყებდა. კომინტერნის გამოცდილების მიხედვით, მოსკოვმა სახელმწიფოთაშორისო ამ თანამშრომლობას ძირგამომთხრელი საქმიანობაც დაურთო თან. საბჭოთა კომუნისტური პარტიის არქივიდან ახლახან გასაჯაროებული დოკუმენტი ცხადყოფს, რომ თუმცა ის საჯაროდ სიმპათიას გამოხატავდა თურქი ნაციონალისტების მიმართ, მოსკოვი საიდუმლოდ მათ დამხობაზე მუშაობდა. ლენინის მიერ 1920 წელს შედგენილ დირექტივაში ვკითხულობთ:

> „ნუ ენდობით ქემალისტებს; მათ იარაღი არ მისცეთ; მთელი ძალა მიმართეთ თურქებს შორის საბჭოთა

აგიტაციაზე და თურქეთში ძლიერი საბჭოთა პარტიის მშენებლობაზე, რომელიც საკუთარი ძალებით შეძლებს გამარჯვებას[1]".

ქემალს, თავის მხრივ, როდესაც მოსკოვის დახმარებას იღებდა და საბჭოთა მოდელის მიხედვით ერთპარტიული მმართველობის დამყარებას გეგმავდა, განზრახული არ ჰქონდა, რომ თურქულ მიწაზე კომუნისტები აეტანა. კომინტერნის აგენტის მიერ თურქული კომუნისტური პარტიის დაფუძნებიდან ორ თვეში, ის აგენტი და მისი თანამზრახველები გარდაცვლილები იპოვეს (თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ქემალისტების ნახელავი იყო).

ბევრად უფრო დიდი მასშტაბის, მაგრამ არსობრივად მსგავსი ფიასკო განიცადა საბჭოთა პოლიტიკამ ჩინეთში. ჩინეთი კომინტერნისთვის უდიდესი მნიშვნელობის იყო და ის მასზე დიდ იმედს ამყარებდა. მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქვეყანა უმოწყალოდ მოაყოლეს ექსპლუატაციაში დასავლური ძალებმა და იაპონიამ. ექსპლუატაციამ საფუძველი ჩაუყარა ქსენოფობიას: ჩინეთში უცხოელების მიმართ მტრული დამოკიდებულება დუღდა, რაც პერიოდულად ძალადობაში გადაიზრდებოდა ხოლმე. სუნ იატსენი, ნაციონალისტური პარტიის, იგივე გომინდანის, ხელმძღვანელი, რომელიც ჩინეთს 1911-1912 წლებიდან მართავდა, აღფრთოვანებული იყო საბჭოთა კავშირით იმის გამო, რომ

[1] Pipes, Richard. *The Unknown Lenin: From the Secret Archive.* Edited by David Branderberger, translated by Catherine A. Fitzpatrick, New Haven, CT, Yale University Press, 1996. გვ. 121.

მან საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური დომინაციისგან დაიხსნა თავი. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი, ძირითადად, სოფლის მეურნეობაზე დაფუძნებული ქვეყანა იყო, მას ასევე შანხაიში კონცენტრირებული, უმეტესად მსუბუქ ინდუსტრიაში დასაქმებული მუშათა კლასი ჰყავდა. ლენინი ჩინეთზე დიდ იმედს ამყარებდა და გაზვიადებასაც კი არ ერიდებოდა, როდესაც მან პეკინიდან ჩამოსულ დიპლომატს უთხრა, რომ: „ჩინეთის რევოლუცია... ბოლოს და ბოლოს, დაამხობს მსოფლიო იმპერიალიზმს".

1920-იანებში გომინდანის ლიდერი ჩან კაიში გახდა. ის საბჭოთა მაგალითით დიდად მოხიბლული იყო და ხელგაშლილი ეგებებოდა საბჭოთა „მრჩევლებს", რომლებმაც ჩინეთი ნალეკეს. ჩინეთის კომუნისტური პარტია 1921 წელს მოსკოვის მითითებით შეიქმნა და თითქმის ექსკლუზიურად განათლებული ხალხისგან და სტუდენტებისაგან შედგებოდა. ის, კომინტერნის წესების მიხედვით, დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა, მაგრამ 1923 წლის შემდეგ მისი ბევრი წევრი ინდივიდუალურად გაწევრიანდა გომინდანში. მათ ეს მოსკოვის ბრძანებით გააკეთეს. მოსკოვს იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით ჩინეთში ანტიიმპერიულ ფრონტს გახსნიდა. ამის სანაცვლოდ, მან გომინდანს სამხედრო და პოლიტიკური დახმარება შესთავაზა. ორ პარტნიორს შორის უთანხმოებები არსებობდა, მაგრამ ეს ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა 1925 წლის შემდეგ, როდესაც სუნ იატსენი გარდაიცვალა და მართვის სადავეები ჩან კაიშიმ აიღო ხელში. 1927 წლის აპრილში ჩანმა თავისი პარტიიდან გარიცხა კომუნისტები და რომელთაგანაც ათასობით მოაკვლევინა.

ამ მარცხის შემდეგ სტალინმა დაასკვნა, რომ კომუნისტური მიზნებისათვის მესამე სამყაროს ნაციონალიზმის მოთვინიერება ფუჭი საქმიანობა იყო. ამიტომ 1928 წელს, მეექვსე ყრილობაზე, კომინტერმა უარყო „ეროვნული ბურჟუაზიისათვის" დახმარების აღმოჩენის პოლიტიკა. მას მერე, ოცდახუთი წლის შემდეგ სტალინის სიკვდილამდე, სსრკ-მ ძალიან შეამცირა კოლონიურ და კვაზიკოლონიურ რეგიონებში თავისი საქმიანობა. მან თანდათან შეწყვიტა ადგილობრივ „ბურჟუაზიებთან" თანამშრომლობაც, რომელთაც ის, მათი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგაც კი, იმპერიული ძალების „მსახურებად" მოიხსენიებდა. ზუსტად ამის გამო, 1953 წელს *დიდი საბჭოთა ენციკლოპედია* მაჰათმა განდის „ბრიტანეთის იმპერიის" აგენტად მოიხსენიებდა. სანაცვლოდ სსრკ კომუნისტურ პარტიებს დაეყრდნო, ლეგალურსა თუ არალეგალურს, თუნდაც ძალზე მცირე ყოფილიყო ის. 1948 წელს მოსკოვმა აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთში – ბირმაში, მალაიზიაში, ინდონეზიასა და ფილიპინებში – კომუნისტური შეიარაღებული აჯანყებების სერია წააქეზა, მათგან ყველა ჩაახშვეს. კომუნისტებმა წარმატებას მხოლოდ ინდოჩინეთში (ვიეტნამში) მიაღწიეს, სადაც 1954 წელს ადგილობრივმა პარტიზანულმა ჯარმა ფრანგები ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილიდან გააძევა. სანამ სტალინი ცოცხალი იყო, სსრკ-ის საგარეო პოლიტიკა საკუთარი ინდუსტრიული და სამხედრო ძლევამოსილების გაზრდასა და დიდ სახელმწიფოებს შორის უთანხმოების გაღვივებაზე იყო კონცენტრირებული.

თავის დროზე, ჩინელი კომუნისტების მიერ 1949 წელს გომინდანზე მოპოვებული გამარჯვება და მათ მიერ მთელი ჩინეთის დაპყრობა კომუნისტური საქმის უდიდეს ტრიუმფს განასახიერებდა. მარქსისტ-ლენინისტური მოძრაობა ერთბაშად ნახევარ მილიარდ ადამიანზე გავრცელდა. ეს რიცხვი თითქმის ორჯერ მეტი იყო იმ რაოდენობაზე, რომელიც მანამდე მის მმართველობაში ცხოვრობდა. მაგრამ ამ გამარჯვებას თავისი უარყოფითი მხარეებიც ჰქონდა, ვინაიდან მოძრაობას ის საერთაშორისო ერთობის ფასად დაუჯდა: კომუნისტური ჩინეთი მალე თავის გზას დაადგა და მოძრაობა გახლიჩა. ნაციონალიზმმა კიდევ ერთხელ გაიმარჯვა კლასურ მიკუთვნებულობაზე.

1927 წლის ოქტომბერში ჩინური კომუნისტური ორგანიზაციის ნარჩენებმა, რომლებიც ჩან კაიშის სადამსჯელო ლონისძიებებს გადაურჩა, ქვეყნის სიღრმეში სოფლებს შეაფარა თავი. მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა, მაო ძედუნმა (მაო ცე-ტუნგი), რომელიც ოდესღაც გომინდანის მხურვალე მხარდამჭერი იყო, მომდევნო ოცი წელი პოლიტიკურ უდაბნოში, პარტიზანული არმიის მშენებლობაში გაატარა. 1931 წელს ჩინელმა კომუნისტებმა ჩინეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაფუძნება გამოაცხადეს. თუმცა, არც მაშინ და არც მეორე მსოფლიო ომის დროს, სტალინს მათი მხარდაჭერის არანაირი ინტერესი არ გამოუხატავს. ნაწილობრივ – იმიტომ, რომ მას შორეულ აღმოსავლეთში სსრკ-ის ინტერესების დაცვა უფრო ადარდებდა, ვიდრე იქ კომუნიზმის ხელშეწყობა; სსრკ-ს ინტერესები კი ძლიერ, გაერთიანებულ ჩინეთს

საჭიროებდა, რომელიც იაპონიის შეკავებას შეძლებდა. სტალინის თვალთახედვით, გომინდანი ამ როლისათვის უფრო შესაფერისი იყო და სწორედ ამის გამო ის ჩანისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას ამჯობინებდა. ამას გარდა, სტალინი იუგოსლავიაში დამოუკიდებელი კომუნისტური პარტიის გამოცდილებას ითვალისწინებდა, რომელმაც 1948 წელს იოსიპ (ბროზ) ტიტოს ხელმძღვანელობით უარი თქვა მოსკოვის მორჩილებაზე და მასთან კავშირი გაწყვიტა. იმის შიშით, რომ ჩინეთი კიდევ ერთ „ტიტოურ" სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა, სტალინმა მაოს დარწმუნება სცადა, რომ ჩანთან შეთანხმებისთვის მიეღწია. მაომ უგულებელყო ეს რჩევა და გლეხთა არმიის წინამძღოლობით მთელი ჩინეთის დაპყრობას შეუდგა.

სტალინმა განაგრძო მაოს მფარველობა მაშინაც კი, როდესაც ეს უკანასკნელი ჩინეთის უცილობელი ბატონი გახდა. მაო იმდენად იყო სსრკ-ის ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებაზე დამოკიდებული, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში სიამაყეზე უარის თქმა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელად და მოდელად აღიარება მოუწია. მაგრამ ხრუშჩოვის მოსვლასთან ერთად მაოს დამოკიდებულება შეიცვალა, ვინაიდან ის სტალინის მემკვიდრეებს საერთო მიზნის მოღალატეებად მიიჩნევდა. 1959 წელს მოსკოვსა და პეკინს შორის ურთიერთობა კინაღამ გაწყდა, მეტწილად იმის გამო, რომ მოსკოვმა პეკინს ბირთვული ტექნოლოგიის გაზიარებაზე უთხრა უარი. მომდევნო წელს ხრუშჩოვმა ცალმხრივად გამოიწვია საბჭოთა ტექნიკური მრჩეველები ჩინეთიდან.

მაომ მალე კომუნიზმის იდიოსინკრატული ვარიანტი შეიმუშავა. ამ საკითხის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე ადამიანის სიტყვებით, მაოს იდეოლოგიის ძირითადი ღირებულებები „მარქსიზმისთვის სრულად უცხოდ ჩანდა": ის მხოლოდ იმის საჩვენებლად გამოდგება, რომ ცხადყოს „ნებისმიერი დოქტრინის უკიდურესი მოქნილობა, როდესაც ის ისტორიულ გავლენას მოიპოვებს[1]". ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, მაო მარქსს თავდაყირა აყენებდა. რევოლუციის მოსახდენად ინდუსტრიულ მშრომელებზე დაყრდნობის ნაცვლად, მან გლეხობა აიყვანა მოწინავე რევოლუციური კლასის რანგში: მსოფლიო რევოლუციას, ამტკიცებდა ის, ევროპელები (რომელთა შორისაც რუსეთსაც მოიაზრებდა) კი არ მიაღწევენ, არამედ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხები. მან ასევე უკუაგდო მარქსის გამონათქვამი, რომ „ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ყოფიერებას, არამედ ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას[2]", რაც იმას ნიშნავს, რომ მატერიალურ აუცილებლობებთან გამკლავება განსაზღვრავს იმას, თუ როგორ აზროვნებენ და რას განიცდიან ადამიანები. ამის ნაცვლად, მაო ამტკიცებდა, რომ ქცევას იდეები აყალიბებენ: „ობიექტური ფაქტორები", რომლებსაც მარქსიზმი გადამწყვეტად მიიჩნევდა, მაოსთვის „ბურჟუაზიული" კონცეფციები იყო. ეს კონცეფ-

---

[1] Kolakowski, Leszek, and Paul S. Falla. *Main Currents of Marxism: Its Rise, Growth, and Dissolution*. vol. 3, New York, Oxford University Press, 1978. გვ. 495, 521.

[2] Marx, Karl, and Friedrich Engels. „German Ideology". *Collected Works*, vol. V, 1975. გვ. 37.

ციები მასებს ვერასდროს აღუდგებოდნენ წინ, როდესაც ისინი რაიმეს მიღწევას დაისახავდნენ მიზნად. ამიტომ ცოდნა პოტენციური ბოროტება იყო, ვინაიდან ის გადაწყვეტილების მიღებას აფერხებდა; ამის გამო ბევრის კითხვაც საზიანო იყო. ახალი საზოგადოება და ახალი ადამიანი ეკონომიკური და სოციალური პირობების შეცვლის შემდეგ კი არა, კულტურული და ინტელექტუალური „სუპერსტრუქტურის" ცვლილების შემდეგ დაიბადებოდა. ეს ძალიან თავისებური რევიზიონიზმი იყო: მაშინ როდესაც დასავლური რევიზიონიზმი, რომელიც ედუარდ ბერნშტაინიდან მოდიოდა, მარქსის დოქტრინის მის რეალობასთან ადაპტირებით გამოსწორებას ცდილობდა, მაოს რევიზიონიზმი რეალობის უგულებელყოფას არჩევდა.

ასეთმა არაორთოდოქსულმა იდეებმა მოსკოვთან უთანხმოება გააჩინა. პარტიის მეოცე ყრილობაზე მოსკოვმა დასავლეთთან შერბილების პოლიტიკა მოიწონა და განაცხადა, რომ კომუნიზმის გლობალური გამარჯვებისთვის ომი აღარ იყო საჭირო, ვინაიდან მსოფლიო გარდაუვალად იხრებოდა კომუნიზმისკენ. მაო ამ კურსს შეეწინააღმდეგა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ინტერკონტინენტური რაკეტების მოპოვება, კაპიტალისტური დასავლეთის წინააღმდეგ აგრესიული პოლიტიკის წარმოებას ამართლებდა. ლენინის მსგავსად, მაოც ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმთან ომები გარდაუვალი იყო. მან უარყო ხრუშჩოვის დოქტრინა, რომლის მიხედვითაც კომუნიზმი ძალადობის გარეშე, საპარლამენტო საშუალებებით არსებობას შეძლებდა. ის ძალადობას ანიჭებდა

უპირატესობას („ომი დაპირისპირების აღმოფხვრისთვის ბრძოლის უმაღლესი ფორმაა"; „პოლიტიკური ძალაუფლება შაშხანის ლულიდან ამოიზრდება[1]").

მაომ შესაბამისად უარყო არგუმენტიც, რომ თერმობირთვული იარაღის შექმნამ მოსპო ომი, როგორც პოლიტიკური შესაძლებლობა. ის ატომურ ბომბს მოიხსენიებდა, როგორც „ქაღალდის ვეფხვს[2], რომელსაც შეერთებული შტატების რეაქციონერები ხალხის დასაშინებლად იყენებდნენ. ის საშიშად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში არ არის ასეთი[3]". მან ასევე მოღალატეობრივად მიიჩნია 1968 წელს დაწყებული შეიარაღების კონტროლის პოლიტიკა და აბუჩად აიგდო იდეა, რომ თერმობირთვული ომი დედამიწაზე სიცოცხლის გაქრობის ტოლფასი იქნებოდა. ის გასაოცარი გულგრილობით წერდა:

> „თუკი ყველაზე ცუდი რამ მოხდება და კაცობრიობის ნახევარი მოკვდება, მეორე ნახევარი გადარჩება, ხოლო იმპერიალიზმი აღიგვება პირისაგან მიწისა და მთელი მსოფლიო სოციალისტური გახდება; წლების შემდეგ კვლავ გაჩნდება 2.700 და მეტი მილიონი ადამიანი[4]".

---

[1] Zedong, Mao, et al. *Quotations from Chairman Mao Tse-Tung*. New York, Praeger, 1968. გვ. 32-33.

[2] ჩინური გამოთქმა, რომელიც აღნიშნავს მოჩვენებით საფრთხეს.

[3] იქვე. გვ. 77.

[4] Stuart Schram, Mao Tse-tung (Harmondsworth, U.K., 1966), გვ. 291.

სტალინის ხაზის ერთგულებით, მან ინდოეთში ნერუს და ეგვიპტეში ნასერის მსგავსი ექსკოლონიური რეჟიმების მხარდაჭერის სტრატეგია უარყო.

მაგრამ მომწიფებული კონფლიქტის ფუნდამენტური მიზეზი, რომელსაც 1969 წელს სინო-საბჭოთა საზღვარზე შეტაკებები მოჰყვა, სტრატეგია და ტაქტიკა კი არ იყო (რამდენად მნიშვნელოვანიც უნდა ყოფილიყო ეს), არამედ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში ჰეგემონიის სურვილი. მოსკოვი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ ის იყო მოძრაობის უდავო ლიდერი; ეს პრეტენზია 1920 წლის კომინტერნის აქტებით გაფორმდა და მასზე მოსკოვს არასდროს უთქვამს უარი. 1956 წელს, ვარშავაში, პირად საუბარში ხრუშჩოვმა გაამჟღავნა, რომ სტალინმა მაოს უთხრა: მოსკოვს უნდა ჰქონოდა კომუნისტურ ბანაკთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე ბოლო სიტყვის თქმის უფლება. 1956 წლის შემდეგ მაომ უარი თქვა ამ წესებით თამაშზე, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის სტალინის მემკვიდრეებს მარქსიზმ-ლენინიზმის მოღალატეებად მიიჩნევდა. ახლა ის ფიქრობდა, რომ არა მხოლოდ მოსკოვის მმართველების თანასწორი, არამედ მათზე უპირატესიც კი იყო. ჯერ კიდევ ჩინეთის მმართველად გახდომამდე ის საკუთარ თავს მსოფლიოს არადასავლური ქვეყნებისთვის შექმნილი მარქსისტული დოქტრინის შემოქმედად მიიჩნევდა, რომლის მიხედვითაც რევოლუციებს გლეხები მოაწყობდნენ. 1945 წლისთვის მაოს ერთ-ერთი თანამებრძოლი ამბობდა: „მაო ძედუნის დიდი მიღწევა ის იყო, რომ მან მარქსიზმს ევროპულის ნაცვლად აზიური ფორმა მისცა“, რომელიც კაცობრიობის დიდ ნაწილს

წარმართავდა, ჩინეთის მსგავს პირობებში რომ ცხოვრობდა. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის აფრიკიდან გამოდევნის მიზნით, პეკინმა რასისტულ არგუმენტებს მიმართა და ბრალი დასდო რუსებს, რომ ვინაიდან ისინი „თეთრები" იყვნენ, ვერ შეძლებდნენ ვერც აღმოსავლეთის და ვერც აფრიკის ხალხების გაგებას. მაოს სახლში განადიდებდნენ როგორც ჭეშმარიტი მრნამსის მოციქულს. 1966 წელს პეკინში გამოცემული წიგნის ეს სათაური იმ პერიოდისათვის საკმაოდ ტიპური იყო: *„მაო ძედუნის აზრების ბრწყინვალება მთელ მსოფლიოს ანათებს"*. ასე რომ, „ის, რაც რევოლუციური სტრატეგიების ალტერნატივებთან დაკავშირებულ დავად დაიწყო... საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში ძალაუფლების ბრძოლის ჩანასახად იქცა[1]".

სინო-საბჭოთა კონფლიქტმა კომუნიზმის ფუნდამენტური და გამოუსწორებელი სისუსტე გამოავლინა. მან აჩვენა, რომ უცხოელი კომუნისტები მზად იყვნენ, მოსკოვის ხელმძღვანელობას დამორჩილებოდნენ მხოლოდ იქამდე, სანამ მათ საკმარისად ძლიერი ადგილობრივი საყრდენი არ ექნებოდათ და მოსკოვის ფინანსურ და სამხედრო დახმარებაზე იყვნენ დამოკიდებულნი. თუმცა, ამ პირობებში ისინი მარგინალიზებულნი და უძლურნი იყვნენ. თუკი ისინი შინ მნიშვნელოვანი მხარდაჭერის მოპოვებას შეძლებდნენ, როგორც ეს ჯერ იუგოსლავიაში და შემდეგ ჩინეთში მოხდა, ავტონომიურ პოლიტიკურ ძალად და შესაბამისად საერთაშორისო კომუნიზმის შემადგენელ ნაწილად იქცეოდნენ, მაგრამ

---

[1] Zagoria, Donald S. *The Sino-Soviet Conflict, 1956-1961*. New York, Atheneum, 1964. გვ. 385.

მათ აღარ სურდათ რუსეთისგან ბრძანებების მიღება ან საბჭოთა კავშირის ეროვნული ინტერესებისთვის საკუთარზე უფრო დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ამის შედეგი იყო დილემა: რაც უფრო წარმატებული იყვნენ უცხოელი კომუნისტები, მით უფრო დამოუკიდებლები ხდებოდნენ ისინი და უფრო ნაკლებად შესწევდა მოსკოვს ძალა, რომ ისინი ეკონტროლებინა. ამიტომ მოსკოვს არჩევანი უნდა გაეკეთებინა საკუთარ და ინტერნაციონალურ ინტერესებს შორის. თუკი საბჭოთა ხელმძღვანელობას ნამდვილად სურდა კომუნიზმის გავრცელება, მაშინ მას ლიდერობის პრეტენზიაზე უარი უნდა ეთქვა და უკუეგდო თეორია, რომლის მიხედვითაც კომუნიზმისა და საბჭოთა კავშირის ინტერესები ერთი და იგივე იყო. მაგრამ ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო მოძრაობა დაიშლებოდა და ის ცენტრიდანულ ძალებს დაექვემდებარებოდა, რითაც ის დაკარგავდა იმას, რაც ლენინისთვის რეჟიმის არსობრივი ნაწილი იყო – მკაცრ ცენტრალიზმს.

–

მესამე მსოფლიოს ანტიიმპერიული ძალებისთვის მხარდაჭერის აღმოჩენის სტრატეგია, რომელიც სტალინის მემკვიდრეებმა მისი სიკვდილის შემდეგ შეიმუშავეს, 1950-იანებში უფრო ხელმისაწვდომად გამოიყურებოდა, ვიდრე ოცდაათი წლით ადრე, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იმპერიულმა ძალებმა თავიანთი კოლონიების უმეტესობის დამოუკიდებლობა აღიარეს. მათ შორის იყო ისეთი ხალხმრავალი და სტრატეგიული ადგილმდებარეობის მქონე ქვეყნები, როგორებიც

იყვნენ ინდოეთი, ინდონეზია და ეგვიპტე. მათ გამოუცდელი ნაციონალისტი ხელმძღვანელები მართავდნენ, რომლებიც ჩვეულებრივ ფულის ნაკლებობას განიცდიდნენ და რომლებიც პოლიტიკურ დამოუკიდებლობას მხოლოდ ეკონომიკურ თვითკმარობაზე დაფუძნებული ნამდვილი დამოუკიდებლობის პირველ საფეხურად მოიაზრებდნენ. ისინი აღტაცებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირით, როგორც ქვეყნით, რომელიც ჩამორჩენილობიდან ინდუსტრიულ ძლევამოსილებამდე აღზევდა; მისი მიბაძვის მიზნით, ისინი ხელგაშლილად ეგებებოდნენ საბჭოთა რჩევებსა და მხარდაჭერას. ზოგიერთ შემთხვევაში მიზანდასახული დიქტატორები საბჭოთა კავშირში საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების გარანტიებს ხედავდნენ: საკუთარი თავის „სოციალისტებად" გამოცხადების სანაცვლოდ, ისინი კომუნისტური ბლოკის საიდუმლო სამსახურებისა და შეიარაღებული ძალების დახმარებას იღებდნენ შიდა და გარე მოწინააღმდეგეებთან გასამკლავებლად.

1956 წლის შემდეგ მოსკოვმა აქტიურად მიჰყო ხელი მესამე სამყაროს, რადგან დასავლეთის, და განსაკუთრებით შეერთებული შტატების წინააღმდეგ, მსოფლიოს მოსახლეობის ნახევრისაგან შემდგარი ალიანსის შექმნას ცდილობდა. ამისათვის ის ფეხის მოკიდების განსხვავებულ მეთოდებს მიმართავდა. ინდოეთში აფინანსებდა და ზედამხედველობას უწევდა გიგანტური ფოლადის ქარხნის მშენებლობას; სხვაგან ელექტროსადგურებსა და პურის ქარხნებს აშენებდა. ეგვიპტეს მოსკოვი ასვანის კაშხლის აშენებაში დაეხმარა, რომელმაც ნი-

ლოსის ყოველწლიური ადიდების კონტროლი ისტორიაში პირველად გახადა შესაძლებელი. ასეთი ქმედებების დანიშნულება კონტრასტის შექმნა იყო „ეგოისტი" კაპიტალისტური დასავლეთის ქცევასთან. მოსკოვმა არაბები – ისრაელის, ხოლო ეთიოპია სომალის წინააღმდეგ შეაიარაღა. ყველა ამ შემთხვევაში, საბჭოთა „მრჩევლები" ერთი ფარული მიზნისკენ ისწრაფოდნენ: რომ მოსკოვს მსოფლიოში ყველგან ჰქონოდა ფიზიკური ყოფნის შესაძლებლობა. ეს დახმარება ქმნიდა ეკონომიკურ დამოკიდებულებასაც, რაც პოლიტიკურ დამოკიდებულებად შეიძლება ქცეულიყო.

საბოლოოდ, ამ ამბიციურმა და ძვირად ღირებულმა პოლიტიკამ ძალიან მოკრძალებული სარგებელი მოიტანა. საბჭოთა კავშირს უბრალოდ არ ჰქონდა საკმარისი ეკონომიკური რესურსი, რათა ის როლი შეესრულებინა, რომელსაც მისი მესამე სამყაროს პოლიტიკა მოითხოვდა. ახლო აღმოსავლეთიდან აფრიკამდე, ერთი ქვეყნიდან მეორეში, მოსკოვი ძალაუფლების ვაკუუმების შევსებას ცდილობდა, ზრდიდა ფინანსურ და სამხედრო დახმარებას, მაგრამ ბოლოს აღმოაჩენდა ხოლმე, რომ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო მისი მოკავშირე ან ქრებოდა, ან აზრს იცვლიდა. როგორც ერთმა აღნიშნა, მესამე სამყაროს ლიდერების ყიდვა შეუძლებელი იყო; მათი მხოლოდ ქირაობა შეიძლებოდა.

მოსკოვის მესამე სამყაროში წარმოებული მოქმედებების მთავარი შედეგი დასავლეთის დაფრთხობა და ცივი ომის გამწვავება იყო. მათ ასევე დიდი გავლენა იქონიეს მის ხაზინაზე.

ვინაიდან მარქსისტ-ლენინისტები საკუთარ დოქტრინას მეცნიერებად განიხილავდნენ, მათ თავიანთი გამოცდილების გაანალიზება და საკუთარი შეცდომებიდან სწავლა სცადეს. თუმცა ეს ეხებოდა არა მოძრაობის საბოლოო მიზანს, რომელიც კრიტიკაც იკრძალებოდა, არამედ მათ ტაქტიკასა და სტრატეგიას. ლენინმა მარქსისგან ისწავლა, რომ კონტრრევოლუციის თავიდან ასაცილებლად კაპიტალიზმის მთელი ინსტიტუციური სტრუქტურა უმოწყალოდ უნდა გაენადგურებინა. სტალინის მემკვიდრეების რევიზიონიზმის ნახვისას, მაომ დაასკვნა, რომ ინსტიტუციების განადგურება არ იყო საკმარისი: საჭირო იყო ადამიანის შეცვლა. ადამიანის შეცვლა, რა თქმა უნდა, მარქსიზმის საბოლოო მიზანი იყო. მაგრამ მაომ გადაწყვიტა, რომ მისი სურვილის რეალობად ქცევა სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო და მთელი თავისი მმართველობა ამისკენ მიმართა.

ჩინელმა კომუნისტებმა საბჭოთა მოდელთან ძალიან მიახლოებული ტოტალიტარული რეჟიმი შექმნეს. თავდაპირველად, მაომ ზედმიწევნით მიბაძა სტალინის ეკონომიკურ პოლიტიკას, ჩაატარა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და ინდუსტრიალიზაციის ხუთწლიანი გეგმები დანერგა. თუმცა განსხვავებებიც არსებობდა. ერთ-ერთი ის იყო, რომ მაშინ, როდესაც ცარიზმის მემკვიდრე, საბჭოთა დიქტატურა, დიდად არ ღელავდა იმაზე, თუ რას ფიქრობდა ხალხი, სანამ ისინი მორჩილებდნენ და მორწმუნეებად ასაღებდნენ თავს, ჩინელ კომუნისტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ ნამდვილი ინტელექტუალური და სულიერი თანხმობის

მიღწევა[1]. ამ განზრახვის საფუძველი კონფუციანიზმი იყო, რომელიც აქცენტს მორალურ სრულყოფილებაზე აკეთებდა და მოითხოვდა, რომ მთავრობა მორალურ პრინციპებს დაჰყრდნობოდა და არა უბრალო იძულებას. თუმცა, ის უფრო მაოს შიშს ეფუძნებოდა: ვიდრე მისი ხალხის გონება ისე არ გარდაიქმნებოდა, რომ მარქსის, ლენინისა და თავად მაოს იდეებს სრულად გაითავისებდა, ჩინეთს საბჭოთა რუსეთის ბედი შეიძლება გაეზიარებინა – ანუ, რევიზიონისტული გამხდარიყო და ჭეშმარიტი რწმენა უკუეგდო.

მაოს წანამძღვრებმა ფანტასტიკური ექსპერიმენტები შექმნა, რომელთაგან ყველა მკვდრადშობილი იყო და რომლებსაც დიდი ადამიანური მსხვერპლი მოჰყვა და ქვეყნის კეთილდღეობა შეეწირა. ჩინეთის მოქალაქეები, განსაკუთრებით ინტელექტუალები, რომელთაც ანაქრონისტულ ან ძირგამომთხრელ აზრებში ადანაშაულებდნენ, სისტემურ „ხელახალ აღზრდას" დაუქვემდებარეს. ხშირად ეს საკონცენტრაციო ბანაკებში ხდებოდა, სადაც მათ იმას უკეთებდნენ, რასაც მსუბუქად „ტვინის გამორეცხვა" შეიძლება ვუწოდოთ. საუბარია მენტალურ წამებაზე, რომლის მიზანიც ადამიანის ნებისყოფის გატეხა იყო.

---

[1] ბევრი დამკვირვებელი იძულებით ინდოქტრინაციას საბჭოთა კომუნიზმის არსობრივ ელემენტად მიიჩნევდა. ეს არასწორი შეხედულება შესაძლოა იმის გამო წარმოშობილიყო, რომ რეჟიმის მმართველობის პირველი ორმოცი წლის მანძილზე უცხოელები სსრკ-ს შესახებ თითქმის მთელ ინფორმაციას საბჭოთა წყაროებიდან იღებდნენ, რომლებიც ხაზს უსვამდნენ აზრთა ერთგვაროვნებასა და კომუნისტური იდეოლოგიისადმი ტოტალურ ერთგულებას. რეალობა განსხვავებული იყო.

მსგავსი დაშვებებიდან აღმოცენდა 1958 წელს დაწყებული ე. წ. „დიდი ნახტომი წინ". მსოფლიოსთვის იმის ჩვენების მიზნით, რომ ჩინეთმა ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის რუსებზე უკეთესი და უფრო სწრაფი გზა ნახა, მაომ გამოაცხადა, რომ ჩინეთის მიზანი ხუთ წელიწადში ბრიტანეთის ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებისთვის გადასწრება იყო. ეს უნდა გაეკეთებინა ნახევარ მილიარდზე მეტ ადამიანს, რომლებიც ოცდაოთხათასიან „ხალხთა კომუნებად" დააჯგუფეს, რომლებიც პრიმიტიულ ოჯახურ ინდუსტრიულ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობას აერთიანებდნენ. ეს იყო საუკეთესო მაგალითი იმის, თუ როგორ ჰქონდა გადაწყვეტილი მაოს ეკონომიკური რეალობის უგულებელყოფა. ის ეფუძნებოდა თეორემას, რომელიც წარმოადგინა წიგნში *„ხელმძღვანელი მაოს გამონათქვამები"* (ხალხში *„მაოს პატარა წითელ წიგნს"* უწოდებდნენ). ის გარკვეული დროის განმავლობაში ჩინეთში ხელმისაწვდომ წიგნებს შორის ერთადერთი იყო. მისი მიხედვით, ჩინელი ხალხი სუფთა დაფა იყო:

> „სხვა მახასიათებლებს შორის, ჩინეთის 600 მილიონ მცხოვრებში მათი საუკეთესო თვისება ისაა, რომ ისინი „ღარიბები და ცარიელნი" არიან. ეს შესაძლოა ცუდად გამოიყურება, მაგრამ სინამდვილეში კარგია. სილარიბე ცვლილების, მოქმედებისა და რევოლუციის სურვილს აძლევს დასაბამს. ყოველგვარი ლაქისგან თავისუფალ ქაღალდის სუფთა ფურცელზე, ყველაზე ქორფა და ყველაზე მშვენიერი იეროგლიფები შეიძლე-

ბა დაიწეროს, ყველაზე ქორფა და მშვენიერი ნახატი შეიძლება დაიხატოს[1]".

ეს სიტყვები ეხებოდა ერს, რომელსაც ათასწლიანი სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქონდა.

არ უნდა ეარსება ზღვარს, რის მიღწევასაც ადამიანები ვერ შეძლებდნენ, თუკი მიზნად დაისახავდნენ: „დიდი ნახტომის" ერთ-ერთი სლოგანის მიხედვით, „ჩვენ მზესა და მთვარეს ადგილების გაცვლა უნდა ვასწავლოთ. ჩვენ ადამიანისათვის ახალი მიწა და ზეცა უნდა შევქმნათ". ამის გამო მარქსიზმი, რომელიც მისი დამფუძნებლებისთვის მკაცრად მატერიალისტური დოქტრინა იყო, ჩინეთის თვითგამოცხადებული მარქსისტი დიქტატორის ხელში უტოპიურ იდეალიზმად გადაიქცა, რომელიც ადამიანის ნებას უქვემდებარებდა რეალობას.

„დიდმა ნახტომმა" ისეთი ეკონომიკური ქაოსი გამოიწვია, რომ მასზე უარის თქმა გახდა საჭირო. გამაოგნებელი იყო ის ფასი, რომელიც მის მისაღწევად ადამიანების სიცოცხლით გადაიხადეს: ამერიკელმა დემოგრაფებმა, რომლებსაც მაოს სიკვდილის შემდეგ მოსახლეობის სტატისტიკაზე წვდომა მიეცათ, განსაზღვრეს, რომ, სულ მცირე, 30 მილიონი ჩინელი დაიღუპა შიმშილით, რომლის შესახებაც გარესამყაროს წარმოდგენაც არ ჰქონდა[2]. თუმცა წარუმატებლობას მაოსთვის გული არ აუცრუებია, ვინაიდან მისმა მეგა-

---

[1] Zedong, Mao, et al. *Quotations from Chairman Mao Tse-Tung*. New York, Praeger, 1968. გვ. 19-20.

[2] Becker, Jasper. *Hungry Ghosts: China's Secret Famine*. London, J. Murray, 1996. გვ. xi.

ლომანიამ პათოლოგიურ განზომილებებს მიაღწია. საკუთარი პარტიისაგან უფრო და უფრო დაშორებულმა, 1966 წელს კიდევ ერთი ახირებული და დამანგრეველი კამპანია წამოიწყო, ამჯერად ინტელექტუალებისა და პარტიის წევრების წინააღმდეგ, რომლებიც მისი აზრით ჩინეთს იმავე მოღალატეობრივი გზით წაიყვანდნენ, რაც საბჭოთა კავშირმა გაიარა. ამ ჯვაროსნულ ლაშქრობაში წითელ გვარდიაში გაწევრიანებული ქალაქელი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მათ უნდა განეხორციელებინათ ის, რასაც ოფიციალურად „დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუცია" ეწოდა, მაგრამ რისი უფრო ზუსტი აღწერაც მანკიერი კულტურული კონტრრევოლუცია იქნებოდა. ეს უპრეცედენტო შემთხვევა იყო, სადაც, ნაწილობრივ რევოლუციური სულისკვეთების გაღვივების სურვილით და ნაწილობრივ განდიდების მანიით შეპყრობილმა მმართველმა ქვეყნის კულტურული ცხოვრება სტაგნაციამდე მიიყვანა. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩინეთი, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ცივილიზაცია, ბარბაროსების ურდოებმა დაარბიეს, რომლებსაც ასწავლეს, რომ ყველაფერი, რაც მათ არ ესმოდათ, უნდა გაენადგურებინათ. ამ პროცესის ზენიტში ყველა სკოლა დაკეტეს, ხოლო სახელმძღვანელოებისა და მაოს შრომების გარდა არც ერთი წიგნი არ იყო ხელმისაწვდომი. დასავლური მუსიკის შესრულება აიკრძალა. წითელი გვარდიელები თავს ესხმოდნენ ინტელექტუალებს და მათ საჯაროდ თავის დამცირებას აიძულებდნენ; მათგან ბევრი აწამეს და მოკლეს. ათასობით პარტიის წევრსაც მათ მსგავსად მოექცნენ. ეს ანტიინტელექტუალური გაშმაგება მხოლოდ

1976 წელს, მაოს სიკვდილთან ერთად დასრულდა. მისი შედეგი არა მხოლოდ მთელი თაობისათვის განათლების წართმევა იყო, არამედ მისი მორალური და ფსიქოლოგიური გამოშიგვნაც.

მიუხედავად იმისა, რომ ყველას, ვინც ჩინეთში „დიდი ნახტომის" ან კულტურული რევოლუციის კრიტიკას ბედავდა, დაპატიმრება ემუქრებოდა, დასავლეთში საკმაოდ ბევრი რადიკალური ინტელექტუალი მხარს უჭერდა მაოს ბარბაროსობას და მის ნაწერებში სიბრძნეს პოულობდა.

მაოს შემცვლელმა, დენ სიაოპინმა, მხეცურ ექსპერიმენტებს წერტილი დაუსვა. 1979 წელს მან თავისუფალი ბაზრის რეფორმების პოლიტიკა წამოიწყო, რომელმაც სამეწარმეო სულისკვეთება ააღორძინა. მას მერე ჩინეთი, მიუხედავად კომუნისტური იდეოლოგიისა და სახელმწიფო მოწყობისა, ეკონომიკური პრივატიზაციის გზას დაადგა, რომელიც კომუნიზმის ყველაზე ფუნდამენტური დებულების – კერძო საკუთრების გაუქმების უარყოფას გულისხმობდა.

–

რევოლუციური მოძრაობები და რეჟიმები დროთა განმავლობაში უფრო და უფრო რადიკალურნი და უმოწყალონი ხდებიან. ეს იმიტომ ხდება, რომ რამდენიმე წარუმატებლობის შემდეგ მათი ლიდერები ფუნდამენტური წანამძღვრების გადააზრებას (რაც მათ არსებობას ამართლებდა), მათი უფრო დიდი სისასტიკით განხორციელებას არჩევენ, რამდენადაც დარწმუნებული არიან, რომ წარუმატებლობის მიზეზი არასაკმარისი

თავდაჯერებულობა იყო. ბოლოს, როდესაც არაფერი გამოდის, დაღლილობა იჩენს თავს და დამფუძნებელი მამების მემკვიდრეები მშვიდდებიან და ცხოვრებით ტკბობას იწყებენ, თუმცა მანამდე არაადამიანობის ყველაზე უკიდურეს ფორმებს მიმართავენ.

ისევე, როგორც ჰოლოკოსტი გამოხატავდა ნაციონალ-სოციალიზმის ბუნების კვინტესენციას, კამბოჯაში წითელი ქმერების მმართველობა (1975-1978 წწ.) მსგავსადვე წარმოადგენდა კომუნიზმის ყველაზე სრულყოფილ ხორცშესხმას: ის განასახიერებდა იმას, თუ რად იქცევა კომუნიზმი, თუკი მას ლოგიკურ დასასრულამდე მივიყვანთ. მისი ლიდერები მიზნის მისაღწევად არაფერზე იხევდნენ უკან, რაც მსოფლიოში პირველი სრულიად ეგალიტარული საზოგადოების შექმნა იყო. ამ მიზნის მისაღწევად ისინი მზად იყვნენ, იმდენი ხალხი გაენადგურებინათ, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევდნენ. ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიისთვის დამახასიათებელი ქედმაღლობის ყველაზე რადიკალური გამოვლინება, რაც არის რწმენა ინტელექტუალური ელიტის უსაზღვრო ძლევამოსილებისა, რომელიც მარქსისტული დოქტრინით ხელმძღვანელობს და რომელიც ყოფიერების სრული სახეცვლილებისთვის შეუზღუდავ ძალადობას მიმართავს. ამის შედეგი წარმოუდგენელი მასშტაბის კატასტროფა იყო.

წითელი ქმერების ლიდერებმა უმაღლესი განათლება პარიზში მიიღეს, სადაც მათ რუსოსეული „ბუნებითი ადამიანის" ხედვა შეითვისეს, ისევე როგორც ფრანც ფანონისა და ჟან პოლ სარტრის შეგონებები კოლონიალიზმთან ბრძოლაში ძალადობის გამოყენებასთან დაკავ-

შირებით („მკვლელობა აუცილებელია", წერდა სარტრი. „ევროპელის ჩამოგდება ... ერთდროულად მჩაგვრელისა და ჩაგრულის დათრგუნვას ნიშნავს"). კამბოჯაში დაბრუნების შემდეგ, მათ ჩრდილოაღმოსავლეთით მდებარე გორაკებზე კარგად დისციპლინებული შეიარაღებული დაჯგუფება დააფუძნეს, რომელიც მეტწილად უღარიბესი გლეხობიდან გამოსული წერა-კითხვის უცოდინარი და გაუნათლებელი ახალგაზრდებისგან შედგებოდა. ძირითადად, თორმეტიდან თოთხმეტ წლამდე მოზარდებისგან შემდგარი ეს რაზმები ინტენსიურ ინდოქტრინაციას გადიოდნენ, რათა შესძულებოდათ ყველა, ვინც მათგან განსხვავდებოდა, განსაკუთრებით კი – ქალაქის მცხოვრებნი და ვიეტნამური უმცირესობის წევრები. მათში „მოკვლისა და შესაბამისად, ომის სიყვარული" რომ გაეღვივებინათ, მათ ნაცისტური „სს"-ის[1] მსგავსად, ცხოველების წამებითა და ხოცვით წვრთნიდნენ.

მათი დრო 1975 წელს მოვიდა, როდესაც წითელმა ქმერებმა ამერიკელების მიერ მხარდაჭერილი ლონ ნოლის მთავრობა ჩამოაგდეს და ქვეყნის დედაქალაქი, პნომპენი, დაიკავეს. მოსახლეობის ძირითად ნაწილს წარმოდგენა არ ჰქონდა იმის შესახებ, თუ რა ელოდათ, ვინაიდან წითელი ქმერების პროპაგანდა ძველი რეჟიმის ყველა მსახურის ამნისტირებას და ყველა კლასის „იმპერიალისტებისა" და მემამულეების წინააღმდეგ

[1] შუცშტაფელი (ქართ. დამცავი რაზმი, გერმ. Schutzstaffel – SS) – 1934-1945 წლებში, ნაცისტური პარტიის შემადგენლობაში არსებული დამოუკიდებელი პარამილიტარისტული ორგანიზაცია (ვიკიპედია).

გაერთიანების პირობას იძლეოდა. თუმცა, როგორც კი წითელი ქმერების რაზმები პნომპენში შევიდნენ, მათ ყველაზე რადიკალური სადამსჯელო ღონისძიებების ჩატარება დაიწყეს. მათ მიაჩნდათ, რომ ქალაქები ყველა ბოროტების კერა იყო – ფანონის სიტყვებით, „მოღალატეებისა და თაღლითების" ბუნაგი. წითელმა ქმერებმა 2.5-მილიონიანი დედაქალაქისა და სხვა ურბანული ცენტრების სრული ევაკუაცია გამოაცხადეს. სოფლად გახიზნულ მოსახლეობას ნება დართეს, მხოლოდ ის ქონება გადაერჩინა, რისი ზურგით ზიდვასაც შეძლებდა. ერთი კვირის განმავლობაში კამბოჯის ყველა ქალაქი დაცარიელებული იყო. ოთხი მილიონი ადამიანი, მოსახლეობის 60 პროცენტი, გადაასახლეს. ისინი იძულებული გახდნენ, უკიდურესად მძიმე პირობებში ეცხოვრათ – არასათანადო კვების მიუხედავად, უმძიმეს შრომას ეწეოდნენ. საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები დაიხურა.

შემდეგ დაიწყო ხოცვა-ჟლეტა. მაოსგან განსხვავებით, რომელსაც ისინი ეთაყვანებოდნენ და რომელსაც ბევრ რამეში ჰბაძავდნენ, წითელი ქმერების ლიდერი პოლ პოტი „ხელახალ აღზრდაზე" დროს არ ხარჯავდა, ის პირდაპირ შეუდგა მოსახლეობის იმ ჯგუფების განადგურებას, რომელთაც ახალი წესრიგის რეალურ თუ პოტენციურ მტრობაში სდებდა ბრალს: ძველი რეჟიმის ყველა სამოქალაქო თუ სამხედრო თანამშრომლის, ყოფილი მემამულეების, მასწავლებლების, ვაჭრების, ბუდისტი ბერებისა და კვალიფიციური მშრომელებისაც კი. ამ ჯგუფების წარმომადგენლებს, რომლებიც ოფიციალურად მოქალაქეთა ყველაზე დაბალ კლასს მიაკუთ-

ვნეს და ყველა უფლება, მათ შორის საკვებზე წვდომის უფლებაც, ჩამოართვეს, ან გამარტივებული წესით ხვრეტდნენ, ან იძულებითი შრომის შესასრულებლად ამწესებდნენ, სანამ ისინი გამოფიტვისაგან არ დალევდნენ სულს. ამ საბრალოთა რაოდენობამ სავარაუდოდ მოსახლეობის ორი მესამედი შეადგინა. მათ სისტემატურად აკავებდნენ, ჰკითხავდნენ და აწამებდნენ, სანამ ისინი სხვებს არ დაასმენდნენ, ხოლო ამის შემდეგ სიკვდილით სჯიდნენ. სიკვდილით სჯიდნენ მთელ ოჯახებს, მათ შორის პატარა ბავშვებს, ვინაიდან პოლ პოტს მიაჩნდა, რომ განსხვავებული იდეები და აზრები, რომლებიც ადამიანების სოციალური მდგომარეობიდან, განათლებიდან და საქმიანობიდან მოდიოდა, „ბოროტი მიკრობები" იყო, რომელიც დაავადებასავით ვრცელდებოდა. ლიკვიდაცია ხდებოდა კომუნისტური პარტიის იმ წევრებისაც, რომლებსაც შესაძლოა ეს დაავადება გადასდებოდათ. მას შემდეგ, რაც ვიეტნამელებმა წითელი ქმერები კამბოჯიდან განდევნეს, მათ მსხვერპლთა თავის ქალების მთები აღმოაჩინეს.

ქმერებს არც გლეხები დაუნდვიათ, რომლებიც ჩინურ მაგალითზე „კოოპერატივებში" გააერთიანეს. სახელმწიფომ ამ კომუნების მიერ წარმოებული მთელი საკვების ექსპროპრიაცია მოახდინა და როგორც ფარაონის ეგვიპტეში, ის ტაძრებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში დაასაწყობა, რათა შემდეგ საკუთარი შეხედულებისამებრ გაენაწილებინა. ამ ზომებმა ტრადიციული სასოფლო წესრიგი მოარღვია და საკვების ისეთი დეფიციტი შექმნა, რომელმაც 1978-1979 წლებში,

უჩვეულოდ მძიმე გვალვასთან ერთად, მასობრივი შიმშილი გამოიწვია.

მკვლელობების რაოდენობა უფრო და უფრო მატულობდა იმ ორმოცდაათხი თვის განმავლობაში, რაც წითელი ქმერები კამბოჯას აკონტროლებდნენ. ადამიანებს ისეთი დარღვევების გამოც კლავდნენ, როგორებიცაა სამსახურში დაგვიანება, საკვების გამო ჩივილი, მთავრობის კრიტიკა ან ქორწინებამდელი სექსუალური კავშირის დამყარება. ჩადენილი სისასტიკე თავისი სადისტური ხასიათით ნაცისტების მიერ ჩადენილი დანაშაულების იდენტური იყო. მაგალითად, ვიეტნამის საზღვარზე:

> „წითელი ქმერების ჯარისკაცებმა გააუპატიურეს ვიეტნამელი ქალი, შემდეგ კი სარი თუ ხიშტი გაუყარეს საშოში. ორსულ ქალებს მუცელს უჭრიდნენ, დაუბადებელ ბავშვებს იყვანდნენ და მომაკვდავ დედებს სახეში ახეთქებდნენ. ახალგაზრდებიც ერთობოდნენ დიდმკერდიანი ვიეტნამელი ქალებისთვის მკერდის მოკვეთით[1]".

დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც ბავშვებს საკუთარი მშობლების მოკვლა უბრძანეს.

ამ ხოცვა-ჟლეტის მასშტაბი შემაძრწუნებელია. სანდო წყაროების მიხედვით, 1975 წელს წითელი ქმერების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დროისთვის, კამბოჯის მოსახლეობა 7.3 მილიონი იყო; როდესაც 1978 წელს ისინი ვიეტნამელებმა განდევნეს, ეს რა-

---

[1] Jackson, Karl D. *Cambodia, 1975-1978 : Rendezvous with Death.* Princeton, N. J., Princeton University Press, 1989. გვ. 238.

ოდენობა 5.8 მილიონამდე იყო შემცირებული. განვლილი ოთხი წლის ბუნებრივი მატების გათვალისწინებით, ის 8 მილიონი უნდა ყოფილიყო[1]. სხვა სიტყვებით, პოლ პოტის რეჟიმი კამბოჯის 2 მილიონამდე მოქალაქის, ანუ მოსახლეობის ერთ მეოთხედზე მეტის სიკვდილზე იყო პასუხისმგებელი. დაღუპულთა შორის იყვნენ ქვეყნის ყველაზე განათლებული და დახელოვნებული ადამიანები. ეს საზარელი ექსპერიმენტი შეფასდა, როგორც „უპრეცედენტო მასშტაბის ადამიანური ტრაგედია, რომელიც იმის გამო მოხდა, რომ პოლიტიკურმა თეორეტიკოსებმა საკუთარი გრანდიოზული გეგმა გაურკვევლობაში მყოფ ქმერ ხალხს მოახვიეს თავს[2]".

აღნიშვნის ღირსია, რომ ამ ძალადობის წინააღმდეგ არსად მსოფლიოში დემონსტრაციები არ ყოფილა და არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიუღია მისი დამგმობი რეზოლუცია. მსოფლიომ ის მშვიდად მიიღო, ალბათ იმის გამო, რომ ის კეთილშობილი მიზნისათვის იყო ჩადენილი.

---

[1] Jackson, Karl D. *Cambodia, 1975-1978 : Rendezvous with Death*. Princeton, N. J., Princeton University Press, 1989. გვ. 3 და 150.

[2] Jackson, Karl D. *Cambodia, 1975-1978 : Rendezvous with Death*. Princeton, N. J., Princeton University Press, 1989. გვ. 110.

[3] ზოგიერთმა დასავლელმა ინტელექტუალმა, ვინაიდან ამ უპრეცედენტო ხოცვა-ჟლეტაში კომუნისტების დადანაშაულება არ სურდა, ის ამერიკელებს მიაწერა, რომლებმაც 1969-73 წლებში, იქ თავშესაფარის მქონე ვიეტკონგელების განადგურების მიზნით, კამბოჯა დაბომბეს. თუმცა მაინც რთულად გასარკვევია, თუ რატომ გამოვლინდა კამბოჯელების ამერიკელებისადმი არსებული მძვინვარება ორი მილიონი საკუთარი მოქალაქის მოკვლაში.

–

1970-1973 წლებში ჩილეში არსებული სალვადორ ალიენდეს რეჟიმი კომუნისტური რევოლუციის უჩვეულო შემთხვევას წარმოადგენს, რომელიც დემოკრატიულ ქვეყანაში დემოკრატიული საშუალებების გამოყენებით მოხდა.

1960-იანებში ჩილეს მთავრობას ქრისტიან-დემოკრატები მართავდნენ, რომელთა ლიდერიც, ედუარდო ფრეი, რადიკალურ სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებდა. კერძოდ, ფრეიმ ამბიციური აგრარული რეფორმა ჩაატარა, რაც დიდი მამულების კომპენსაციის სანაცვლოდ ექსპროპრიაციას გულისხმობდა. ფრეიმ სამთომომპოვებელი წარმოების დიდი ნაწილის ნაციონალიზაციაც მოახდინა. ამ ქმედებებმა ჩილეს საზოგადოება ორად გახლიჩა: ერთი მხრივ – მემარჯვენეებად, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს ზომები გადაჭარბებული იყო, და მეორეს მხრივ – მემარცხენეებად, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ ისინი არაადეკვატურები იყვნენ. ფრეის პოპულარობას ძირი ინფლაციამაც გამოუთხარა, რომელიც 1970 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის 35 პროცენტამდე გაიზარდა.

ამ არჩევნებში სამი კანდიდატი გვერდიგვერდ მიიწევდა წინ. ხმათა ყველაზე დიდი წილი (36.3 პროცენტი) მარქსისტული სიმპათიების მქონე მედიცინის დოქტორმა სალვადორ ალიენდემ მიიღო, რომელიც სოციალისტებისა და კომუნისტების ბლოკს – „სახალხო ერთობის პარტიას" წარმოადგენდა. კონსერვატორების კანდიდატმა ხმათა 34.9 პროცენტი მიიღო. ვინაიდან არც ერთ კანდიდატს აბსოლუტური უმრავლესობა არ

მიულია, საკითხი ყრილობას გადაეცა განსახილველად. არჩევებიდან ორი თვის განმავლობაში ალიენდემ შეთანხმებას მიაღწია ქრისტიან-დემოკრატებთან, რომლებიც მისი კანდიდატურის მხარდაჭერას დათანხმდნენ, თუკი ის გარკვეულ პირობებს მიიღებდა, რომელიც მას ჩილეს კონსტიტუციის პატივისცემას აიძულებდა. მათ შორის იყო კანონისა და პლურალიზმის პატივისცემაც. ყრილობის მიერ კონსტიტუციური გარანტიების საკანონმდებლო აქტის მიღების შემდეგ ალიენდე პრეზიდენტი გახდა.

აქედან გამომდინარე, ალიენდეს „ჩილეს გზა სოციალიზმისკენ" დასაბამიდანვე შეზღუდვებს ექვემდებარებოდა, რომლებიც მისი სოციალისტი და კომუნისტი ამომრჩევლის რადიკალურ ზრახვებს აკავებდა. ფიდელ კასტროთი აღფრთოვანების მიუხედავად, ალიენდე უფრო რომანტიკული იდეალისტი იყო, ვიდრე ფანატიკოსი რევოლუციონერი. თუმცა მისი დოქტრინული მხარდამჭერები, რომლებსაც ჩილეში საბჭოთა ყაიდის „პროლეტარიატის დიქტატურის" დამყარება სურდათ, მას უფრო მარცხნისაკენ უბიძგებდნენ და ყოველ მომდევნო წარუმატებლობასთან ერთად, ის უფრო და უფრო რადიკალური ხდებოდა. ალიენდეს სწამდა, რომ მას სოციალისტური მიზნების მიღწევა ლეგალური საშუალებებით შეეძლო, ვინაიდან სჯეროდა, რომ მისი რეფორმები მას დროთა განმავლობაში მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას მოუტანდა. კომუნისტები მხარს უჭერდნენ ამ სტრატეგიას, ვინაიდან სჯეროდათ, რომ ჩილეში მათი მიზნების მშვიდობიანად მიღწევა შესაძლებელი იყო. მათთვის საუბედუროდ, ეს ასე

არ მომხდარა, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ალიენდეს სოციალისტურმა კანონმდებლობამ ქვეყნის დიდი ნაწილის მისგან გაუცხოება გამოიწვია და ნაწილობრივ იმის გამო, რომ მან ქვეყნის ეკონომიკა ნამსხვრევებად აქცია.

პრეზიდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ ალიენდემ თავის „ერთიან სახალხო მთავრობაში" ეკონომიკური მინისტრების პოსტები კომუნისტებს ჩააბარა, რომლებმაც დარჩენილი სამთომომპოვებელი ინდუსტრიების, ბანკებისა და საწარმოების დიდი ნაწილის ნაციონალიზაცია დაიწყეს. ეს ღონისძიებები კანონმდებლობის გვერდის ავლით, განკარგულებების საფუძველზე ხორციელდებოდა. ანაკონდისა და კენეკოტის სპილენძის მაღაროების კონფისკაციამ უცხოური ინვესტიციების შემოდინება შეაჩერა. ალიენდეს დასახმარებლად საბჭოთა კავშირი მოვიდა, რომელმაც მას ნახევარი მილიარდი დოლარის სესხი მისცა. სხვა ქვეყნებმაც ალმოუჩინეს ჩილეს დახმარება, შელახული ფინანსური მდგომარეობის გადასარჩენად საკმარისი არ ალმოჩნდა. სხვადასხვა სოციალური მომსახურების, მათ შორის, ხელფასის ზრდის დასაფინანსებლად, მთავრობამ ფულის საბეჭდ მანქანებს მოუხმო, რამაც ისეთი ინფლაცია გამოიწვია, რომ ის ბევრად აღემატებოდა ფრეის დროს არსებულს: ალიენდეს პრეზიდენტობის სამ წელიწადში ცირკულაციაში არსებული ფულის მოცულობა თხუთმეტჯერ გაიზარდა, ხოლო ინფლაციამ წელიწადში 300 პროცენტს გადააჭარბა.

საწარმოების ნაციონალიზაციის პარალელურად, მთავრობა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას

შეუდგა. ამ მიზნის მისაღწევად ის მიწის თვითნებურ მიტაცებაზე თვალს ხუჭავდა და აქეზებდა კიდეც მას. ამის შედეგი საკვების წარმოების მოცულობის დრამატული ვარდნა იყო. მაგალითად, ხორბლის მოსავლის მოცულობა თითქმის 50 პროცენტით შემცირდა. ამას მოჰყვა მწვავე დეფიციტები: როდესაც ალიენდეს მთავრობა დაემხო, ქვეყანას მხოლოდ რამდენიმე დღის სამყოფი ფქვილის მარაგი ჰქონდა დარჩენილი.

იზრდებოდა საპროტესტო მუხტი. ყველაზე დიდი დემონსტრაცია სატვირთო მანქანის მეპატრონეების, მცირე კერძო მეწარმეების, მიერ იყო ორგანიზებული, რომლებიც წინ აღუდგნენ მთავრობის გეგმას, მათთვის სახელმწიფო სატრანსპორტო კომპანიის საშუალებით რომ აპირებდა კონკურენციის გაწევას. ამ გაფიცვებიდან ორმა, რომლებშიც 700 000-მდე ადამიანი მონაწილეობდა, ქვეყნის მთელი ტრანსპორტი და თითქმის მთელი ეკონომიკა გააჩერა. ორთოდოქსულ კომუნისტურ ქვეყანაში ასეთ დემონსტრაციებს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს მიერ მხარდაჭერილ კონტრრევოლუციურ შეთქმულებად გამოაცხადებდნენ და ჩაახშობდნენ. მაგრამ ალიენდეს ჩილეში, მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა რადიოსა და თითქმის მთელ პრესას აკონტროლებდა, ინფორმაციის თავისუფლება საკმაოდ შენარჩუნებული იყო, რისი დადუმებაც ეროვნული რევოლუციის გამოწვევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. მუშაობდნენ ოპოზიციური პარტიებიც, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებდნენ. და რაც ყველაზე მთავარია, არსებობდა ყრილობაც და უზენაესი სასამართლოც.

1973 წლის აგვისტოში დეპუტატთა პალატამ, 81 ხმით 45-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა დადგენილებას, რომ ალიენდემ საკანონმდებლო ხელისუფლების უზურპაციით, ქვეყნის კანონთა უგულებელყოფითა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვით, ქვეყნის კონსტიტუცია დაარღვია. თავის მხრივ, უზენაესმა სასამართლომ ალიენდე სასამართლო ხელისუფლების პოლიტიკური საჭიროებების შესაბამისად გამოყენების გამო დაგმო. ვინაიდან ჩილეს კონსტიტუციაში არაფერი ეწერა იმპიჩმენტის პროცედურის შესახებ პალატამ ქვეყანაში კანონიერების აღდგენა შეიარაღებულ ძალებს სთხოვა. თვრამეტი დღის შემდეგ, ჩილეს სამხედრო ძალებმა, გენერალი აუგუსტო პინოჩეტის ხელმძღვანელობით, აღასრულეს დაკისრებული მანდატი და ძალის გამოყენებით გადააყენეს ალიენდე დაკავებული თანამდებობიდან[1]. ახალი რეჟიმი იყო დიქტატურა, რომელიც საკმაოდ სასტიკად ეპყრობოდა დამარცხებულ სოციალისტებსა და კომუნისტებს.

---

[1] გავრცელებული ჭორების მიუხედავად, ცენტრალურ სადაზვერვო სააგენტოს ალიენდეს ჩამოგდებაში არანაირი როლი არ უთამაშია. ა.შ.შ.-ს მთავრობა და ამერიკული კომპანიები 1970 წლის არჩევნებში არაკომუნისტ კანდიდატებს ეხმარებოდნენ და ფულად სახსრებს აბალანსებდნენ, რომლებსაც სსრკ და კუბა ალიენდეს ანვდიდნენ. ვაშინგტონი ჩილეს დამოუკიდებელ პრესასაც უნევდა ფინანსურ დახმარებას. მაგრამ ა.შ.შ.-ს არ ჰქონია კავშირი სამხედროებთან, რომლებმაც ალიენდე ხელისუფლებას ჩამოაშორეს. ეს აბსოლუტურად საშინაო საკითხი იყო. ამ თემასთან დაკავშირებით იხილეთ: James R. Whelan, Out of the Ashes(Washington, 1989), გვ. 1027-48.

კუბა – ლათინური ამერიკის პირველი და ერთადერთი მდგრადი კომუნისტური სახელმწიფო – პიროვნული დიქტატურის საინტერესო შემთხვევას წარმოადგენს, სადაც უკიდურესად ამბიციურმა პოლიტიკოსმა კომუნისტურ იდეოლოგიაში საკუთარი პატივმოყვარეობის გამართლება ჰპოვა. ერთ-ერთი მეცნიერის სიტყვებით: „ისტორიულად ... კასტროიზმი, ეს არის ლიდერი, რომელიც მოძრაობას ეძებს, მოძრაობა, რომელიც ძალაუფლებას ეძებს და ძალაუფლება, რომელიც იდეოლოგიას ეძებს[1]".

გავრცელებული მოსაზრების საპირისპიროდ, პრეკომუნისტური კუბა არც ჩამორჩენილი ქვეყანა იყო და არც აგრარული. ის ლათინურ ამერიკაში მეორე ადგილს იკავებდა ცხოვრების დონით (ვენესუელის შემდეგ, რომელმაც სიმდიდრე ნავთობით მოიპოვა); მისი მოსახლეობის უმეტესობა წერა-კითხვის მცოდნე და ქალაქის მცხოვრები იყო[2]. არც იმის თქმა არის მართალი, რომ

---

[1] Draper, Theodore. *Castroism: Theory and Practice.* Pall Mall Press, 1965. გვ. 48-49.

[2] ჩილესა და კუბის გამოცდილება შესაძლოა მოგვეჩვენოს იმ განზოგადებასთან წინააღმდეგობაში, რომელიც ამ თავის დასაწყისში გავაკეთეთ, რომ კომუნიზმს წარმატების ყველაზე დიდი შანსი ისეთ ქვეყნებში აქვს, რომელთაც დემოკრატიისა და კერძო საკუთრების გამოცდილება არ გააჩნიათ. თუმცა, ამ ქვეყნებიდან არცერთში კომუნისტები ხელისუფლებაში სოციალური რევოლუციის შედეგად არ მოსულან. ჩილეში მათ მთავრობა მშვიდობიანად ჩამოაყალიბეს, ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიასთან შეთანხმების შედეგად, რომელიც მათ უმალვე დაარღვიეს. ხოლო კუბაში, როგორც ამას ქვემოთ

მისი ეკონომიკა მთლიანად შაქარზე იყო დამოკიდებული: შაქარი მართლაც იყო კუბის ექსპორტის ძირითადი საქონელი, მაგრამ ის ქვეყნის შემოსავლის მხოლოდ ერთ მესამედ ან კიდევ უფრო მცირე წილს შეადგენდა. სხვა სიტყვებით, კუბაზე არ იყო ის არქეტიპული წინარე პირობები, რომლებიც კომუნისტური რევოლუციის გამომწვევ მიზეზებად მიიჩნევა – სიღარიბე და ჩამორჩენილობა.

კომუნისტები კუბას დიქტატორ ფულხენსიო ბატისტას წინააღმდეგ მიმართული, არსობრივად საშუალო ფენის აჯანყების ტალღაზე დაეპატრონნენ. ბატისტამ 1952 წელს დემოკრატიული კონსტიტუცია გააუქმა, რომელიც თავადვე მიიღო თავის ადრეულ, ლეგიტიმური მმართველობის პერიოდში (1933-1944 წწ.). მდიდარი პლანტატორის შვილი და ჰავანის სამართლის სკოლის მოსწავლე ფიდელ კასტრო ხელისუფლებაში უკმაყოფილების ამ ტალღის წყალობით მოვიდა. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მემარცხენეების მიმართ სიმპათიისა, ის არ იყო კომუნისტი: სინამდვილეში, მას საერთოდ არ გააჩნდა იდეოლოგია, ძალაუფლების წადილის გარდა. მარქსიზმ-ლენინიზმი მასში არგენტინელმა რევოლუციონერმა, ჩე გევარამ ჩანერგა. კასტროს პროგრამა, რომელიც თავის გარშემო ქვეყნის ყველა კლასის გაერთიანებას ისახავდა მიზნად, ყველაზე მეტად 1940 წლის კონსტიტუციაზე ამახვილებდა ყურადღებას.

ვნახავთ, მათ ძალაუფლება მოძულებული დიქტატორის წინააღმდეგ დემოკრატიის აღდგენის სახელით წარმოებული ეროვნული აჯანყების შედეგად ჩაიგდეს ხელთ.

თუმცა, ძალიან მალე, ნამდვილი სახალხო რევოლუციის შედეგად დიქტატორული ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, კასტრო მარცხნივ გადაიხარა. მან ერთპარტიული მმართველობა შემოიღო, რადიკალური მიწის რეფორმა გაატარა და 1960 წელს, საბჭოთა კავშირის წახალისებით, შეერთებული შტატების ყველა ქონების ექსპროპრიაცია მოახდინა, რასაც პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მხრიდან სავაჭრო ემბარგოს დაწესება მოჰყვა. თავის მხრივ, ემბარგომ კუბა საბჭოთა კავშირზე ზედმეტად დამოკიდებულად აქცია. მოსკოვი, რომელიც აშშ-ის რეაქციის შიშით თავიდან კასტროს მხარდაჭერის საკითხს ფრთხილად ეკიდებოდა, ნელ-ნელა ჩაერთო კუბის პოლიტიკაში, განსაკუთრებით 1961 წლის აპრილის მერე, მას შემდეგ, რაც კასტრომ კუბა „სოციალისტურ" ქვეყნად გამოაცხადა. აშშ-ის მხარდაჭერილი „ღორების ყურის ოპერაციის" (1961 წლის აპრილი) ფიასკომ და უფრო გვიანდელმა „კუბის სარაკეტო კრიზისმა" (1962 წლის ოქტომბერი), რომელიც ვაშინგტონის მხრიდან კუბის სუვერენიტეტის პატივისცემის პირობის დადებით დასრულდა, კუნძული მტკიცედ მოათავსა საბჭოთა ბლოკში. ამ კრიზისის დროს კასტრო არწმუნებდა მოსკოვს, რომ მას შეერთებული შტატებისთვის გამაფრთხილებელი ბირთვული დარტყმა მიეყენებინა, და თავად მზად იყო, კუბა გაეწირა, რათა „სოციალიზმის" მსოფლიო ტრიუმფისთვის მიეღწია[1]. მოსკოვი, რომელიც მისი შემაკავებელი იყო, ახლა

[1] Khrushchev, Sergej N. *Nikita Khrushchev and the Creation of a Superpower.* Translated by Shirley Benson, University Park, Pa, Pennsylvania State University Press, 2000. გვ. 627.

კუბის ძირითადი ეკონომიკური მხარდამჭერი გახდა. ის დიდი ოდენობით კუბურ შაქარს ხელოვნურად გაზრდილ ფასად ყიდულობდა, ამარაგებდა მას ნავთობითა და ბევრი ინდუსტრიული საქონლით და გულუხვ სესხს სთავაზობდა მას. ფიდელ კასტროს ძმის, რაულის მონაცემებით, დაშლამდე საბჭოთა კავშირმა კუბას, სრულიად უსასყიდლოდ, ათი მილიარდი დოლარის ოდენობის სამხედრო აღჭურვილობა მიაწოდა. კუბა ეკონომიკურად თითქმის სრულად მოსკოვზე იყო დამოკიდებული.

სანაცვლოდ, კასტრო ერთგულად უჭერდა მხარს საბჭოთა კავშირის ყოველ საგარეო ავანტიურას, ჩეხოსლოვაკიის დაპყრობიდან ავღანეთის დაპყრობამდე; უთმობდა მას ადგილს საიდუმლო სამსახურების მიყურადების საგუშაგოებისთვის; და საკუთარ თავზე აიღო ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში კომუნიზმის გავრცელების საქმე. 1967 წლის შუა პერიოდში დამფუძნებელ კრებაზე, კასტროს მხარდამჭერი ლათინური ამერიკის სოლიდარობის ორგანიზაცია ლათინურ ამერიკაში პარტიზანული ომების დაწყების მოწოდებით გამოვიდა.

ქვეყნის შიგნით კასტრომ სტანდარტული საბჭოთა სტილის რეჟიმი დაამყარა. მისი ხელისუფლებაში მოსვლიდან ათ წელიწადში ეკონომიკის ყველა დარგი, გარდა სოფლის მეურნეობისა – რომლის 30 პროცენტი წვრილი და საშუალო გლეხობის ხელში იყო, – ნაციონალიზებული იყო. პარტიამ მთელი პოლიტიკის მონოპოლიზაციაც მოახდინა. მშრომელებმა, რომელთაც სახელმწიფოს მართულ პროფკავშირებში გაერთიანებას აიძულებდნენ, დაკარგეს დამოუკიდებელი ორგა-

ნიზაციების შექმნის, დამსაქმებელთან მოლაპარაკების წარმოებისა და გაფიცვის უფლება. კუბამ საყურადღებო წინსვლას მიაღწია სოციალური მომსახურების, (სკოლა, მედიცინა, საბინაო პოლიტიკა) სფეროში, რომელიც მეტწილად პრეკომუნისტური ეკონომიკის მიერ მოპოვებული აქტივებით ფინანსდებოდა. განსხვავებულად მოაზროვნეების პრობლემა ორი გზით აღმოფხვრეს: საშუალო ფენის დიდი ნაწილისთვის ემიგრაციაში წასვლის ნებართვის მიცემით და საბჭოთა ყაიდის რევოლუციური ტრიბუნალებისა და „შრომითი ბანაკების" შექმნით.

მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტი ლიდერების გაღმერთება ჩვეულებრივი რამ იყო, მათი უმეტესობა ჩრდილში დარჩენას ამჯობინებდა, როგორც ეს ღვთაებებს შეეფერით. თუმცა კასტროს ეს არ ეხებოდა: ის ყველგან იყო, საათობით ატყვევებდა მსმენელს აღმაფრთოვანებელი და მუქარის შემცველი სიტყვებით. მისი რიტორიკის დიდი ნაწილი შეერთებულ შტატებზე იყო ფოკუსირებული, რომლის დემონიზაციასაც ახდენდა და რომელსაც აბრალებდა ყველაფერს ცუდს, რაც კუბაზე ხდებოდა.

ცხოვრების დონე კატასტროფულად დაეცა, ნაწილობრივ მშრომელებისა და გლეხების პასიური წინააღმდეგობის გამო და ნაწილობრივ იმის გამო, რომ ყველაზე გონებაგახსნილი და განათლებული კუბელები შეერთებულ შტატებში გადავიდნენ საცხოვრებლად. კომუნისტური რეჟიმის გადარჩენა მთლიანად საბჭოთა კავშირის დახმარებაზე გახდა დამოკიდებული.

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, საბჭოთა კავშირის დაშლამ და ელცინის მთავრობის მიერ კუბისთვის

დახმარების გაგრძელებაზე უარის თქმამ თითქოს განაჩენი გამოუტანა კასტროს რეჟიმს. მიუხედავად ამისა, მან შეძლო გადარჩენა. მან ეს იმ გზით მოახერხა, რომ უცხოელ კაპიტალისტებთან დათმობებზე წავიდა. ამ უკანასკნელებს ნება დართეს შეზღუდული, თუმცა არა უმნიშვნელო ინვესტიციები განეხორციელებინათ კუბაზე. დოლარმა ქვეყანაში თავისუფალი მიმოქცევა დაიწყო. რეჟიმმა ტურიზმის ხელშესაწყობად საკმაოდ დიდი და წარმატებული ძალისხმევა გასწია და გამოიყენა არა მხოლოდ კუბის სანაპიროები და იაფი კურორტები, არამედ კუბელი ახალგაზრდა ქალების სილამაზე და ხელმისაწვდომობა. 1992 წელს, ეროვნული ყრილობის წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში, კასტრომ ხოტბა შეასხა კუბური პროსტიტუციის უპირატესობებს და განაცხადა, რომ მის ქვეყანაში შიდსის ყველაზე იშვიათი შემთხვევები იჩენდა თავს. კამპანიამ, რომელმაც 1999 წელს 1.7 მილიონი უცხოელი ტურისტის მოზიდვა მოახერხა, კუბა „ტაილანდის მსგავს, ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ გაჩერებად აქცია სექსტურიზმის რუკაზე[1]".

–

თუკი მაოსა და პოლ პოტის შემთხვევაში, მათი პოლიტიკური კარიერის ადრეულ ფაზაში მაინც, შესაძლებელია გარკვეული სოციალისტური იდეალების ამოკითხვა, მესამე მსოფლიოს ბევრ სხვა რეგიონში, განსაკუთრებით აფრიკაში, მსგავსი იდეურობა უბრალოდ არ არსებობ-

[1] Paternostro, Silvana. „Communism versus prostitution: Sexual Revolution". *The New Republic*, 10-17 July 2000, p. 20.

და. აქ კომუნისტური დოქტრინის შესახებ მინიმალური ცოდნის მქონე ამბიციური პოლიტიკოსები მარქსსა და ლენინს ორი მიზეზის გამო მიმართავდნენ: პირადი სიმდიდრის მოსაპოვებლად და საშინაო თუ საგარეო მტრების წინააღმდეგ კომუნისტური ბლოკის დახმარების მიღებისთვის შესაბამისი კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად.

მარქსიზმის ასეთი თაღლითური გამოყენების კლასიკური მაგალითია ეთიოპიის დიქტატორი მენგისტუ ჰაილე მარიამი, რომელმაც 1974 და 1991 წლებში საკუთარი ქვეყანა სრულყოფილ საბჭოთა სატელიტად აქცია. მაიორმა მენგისტუმ, რომელიც არასათანადო დაწინაურებით განაწყენებულ სამხედრო ოფიცრების ჯგუფს ეკუთვნოდა, მონაწილეობა მიიღო რევოლუციაში, რომელმაც 1974 წლის სექტემბერში ეთიოპიის პატივსაცემი იმპერატორი, ჰაილე სელასიე დაამხო. ძალაუფლება დერგის სახელით ცნობილი კომიტეტის ხელში გადავიდა, რომელშიც მენგისტუ მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. მალე დერგშიც ადგილი იჩინა დაპირისპირებამ და სამი თვის შემდეგ მენგისტუმ გადატრიალება მოაწყო და ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. მან ეთიოპია სოციალისტურ ქვეყნად გამოაცხადა. ეს იყო დაპირება, რომელიც მან ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების ნაციონალიზაციით მალევე შეასრულა. 1975 წლის მარტში მან მიწაზე კერძო მესაკუთრეობა გააუქმა და მაოს მოდელის მიხედვით გლეხებს კომუნებში გაერთიანება აიძულა.

1976 წელს მენგისტუმ თავისი „წითელი ტერორი" დაიწყო: მისი მსხვერპლის ძირითადი ნაწილი ათასობით მარქსისტი სტუდენტი იყო. ხოცვა-ულეტა ეწყო-

ბოდა საბჭოთა კავშირიდან და აღმოსავლეთ გერმანიიდან საშველად მოსული ათი ათასამდე უშიშროების აგენტის დახმარებით. საბჭოთა კავშირმა, რომელმაც აფრიკის რქაზე თავდაპირველად მეზობელ სომალიში სამხედრო ხუნტის მიერ გამოცხადებული „მეცნიერული სოციალიზმის" მხარდაჭერით მოიკიდა ფეხი, ახლა სომალის ეთიოპია ანაცვალა. როდესაც 1977 წელს სომალი ეთიოპიაში ოგადენის რეგიონის ანექსიის მიზნით შეიჭრა, კომუნისტურმა ბლოკმა მენგისტუს ძალიან დიდი დახმარება აღმოუჩინა, რომელიც თხუთმეტი ათასამდე დაქირავებული კუბელი მებრძოლებისგან შემდგარ რაზმსაც მოიცავდა. ამ სამხედრო დახმარების შედეგად, კომუნისტურმა ბლოკმა ეთიოპიაზე დიდი გავლენა მოიპოვა. ის გადამწყვეტი აღმოჩნდა როგორც სომალის შემოჭრის, ასევე ერიტრეის დამოუკიდებლობის მოძრაობის ჩახშობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

თუმცა, ეკონომიკის მსხვრევამ – რომელიც იძულებითი კოლექტივიზაციით იყო გამოწვეული და რასაც გვალვა კიდევ უფრო რომ ამძიმებდა, – შიმშილი (1984-1985 წწ.) მოიტანა, რომლის დროსაც დაახლოებით ერთი მილიონი ეთიოპიელი გარდაიცვალა. 1989 წელს და რასაც აღმოსავლეთ გერმანიის კოლაფსის შემდეგ, მენგისტუს საერთაშორისო მდგომარეობა გაუარესდა; 1991 წლისთვის, როდესაც სსრკ დაიშალა, ეთიოპიელი მმართველი იზოლირებული აღმოჩნდა. ის იმავე წელს ჩამოაგდეს და თავშესაფარი ზიმბაბვეში იპოვა. ასე დამთავრდა ის, რაც „აფრიკაში ყველაზე წარმატებულ მარქსისტ-ლენინისტურ ექსპერიმენტად[1]" მიიჩნეოდა.

---

[1] Woodward, Peter. *The Horn of Africa: Politics and International Relations.* London and New York, Bloomsbury Academic, 1996. გვ. 99.

რთულია ნომინალურად „სოციალისტურ“ ეთიოპიაში რამის დანახვა გარდა სასტიკი სამხედრო დიქტატურისა, რომელიც საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საბჭოთა და ჩინურ პრაქტიკებს ჰბაძავდა.

–

როგორც ეს დასავლეთ ევროპასა და იაპონიაში მოხდა, 1970-იანებსა და 1980-იანებში მესამე სამყარომ ტერორისტული მოძრაობების აღზევება განიცადა, რომლებიც კაპიტალისტურ ინსტიტუციებს მარქსიზმ-ლენინიზმის, სტალინიზმისა თუ მაოიზმის სახელით ესხმოდნენ თავს, მიუხედავად იმისა, რომ თავად უფრო მეტი საერთო ანარქიზმთან ჰქონდათ.

ჟანრისთვის ტიპური იყო პერუს კომუნისტური პარტია, რომელსაც ხალხში „მანათობელი გზის“ სახელით მოიხსენიებდნენ. ის ფილოსოფიის ყოფილმა პროფესორმა, აბიმაელ გუზმან რეინოსომ დააფუძნა და ძირითადად ახალგაზრდა ინტელექტუალებისაგან შედგებოდა. პარტია ინდიელთა უკმაყოფილებას იყენებდა, რათა ტერორის საშუალებით მაოისტური პროგრამა განეხორციელებინა. მისმა ტერორმა ოცდახუთი ათასი კაცი შეიწირა და დიდად დააზიანა პერუს ეკონომიკა. როდესაც 1992 წელს გუზმანი დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, მოძრაობა ჩამოიშალა.

ლათინური ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში, ისეთში, როგორიცაა კოლუმბია, „მარქსიზმი“ ერთგვარი რესპექტაბელური ნიღაბი იყო შეიარაღებული დაჯგუფებისთვის (ე. წ. კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალები და ეროვნული თავისუფლების არმია), რომ-

ლებიც ერთდროულად ტერორისტულ, გამოძალვით და ნარკო-ტრეფიკინგის საქმიანობას ეწეოდნენ. 1964 წლიდან მოყოლებული, ამ ორი დაჯგუფების გამო, დაახლოებით 120 000 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 2 მილიონი ადამიანი იძულებული გახდა, საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა.

–

ქვეყნები, რომლებიც კომუნიზმში ცხოვრობენ, ძალიან ჰგვანან ერთმანეთს არა მხოლოდ იმ მეთოდებით, რომლებსაც მათი დაფუძნებისთვის იყენებენ, არამედ – მათი შედეგებითაც. ყოველი მათგანი განიცდის ცხოვრების დონის ხარისხის უდიდეს ვარდნას, რომელსაც ხშირად შიმშილიც ახლავს თან: როგორც ჩანს, გვალვა რაღაც ზებუნებრივი ძალებით უკავშირდება კომუნისტურ რეჟიმებს. თანასწორობის სახელით სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების დაკარგვას თან სდევს უმაღლესი ლიდერის – გენერალისიმუსისა თუ Lider Maximo[1]-ს – აღზევება, რომელიც ხელთ იგდებს თავისი მოქალაქეებისათვის ჩამორთმეულ მთელ ძალაუფლებას და აღმოსავლელი ღვთაების სტატუსში აიყვანება. ზედმეტია იმის თქმა, რომ ასეთი შედეგი თავად მარქსისტული დოქტრინის ანტითეზისია, რომელსაც კომუნიზმი ობიექტური ეკონომიკური ძალების მიერ მართულ პროცესად წარმოედგინა, ყველასთვის უსაზღვრო თავისუფლებას რომ მოიტანდა.

---

[1] უზენაესი ლიდერი.

6.

რეტროსპექტივა

„მარქსიზმი მეოცე საუკუნის ყველაზე დიდი ფანტაზია იყო[1]".

ჩვენ ახლა უკვე შეგვიძლია შესავალში დასმულ შეკითხვას გავცეთ პასუხი: კომუნიზმის მარცხი „ადამიანური შეცდომის ბრალი იყო თუ უშუალოდ მის ბუნებაში არსებული ნუნისა?" ისტორიული მტკიცებულებები გვაიძულებენ დავასკვნათ, რომ საქმე ამ უკანასკნელთან გვაქვს. კომუნიზმი არ იყო კარგი იდეა, რომელიც არასწორად განვითარდა; ის ცუდი იდეა იყო.

1917 წელს რუსეთში ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების დღიდანვე, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საზოგადოებების კომუნისტურ პრინციპებზე მოწყობის ათობით მცდელობას ჰქონდა ადგილი. მოსკოვი გულუხვად ეხმარებოდა მათ ფულით,

---

[1] Kolakowski, Leszek, and Paul S. Falla. *Main Currents of Marxism: Its Rise, Growth, and Dissolution.* vol. 3, New York, Oxford University Press, 1978. გვ. 523.

იარაღითა და რჩევებით. თუმცა ყველა მათგანი წარუმატებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ, კომუნიზმი რუსეთშიც დაემხო და დღეს ის მხოლოდ რამდენიმე ქვეყანაში – ჩინეთში, ჩრდილოეთ კორეაში, ვიეტნამსა და კუბაზე ცოცხლობს და იქაც ეროზიას განიცდის: კომუნისტები ძალაუფლებას ინარჩუნებენ, მაგრამ ამას კაპიტალიზმთან დიდ დათმობებზე წასვლის ფასად ახერხებენ. ამ მონაცემების გათვალისწინებით, გონიერი იქნებოდა იმის მტკიცება, რომ პრობლემა ან კომუნიზმის წანამძღვრებშია, ან მის პროგრამაში, ანდაც – ორივეში ერთად.

დავიწყოთ, პირველი კომუნისტური ქვეყნისა და მთელ მსოფლიოში კომუნისტური მოძრაობების წარმმართველი ძალის – საბჭოთა კავშირის დაშლით. 1991 წლის შემდეგ გამოქვეყნებული კვლევები ამ დრამატული მოვლენის სხვადასხვა ახსნას გვთავაზობს: ეკონომიკის სტაგნაცია, საბჭოთა მოქალაქეების მიერ უცხოურ საინფორმაციო წყაროებზე გაზრდილი წვდომა, ავღანეთში დამარცხება, შეიარაღების შეჯიბრს ვერაყოლა და ა. შ. ქვეყნის შიგნით არსებულმა დისიდენტურმა მოძრაობამ, რომლის აღმოფხვრაც მან ვერ შეძლო, და პოლონეთის სოლიდარნოსტის მოძრაობის პრეცედენტმა წყალი შეუყენა საბჭოთა ხელმძღვანელობას. პრეზიდენტ რეიგანის მიერ კომუნიზმთან ღიად დაპირისპირებამ საბჭოთა მთავრობის კიდევ უფრო დიდი დემორალიზაცია გამოიწვია, რომელსაც სჯეროდა, რომ ვიეტნამში განცდილი წარუმატებლობის შემდეგ შეერთებულ შტატებს ცივი ომის გაგრძელების მადა დაკარგული ჰქონდა და რომ ის იზოლაციისათვის

ემზადებოდა. ეჭვგარეშეა, რომ ყველა ამ ფაქტორმა თავისი როლი შეასრულა. მაგრამ ისინი ვერ შეძლებდნენ ძლიერი იმპერიის დამხობას, ის რომ ჯანსაღი ორგანიზმი ყოფილიყო. მათ იმუშავეს იმიტომ, რომ ორგანიზმი ავად იყო.

კომუნიზმის თეორიული საფუძველი – მარქსიზმი – თავის თავში განადგურების მარცვლებს ატარებდა, რომლებსაც მარქსი და ენგელსი შეცდომით კაპიტალიზმს მიაწერდნენ. ის მცდარ ისტორიის ფილოსოფიასა და არარეალისტურ ფსიქოლოგიურ დოქტრინას ეფუძნებოდა.

მარქსიზმის მთავარი დებულება, რომ კერძო საკუთრება, რომლის გაუქმებასაც ის ესწრაფვის, გარდამავალი ისტორიული ფენომენია – პრიმიტიულ და განვითარებულ კომუნიზმს შორის არსებული ინტერლუდია – პირწმინდად მცდარია. ყველა მტკიცებულება იმაზე მიუთითებს, რომ პრემოდერნულ დროში სიმდიდრის ძირითადი წყარო, თუკი ის მონარქის მიერ არ არის მონოპოლიზებული, ყოველთვის ტომებს, ოჯახებს და ინდივიდებს ეკუთვნოდათ. მსხვილფეხა საქონელი, ისევე როგორც ვაჭრობა და მისგან აღმოცენებული კაპიტალი, ყოველთვის ყველგან კერძო პირების ხელში იყო. აქედან გამომდინარეობს, რომ კერძო საკუთრება გარდამავალი ფენომენი კი არა, სოციალური ცხოვრების განუყოფელი მახასიათებელია და შესაბამისად, მისი განადგურება შეუძლებელია.

არანაკლებ ხარვეზიანია მარქსისტული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ადამიანის ბუნება უსასრულოდ დრეკადია და რომ ამის გამო იძულებისა და განათლების კომბინაციას სიძუნწისგან გაწმენდილი და საზოგადოე-

ბასთან შერწყმის მოსურნე არსების შექმნა შეუძლია; საზოგადოებასთან, სადაც როგორც პლატონი ფიქრობდა, „კერძო და ინდივიდუალური ერთიანად გამქრალია ცხოვრებიდან". კომუნისტების მიერ ამ მიზნის მისაღწევად გამოყენებული უდიდესი ძალისხმევა შედეგიანი რომც ყოფილიყო, ეს წარმატება ყველაზე კარგ შემთხვევაში ეფემერული იქნებოდა: როგორც ცხოველთა მწვრთნელებმა აღმოაჩინეს, ხრიკების შესასრულებლად ინტენსიური წვრთნის გავლის შემდეგ, ცხოველები, ვარჯიშის დასრულებიდან ძალიან მალე ივიწყებდნენ იმას, რაც ნასწავლი ჰქონდათ და თავიანთ ინსტინქტურ ქცევას უბრუნდებოდნენ. ამას გარდა, იმის გათვალისწინებით, რომ შეძენილი თვისებები მემკვიდრეობითი არ არის, ყოველი ახალი თაობა სამყაროში ახალ არაკომუნისტურ მისწრაფებებს დაბადებს, რომელთა შორის მომხვეჭელობა ნამდვილად არ არის ყველაზე სუსტი. საბოლოოდ, კომუნიზმი დაამარცხა მისმა უუნარობამ – გარდაექმნა ადამიანის ბუნება. მუსოლინიმ, რომელიც ფაშიზმზე მოქცევის შემდეგაც კომუნიზმს სიმპათიით უყურებდა, 1920 წელს შემდეგი რამ დაასკვნა:

> „ლენინი ხელოვანია, რომელიც ადამიანზე ისევე მუშაობდა, როგორც სხვა ხელოვანები – მარმარილოსა და მეტალზე. მაგრამ ადამიანი გრანიტზე უფრო მტკიცე და რკინაზე ნაკლებად დრეკადია. შედეგრი არ შექმნილა. ხელოვანი დამარცხდა. ეს დავალება მის ძალებს აღემატებოდა".

ასეთმა რეალობამ კომუნისტური რეჟიმები აიძულა, მიემართათ ძალადობისათვის, როგორც მმართვე-

ლობის რუტინული საშუალებისთვის. ხალხის იძულება, დათმოს ის, რასაც ფლობს და პირადი ინტერესები სახელმწიფოს დაუქვემდებაროს, მოითხოვს საჯარო ინსტიტუტების უსაზღვრო ძალაუფლებით აღჭურვას. ზუსტად ეს იგულისხმა ლენინმა, როდესაც „პროლეტარიატის დიქტატურა" განსაზღვრა როგორც „ძალაუფლება, რომელიც არაფრით, არანაირი კანონით, აბსოლუტურად არც ერთი წესით არ არის შეზღუდული, და რომელიც უშუალოდ იძულებაზეა დამყარებული".

გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ასეთი რეჟიმის არსებობა სინამდვილეში შესაძლებელია: ის დამყარდა რუსეთში და მის სატელიტებში: ჩინეთში, კუბაზე, ვიეტნამსა და კამბოჯაში, ისევე როგორც აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრ სხვა ქვეყანაში. მაგრამ ამის ფასი მხოლოდ უდიდესი ადამიანური მსხვერპლი არ არის; ის ასევე ზუსტად იმ მიზნის განადგურებას გულისხმობს, რისთვისაც ასეთი რეჟიმები იქმნება – კერძოდ, თანასწორობას.

იძულებაზე დაფუძნებული რეჟიმის ადვოკატირებისას, ლენინმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენა იქნებოდა; მიზნის მიღწევის შემდეგ დიქტატორული სახელმწიფო გაქრებოდა. თუმცა მან უგულებელყო ის ფაქტი, რომ აბსტრაქცია, სახელად „სახელმწიფო", ინდივიდებისგან შედგება, რომლებსაც, რა ისტორიული მისიაც უნდა ეტვირთათ, კერძო ინტერესებიც აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ მარქსისტული სოციოლოგიის მიხედვით სახელმწიფო მხოლოდ მესაკუთრეების ინტერესებს ემსახურება და საკუთარი ინტერესები არ გააჩნია, სინამდვილეში, მისი მსახურები სწრაფად ყალიბდებიან ახალ კლასად. „პარტია-ავანგარ-

დი", რომელიც მოწოდებული იყო ახალი ეპოქის კარის გაღებისათვის, თავად იქცევა მიზნად.

სახელმწიფოს ან უფრო ზუსტად, კომუნისტურ პარტიას, არ აქვს სხვა არჩევანი, გარდა ამ ახალი კლასის მომსახურებისა, ვინაიდან ის ძალაუფლების შენარჩუნებისთვის მასზეა დამოკიდებული. შესაბამისად, კომუნისტური მმართველობისას, ბიუროკრატიული აპარატი უზომოდ იზრდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რამდენადაც ეროვნული ცხოვრების ყველა ასპექტი, ეკონომიკის ჩათვლით, სახელმწიფოს ექვემდებარება, ის მის სამართავად დიდ ბიუროკრატიას მოითხოვს. ეს ბიუროკრატია ყველა კომუნისტური რეჟიმის საყვარელი განტევების ვაცია, თუმცა არც ერთ მათგანს უიმისოდ მართვა არ შეუძლია. საბჭოთა კავშირში, ბოლშევიკური გადატრიალებიდან რამდენიმე წელიწადში, რეჟიმმა მმართველი კადრებისთვის უნიკალური ძღვენების დარიგება დაიწყო, რამაც დროთა განმავლობაში მემკვიდრეობითი პრივილეგირებული კასტა, *ნომენკლატურა* ჩამოაყალიბა. ამან ბოლო მოუღო თანასწორობის იდეალს. ქონების თანასწორობის დასამკვიდრებლად, უფლებების უთანასწორობის ინსტიტუტიზაცია აღმოჩნდა საჭირო. მიზნებსა და საშუალებებს შორის არსებული დაპირისპირება კომუნიზმში და ყველა ქვეყანაშია ჩაშენებული, სადაც სახელმწიფო მთელ საწარმოო სიმდიდრეს ფლობს.

პერიოდულად ადგილი ჰქონდა სახელმწიფოსა და საზოგადოების კომუნისტური მარწუხებიდან დახსნის მცდელობას. ლენინმა და სტალინმა წმენდები სცადეს, რამაც სტალინის დროს მასობრივი მკვლელობები გამოიწვია. მაომ მისი „კულტურული რევოლუცია" პარტი-

ული ინტერესების გასანადგურებლად წამოიწყო. არც ერთი ეს მცდელობა წარმატებული არ ყოფილა. საბოლოოდ, *ნომენკლატურებმა* გაიმარჯვეს, რადგან მათ გარეშე არაფერი იმუშავებდა.

ნარუმატებელი აღმოჩნდა კომუნიზმის დემოკრატიული საშუალებებით დამკვიდრების მცდელობებიც. ალიენდეს ჩილეს გამოცდილება გვაჩვენებს, რომ შედარებით თავისუფალი პრესის, დამოუკიდებელი სასამართლოსა და არჩეული საკანონმდებლო ორგანოს პირობებში, კერძო საკუთრებაზე შეტევა წარმატებული ვერ იქნება, ვინაიდან ოპოზიციას, რომელიც „პროლეტარიატის დიქტატურის" დროს უმოწყალოდ ნადგურდება, აქ წინააღმდეგობის გაწევის საშუალება აქვს. მისი რიგების ზრდასთან ერთად, მან ადვილად შეძლო რევოლუციური რეჟიმის ჩამოგდება. ნიკარაგუაში, სადაც 1990 წელს კომუნისტი სანდინისტები ისე იყვნენ საკუთარ პოპულარობაში დარწმუნებული, რომ საკუთარი ბედის გადაწყვეტა სახალხო არჩევნებს მიანდეს, ხალხმა ისინი გადაირჩია.

კომუნისტური რეჟიმებისთვის დამახასიათებელი ბიუროკრატიზაცია ასევე პასუხისმგებელი იყო ეკონომიკურ ჩავარდნაზე, რომელმაც ან ხელი შეუწყო მათ დაცემას, ან აიძულა ისინი, კომუნიზმისთვის თავი მიენებებინათ და მისგან მხოლოდ სახელი დაეტოვებინათ. წარმოების საშუალებების ნაციონალიზაციამ მართვის ისეთი მოხელეებისთვის გადაბარება გამოიწვია, რომელთაც არც ცოდნა გააჩნდათ და არც მოტივაცია, რათა ისინი ეფექტიანად ემართათ. ამის გარდაუვალი შედეგი წარმადობის ვარდნა იყო. ამას გარდა,

ცენტრალური მართვისთვის დამახასიათებელმა მოუქნელობამ კომუნისტური ეკონომიკა ტექნოლოგიური ინოვაციებისადმი გულგრილი გახადა, რითაც იხსნება ის, თუ მეცნიერების მაღალ დონეზე ყოფნის მიუხედავად, რატომ გამორჩა საბჭოთა კავშირს თანამედროვეობის რამდენიმე უმნიშვნელოვანესი ტექნოლოგიური აღმოჩენა. როგორც ფრიდრიხ ჰაიეკმა აღნიშნა, მხოლოდ თავისუფალ ბაზარს აქვს შესაძლებლობა, რომ იგრძნოს და რეაქცია მოახდინოს ეკონომიკაში მიმდინარე ძვრებზე. მხოლოდ გამდიდრების პერსპექტივა აძლევს ადამიანებს მოტივაციას, რომ იმაზე მეტი ძალა დახარჯონ რამეზე, რაც მათი უშუალო საჭიროებების დაკმაყოფილებას სჭირდება. კომუნიზმის პირობებში ეფექტური სტიმულები არ არსებობდა: სამუშაო ადგილას გულმოდგინება ისჯებოდა იმით, რომ საწარმოო კვოტების შესრულებას კვოტების ზრდა მოჰყვებოდა.

კომუნისტური ეკონომიკური პოლიტიკის ჩავარდნამ ტრაგიკული გავლენა იქონია – კომუნისტურ მმართველობაზე გადასული თითქმის ყველა ქვეყნის ეკონომიკის საფუძველზე – სოფლის მეურნეობაზე. მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებამ და კოლექტივიზაციამ, რომელსაც ტრადიციული სასოფლო შრომის წესის ჩამოშლა მოჰყვა, უპრეცედენტო განზომილების შიმშილი გამოიწვია. ეს მოხდა საბჭოთა კავშირში, ჩინეთში, კამბოჯაში, ეთიოპიასა და ჩრდილოეთ კორეაში; თითოეულ ამ ქვეყანაში მილიონობით ადამიანი დაილუპა ადამიანის მიერ გამოწვეული შიმშილით. კომუნისტურ ჩრდილოეთ კორეაში 1990-იანებში, ბავშვთა ძალიან დიდი რაოდენობა არასაკმარისი კვებისგან გამოწვეული ჯანმრთე-

ლობის პრობლემებისაგან იტანჯებოდა; 1990-იანების მეორე ნახევარში, იქ დაახლოებით 2 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა შიმშილით. ბავშვთა სიკვდილიანობა ყოველ ათას ცოცხლად დაბადებაზე ოთხმოცდარვაა, სამხრეთ კორეისა კი – რვა. მამაკაცების სიცოცხლის ხანგრძლივობა 48.9 წელია, სამხრეთ კორეაში კი 70.4. მშპ ერთ სულ მოსახლეზე ჩრდილოეთში 900 დოლარია, ხოლო სამხრეთში 13,700 დოლარი.

კომუნიზმისათვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობრიობას შორის სიმდიდრის შექმნისა და თანასწორობის დამყარების (რაც მისი გაცხადებული მიზნებია) უუნარობა ერთადერთი არ არის. მეორეა თავისუფლების არარსებობა, რაც თანასწორობასა და სიმდიდრესთან ერთად მარქსისთვის კომუნისტური საზოგადოების საბოლოო მიზანი იყო. ყველა სანარმოო რესურსის ნაციონალიზაცია ყველა მოქალაქეს სახელმწიფო ხელქვეითად აქცევს – სხვა სიტყვებით, მთავრობაზე დამოკიდებულად. ტროცკის სიტყვები რომ გამოვიყენოთ: „ქვეყანაში, სადაც ერთადერთი დამსაქმებელი სახელმწიფოა, ოპოზიციაში ყოფნა შიმშილით ნელ სიკვდილს ნიშნავს. ძველი პრინციპი, რომ ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს, ახლით ჩანაცვლდა: ვინც არ მორჩილებს, მან არ უნდა ჭამოს“. მხოლოდ სახელმწიფოს მიერ თავისი მოქალაქეების საკუთრების უფლების აღიარება და ამ უფლების პატივისცემა უზრუნველყოფს თავისუფლებას. და ვინაიდან საკუთრება ლეგალური კონცეფციაა, რომელსაც სასამართლოები იცავენ, ის ასევე ნიშნავს, რომ სახელმწიფო კანონით არის დაბმული. ეს ნიშნავს, რომ კომუნიზმის მიზანს, საკუთრების

გაუქმებას, გარდაუვალად მივყავართ თავისუფლებისა და კანონიერების გაუქმებასთან. საწარმოო რესურსების ნაციონალიზაციას, საგნების მიერ ადამიანის დამონებისაგან გათავისუფლება კი არ მოჰყვება, როგორც ამას მარქსი და ენგელსი მიიჩნევდნენ, არამედ მმართველების მიერ მათი მონებად ქცევა, ვინაიდან შინაური დეფიციტები მათ კიდევ უფრო მეტად აქცევს მატერიალისტებად.

საკმარისად ითქვა ეროვნულ საზღვრებში კომუნიზმის დამკვიდრების შესახებ. არც საერთაშორისო დონეზე გამოიყურება კომუნიზმის საქმე უკეთ. ვინაიდან მარქსისტები კაპიტალიზმს გლობალურ მოვლენად მიიჩნევდნენ, მათ სურდათ, რომ მისი გაუქმებაც გლობალური ყოფილიყო: სლოგანი „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით!", რომელიც 1848 წლის *კომუნისტურ მანიფესტში* გამოითქვა და რომელიც მოგვიანებით ყველა სოციალისტმა და კომუნისტმა გამოიყენა, მშრომელთა სოლიდარულობას საზღვრებს გარეშე მოიაზრებდა.

ეს ერთობა ფიქციური აღმოჩნდა. თავიანთ კლასთან როგორ კავშირსაც უნდა გრძნობდნენ ადამიანები, ტერიტორიული და ეთნიკური კავშირები ყველგან და ყოველთვის უფრო ძლიერ ემოციებს აღვივებს. როგორც კი უცხოეთის ძალები მათ საფრთხეს უქმნის, კლასები ერთიანდებიან. სოციალისტებმა ეს გაკვეთილი 1914 წელს ისწავლეს, როდესაც მრავალი მოწოდების მიუხედავად, მეორე ინტერნაციონალის ეროვნულმა პარტიებმა, თითქმის გამონაკლისის გარეშე, თავიანთ „ბურჟუაზიულ" მთავრობებს დაუჭირეს მხარი და ომის

სასარგებლოდ მისცეს ხმა. ლენინმა ეს გაკვეთილი ხელმეორედ 1920 წელს ისწავლა, როდესაც პოლონელი მშრომელები და გლეხები აჯანყდნენ, რათა საკუთარი ქვეყანა მათი ექსპლუატაციისაგან „გასათავისუფლებლად" მოსული წითელი არმიის შემოჭრისაგან დაეცვათ. ეს გამოცდილება პერიოდულად მეორდებოდა.

ეს არც მხოლოდ ე. წ. კლასობრივ საზოგადოებებს ეხებოდა. კომუნისტური მმართველობის ქვეყნებიც კი, რომლებიც ფორმალურად უკლასონი იყვნენ, დიდად უკმაყოფილო იყვნენ საბჭოთა დომინაციით და როგორც კი მათ ამის შანსი მიეცემოდათ, მასთან კავშირს წყვეტდნენ. ეს პირველად იუგოსლავიაში მოხდა, თუმცა ყველაზე თვალსაჩინო ჩინეთის მაგალითია. ძალაუფლების ხელში ჩაგდებიდან ათი წლის შემდეგ, ჩინელმა კომუნისტებმა პრეტენზია გამოთქვეს მარქსიზმის საკუთარი ვერსიის გატარებასა და გავრცელებაზე და ამის გასაკეთებლად მათ მოდელთან და მასწავლებელთან, საბჭოთა კავშირთან, კინაღამ ომი გააჩაღეს. წითელი ქმერები უფრო შორსაც წავიდნენ: მათ აბსოლუტური თვითკმარობა სურდათ და ამტკიცებდნენ, რომ კომუნიზმის მათ სახეობას არაფერი ჰქონდა საერთო არც რუსულ და არც ჩინურ ნაირსახეობასთან. ევროპული კომუნისტური მოძრაობებიც მოითხოვდნენ პლურალიზმს („პოლიცენტრიზმს"), მაშინაც კი, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება მწვერვალზე იმყოფებოდა.

ერთადერთი გზა, რითაც მოსკოვს საერთაშორისო მოძრაობაში არსებული ამ ცენტრიდანული ძალების განეიტრალება შეეძლო, უცხოური კომუნისტური პარტიების შესუსტება და აქედან გამომდინარე, მათი სრული დაქვემდებარება იყო; როგორც კი მათი

საამომრჩევლო ბაზა იზრდებოდა, ეს პარტიები ავტონომიურობასა და დამოუკიდებლობას ითხოვდნენ. აქედან გაჩნდა დილემა: საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა ან მოსკოვს დამორჩილებულ, იზოლირებულ და უძლურ ხელსაწყოდ იქცეოდა, რომელიც მას დიდად არ ადგებოდა, ან ის ძლიერი და გავლენიანი ხდებოდა, რა შემთხვევაშიც მოსკოვისაგან თავისუფლდებოდა და საერთაშორისო კომუნიზმის ერთობას არღვევდა. მესამე ალტერნატივა არ არსებობდა.

ამ თანდაყოლილ ნაკლოვანებებს ბევრი კომუნისტი აღიარებდა, რასაც „რევიზიონიზმი" მოსდევდა ხოლმე. თუმცა მართლმორწმუნე კომუნისტებისათვის წარუმატებლობა იმას კი არ ადასტურებდა, რომ დოქტრინა იყო მცდარი, არამედ იმას, რომ ის არასაკმარისი სიმტკიცით განხორციელდა. ისინი უფრო და უფრო მეტი სიველურით განაგრძობდნენ ხოცვა-ჟლეტას, რითაც ფანატიკოსების ჯორჯ სანტაიანასეულ განმარტებას ადასტურებდნენ, რომლის მიხედვითაც, ფანატიკოსია ის, ვინც ძალისხმევას აორმაგებს მაშინ, როდესაც მიზანი აქვს დავიწყებული. ამიტომაც, კომუნიზმი თავის გზაზე, ლენინიდან სტალინამდე და სტალინიდან მაომდე და პოლ პოტამდე, სისხლის უფრო და უფრო დიდ ზღვას ტოვებდა.

რომ შევაჯამოთ, კომუნიზმმა მარცხი განიცადა და მომავალშიც წარუმატებლობისთვის არის განწირული ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ მისი მთავარი მიზნის, თანასწორობის, დასამკვიდრებლად, აუცილებელია იძულების აპარატის შექმნა, რომელიც პრივილეგიებს ითხოვს და ამით თანასწორობას უარყოფს; და

მეორე იმიტომ, რომ ეთნიკური და ტერიტორიული მიკუთვნებულობები, კლასობრივ კავშირებთან დაპირისპირებისას, ყველგან და ყოველთვის ჯაბნიან მათ, რასაც კომუნიზმის ნაციონალიზმთან ათქვეფა მოსდევს და რის გამოც ასეთი მარტივია სოციალიზმის „ფაშიზმთან" შერწყმა. ამ რეალობის გათვალისწინებით, რუსეთის ფედერაციის კომუნისტურმა პარტიამ – საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1990 წლის შემდგომმა მემკვიდრემ, უარყო ყველა ქვეყნის პროლეტარების შეერთების სლოგანი.

ამ მოვლენების შემსწრე, გერმანელ-იტალიელმა სოციოლოგმა რობერტ მიხელსმა სწორად იწინასწარმეტყველა, რომ „სოციალისტებმა შეიძლება გაიმარჯვონ, მაგრამ სოციალიზმი ვერასდროს გაიმარჯვებს".

არსებობს კიდევ ერთი, უფრო კონკრეტული მიზეზი, რაც ხელს უშლის კომუნისტური იდეალის განხორციელებას და რომელიც ლენინის მიერ შემუშავებულ კომუნისტური რეჟიმების სტრუქტურასთანაა დაკავშირებული. ვინაიდან ლენინი ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმის საყოველთაო კოლაფსი გარდაუვალი იყო, მან თავისი მმართველობა სამხედრო მოდელზე მოაწყო: საბჭოთა კომუნიზმმა და მისმა მიმბაძველებმა პოლიტიკა გაასამხედროვეს და ის ცენტრალურ მართვას დაუქვემდებარეს. ვინაიდან ამ სტრუქტურას ყველა ადამიანური თუ ბუნებრივი რესურსის მობილიზების უნარი ჰქონდა, ის რეჟიმის პირდაპირ, ფიზიკურ გამოწვევებთან გასამკლავებლად და მისი გავლენის საზღვარგარეთ გავრცელების საქმეში საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა. თუმცა ის ნაკლებად ეფექტიანი, უფრო

სწორედ, უძლური გამოდგა ისეთი გამოწვევების წინაშე, რომელთა გადაწყვეტაც ძალის გამოყენებით არ შეიძლებოდა. როდესაც მოსალოდნელი მსოფლიო რევოლუცია არ მოხდა, საბჭოთა რეჟიმი ერთ ადგილას გაიყინა და დროთა განმავლობაში ისეთი შიდა სირთულეების წინაშე დადგა, როგორებიც მოსახლეობის აპათია და პასიურობა იყო, რამაც ეკონომიკისა და მასზე დაფუძნებული სამხედრო ძალის თანმიმდევრული დაღმასვლა გამოიწვია. ამ პრობლემის გადაჭრა მხოლოდ რეჟიმის მიერ მისი მმართველობის შემსუბუქებით იყო შესაძლებელი.

მაგრამ მმართველობის შემსუბუქებამ მთელ კომუნისტურ რეჟიმს ძირი გამოუთხარა, რომელიც ერთიანი და მკაცრად ცენტრალიზებულ მმართველ ორგანიზაციაზე იყო დამოკიდებული. როგორც კი გორბაჩოვმა სისტემაში ხელის ფათური დაიწყო, მან ბზარები გაიჩინა და ძალიან მალე ნაწილებად დაიშალა. როგორც აღმოჩნდა, კომუნიზმის რეფორმირება შეუძლებელი იყო, ანუ მას არ შეეძლო ცვალებად გარემოებებზე ადაპტირება. მისმა თანდაყოლილმა სიხისტემ მისი დაცემა განაპირობა.

–

კომუნიზმის ისტორიაში ერთ-ერთი საკამათო საკითხია, თუ რა როლს ასრულებდა მასში იდეოლოგია – კერძოდ ის, რასაც მარქსიზმ-ლენინიზმს უწოდებენ. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მოძრაობა და რეჟიმი, რომელსაც მან ჩაუყარა საფუძველი, იდეებით იყო მართული, რის გამოც ისინი საბჭოთა კავშირსა და მაოისტურ

ჩინეთს „იდეოკრატიებს", ანუ იდეებით მართულ სისტემას უწოდებენ.

რა თქმა უნდა, მართალია, რომ კომუნიზმი ვერ დაიბადებოდა ოქროს ხანის მითისა და მარქსის მიერ შემუშავებული დოქტრინის გარეშე, რომელსაც პირველად ლენინმა შეასხა ხორცი და რომელმაც მისი დაბრუნების კონკრეტული სტრატეგია წარმოადგინა. მაგრამ ამ მოსაზრებაზე დათანხმება არ ნიშნავს „იდეოკრატიის" ცნების მიღებასაც, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველა იდეა, პოლიტიკურიც და ეკონომიკურიც, განხორციელებასთან ერთად ძალაუფლებას ბადებს და მალე მის იარაღად იქცევა. კაპიტალისტურმა ეკონომიკამ თავისი კლასიკური განმარტება ადამ სმიტის „ხალხთა სიმდიდრეში"[1] ჰპოვა. თუმცა სერიოზულად ვერავინ დაიჩემებდა, რომ წარსული ორი საუკუნის კაპიტალისტები ისე იქცეოდნენ, თითქოს სმიტის „უხილავი ხელის" ან მისი თეორიის რომელიმე სხვა ელემენტის გავლენით მოქმედებდნენ. მისი იდეების პათოსი კაპიტალისტების ინტერესებს ემსახურებოდა და სწორედ ამიტომაც გამოიყენეს ის მათ.

არ არსებობს იმის საფუძველი, გვჯეროდეს, რომ იგივე არ ეხება მარქსიზმ-ლენინიზმს. წარმოდგენა, თითქოს კომუნისტური პარტიის მილიონობით წევრი და ფუნქციონერი ერთგულები იყვნენ მეცხრამეტე საუკუნის გერმანელი ეკონომისტის თეორიებისა, ნამდვილად ინტელექტუალების ახირებაა, რომელთაგან ზოგიერთს სჯერა, რომ კაცობრიობას იდეები ამოძრავებენ.

---

[1] იგულისხმება ადამ სმიტის ნაშრომი: „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ".

დაფუძნებისას, კომუნისტური პარტიები მცირე ზომის არიან და ყოველთვის იდეენებიან; მათში განევრიანება უფრო მეტ რისკს მოიცავს, ვიდრე სარგებელს, რის გამოც მათი წევრების დიდი ნაწილი შესაძლოა იდეოლოგიურად მოტივირებული იყოს. მაგრამ, როგორც კი ისინი ძალაუფლებას იგდებენ ხელში და პრივილეგიებსა და სასჯელების დარიგებას იწყებენ, ასეთი პარტიები მასებს იზიდავენ, რომლებიც გამეფებულ იდეოლოგიას მხოლოდ სიტყვით თუ აღიარებენ. 1922 წელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრების გამოკითხვამ აჩვენა, რომ მხოლოდ 0.6 პროცენტს ჰქონდა უმაღლესი განათლება და მხოლოდ 6.4 პროცენტს ჰქონდა საშუალო განათლების დიპლომი. ასეთი მტკიცებულების საფუძველზე, ერთმა რუსმა ისტორიკოსმა დაასკვნა, რომ პარტიის წევრთა 92.7 პროცენტი ფაქტობრივად წერა-კითხვის უცოდინარი იყო (4.7 პროცენტი პირდაპირი გაგებით წერა-კითხვის უცოდინარი იყო), რის შესახებაც ლენინმა კარგად იცოდა, როდესაც 1921 წელს პარტიის კადრების პირველი „წმენდა" ჩაატარა, მისი „ოპორტუნისტებისაგან" განმენდის მიზნით. ეს იყო გარდაუვალთან გამკლავების ფუჭი მცდელობა. რაც უფრო დიდ პასუხისმგებლობას იღებდა კომუნისტური სახელმწიფო, მისი რიგები მუდმივად იზრდებოდა კარიერისტების შემოდინების გამო, რომელთათვისაც პარტიის წევრობა უსაფრთხოებასა და პრივილეგიებს ნიშნავდა. ძალაუფლება თავად გახდა მიზანი, ისევე როგორც თვითგადარჩენა. ასეთ დროს იდეები უბრალოდ ლეღვის ფოთლებად იქცევიან, რეჟიმის ნამდვილ ბუნებას რომ მალავენ. რეჟიმის, რომელიც

მაღალფარდოვან იდეებს აფრიალებს და სინამდვილეში ყველაზე მინიერ მიზნებს ესწრაფვის და ყველაზე ოდიოზურად იქცევა.

მნიშვნელოვანია, რომ როდესაც 1991 წელს საბჭოთა მთავრობა დაიშალა, იდეოლოგიური სინმინდის თითქოსდა მცველები – *ნომენკლატურა* – ბრძოლის გარეშე დანებდნენ, ქვეყნის რესურსებსა და წარმოებას დაეწაფნენ და ის „პრივატიზაციის" სახელით გაძარცვეს. ეს შეიძლება არ მომხდარიყო, აპარატი მართლაც რომ ყოფილიყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიის ერთგული.

იმის საინტერესო მტკიცებულებას, რომ მარქსისტული იდეოლოგია კომუნისტურ პოლიტიკაში მხოლოდ მეორეულ როლს ასრულებდა, სტალინის მემკვიდრისა და 1953-1964 წლებში საბჭოთა კავშირის მმართველის, ნიკიტა ხრუშჩოვის ბიოგრაფია გადმოსცემს, რომელიც მისმა შვილმა, სერგეიმ დაწერა. „ჩემი სტუდენტობიდან მოყოლებული", წერს ახალგაზრდა ხრუშჩოვი:

> „ვცდილობდი და არ გამომდიოდა გამეგო, თუ ზუსტად რა იყო კომუნიზმი... ვცადე მამაჩემის იძულება, შუქი მოეფინა კომუნიზმის ბუნებაზე, მაგრამ მაშინაც ვერანაირი აზრიანი პასუხი ვერ მივიღე. მივხვდი, რომ მანაც არ იცოდა ეს კარგად[1]".

და თუკი კომუნისტური ბლოკის ლიდერს და მომავალი მსოფლიო ტრიუმფის დაუღალავ მედროშეს არ

---

[1] Khrushchev, Sergej N. *Nikita Khrushchev and the Creation of a Superpower*. Translated by Shirley Benson, University Park, Pa, Pennsylvania State University Press, 2000. გვ. 701.

შეეძლო მისი შვილისთვის იმის ახსნა, თუ რა იყო კომუნიზმი, რა თეორიულ გაგებას შეიძლება მოველოდეთ რიგითი კომუნისტებისგან?

ის, რაც კომუნისტურ რეჟიმებს ამოძრავებდა და მის ეგალიტარულ იდეალებს ძირს უთხრიდა, ანგარება იყო – პირადი თუ ეროვნული. რა სიხშირით და როგორ უცერემონიოდ გადაუხვევდნენ ხოლმე საბჭოთა და ჩინელი ლიდერები მარქსისტულ კანონებს, როდესაც ეს მათ ინტერესებს აწყობდა! 1917 წელს ლენინმა უფლება მისცა მშრომელებს, რომ მათ – ქარხნები, გლეხებს კი მიწები ჩაეგდოთ ხელში, მიუხედავად იმისა, რომ ეს ანარქისტული ქმედებები მარქსისტულ დოქტრინას ეწინააღმდეგებოდა. 1921 წელს, მან სოფლის მეურნეობაში თავისუფალი ბაზარი აღადგინა და სამომხმარებლო საქონლის წარმოებაში კაპიტალისტური საქმიანობა დაუშვა. სტალინმა კოლმეურნეობის გლეხებს კერძო მიწები მისცა, რომელთა მოსავლის გაყიდვაც მათ შეთანხმებულ ფასში შეეძლოთ. 1930-იანებში ის უცხოეთში სახალხო ფრონტების შექმნას უწყობდა ხელს, რაც კომუნისტებსა და მათი მთავარი მოწინააღმდეგეების, სოციალ-დემოკრატების, თანამშრომლობას გულისხმობდა. ხრუშჩოვმა უარი თქვა საერთაშორისო კლასობრივ ომზე „მშვიდობიანი თანაცხოვრების" სასარგებლოდ. მაომ გამოაცხადა, რომ ადამიანის ნებას ობიექტურ რეალობაზე გამარჯვება შეეძლო, მისი მემკვიდრეები კი მათზე დაქვემდებარებულთ გამდიდრებისკენ მოუწოდებდნენ. ეს ყველაფერი კომუნიზმის სახელით გაკეთდა. ყველა შემთხვევაში იდეოლოგიის მოთხოვნები, დროებით მაინც, პარტიის საჭიროებებს შეეწირა

მსხვერპლად, რაც ყოველთვის და ყველგან ერთი და იგივე იყო: შეუზღუდავი ძალაუფლების მოპოვება და გავრცელება.

–

უტოპიის მშენებლობისას ექსპერიმენტების ფასი გამაოგნებელი იყო. მათ ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეინირეს. სტეფან კურტუა, *„კომუნიზმის შავი წიგნის“* გამომცემელი რედაქტორი, კომუნიზმის მსხვერპლთა საერთო რაოდენობას 85-დან 100 მილიონამდე განსაზღვრავს, რაც 50 პროცენტით მეტია, ვიდრე ორი მსოფლიო ომის მიერ გამონვეული მსხვერპლის რაოდენობა. ამ დანაკარგების გასამართლებლად ბევრი განმარტება გაკეთდა, მაგალითად ის, რომ ადამიანს ომლეტის გაკეთება კვერცხის გატეხის გარეშე არ შეუძლია. გარდა იმისა, რომ ადამიანი კვერცხი არ არის, ამ ახსნის პრობლემა ისაა, რომ ამ ხოცვა-ჟლეტიდან ომლეტიც არ გაკეთებულა.

გადარჩენილებსაც მოუწიათ ფასის გადახდა. სრული კონფორმულობის მისაღწევად კომუნისტური რეჟიმები ასახლებდა, ავიწროებდა და აჩუმებდა მათ, ვინც არ ერგებოდა რეჟიმს – ხშირად ყველაზე მარჯვეებს და შემოქმედებითებს. ამის შედეგად რაღაც უკუეკოლუციის მსგავსი დაიწყო, სადაც ყველაზე მორჩილებსა და კონფორმისტებს გადარჩენის ყველაზე მაღალი შანსი ჰქონდათ. შემოქმედებითები, პატიოსნები და საზოგადოებრივად მოაზროვნეები გაქრნენ.

რუსეთში, რომელიც ყველაზე დიდხანს ცხოვრობდა კომუნიზმში, ამის ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ მოსახ-

ლეობას საკუთარი ძალების რწმენის უნარი გაუქრა. ვინაიდან საბჭოთა რეჟიმში საჯარო საკითხებთან დაკავშირებული ყველა ბრძანება ზემოდან უნდა წამოსულიყო და ინიციატივას დანაშაულივით განიხილავდნენ, ერმა დიდსა თუ წვრილმან საქმეებში (კრიმინალური საქმიანობის გარდა) გადაწყვეტილების მიღების უნარი დაკარგა; ადამიანები ბრძანებებს ელოდებიან. დემოკრატიისადმი სწრაფვის მოკლე ამოფრქვევის გარდა, კვლავ დაისადგურა ძლიერი წარმმართველი ხელის არსებობის სურვილმა. ქვეყანა აღმოჩნდა უუნაროც და არამოსურნეც, რომ საკუთარ ფეხზე დამდგარიყო და მისი ბედის პატრონი გამხდარიყო. ეს არ არის ყველაზე ცუდი რამ, რაც კომუნიზმმა რუსეთს და ყველა მის მსგავს ქვეყანას დამართა, რომელმაც ხანგრძლივი კომუნისტური გახედნის პროცესი გაიარა. მან მათში ასევე სამუშაო ეთიკა და საჯარო პასუხისმგებლობის განცდა ჩაკლა.

მომხვეჭელობა თანდაყოლილი რამაა; სხვათა ქონების პატივისცემა კი დასწავლილი. ეს ვიცით ბავშვთა ფსიქოლოგიიდან. აქედან გამომდინარეობს, რომ თუკი პიროვნება აღმოაჩენს, რომ სხვები – იქნება ეს მთავრობა თუ ზოგადად, საზოგადოება – პატივს არ სცემს მის ქონებრივ უფლებებს, ის არა მხოლოდ ანგარიშს არ უწევს მათ ქონებას, არამედ ყველაზე მტაცებლურ ინსტინქტებსაც გამოავლენს. ზუსტად ეს მოხდა სსრკ-ში კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდეგ, რამაც ნამდვილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა შეაფერხა, რომელიც საკუთრების უფლების პატივისცემაზე დგას.

მარქსი ამტკიცებდა, რომ კაპიტალიზმი გადაუწყვეტელ შინაგან წინააღმდეგობებს შეიცავდა, რის გამოც

ის განწირული იყო განადგურებისთვის. სინამდვილეში, ვინაიდან კაპიტალიზმი იმგვარი ემპირიული სისტემაა, რომელსაც რეალობაზე რეაგირებისა და მასზე მორგების უნარი აქვს, მან ყველა კრიზისის დაძლევა მოახერხა. მეორე მხრივ, კომუნიზმი, ვინაიდან ის რიგიდული დოქტრინაა – ფსევდორელიგიად ქცეული და მოუქნელ პოლიტიკურ რეჟიმად ჩამოყალიბებული ფსევდომეცნიერება – უუნარო აღმოჩნდა, მოეშორებინა არასწორი შეხედულებები, რომლებსაც ის ემონებოდა და სული განუტევა. თუკი ის ოდესმე გაცოცხლდება, ეს ისტორიის წინააღმდეგ წასვლა და კიდევ ერთი ძვირადღირებული წარუმატებლობა იქნება. ასეთი ქმედება სიგიჟის ტოლფასია, რაც განისაზღვრება როგორც ერთი და იმავე ქმედების ჩადენა სხვადასხვა შედეგის მიღწევის მიზნით.

WORKS CITED

The New York Times, 15 August 2000, p. A7.

The Times [London], 11 February 1920, p. 9.

The New York Times, 11 August 1990, p. A2.

Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. 5 ed., vol. 41, Москва, 1958-65.

Кри́цман, Лев Ната́нович. Героический период великой русской революции. Москва, 1926.

Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. vol. 37, Москва, 1958-65.

Латышев, Анатолий Георгиевич. Рассекреченный Ленин. Москва, Март, 1996.

Ленин, Владимир Ильич. Полное собрание сочинений. vol. 42, Москва, 1958-65.

Мирек, Альфред. Красный мираж: палачи великой России. Можайск-Терра, 2006.

Чуев, Феликс Иванович. Сто сорок бесед с Молотовым: из дневника Ф. Чуева. Терра, 1991.

Сталин, Иосиф Виссарионович. Сочинения. vol. 7, Москва, Государственное издательство политической литературы, 1952.

Пихоя, Рудольф Германович. Советский Союз: история власти. 1945-1991. Москва, РАГС, 1998.
Смирнов, Михаил Борисович, and Общество „Мемориал" (Москва). Система исправительно-трудовых лагерей в СССР, 1923-1960: справочник. Москва, Звенья, 1998.
Becker, Jasper. *Hungry Ghosts: China's Secret Famine.* London, J. Murray, 1996.
Buchheim, Hans. *Totalitarian Rule: Its Nature and Characteristics.* Translated by Ruth Hein, Middletown, Wesleyan University Press, 1968.
Childs, David, editor. *The Changing Face of Western Communism.* London, Croom Helm, 1980.
Courtois, Stéphane, et al. *The Black Book of Communism: Crimes, Terror, Repression.* Edited by Mark Kramer and Stéphane Courtois, translated by Stéphane Courtois, et al., Harvard University Press, 1999.
Dilks, David, and John Erickson, editors. *Barbarossa: The Axis and the Allies.* Edinburgh, Edinburgh University Press, 1993.
Draper, Theodore. *Castroism: Theory and Practice.* Pall Mall Press, 1965.
Fitzpatrick, Sheila. *Everyday Stalinism: Ordinary Life in Extraordinary Times: Soviet Russia in the 1930s.* New York, Oxford University Press, 1999.
Friedrich, Carl Joachim. *Totalitarianism: Proceedings of a Conference Held at the American Academy of Arts and Sciences, March 1953.* Cambridge, Harvard University Press, 1954.
Gorki, Maxime. *Lenine et le Paysan Russe.* Paris, Gallimard, 1924.

Heller, Mikhail, and Aleksandr Moiseevich Nekrich. *Utopia in Power: The History of the Soviet Union from 1917 to the Present.* New York, Summit Books, 1986.
Jackson, Karl D. *Cambodia, 1975-1978 : Rendezvous with Death.* Princeton, N.J., Princeton University Press, 1989.
Jane, Degras. *The Communist International, 1919-1943: Documents.* London, Oxford University Press, 1956.
Jasny, Naum. *The Socialized Agriculture of the USSR.* Stanford, Stanford University Press, 1949.
Khrushchev, Sergej N. *Nikita Khrushchev and the Creation of a Superpower.* Translated by Shirley Benson, University Park, Pa, Pennsylvania State University Press, 2000.
Koestler, Arthur. *The Invisible Writing.* New York, Macmillan, 1954.
Koestler, Arthur, et al. *The God that Failed.* Edited by Richard Crossman, New York, Harper & Brothers, 1949.
Kolakowski, Leszek, and Paul S. Falla. *Main Currents of Marxism: Its Rise, Growth, and Dissolution.* vol. 3, New York, Oxford University Press, 1978.
Lukács, György. *History and class consciousness: studies in Marxist dialectics.* Cambridge, Mass., Merlin Press, 1971.
Mandelshtam, Nadezhda. *Hope Against Hope: A Memoir.* Translated by Max Hayward, New York, Atheneum, 1970.
Marx, Karl. *Capital : a critique of political economy.* vol. I.
Marx, Karl. *The class struggles in France (1848-1850).* New York, International Publishers, 1964.
Marx, Karl, and Friedrich Engels. *Collected Works.* vol. 3, New York, 1971.
Marx, Karl, and Friedrich Engels. „German Ideology". *Collected Works*, vol. V, 1975.

Muggeridge, Kitty, and Ruth Adam. *Beatrice Webb.* New York, Knopf, 1968.
Mussolini, Benito. *Opera Omnia.* vol. 17, Florence, La Fenice, 1955.
Nove, Alec. *An Economic History of the U.S.S.R.* Allen Lane, 1969.
Olcott, Martha Brill. „The Collectivization Drive in Kazakhstan". *The Russian Review,* vol. 40, no. 2, 1981, pp. 122-42.
Paternostro, Silvana. „Communism versus prostitution: Sexual Revolution". *The New Republic,* 10-17 July 2000, p. 20.
Picker, Henry, editor. *Hitlers Tischgespräche im Führerhauptquartier, 1941-1942.* Bonn, Athenäum Verlag, 1951.
Pipes, Richard. *A Concise History of the Russian Revolution.* New York, Knopf, 1995.
Pipes, Richard. *The Russian Revolution.* New York, Vintage Books, 1991.
Pipes, Richard. *The Unknown Lenin: From the Secret Archive.* Edited by David Branderberger, translated by Catherine A. Fitzpatrick, New Haven, CT, Yale University Press, 1996.
Pringle, Robert W. „Andropov's Counterintelligence State". *International Journal of Intelligence and Counterintelligence,* vol. 13, 2000, pp. 193-203.
Remnick, David. *Lenin's Tomb: The Last Days of the Soviet Empire.* New York, Viking, 1993.
Sinjavskij, Andrej. *Der Traum vom neuen Menschen oder Die Sowjetzivilisation.* Translated by Swetlana Geier, Frankfurt am Main, S. Fischer, 1989.

Steinberg, Isaac Nachman. *In the Workshop of the Revolution.* London, Gollancz, 1955.
Taubman, William, et al. *Nikita Khrushchev.* New Haven, CT, Yale University Press, 2000.
Urban, George R., editor. *Stalinism: Its Impact on Russia and the World.* New York, M. Temple Smith, 1982.
Voslenskiĭ, Mikhail Sergeyevich. *Nomenklatura: The Soviet Ruling Class.* Translated by Eric Mosbacher, New York, Garden City, 1984.
Wolf, Markus, and Anne McElvoy. *Man Without a Face: The Autobiography of Communism's Greatest Spymaster.* Times Books, 1997.
Wolfe, Bertram David. *Khrushchev and Stalin's Ghost.* New York, Frederick A. Praeger, 1957.
Woodward, Peter. *The Horn of Africa: Politics and International Relations.* London and New York, Bloomsbury Academic, 1996.
Zagoria, Donald S. *The Sino-Soviet Conflict, 1956-1961.* New York, Atheneum, 1964.
Zedong, Mao, et al. *Quotations from Chairman Mao Tse-Tung.* New York, Praeger, 1968.

რიჩარდ პაიპსის „კომუნიზმი" მკითხველს კომუნიზმის იდეოლოგიის, ისტორიისა და გავლენის ყოვლისმომცველ ანალიზს სთავაზობს. ის წარმოაჩენს კომუნიზმის განვითარებას მისი თეორიული პრინციპებიდან – პრაქტიკულ განხორციელებამდე. ამასთან, ტექსტი წარმოაჩენს კომუნიზმის საფუძველმდებარე პრინციპებს, როგორებიცაა თანასწორობა, კოლექტივიზაცია, კერძო საკუთრების გაუქმება და სხვ.

წიგნში პაიპსი გვთავაზობს ანალიზს იმისა, თუ რა გავლენა იქონია კომუნისტურმა იდეოლოგიამ პოლიტიკურ მოძრაობებზე, რევოლუციებსა თუ მმართველობის ფორმებზე. ავტორის მკვეთრად ანტიკომუნისტური პოზიციის მიუხედავად, ის შეძლებისდაგვარად დაბალანსებულად გადმოგვცემს კომუნიზმის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასებას.

მნიშვნელობა არ აქვს, მკითხველი მკვლევარია, სტუდენტი თუ უბრალოდ პოლიტიკური თეორიითა და ისტორიით დაინტერესებული ადამიანი – „კომუნიზმი" ყველასთვის მნიშვნელოვან ნყაროს წარმოადგენს XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სოციო-პოლიტიკური იდეოლოგიის გასაგებად.

რიჩარდ პაიპსი (1923-2018) ამერიკელი მეცნიერი, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი და 1968-1978 წლებში ჰარვარდის უნივერსიტეტის რუსული კვლევების ფენტონის ხელმძღვანელი იყო. მისი ყველაზე ცნობილი ნაშრომებია: „რუსული ძველი რეჟიმის მმართველობის დროს" (1974); „რუსეთი ძველი ბიჟ" (1990); „რუსეთი ბოლშევიკური რეჟიმის მმართველობის დროს" (1984).

19 95

ინტელექტი

ISBN 978-9941-31-692-0